F 749
1975

Kayisa

1975

1

F 4030



გამომცემლობა „მერანი“ ● თბილისი

შინაარსი

ირაკლი აბაშიძე. მიკოლა გაჭანი. 4

პოეზია

მიკოლა გაჭანი. სიკვდილი ნიკოლოზ ფიროსმანიშვილისა.
ლექსი. უკრაინულიდან თარგმნა რაულ ჩილაჩავამ 6
ნეიმან-ჯენი. ლექსები.
თარგმნა გიორგი კაპანაძემ 53
მიხეილ ლუკონინი. ლექსები.
რუსულიდან თარგმნა ავთანდილ გურგენიძემ 54
ვიტესლავ ნეზვალი. ედისონი. პოემა.
თარგმნა სილოვან ნარიმანიძემ 93
ვალერიუს კატულუსი. ლექსები.
ლათინურიდან თარგმნა რომან მიმინოშვილმა 197

პროზა

ქსავერი პრუშინსკი. მეგუკე სამარუანდში. მოთხრობა.
თარგმნა თამაზ ნატროშვილმა 9
ირინა გრეკოვა. შესასვლელს მიღმა. მოთხრობა.
რუსულიდან თარგმნა გიზო ზარნაძემ 16
ჭალდოურ სტეფაუნსონი დასამარებული ლექსი. მოთხრობა.
თარგმნა თინათინ ჯავახიშვილმა 44
ჟან გრივა. ნოქტიურნი. მოთხრობა.
ლატვიურიდან თარგმნა უშანგ სახლთხუციშვილმა 56
ედგარ პო. ლიგეა. მოთხრობა
ინგლისურიდან თარგმნა ზაურ კილაძემ 99

მსოფლიო
ლიტერატურის
ორთვიური
ალმანახი

1
(4)

1975

საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო

შინაარსი

მოჰამედ ეთემად-ზადე ბეჰაზინი. მოთხრობები.
სპარსულიდან თარგმნა ნანა ჩხეიძემ 111
იური ნაგიბინი. მოთხრობები. კაპიტან სოლოვიოვის საქმე.
თარგმნა სოლომონ დემურხანაშვილმა
იდუმალი სახლი. თარგმნა ედიშერ გიორგაძემ 142
ერვინ შტრიტმატერი. მინიატურები.
გერმანულიდან თარგმნა ოთარ ხუციშვილმა 150
თოლის ფოლადოვი. ქალიშვილი. მოთხრობა.
ტაჯიკურიდან თარგმნა ზეზვა მედულაშვილმა 155
ფილიპ გოლოსკი. ნატვრის ჭა. მოთხრობა.
ინგლისურიდან თარგმნა ზაზა გაჩეჩილაძემ 159
უილიამ ფოლკნერი. ქალაქი. რომანი. გაგრძელება.
თარგმნა რევაზ თვარაძემ 165
სემუელ ბეკეტი. ნაკვერჩხლები. რადიომოთხრობა.
ინგლისურიდან თარგმნა მანანა დუმბაძემ 205
უცხოური იუმორისტული მოთხრობები 215

ლიტერატურული მემკვიდრეობა, კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ვლ. მაიაკოვსკი. ვ. ვ. ხლებნიკოვი. თარგმნა
ედიშერ გიორგაძემ 223
რევაზ ყარალაშვილი. ფულცენჰოფის „ბანდებილი“ 227
სხვადასხვა ამბები 234
ჩვენი ავტორები 236



მიკოლა

ბაჟანი

1934 წელს პაოლო იაშვილმა, მშვენიერმა ქართველმა პოეტმა, ლექსი უძღვნა მიკოლა ბაჟანს, იმხანად ჯერ ისევ სრულიად ახალგაზრდა კაცს.

ეს ლექსი პაოლო იაშვილმა დაწერა კახეთში, „ალავერდობის“ დღესასწაულზე. იმ წელს მიკოლა პირველად ჩამოვიდა საქართველოში, ეს იყო სულ მალე საბჭოთა მწერლების პირველი სრულიად საკავშირო ყრილობის შემდეგ, როცა ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან ყველას გასაგონად გაისმა ქართული კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურის — ძველი, მდიდარი და განუმეორებელი ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენელთა სახელები. მრავალეროვანი ქვეყნის წარგზავნილებმა გაიგონეს შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის სახელები... ჩვენ კი ჩვენს თავს აღმოვუჩინეთ მოძმე ლიტერატურათა საგანძურის უძვირფასესი თვალმარგალიტები. ახლა, ამდენი ხნის შემდეგ, კიდევ უფრო თვალსაჩინოა ჩვენი ლიტერატურული და საზოგადოებრივი ცხოვრების ამ დიადი მოვლენის მნიშვნელობა.

საქართველოში მიკოლა ბაჟანი ისეთ პოეტურ გარემოცვაში მოხვდა, რომ იგი სამარადისოდ გაიმსჭვალა ქართული მიწის, ქართველი ხალხის, მისი კულტურისა და ქართველი მეგობრების — განსაკუთრებით სიმონ ჩიქოვანის სიყვარულით, ვინც, თავად მიკოლა ბაჟანის აღიარებით, „ისე მეგობრულად და ისე განუყრელად“ შეიჭრა მის ცხოვრებაში, როგორც „ცოტანი თუ შეჭრილან.“ ეს მეგობრობა მისთვის იქცა ქართული კლასიკური ლიტერატურისადმი მყარი, დაუცხრომელი ინტერესის საფუძვლად. ამ მეგობრობის ნაყოფიც იყო, რომ ბაჟანმა უკრაინულ ენაზე ბრწყინვალედ თარგმნა თანამედროვე ქართველი პოეტების ნაწარმოებები. ამ მოღვაწეობის მწვერვალია მიკოლა ბაჟანის მიერ უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა, რისთვისაც მას მიენიჭა რესპუბლიკური პრემია, რომელიც უდიდესი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის სახელს ატარებს. შეუძლებელია წარმოვაჩინოთ შემოქმედებითი სახე მ. ბაჟანისა, თუკი ჯეროვნად არ შევაფასებთ ქართულ პერიოდსა და ქართულ თემას მის პოეზიაში.

სწორედ მაშინ გავეცანით ერთმანეთს მიკოლა ბაჟანი და მე. მას აქეთ ყოველთვის ვამაყობდი და ამჟამადაც ვამაყობ ამ შესანიშნავ ადამიანთან და პოეტთან ახლო მეგობრობით.

დიახ, მიკოლა ბაჟანი სავსებით ახალგაზრდა კაცი იყო, როცა ოსტატად აღიარეს. ჩვენ მაშინ ბაჟანს ვიცნობდით მრავალი ლექსის, მათ შორის ორი სახელმოხვეჭილი „ღამის“ („ჰოფმანის ღამე“ და „ჟელეზნიაკის ღამე“) და გახმაურებული „ჰამლეტის სიკვდილის“ ავტორად. ცნობილი იყო მისი ლექსები სამოქალაქო ომზე, თუმცა ჩვენ ყველას ამ თემაზე შექმნილ ნაწარმოებთაგან საუკეთესოდ მიგვაჩნდა ე. ბაგრიცკის „ფიქრები ათანასეზე“. მახსოვს, როცა პოეტების წრეში ან მეგობრულ სადღეგრძელოში ბაჟანზე ჩამოვარდებოდა სიტყვა, ყოველის

უწინარეს ვახსენებდით „ჰოფმანის ღამეს“, რომელიც გვიზიდავდა ხელოვნების ხვედრისადმი თავისი ღრმა ინტერესით.

რევოლუციამ, საუკუნის უდიდესმა მოვლენებმა მწერლების წარმოსახვა დაიპყრო. ბაჟანიც ბევრს ფიქრობდა ახალ ადამიანზე, რევოლუციის ჯარისკაცზე, რომელიც ახალ, მანამდე არარსებულ საზოგადოებას აშენებდა. მაგრამ მაშინდელ თავის ძიებებში მიკოლა ბაჟანი ერთ-ერთი იმ პოეტთაგანი იყო, რომლებიც აღმოჩენებს აკეთებდნენ არა მარტო სინამდვილის კონკრეტულ-ისტორიული თვალსაზრისით ჩვენებისას, არამედ ფილოსოფიური გააზრებითაც. რაღა საჭიროა იმაზე საუბარი, რომ ესაა ყველაზე ძნელი და რთული გზა. სწორედ ამ მიმართულებითაა ახლაც განსაკუთრებულად საინტერესო პოემა „ჰამლეტის სიკვდილი“, რომელშიც გორკისებურად, პუბლიცისტური პირდაპირობითაა ახსნილი ახალი საბჭოთა ჰუმანიზმის პრობლემა.

ეს იყო ეპოქა დიადი შემოქმედებითი გამარჯვებებისა, სოციალისტური პრობლემატიკის ათვისებისა, ხალხის ცხოვრებასთან დაახლოებისა.

მე სიამაყის გრძნობით და გაუზვიადებლად შემიძლია ვთქვა, რომ იმ წლებში საქართველო იქცა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ლიტერატურათა მანამდე არნახული დაახლოებისა და ურთიერთგამდიდრების მოწმედ. აქ იკრიბებოდნენ, ერთმანეთს ხვდებოდნენ რუსული, უკრაინული, სომხური მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენლები და ამ წრეში მიკოლა ბაჟანი ერთ-ერთი ყველაზე შესამჩნევი და მნიშვნელოვანი პიროვნება გახლდათ. მისი „ლექსები საქართველოზე“, ნიკოლოზ ტიხონოვის კახეთზე დაწერილი ლექსების მსგავსად, ამ მეგობრობის ნაყოფიერების ბევრისმთქმელ საბუთად კი არ იქცა მხოლოდ, არამედ ეს ლექსები სამუდამოდ დამკვიდრდნენ საბჭოთა ლიტერატურის სალგანძურში. ეს ნაყოფი საქართველოში ტურისტული მოგზაურობის შედეგად როდი მწიფდებოდა. ყველა მოძმე რესპუბლიკის პოეტს ნახავდით საქართველოს მშენებლობათა ხარაჩოებზე და შორეულ კუთხე-კუნჭულებში, ფაბრიკებსა და მაღაროებში.

მიკოლა ბაჟანი მოხვდა სამყაროში, სადაც ერთმანეთს პირისპირ შეეყარნენ თანამედროვეობა და წარსული. მაშინ ყველას პირზე ეკერა ისტორიული და სიმბოლური აზრით შემსჭვალული შეხვედრა ძველისძველი ჯვარის მონასტრისა და ზაჰესისა, რომელიც გოელროს გეგმის პირმშოთაგანია. ცხადია, ყოველივე ამას უდავოდ უნდა გაენაყოფიერებინა შემოქმედებითი ფანტაზია პოეტისა, ასე ბევრსა და დაძაბულად რომ ფიქრობდა წარსულსა და თანამედროვეობაზე, დროთა კავშირზე, რომელიც სრულიადაც არ გამწყდარა, პირიქით, ახალი აზრით გამდიდრდა.

ახლა ყოველივე ეს მარტოოდენ ჩვენი ბიოგრაფიების ფაქტები როდია, თავად ისტორიაა: ჩვენი შეხვედრა ბაჟანთან, ბაჟანის შეხვედრა საქართველოსთან. მე ისტორიას არა ვწერ, მხოლოდ მინდა რამდენიმე ფრაგმენტი გაგიზიაროთ იქიდან, რაც მეხსიერებაში ჩამრჩენია.

...1942 წლის იანვარი. დედაქალაქის გაუკაცრიელებულ, ცივ სასტუმრო „მოსკოვში“ შევხვდი პოლკის კომისრის ფორმაში გამოწყობილ მიკოლა ბაჟანს. მაშინ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე ფრონტებიდან მოიწვიეს ლიტერატურული ორგანიზაციების ხელმძღვანელები. აქ იყვნენ ფადეევი, პავლენკო, სტავსკი, ევგ. პეტროვი... ომის პირველივე დღეებიდან მიკოლა ბაჟანი, საბჭოთა მწერლების უმრავლესობის მსგავსად, სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. იგი ფრონტზე იყო. სამხედრო გაზეთს რედაქტორობდა, წერდა ლექსებს.

გავიდა წლები, ახალი შეხვედრები მქონდა ბაჟანთან. მახსოვს მრავალ საერთაშორისო კონგრესზე, სიმპოზიუმზე, უცხოელ კოლეგებთან შეხვედრებზე ბაჟანის გამოსვლები საბჭოთა ლიტერატურის იდეურ-შემოქმედებითი საფუძვლების დასაცავად. და კვლავ შეხვედრებმა და მოგზაურობებმა დიდი ნაყოფით დახუნძლა შესანიშნავი უკრაინელი პოეტის შემოქმედებითი ხე — „ინგლისის შთაბეჭდილებები“, „შეხვედრები იტალიაში“...

ამბობენ, ძველი სიყვარულის დავიწყება შეუძლებელიაო, და მიკოლა ბაჟანი კვლავ და კვლავ ჩამოდის ხოლმე ჩვენს მხარეში, ნახულობს თავის ქართველ მეგობრებს. ჩვენ გულით გვსურდა, მრავლისმთქმელი და კეთილი ალეგორია დაგვენახა იმ ფაქტში, რომ თავისი დაბადების სამოცი წელი მიკოლა ბაჟანმა სწორედ ჩვენთან იზეიმა, რადგან ეს იუბლიანად დაემთხვა 1964 წელს საქართველოში გამართული უკრაინული ლიტერატურის დეკადის დღეებს.

გულითა და სულით ვუსურვებ საქართველოს მეგობარს მიკოლა ბაჟანს დაბადების 70 წლისთავს და ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლესა და ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

ირაკლი აბაშიძე

ვიკოლა ბაქანი

სიკვდილი ნიკოლოზ ფიროსმანიშვილისა

(წიანიდან „ოთხი მოთხრობა იმედზე")

უკრაინულიდან თარგმნა

რაულ ჩილაჩავამ

მას ფარღალალა, ჩაღამებული და ნესტიანი კედლების მიღმა
ესმის, თუ როგორ იგინებიან, ლანძღავენ ერთურთს, წყევლიან ღობალს,
როგორ ლაყბობენ მზარეულები, ეზიდებიან მსახურნი ჭაპანს,
როგორ შიშინებს კოცონზე მწვადი და გამწარებით ტკაცუნებს ტაფა.

მას ცხადად ესმის, ძველ იატაკზე როგორ ეცემა შეშა გრუხუნით,
როგორ აშინებს უქნარა ქალებს მეეზოვეთა შორი ბუხუნი.
პირთეთრი — ფქვილის ტომარასავით და ენაბილწი, რაც მთავარია,
დიასახლისი ჰკითხავს მზარეულს — თუ შეიბრაწა უკვე ვარია.

აჰა, დანებმაც გაიწკრიალეს — მწვანილეული იყრება ქვაბში,
ატრიალებენ მარჯვედ ქაფქირებს, ტკაცუნებს ცეცხლი, მზადდება ხაში.
დიასახლისმა მოახლე გოგოს წაარტყა, მზერა ესროლა მტრული,
ფერი ეცვალა უბნის ლამაზმანს, ხორცის გამრყვნელს და წამწყმედელს სულის.

განთიადიდან, როგორც კი სარკმელს ააელვარებს სხივი ციური,
მწუხრამდე, როცა ხურდება ტვინი უძილობით და გარჯით დღიურით,
გაუმაძღარი სამყარო ესე ყვირის, ყაყანებს ქანცგალეული,
ხან ეფიცხება კვამლიან ბუხარს, ხან თეფშს დასცქერის ნერწყვმორეული.

ახრჩოლებს კოცონს და იხუთება, ადუღებს, აცხობს, კეცებს ახურებს,
ითვლის მოგებას, ზოგავს კაპიკებს, როგორც მომჭირნე მოსამსახურე,
ფიქრობს ნიადაგ ნუგბარ კერძებზე, ესოდენ მდიდართ მწე და ქომაგი,
ღვინით, არაყით, ხორცით, მწვანილით უნდა აავსოს მათი სტომაქი.

გამორჩეულო ვაშლო ქართლისა, საღო მარცვალო კახურ წიალის,
ფშავ-ხევსურეთის დეკავ და ღვიავ, დგაფუნა თევზო ლურჯი ლიახვის,
აკიდოებში ჩაღვრილო ქარვავ, მთელი ზამთარი რომ შეინახვი...
ო, საქართველოს ულევო განძო, მხიარული ვარ მე შენი ნახვით!

მაგრამ დაფეხვილ კედელს რა ვუყო, მახრჩობს სარდაფის ნესტი და შმორი,
მივჩერებივარ ჭერს გათანგული და ყოველივე გამხდარა შორი.
უვარსკვლავებო, უმთვარო ღამით, როცა დაუშენს მაღლიდან თქორი,
მე მელანდება დედულ-მამული, მისი ბუნება სამოთხის სწორი.

იქ ხომ ფერების ფერხული არის უბრწყინვალესი და უნათლესი,
იქ ხომ ოქროთი მოფენილია ველი სათიბი, სახნავ-სათესი,
კვლავ ამიხილე თვალები, ღმერთო, გადამავიწყე ჭირი ათასი,
მაჩვენე ზეცა გადაწმენდილი და დაფენილი ძირს ფიანდაზი.

რის მაქნისი ვარ? — თხელ მუშამბაზე ფერებს ვახამებ აუჩქარებლად,
მინდა მთებისთვის თუ საგნებისთვის სულის შთაბერვა-აელვარება.
ხან შავ საღებავს ლურჯს შევუხამებ, ვით სიცილს ცრემლებს, ლხინს—მწუხარებას,
ხან ყავისფერში მწვანეს ავურევ, ამქვეყნად ვინმეს ხომ ეყვარება!

მინდა განვფინო მთელი სამყარო მე რამდენიმე უბრალო ფერად,
როგორც მესტვირეს საკუთარ სუნთქვით გამოჰყავს ხოლმე ცოცხალი ბგერა,
ეს არის მთელი შენი ცხოვრება, შენი ნუგეში და ბედისწერა,
მისად სამსხვერპლოდ გაიღო უნდა, ოსტატო, ნიჭი და გულის ძგერა.

გვერდით ნახშირი მიწყვია ბლომად, მაშფოთებს სევდა მარადჟამული,
როგორც ტუჩები მარგარიტასი, — ფერი მყვირალა და მეწამული.
საღებავების პაწია თეფშზე ცისარტყელების შუქი ციალებს,
და სურათებზე ჩამოღვენთილი ლაჟვარდი ზეთი ცრემლად იალებს.

რათა გაართონ ვინმე აშიკი, დაატკბონ ლოთი-შფოთების ხროვა,
ისინი დუქნებს ჰკიდია აბრად და შეუმშრალი ხატების გლოვად,
ან აჭრელებულ კედლებს მინდობილთ ედებათ ნელა ობი და ხავსი
და მკრთალდებიან და ხუნდებიან ჩემი მადლით და ცოდვებით სავსე, —

დათვები მთვარის შუქით მოსილი და ქორბუდები შთენილი ცალად,
ღვინის კასრები, გაშლილი სუფრა, მდინარის წელი და მშვიდი ნანა.
და ტიკჭორები პირამდე სავსე, მსგავსი საოცრად ღიპიან მთვრალის,
ო, ბრალი, ბრალი ჩემთა ტილოთა, რარიგად ქრება იმათი კვალი.

ჩამორეცხილი, დამსკდარ ფერების შემყურემ როგორ გავძელი დღემდე,
ისინი უნდა დალპნენ, აორთქლდნენ, განქარდნენ ჩემი სიკვდილის შემდეგ,
და მხოლოდ ვინმე მედუქნის ოჯახს შემორჩენილი სურათი მხატვრის
გაუძლებს დრო-ჟამს, სისხლს აუყივლებს მას, ვისაც ესმის სიწმინდის ყადრი.

ვრცელი დარბაზის ნათელ კუთხეში წინ დავიყენებ, ვით სასოებას,
ჩემს ლამაზ სიზმრებს დაუმთავრებელს, სახემწუხარე ამაოებას,
თამარ დედოფლის კაშკაშა ვარსკვლავს, მსგავსი რომ ქვეყნად არ იპოება,
სალდათის მზერას გამოსათხოვარს, მოწყალების დის თვალთ სათნოებას.

მაგრამ ინთქმება ჩემი ყვირილი, კაცთა და მხეცთა ღია თვალებში
რომ ჩავახატე და შევატოვე კვამლიან დუქანს, ღვინით გალეშილს,
და ახლა დუქნის საკუჭნაოში ვაგდივარ, როგორც უმწეო ლანდი,
შენც, თვალისჩინო, გაქრი, წამერთვი, შენც თურმე დღემდე ამაოდ მწამდი.

მე მის წინ ვდგავარ, იგი მარცხია, ფერფლი, კუბო და შავი სამარე,
იგი ორმოა, ჭაა უძირო, ჩრდილი რომ ადგას ახლა ამ არეს,
მასზე ვით ჯვარზე ეცვა იმედი, მოხეტიალე და მომთაბარე,
გამხმარი, როგორც მწირი ნაყოფი, ჩამოსავარდნად თვალს რომ აპარებს.

ნეტავ ვიცოდე, უკანასკნელად რას მოვიხილავ დაბინდულ მზერით,
მომეახლება ქვესკნელს მიმავალს სხვისთვის უცნობი რომელი ფერი?
ეს მოყაყანე სამყარო, როგორც ტაკიმასხარა ან ბრიყვი ბერი,
ჩემს ნაზ ქმნილებებს ფეხით გათელავს და გამეცლება ცეკვით და მღერით.

ყვითელი, როგორც მჭკნარი ფოთოლი, ყვითელი, როგორც ყანაში ჭვავი,
მე ჯანმიხდილი ვწევარ თივაზე, ჰა, სასიკვდილოდ მივდევი თავი,
ველარ მოსწვდება უდაბნოს ჩემსას ხმა ვერც კეთილი და ველარც ავი.

არ მოვა ღმერთი ჩემს სანახავად, რომ მიიბაროს სული ეული,
მე არც არავის გავახსენდები ოდენ მიწად და ფერფლად ქცეული,
თუ მომიკითხავს ორი თუ სამი მოძმე სევდისგან გულჩახვეული,
რომ უკანასკნელ გზას გაუყენონ გაჩორკნილ ყუთით ჩემი სხეული,

და საქართველოს წმინდა მიწაში გადრკება ჩემი კუბოს ფიცარი,
ძილი ნებისა, მეტყვის მამული, ჩემი სახატე და საფიცარი,
კაკ-კუკ... კედლებზე გულმოდგინებით რომ აკაკუნებს, ვიცი, ვინც არი,
ადამიანო, გააღე კარი, თუ ცოცხალი ხარ, თუ ხარ მღვიძარი!

ქსაბეარი პრეშინსკი — პოლონეთი —

მეგუკე საბარყანდეი

მოთხრობა

თარგმნა თამაზ ნატროშვილმა

ოდესღაც ისიც უმცროსი ასისტენტი იყო სამართლის ისტორიის კათედრაზე და მასაც ჩემსავით იტაცებდა ინკუნაბულები, პანდექტები და რესკრიპტები. ყოველ ზამთარს თოვლის თეთრი ყარყუმი ეფინებოდა ვაველის რენესანსულ ტალანებს, ყოველ გაზაფხულზე ბულვარები იცვამდნენ მწვანე სამოსელს, უფრო ხასხასას, ვიდრე გრინ-პარკის გაზონებია. მაგრამ ბნელი აუდიტორიები მტრედების ქუჩაზე, ოცნომერში, მეფე ზიგმუნდ ბებერის დროიდან რომ მოეთავსებინათ უნივერსიტეტის კათედრები, მუდამ ერთნაირად ჩამოღვრემილი იყო, გაზაფხულზე კი იქაურობას ნესტიც ედებოდა. ჩვენ კი ტრაქტატს ტრაქტატზე ვწერდით. როდესაც ჩემი მეგობარი ამუშავებდა კულმენის სამართალს, მე ვიწყებდი „მონარქის სამფლობელოთა გარიგებას კარლოს დიდის „კაპიტულარების“ საფუძველზე“. როდესაც ის იქექებოდა პრუსიის სამეფოს საქალაქო კანონმდებლობაში, მე ვამთავრებდი გამოკვლევას მონტესკიეს გავლენის შესახებ სამი მაისის კონსტიტუციაზე. შეხმატკბილებულნი ვცხოვრობდით, რაკიღა ორივენი სამეცნიერო კვლევის ჟინით ვიყავით შეპყრობილნი. მე აღმოსავლეთი უფრო მიზიდავდა, ჩვენი უახლოესი მეზობლები აღმოსავლეთით — დიდი ნოვგოროდისა და ფსკოვის ვაჭართა რესპუბლიკები; ოქროს ურდო, ძმობას რომ ეფიცებოდა ვიტოლდი; ყირიმის ხანები, ვისთანაც მისვლა-მოსვლა ჰქონდათ იაგელონებს. მაგრამ კრაკოვში და დასავლეთშიც მე ვერ მოვუძებნე გასაღები ამ იდუმალ სამყაროს. ჩემს მეგობარს კი თავისი თემების ყველა გასაღები ხელთ ჰქონდა. როგორც მე მიზიდავდა აზიური და მონღოლური აღმოსავლეთი, ასევე იზიდავდა მას სიდინჯე, სიმშვიდე, სიდარბაისლე და წესრიგი შუა საუკუნეთა ევროპის ქალაქებისა. კრაკოვში, ბარანების ახლო მდებარე სასახლის, ბრაცკას ქუჩისა და ტარნოვსკის შლიახის არისტოკრატების გვერდით, პროფესორთა სამყაროს გვერდით, სადაც უნივერსიტე-

ტის კათედრები მემკვიდრეობით გადადიოდა ხოლმე, როგორც კაშტელანის სახელო ძველ პოლონეთში, ანდა ბოლო ხანებამდე — პოლიტიკური თანამდებობანი ინგლისში, ამ ორი სამყაროს გვერდით, კრაკოვში არსებობდა უფრო წყნარი და თავმდაბალი, მაგრამ შეუვალი სამყარო ქალაქის მდაბიოთა. ჩემს მეგობარს მარიამ ქალწულის კოსტელისაკენ უფრო მიუწევდა გული, ვიდრე ვაველის საკათედრო ტაძრისაკენ, ხოლო გროძკას ქუჩაზე ქალაქის ძველი სახლები ერჩივნა სასახლეებს, — თვითონაც ხომ მდაბიოთა წრიდან იყო გამოსული.

ჩვეულებრივ ახალგაზრდა ისტორიკოსებს სძაგთ ყოველგვარი ლეგენდები, ადათები, ხალხური თქმულებანი, რადგან ყველა ამ ზეპირ გადმონაცემს უტყუარი საბუთებით ვერ დაადასტურებ. ჩემი მეგობარი, პირიქით, ხალხურ ტრადიციას უფრო ენდობოდა და სწამდა, უბრალო ხალხი უკეთ ინახავს ტრადიციას, ვიდრე ეგრეთ წოდებული განათლებული ადამიანები — ფანტაზიის მოყვარული მკვლევარებიო. ჩემი მეგობარი ფიქრობდა, ერთი ან რამდენიმე ადამიანის მეხსიერებაში, ანდა რამდენიმე საბუთში შემორჩენილი თქმულების ვერსია გაცილებით ნაკლებ სარწმუნოა, ვიდრე ის ვერსია, რომელიმე სოფლის თუ დაბა-ქალაქის მოსახლეთა უმეტესობას რომ შემოუნახავს და შემდგომში მომავალი თაობებისათვის გადაუცია. ამიტომაც, როცა გაჩაღდა კამათი ეგრეთ წოდებული ლაიკონიკის თაობაზე, ჩემი მეგობარი მტკიცედ აღსდგა ამ ლეგენდის დასაცავად. ყველამ ვიცით ლაიკონიკის ისტორია და არ ღირს ხელახლა მოგითხროთ ეს ამბავი. საკმარისია ითქვას, რომ ერთ მშვენიერ დღეს ვიღაცამ დაადგინა, ვითომდა თქმულება, აგრე რომ ეამაყება კრაკოვს, და ამ თქმულების თარიღიც, ზარ-ზეიმით რომ აღინიშნებაო ყოველ წელიწადს, გაცილებით გვიანი წარმოშობის გამონაგონი არისო! რამეთუ არც ერთ წყაროში გაკვრითაც არ იხსენიება, ოდესმე განეცადოს კრაკოვს თათართა ისეთი თავდასხმა, თქმულება რომ გადმოგვცემსო. თათრები არასოდეს მოსულან ქალაქამდე შეუმჩნევლად და თანაც ისე ახლოს, რომ მიპარვით აეღოთ იგი და, რაც მთავარია, ისრით მოეკლათ მზირი მებუკე მარიამის კოსტელის კოშკზე იმ დროს, როცა იგი ჰეინალს უკრავდაო. არც ისაა ნახსენები სადმე, რომ მერე ეს თათრები გაანადგურეს, ხოლო მათი ბელადი თუ თავადი ბრძოლაში დაიღუპაო. როგორც ცნობილია, პროფესორებს არ უყვართ ლეგენდები, ისინი სიზუსტეს უფრო ელტვიან.

კრაკოვის მოქალაქენი მაინცდამაინც არ აუღელვებია პროფესორთა ამ აღმოჩენებს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ გრაფთა გვირგვინებისა და პროფესორთა მანტიების კრაკოვისაგან ისინი გამიჯნული იყვნენ ციხესიმაგრის კედლით, უფრო ძველი რომ იყო, ვიდრე ფლორიანის კარი. მეორეც — იმიტომ, რომ მათ ერთხელ უკვე გადაიხადეს სასტიკი და ძლევამოსილი ბრძოლა მარიამის კოსტელის მტრედების დასაცავად. მაგრამ ჩემმა მეგობარმა აიხირა და ჯიქურ შეეტაკა ბარე ერთ დუჟინ ჭკუის კოლოფებს, წლიდან წლამდე რომ თათბირობენ ახალი კოლეგიების სავარძლებში, ნაფტალინის სუნს რომ აფრქვევენ და იისფერ, მწვანე და ცისფერ მანტიებში გამოწყობილნი მედიდურად მიაბოტებენ წმ. ანას კოსტელიდან უნივერსიტეტისაკენ. ჩემმა მეგობარმა შეახსენა მათ, რომ ქალაქის გალავნის კოშკებიდან ოდესღაც უკრავდნენ მარიამის ჰეინალს და ერთ-ერთ ამ კოშკთაგანზე უნდა განეგმირა თათრის ისარს მებუკე. იგი ამტკიცებდა, ქრონიკებში ხარვეზები და უზუსტობანიც გვხვდებაო, და თუნდაც არ აღენუსხოს ქრონიკას რომელიმე ამბავი, ხომ შეიძლება იგი მაინც მომხდარიყოო. ცხარედ კამათობდნენ, ბჭობდნენ. წლებიც მიდიოდა. ჩემს მეგობარსაც მრავალი სხვა საქმე გაუჩნდა, მაგრამ თავისი ლეგენდის დაცვას მაინც არ იშლიდა.

1939 წელს ჯარში გაიწვიეს, თადარიგის ოფიცერთა შეკრებაზე. მწერდა სადღაც ოსტროგიდან: „ვეცნობი შენს საყვარელ მხარეს“. მალე მისი ახლო გაცნობაც ჰხვდა წილად. ჯერ სტაროობელსკში ამოჰყო თავი, მერე გრიაზოვეცში და საბოლოოდ — ტაშკენტში. ორწლიანმა ყარიბობამ პოლონეთის არმიის საველე მუნდირი გაუცვითა, დაუფხრიწა და დაუბებკა, მაგრამ ეს მუნდირი უფრო იყო შემოსილი სახელ-დიდებით, ვიდრე ზოგიერთი დროშა, მხოლოდ აღლუმები რომ უნახავს და ფრონტზე ერთხელაც არ აფრიალებულა. ჩემი მეგობარი მობერდა, გახდა, მაგრამ არ დავიწყებია ის, რითაც გატაცებული იყო. ბევრს კითხულობდა და რაღაც-რაღაცებს წერდა კიდეც.

— ტირილი გმართებს, რომ შენ ვერ იხილე ყოველივე ეს. ნეტავი იცოდე, როგორი მონასტერია კოზელსკში! მართლმადიდებლური ბაროკო! როგორც კვარტირმაისტერმა, შემოვიარე მთელი საბჭოთა შუა აზია. რა მშვენიერებაა... ბუხარა! სამარყანდი!

ეს იყო ნამდვილი მეცნიერი. ომის დროის ჭუჭყმა და ტილებმაც კი ვერ ჩაუკლეს თავისი გატაცება, ისევე, როგორც იუზეფ ჩაპსკის არ დაუკარგავს სილამაზის, ფერების, შუქისა და ხაზების აღქმის უნარი, ხოლო ბრონევსკის — ინტერესი ესენინისა და ბლოკის ლექსებისადმი. თეირანში შევხვდით ერთმანეთს, შეჰერეზადას ზღაპრების ქალაქში, აღმოსავლეთის ქალაქში, სადაც ევროპულ ზიზილ-პიპილებს, ასე რომ აღაფრთოვანებს მრავალთ, გამოაღვევდა ხოლმე და ფანჯარაში იჭვრიტებოდა აღმოსავლეთი. თავშეკავებით ვბაასობდით კრაკოვზე, ვიხსენებდით პროფესორებს: განსვენებულ სტანისლავ ესტრაიხერს, კუტშებას, ტაუბენშლაგს, ადამ ვერტულანის; ვაცოცხლებდით იმ სამყაროს, სადღაც რომ გაქრა, გადაშენდა, განიავდა. ბოლოს დავემშვიდობეთ ერთმანეთს. ოღონდ გამოთხოვებისას სიტყვა ჩამომართვა, საღამოს მასთან შემევლო. მითხრა: „როცა მოხვალ, საოცარ რაღაცას გიამბობ“...

ჩემი მეგობარი ცხოვრობდა ქალაქის განაპირას, სომხების სახლში... მარტონი ვისხედით ეზოში, ხის ძირში. მეგონა, მიამბობდა თავის აღმოჩენათა თუ დაკვირვებათა შესახებ, როგორც წინათ იცოდა ხოლმე, სემინარები რომ გვქონდა მტრედების ქუჩაზე, ოც ნომერში, მაგრამ მან სამარყანდის ამბავი დაიწყო.

— იცი, — ამბობდა იგი, — უნდა გამოვიჩხდი, როცა ვოლგიდან იქ გადაგვისროლეს, გამიხარდა. აი, მაგალითად, რომელიმე იანგიულის პეიზაჟი უცებ გაგახსენებს კარპატისპირეთს. იქნებ გახსოვს ძველი ბეჩი, მთებში მოკალათებული, დახავსებული. ეჰ, არ ვიცნობდით ჩვენს ქალაქებს! რომ იცოდე, როგორი ადამიანები ვნახეთ იქ, შუა აზიაში! შესაძლოა, სხვა ადგილებში სხვანაირი ხალხია, შესაძლოა, სხვაგვარად მოგვპყრობოდნენ, მათი ტყვეები რომ ვყოფილიყავით, მაგრამ მაშინ... ასეა თუ ისე, ჩემდათავად ძალზე მოხარული ვარ, რომ იქ მოვხვდი. ეს არის ძველი რასა, თავისებური კულტურითა და ცივილიზაციით; მის ნაშიერთ ისევე ღირსეულად უჭირავთ თავი, როგორც მაროკოს მკვიდრთ და პალესტინელ არაბებს. გარდა ამისა, მათს თვალში ჩვენ ლეხისტანის შვილები ვიყავით. არავითარი ლიტვა მათ არ გაუგონიათ, არავითარი ჩეხოსლოვაკია, იქნებ არც სმენიათ ჰოლანდია, შვეიცარია ანდა ესპანეთი, მაგრამ იციან ლეხისტანი, ისევე როგორც ჩვენ ოდესღაც ოსმალეთი ვიცოდით. ამდენი საუკუნის შემდეგ მხოლოდ კეთილი მოგონებანიღა დარჩენილა. ვინ იცის, ოდესმე ასევე გაიხსენონ ახლანდელი ომები. ყოველ ნაბიჯზე, ყოველ ქალაქში

ხან მეჩეთი, ხანაც საფლავი შეგვახსენებდა ისტორიას. არ ჩანს ისტორიის კვალი კომის მწვანე ტევრებში, ვერც ურალს იქით წააწყდები მას, ვოლგის პირებზეც ახალგაზრდაა ისტორია და არცთუ მდიდარი. მაგრამ კასპიის ზღვის გადაღმა, სპარსეთის საზღვრებთან, ათასწლეულ ფენებად დალექილა ისტორია. მთელი მხარე — ჩამქრალი ვულკანია, მრავალი საუკუნის წინათ მთელს სამყაროს რომ ანთხევდა მდუღარე ნიაღვარს. სწორედ ასეთ ნიაღვრად მოედინებოდნენ იქაური ხალხები. მოვარვარებდა ლავა და მოჰქონდა ომი, ცეცხლი და ჭირი. მერე ღონე გამოელია და დაცხრა. და აი ახლა გაუნძრევლად სხედან ისინი თავიანთ უბადრუკ სადგომ-სამყოფელთა ზღურბლზე და ვინ იცის, რას ელიან. რევოლუციამაც კი ვერ მოსწყვიტა ბოლომდე იგი ამ გარინდებას. რას იზამ, აღმოსავლეთია! ჰოდა, იმას ვამბობდი, ჩვენ — პოლონელ მხედრებს უჩვეულოდ გულთბილად გვხვდებოდნენ-მეთქი უზბეკები, ტაჯიკები, ყირგიზები, ერთი სიტყვით, ყველანი. ხოლო სამარყანდში ხომ უზომო იყო მასპინძლობა, ტიპიური აღმოსავლური მასპინძლობა, მაგრამ ამ მასპინძლობაში მაინც იგრძნობოდა შეფარული ინტერესი. ეს ინტერესი მართლაც რომ მშვენივრად იყო მიჩქმალული და მაშინაც კი არ მჟღავნდებოდა, როდესაც ხან ჰაიჰარად, ხანაც ვერ გაიგებდი რანაირად, გვეკითხებოდნენ: „მართალია, რომ თქვენ ლეხისტანის შვილები ხართ?“ — „მართალია“. — „ისიც მართალია, რომ მხედრები ხართ?“ — „ეგეც მართალია“. ამ პასუხის შემდეგ რამდენიმე მოხუცი, ბრინჯაოსებრ ყვითელი, დანაოჭებული პირისახე რომ ჰქონდათ, ჩაფიქრდა. თითქოს კიდევ ერთხელ ირწმუნეს ის, რაც კარგა ხანია ისედაც იცოდნენ. მერე კი როგორღაც თითქოს უნდობლად გვეკითხებოდნენ: „და თქვენ გწამთ ღმერთი? თქვენი ძველი ღმერთი მართლა გწამთ?“—„გვწამს, და ქსენძებიც გვყავს, ჯვრებსაც ვატარებთ, აი შეხედეთ“, — ვპასუხობდით ჩვენ. მოხუცებმა შეათვალიერეს უბიდან ამოღებული ჯვრები, კონსერვის ქილებისაგან გამოჭრილი. შევატყეთ, რომ ჯვრებმა რატომღაც გაახარა ისინი. და მერე დაიბადა ახალი, ერთობ მოულოდნელი შეკითხვა, უკვე უფრო გაბედული და როგორღაც დოსტოღრივ დასმული: „მებუკეებიცა გყავთ?“ — „გვყავს“. მოგეხსენება, მუსიკალური ინსტრუმენტები ომში გაწვევისთანავე დაგვირიგეს, ჩვენი საპოლკო დათვალიერება ანდა აღლუმები უორკესტროდ ვინ გაიგონა! არ ვიცი, როგორ იყო საქმე თქვენკენ, შოტლანდიაში, ჩვენ კი, იცოცხლე, არ გვაკლდა მუსიკა. უზბეკები ერთხანს სდუმდნენ, მერე გვითხრეს: „დიდი სათხოვარი გვაქვს... თუ თქვენ ლეხისტანიდან ხართ და თუ თქვენ მხედრები ხართ... და თუ ღმერთი გწამთ თქვენი... და მებუკეებიც გყოლიათ... ვერ ეტყოდით თქვენს მებუკეებს, ხვალ საღამოს ბუკსა ჰკრან ჩვენს ძველ ბაზარში? იმ მეჩეთის პირდაპირ, სადაც დიდი თემურის ნეშტი განისვენებს?“—„კეთილი“. მოხუცებმა მადლობა გადაგვიხადეს ისე სიტყვაძუნწად, აღმოსავლეთში რომ არ სჩვევიათ, და წავიდნენ. წასვლისას ერთხელ კიდევ გვკითხეს: „მაშ დაუკრავენ მებუკები?“ — „დაუკრავენ“. მეორე დღეს ვიაზრეთ, რომ ხუთშაბათი იყო, მაჰმადიანური დღესასწაულის წინა დღე, და ოფიცერთა სასადილოში ვიღაცამ კიდეც თქვა, ალბათ ესაა ამ საქმის თავი და თავიო. მაგრამ ეს რომ მართლაც ასე იყო, იმავე საღამოს დავრწმუნდით. პოლკოვნიკს ასეთი რამეები უყვარდა და ბრძანა, მთელი ბრწყინვალეებით გამოვსულიყავით. მებუკეებმა გააკრიალეს ბუკები, როგორც წესი და რიგია, და საგულდაგულოდ მოემზადნენ. საღამოხანს, სამარყანდის მეჩეთის წინ, იმ ცნობილი მეჩეთისა, სადაც განისვენებს თემურლენგის ნეშტი, მთელი მოედანი გადაეშავებინა ხალხს და ჯამაათს, მჭიდროდ დაჯარულს და გაუვალს. მოლოდინს ისე

მოენუსხა ეს ხალხი, როგორც მხოლოდ აზიურ აღმოსავლეთში ხდება ხოლმე. გაქვავებულიყო მთელი ჯამაათი, იშვიათად თუ გადაუვლიდა გუგუნი. მომიჯნავე ქუჩებიცა და ბაზრებიც გაჭედილი იყო. მხოლოდ მეჩეთის წინ, ქვაფენილზე მოტვლეპილი თავივით ლაპლაპებდა პატარა თავისუფალი ალაგი, მებუკეთათვის რომ მიეჩინათ. დადგნენ მებუკენი და ჩაჰბერეს, — ერთხელ, მეორედ, მესამედაც. ჯერ დილის საარი გაისმა, მერე — გამოძახების სიგნალი და ბოლოს ჰეინალი დაუკრეს, ჩვენებური, მარიამისეული. გეცოდინება, როგორია სამარყანდისა თუ ბუხარის ქუჩა. ჩვეულებრივ ამ ქუჩებთან ჩვენი ნალევკი და კაზიმეჟი სიჩუმის ოაზისებად მოგეჩვენება; მაგრამ მაშინ სულ აღარ ისმოდა ხმაური და ყაყანი. ჯამაათს ენა ჩავარდნოდა. მუსიკამ გააოგნა აგრე რიგად, თუ რა იყო ნეტავი? ხმაამოუღებლივ უსმენდნენ და ხმაამოუღებლივ დაიშალნენ. მაგრამ ჩვენ უკვე მივხვდით, ამ მდუმარებაში რაღაც იმალებოდა. ცხადია, კვალს დავუწყეთ ძებნა, იქნებ გეში ავიღოთ, იქნებ ვინმეს რამე წამოვაცდენინოთო. არც ერთი ჩვენი შინაური მაბეზღარა, ალბათ დამეთანხმები, ბოლო ხანებში მეტისმეტად მომრავლდნენ ისინი, ისე არ იქნება დაგეშილი, ისე არ ჩამოეკონწიალება სიტყვებს, არ ჩაჰყოფს ცხვირს სხვის ცხოვრებაში, როგორც ჩვენ მაშინ ვირჯებოდით. მაგრამ აღმოსავლეთის ადამიანები მიუწვდომელნი რჩებოდნენ. არაფრის თქმა არ სურდათ.

ჩემმა მეგობარმა გაიღიმა.

— პირველად მაინც ქალებს წამოსცდათ, — გაიღიმა და თეთრად იელვა მისმა კრიალა, ლამაზმა კბილებმა, სურავანდს რომ გადარჩენოდა. — მოწმეთა ნაამბობი საარქივო ცნობებივით არის: იპოვი რამეს იაგელონთა ბიბლიოთეკაში,— შეუდარებ რაპერსვილში ნაპოვნს; იპოვი რამეს რაპერსვილში — შეუდარებ კურნიკში ნაპოვნს... ხომ იცი, ოღონდ კი რამეს წააწყდე ხელმოსაჭიდს. ჩვენც ერთი ქალიშვილის ნათქვამი დავიხვიეთ ხელზე; მერე მოხუცებიც გამოტყდნენ, მათ მეტი იცოდნენ.

უკვე დაღამებულიყო. მთვარის შუქმა გაალურჯა ჩრდილები სომხების სახლის კედელზე. ჩემი მეგობარი განაგრძობდა:

— თურმე არსებობს სამარყანდში ერთი ლეგენდა, უფრო სწორად, წინასწარმეტყველება, რომ თათრებთან ერთად ოდესღაც უზბეკებიც მონაწილეობდნენ პოლონეთის რბევაში. ცხადია, მონაწილეობდნენ, თორემ საიდან უნდა მოკრებილიყო შემოსევების ჟამს ის ურიცხვი ურდო, ვეება ზვავი, ჩვენი ქალაქების ჩასაჩუმქრად რომ დაიძვრებოდა ხოლმე. ჰოდა, ერთხელაც მოსულან ქალაქამდე, „რომელიც თქვენში, — ასე მიამბობდა უზბეკი, — ის არის, რაც სამარყანდი ჩვენში“ (ესე იგი, იქაურ თათრებში).

— კრაკოვი? — ანაზდად ვკითხე ჩემს მეგობარს.

— არ ვიცი. ამაზე არაფერი უთქვამს. ქალაქის სახელს არ გვამცნობს ლეგენდა. მხოლოდ გადმოგვცემს, ეს იყო ძალზე ძველი და ძალზე მდიდარი ქალაქიო.

— თუ მდიდარი იყო, კრაკოვი არ იქნებოდა.

— მაპატიე, მაგრამ მათი ანგარიშით სამარყანდიც მდიდარი ქალაქია.

— აბა, თუ სამარყანდი... — დავეთანხმე მე.

— ... ძალზე ძველი და ძალზე მდიდარი ქალაქი იყო, მთელი ქვეყნის დედაქალაქი, წმინდა ქალაქიო. და სწორედ ამ ქალაქის ერთ-ერთი მინარეთიდან, —

ასე ამბობენ ისინი, — უკრავდნენო ლოცვის ჰანგს. ლამის გალავანს მოეპარნენო თათრები, სურდათ აეღოთ ქალაქი, სანამ იგი გონს მოვიდოდაო, და აი, მაშინ...

— ეს ხომ ლაიკონიკი არის!

— ყური მიგდე! ის-ის იყო მოასწრო განგაშის ატეხა მებუკემ, რომ თათრული შვილდიდან ნასროლი ისარიც ყელში გაერჭოო. მებუკე დაიღუპა, მაგრამ საფრთხე უკვე შეიტყო ქალაქმა და თავდაცვა შესძლოო. თათრები დამარცხდნენო.

დღეს, როცა ვწერ თეირანში მოსმენილ ამბავს, მეგადება აზრი, რომ ორი ხალხის საისტორიო წყარო ერთხელ მაინც ერთნაირად აღწერს ერთსა და იმავე მოვლენას; მაშინ კი, თეირანში, მხოლოდ ლეგენდაზე ვფიქრობდი.

— მაშ, მართლაც ჩვენი ლეგენდა ყოფილა!

— მოიცა. იცი თუ არა, რისთვის სურდათ, რომ ჩვენს მებუკეებს დაეკრათ მათი ქალაქის მთავარ მოედანზე, მეჩეთის ზღურბლთან?

— რისთვის?

— შენ წარმოიდგინე, ამ თათრებს თურმე ჰქონიათ სანაქებო ჩვეულება,— ყოველი ლაშქრობის შემდეგ დაწვრილებითი პატაკი შეედგინათ, სადაც აღნუსხავდნენ, როგორ ჩაიარა ლაშქრობამ და რამდენ ხანს გაგრძელდა, როგორ იბრძოდა მეტოქე, სად უფრო მეტი პირუტყვი იალაფეს, საიდან უფრო მეტი ქალი წამოიყვანეს. მშობლიურ ტრამალებში დაბრუნებისას ამ პატაკს შეისწავლიდა ერთგვარი კომისია. კომისიაში შედიოდნენ თავკაცები და, მაშასადამე, მათი ხუცესებიც. მარცხიანი ლაშქრობისას პატაკს განსაკუთრებული ყურადღებით შეისწავლიდნენ, ჰოდა, მაშინაც, დამარცხების მიზეზები საგანგებო გულმოდგინებით შეისწავლეს, რადგანაც ამ ლაშქრობაში დაიღუპა რომელიღაც უფლისწული თათართა, შვილი ბელადისა თუ რომელიღაც მხედართმთავარი. ერთი სიტყვით, სწორედ ისეა, როგორც ჩვენს კრაკოვულ ლეგენდაში. ხედავ, ლეგენდები ზოგჯერ სიმართლეს ღაღადებენ. ხუცესებს დიდხანს არ უმტვრევიათ თავი განაჩენის გამოსატანად. მალე გამოაცხადეს, დამარცხება ზეციდან მოვლენილი სასჯელიაო იმისათვის, რომ ლოცვად დამდგარ ქალაქს ლოცვა შეაწყვეტინესო. არ ვიცი, რატომ განსაჯეს ამგვარად. იქნებ იმიტომ, რომ ყველა ჯურის ხუცესი ერთმანეთის აზრს იზიარებს, ან იქნებ იმიტომაც, რომ სხვა მიზეზი ვერ მოიძიეს და ამჯობინეს დაემოწმებინათ, ჩვენებურად რომ ვთქვათ, vis major[1]. მთავარი კი ისაა, რომ ამგვარად განსაჯეს. და კიდევ დაურთეს წინასწარმეტყველება, ძალზე ავბედითი მთელი ამ ურდოებისათვის. „თქვენი ნამოქმედარი,— წარმოთქვეს მათ, — ზეციდან მოგივლენთ სასჯელს. ველარ გადაქელავთ უცხოთა მინდვრებს გაზაფხულობით, ველარ მოითარეშებთ უცხოთა ქალაქებს, სამეფო თქვენი დაემხობა, მეჩეთის ნანგრევებზე ბალახი გადაივლის და დავიწყებას ჩაბარდება თქვენი ტრამალების დიდება. ერთხელაც იქნება გამოგინათებთ იღბლიანი მზე. ოღონდ ეს არ მოხდება მანამდე, სანამ ლეხისტანელი მებუკე სამარყანდის ბაზარში არ დაუკრავს იმ სიმღერას, მაშინ რომ ვერ დაამთავრა“. ამას მოგვითხრობს სამარყანდული ლეგენდა, და სჯერათ ეს ამბავი მონღოლურ ტომებს ტიან-შანიდან ვიდრე კასპიის ზღვის ნაპირებამდე. ჩინგისხანის სული დაძრწის აზიის ტრამალებში.

— მაშ ეს ლეგენდა სარწმუნო ყოფილა?

— რას ნიშნავს სარწმუნო ლეგენდა? სარწმუნო ანდა ყალბი შეიძლება

---

[1] უზენაესი ძალები (ლათ.).

იყოს ესა თუ ის საბუთი. მაგრამ არ არსებობს სარწმუნო ანდა ყალბი ლეგენდა. ლეგენდებს მეტრიკა არა აქვთ. ახალგაზრდა ქვეყნებს არ გააჩნიათ ლეგენდები. ისინი ძველ ქვეყნებში ბინადრობენ. ლეგენდა დუღს და მაგრდება თაობათა და თაობათა გონებაში, როგორც ღვინო—კასრებში. დიახაც, სამარყანდში არავის სმენია კრაკოვი, ჰეინალი, ჩვენი ლაიკონიკი, მაგრამ ჰქონდათ ლეგენდა, ჩვენი ლეგენდის ტყუპის ცალი რომ იყო, თითქოს ერთი თქმულება შუაზე გაჭრესო.

ჩვენსაში ვპოულობთ ტრამალთა ელფერს, მათი ლეგენდის მოხატულობაში— ჩვენი ლეგენდის კვალს.

ღამის ღია ლურჯ მწუხრში, ცისფრად რომ შეეღება სახლის თეთრი კედელი, კრაკოვის სახება ერწყმოდა სამარყანდისას. მარიამის კოსტელის კოშკი, ბაზარი, მტრედების ქუჩა, პლანტები... ფარდა აეხადა დროსა და სივრცეში დანთქმულს... ახლოს მოდიოდნენ საუკუნეები და შორი გზები. შორეულ კრაკოვსა და ნახევრადლეგენდარულ სამარყანდს შორის იქარგებოდა სახიერი ნახატი ლეგენდისა, საერთო რომ იყო მათთვისაც და ჩვენთვისაც.

ირინა ბრაეკოვა

შესასვლელს მიღმა

მოთხრობა

რუსულიდან თარგმნა ბიზო ზარნაძემ

შესავალი

ეს ვრცელი, დაუსახლებელი ადგილი დიდი ქალაქის განაპირას მდებარეობს. აქ არის ტრამვაის ბოლო გაჩერება. უკან თუ გაბრუნდებით, თორემ წინ ველარ წახვალთ — ტრამვაი უხვევს და ისევ ქალაქისკენ მიდის.

გვიანი შემოდგომაა. სევდიანად გამოიყურება გალუმპული და მონაგვიანებული გარეუბანი: წვიმისაგან ჩაშავებული ფიცრები, ლიანდაგები, ქოხები, ჩაჟანგებული ჯართის გროვა... ტრამვაის ხაზის გასწვრივ წვრილი, თითის სიმსხო ხეების რიგია, ქუჩის გასამწვანებლად რომ დაურგავთ. წვიმის წვეთები ერთობ ბეჩავ იერს აძლევს ამ საცოდავებს. ყოველ მათგანს თითო-ოროლა მუქი ყავისფერი ფოთოლიღა შერჩენია და მორჩა.

ტრამვაის ხაზიდან სატვირთო მანქანებისაგან ოღროჩოღროდ ქცეული მოლიპული, თიხიანი გზა უხვევს. ღრმა ნაკვალევში ყვითელი, მღვრიე წყალი ჩამდგარა. გზა აგურის დიდი შენობისაკენ მიემართება, აგურისავე მაღალ გალავანს შიგნით რომ წამოჭიმულა. გალავანს თავზე ორფა ეკლიანი მავთული აქვს შემოვლებული.

ვეებერთელა რკინის ჭიშკართან გუშაგი დგას, — ბრეზენტის სველი მოსასხამი აცვია. დროდადრო ჭიშკარი იღება და ეზოში ერთი ხრიალითა და გუგუნით შედიან სატვირთო მანქანები, უკან კი ცარიელი ბრუნდებიან. ჭიშკრის ახლოს ფარდულისმაგვარი პატარა, უშნო აგურის შენობა დგას. ეს „შესასვლელია“.

შესასვლელი შიგნითაც ისევე უბადრუკი სანახავია, როგორც გარედან. კედლები უსულგულო ქურუხი ცისფერი საღებავებითაა შეთხუპნული. ასეთი ფერისაა ხშირად ქვაბები, ვედროები, საფოსტო და სანაგვე ყუთები. შესასვლელი კაი ხანია არ შეუკეთებიათ. საღებავი ზოგან ჩამოქერცლილა, ზოგან კი ისევ გამო-

ბურცული, საცაა ისიც აიქერცლება. შუა ჭერზე ნათურა ჰკიდია. ახლა დღეა, მაგრამ ნათურა მაინც ბჟუტავს და მისი ყვითელი, მილეული შუქი ძლივს გაირჩევა ჟინჟღლიანი დღის უღიმღამო ნათელისაგან.

კედელში ორი სარკმელია, მათ მიღმა ქალიშვილები ჩანან. საშვს ისინი იძლევიან. სარკმლებთან რიგი დგას და ნელა მიიწევს წინ. ხალხი თავის რიგს უხმოდ ელოდება. მხოლოდ ხანდახან, ქალიშვილისათვის საბუთების მიწოდებისას თუ გაისმის ორიოდე სიტყვა: „ლაბორატორიაში, გეთაყვა“, „მაჩვენეთ თქვენი მიწერილობა...“ ან „საშვი გუშინწინ ვითხოვე“. დრო ერთფეროვნად გადის. ისმის, როგორ ჩაჰყვირის გოგონა ყურმილს: „გამოუშვით გამყოლი მეათე ლაბორატორიიდან. გამოცხადდა ჟიტკოვი თქვენი თხოვნით“. ჟიტკოვი დგას და გამყოლს ელოდება.

თხუთმეტი წუთის შემდეგ მოდის გამყოლი. ამ ყმაწვილს ქურთუკი აცვია. კითხულობს, ჟიტკოვი რომელიაო. შემდეგ ტურნიკეტს გაივლიან და ეზოში გავლენ. მხოლოდ ახლალა შეამჩნევენ, რომ ჟიტკოვს წიგნი უჭირავს ხელში. ხოლო წიგნით აქ შესვლა ყოვლად შეუძლებელია. ამას იუწყება წარწერაც: „პორტფელების, ჩემოდნების, ქალის ჩანთების, წიგნებისა და სხვა საგნების შეტანა სასტიკად აკრძალულია“. ისინი შემნახველ საკანში უნდა ჩაბარდეს. ამ საკნის თაროებზე რას არ დაინახავთ: სანოვაგით სავსე ჩანთებს, ქაღალდის გრაგნილებს, საბავშვო ველოსიპედს. ეს ყველაფერი დეიდა მაშას აბარია, მუდამ გამოხუნებული ლურჯი ხალათი რომ აცვია და ზეზეურად თვლემს. იგი აწვდის ჟიტკოვს პლასტმასის ნომერს, მერე ჯდება სკამზე თავის უზარმაზარ დახლს იქით და თვლემს, სანამ კიდევ მოვიდოდეს ვინმე. ჟიტკოვს კი ჩვენ მეტად აღარ შევხვდებით. ის მხოლოდ იმიტომ დაგვჭირდა, რომ გვეჩვენებინა თქვენთვის შესასვლელი და ყმაწვილი გამყოლი. ამ ყმაწვილს ისეთი თეთრი კბილები აქვს, პირდაპირ თვალს მოგჭრით. იგი მეათე ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომელია. „გამყოლის“ მოვალეობა აქ ყველა მეცნიერ-მუშაკს აკისრია მორიგეობით. დღეს მეათე ლაბორატორიიდან ვალოდია კლიმოვი, ლაბორატორიის ერთ-ერთი მოწინავე ახალგაზრდა მეცნიერი, მეტსახელად „ვოვკა-კრიტიკოსი“ მორიგეობს. მის გარდა ლაბორატორიაში კიდევ ორი ვოვა ანუ ვლადიმერია: „ვოვკა-ჭკვიანი“ და „ვოვკა-ჩვეულებრივი“. ერთ ლაბორატორიაში რომ სამი ვლადიმერია, აქ არაფერია გასაკვირი, თუ მხედველობაში მივიღებთ ვლადიმერთა საერთო რაოდენობას. ამის გარკვევა ვოვკა-კრიტიკოსს სულაც არ დაზარებია; საგანგებოდ დაიანგარიშა და დაადგინა, რომ საბჭოთა კავშირში მამაკაცთა დაახლოებით ცამეტი პროცენტი ვლადიმერია და რომ მეათე ლაბორატორიაში სამი „ვოვკას“ ყოფნა არცთუ ისე ბევრია.

ჰოდა, სწორედ ეს მეათე ლაბორატორია, სადაც სამი ვლადიმერია, გახლავთ ჩვენი მოთხრობის გმირი; გახლავთ იმიტომ, რომ პიროვნებაა, ყოველ შემთხვევაში, მე იგი პიროვნებად, ადამიანად მიმაჩნია და წარმომიდგენია.

ამ ინსტიტუტში, შესასვლელ ჯიხურს მიღმა, ბევრი ლაბორატორიაა, უფრო მეტია ისინი სხვა ინსტიტუტებში. ლაბორატორიები ადამიანებივით სხვადასხვანაირნი არიან. ეს მეათეც თითქოსდა არაფრით გამოირჩევა. თუმცალა ვნახავთ და გავიგებთ.

ლიტერატურას პირობითობა სჩვევია. ამიტომ მე თქვენ წაგიყვანთ მეათე ლაბორატორიაში, თუმცა თქვენთვის საშვი არ გამოუწერიათ. როგორც მე-19

საუკუნეში უყვარდათ თქმა: მაშ მომყევით, ძვირფასო მკითხველო. ვეცდები არ გაჩვენოთ ის, რის ნახვაც აკრძალულია. მე ვიქნები თქვენი გამყოლი.

ლაბორატორია

მეათე ლაბორატორია მთავარი კორპუსის მეორე სართულზე მდებარეობს. მას რამდენიმე ოთახი უჭირავს; აქ არის საკუთრივ ლაბორატორია, საპრეპარატო და სახელოსნო. არის აგრეთვე ფოტოლაბორატორია, უკეთ — ფოტოსაკუჭნაო. მეცნიერული მუშაობისათვის ორი ოთახია განკუთვნილი: ერთი — დიდი, მეორე — პატარა. დიდ ოთახში კარგა სივიწროვეა. მოყვითალო ფერის უშნო საკანცელარიო მაგიდებიდან ზოგი კუთხით მიბრჯენია ერთმანეთს, ზოგი გვერდიგვერდ დგას. რამდენიმეზე ნახევრად ავტომატური საანგარიშო მანქანები ჩანს. რომ არ იხრიალონ, ყველას რეზინი უგია, თუმცა ეს მაინც არ შველის საქმეს. როდესაც ორი-სამი მანქანა ერთად მუშაობს, ლაპარაკი მხოლოდ ყვირილით ხერხდება. ესეც კია, რომ აქ ხმაურს მიჩვეულნი არიან. ხრიალებს მანქანები, ხმაურობს ხალხი და წკრიალით იჭაჭება ტელეფონი.

კედელზე ჰკიდია ყავისფერი დაფა. დაფაზე გამოყვანილია რაღაც ფორმულები (ერთი ფორმულისათვის მსხვილი ასოებით მიუწერიათ — „კრეტინიზმია"), სქემები, მრუდეები. იქვე ჩანს განცხადებაც: „ვისაც რიხტერზე წასვლა სურს, ჩაეწეროს პირველ განყოფილებაში". ზემო მარჯვენა კუთხეში კი მეტად უცნაური წარწერაა: „ბრანწი ხარაბუზას".

ცუდად შეღებილ, მორუხო-მოყვითალო კედლებს გახუნებული ფერი ადევს. ჰკიდია სურათი. მის მოპირდაპირე მხარეს პლაკატია. ზედ აწერია: „შეინახეთ ფული შემნახველ სალაროში" — და ახატია მომღიმარე ოჯახი: ქმარი, ცოლი, ბავშვი, შემსალაროს წიგნაკი. ყველას გაბრწყინებული, ჯანმრთელი და ვარდისფერი სახე უჩანს, ყველანი ცხვირაპეჭუა და ლურჯთვალა არიან, კბილები თეთრად უელავთ, ყველანი ტყუპებივით ჰგვანან ერთმანეთს, და არა მარტო ერთმანეთს, სურათების, რეკლამების, კალენდრებისა თუ ღია ბარათების ათასობით ასეთ გმირებს. ამიტომაა, რომ პლაკატები თვალს არ ხვდება. ჰკითხეთ, ვისაც გნებავთ, ამ ოთახში მომუშავეს — რა არის პლაკატზე დახატული-თქო და შეიძლება ვერც გიპასუხოთ. უბრალოდ არც დაუნახავს.

საოცარი რამ არის მაინც ეს ხელოვნება. მხოლოდ მაშინ ვამჩნევთ, როდესაც ეს ხელოვნება დიდია; მაგრამ ყოველდღიურ ცხოვრებაში ირგვლივ ხომ მეტწილად უმნიშვნელო, იოლად დასავიწყებელი საგნები გვახვევია; ეს საგნები კი, ასე ვთქვათ, თავისებურ ხელოვნებას წარმოადგენს. მაგალითისათვის ავიღოთ თუნდაც ასანთის კოლოფი. ყოველ მათგანს ხომ რაღაც ახატია. ამ ნახატს კი მონდომებით აკეთებდა ვიღაცა, რათა კოლოფი შნოიანი, ლამაზი ყოფილიყო. მაგრამ აბა ჰკითხე ერთი შენს მეზობელს, დღეში ათჯერ მაინც რომ ამოიღებს ჯიბიდან ასანთის კოლოფს, რა ახატია ზედ? გეფიცებით, ვერ გეტყვით!

ასეა ყველგან. თუ ყურადღებით მიმოვიხედავთ, ხელოვნების უამრავ ნიმუშს წავაწყდებით, უგულისყუროდ მიგდებულს. აი, მაგალითად, საწერი მაგიდის უჯრა. კლიტის ჭუჭრუტანას ირგვლივ თუნუქის დაღვერილი ბალთა აკრავს. კლიტის ჭუჭრუტანა კი არავისაც არ სჭირდება. გასაღები იქნებ სულაც დაკარგულია, ან იქნებ არც არასდროს ჩაუკეტავთ. მაგრამ, აბა, ჩავუკვირდეთ

ბალთას: დაჩხვერილ, უსწორმასწორო ბალთას გარს სადა არშია — ბაწაწკინტელა ყვავილების გვირგვინი ავლია. რისთვის? სილამაზისათვის. სადღაც, ქარხანაში, კაცმა არ იცის, ვის მიერ დამტკიცებული ნიმუშის მიხედვით, მზადდება თუნუქის ლამაზი არშიები, სამიოდე დღის შემდეგ რომ ძვრება და მივიწყებას ეძლევა.

მაგიდაზე ტაბელ-კალენდარია და ზედ, რასაკვირველია, ზღვის ნაპირზე განცხრომაში მყოფი ბედნიერი ოჯახი ხატია. დაბეჭდილია ორ ფერში, ცუდად, უპეწოდ. ბედნიერ დედას თეძოზე ჩამოსჩაჩვია საცურაო წითელი ტრუსები. სამდინარო სადგურის ცადაწვდილ ანძაზეც წითელი დროშა ტარისგან სადღაც მოშორებით ფარფარებს. თუმცა რა მნიშვნელობა აქვს! სულ ერთია, მაინც არავინ უკვირდება, ხატია თუ არა იქ რამე. უმრავლესობა, მგონი (ბავშვების გარდა), სულაც დაუსურათებელ კალენდარს ამჯობინებდა, ასევე კონვერტებსაც, ფინჯნებსაც. მაგრამ ასე როდი ხდება. უკვე წესადაა მიღებული: არის ცარიელი ადგილი? მიდი და დახატე რამე, გაალამაზე! რაც გინდა, გამოიყვანე! ჰოდა, ჰყვავის და იფურჩქნება ჩვენ ირგვლივ უთვალავი სილამაზე: თუნუქის, ქალალდის, მუყაოსი, წითელი, ლაჟვარდა, ბედნიერი, არაფრის მთქმელი. ღვარად მოედინება და ლეკავს ყველაფერს, მას კი კაციშვილი არ ამჩნევს. გული გტკივა, როდესაც მისი შემქმნელი გახსენდება. როგორი ამბავია: შექმნა სილამაზე და კაციშვილმა კი არ დაინახოს! რა საშინელი ხვედრია! ნუთუ მეც ეს ხვედრი უნდა მქონდეს?

ეს ჩემი აზრები არ გეგონოთ. ასე მეათე ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომელი ჟენია სტრელცოვი ფიქრობს და შემსალაროს პლაკატს მიშტერებია. სტრელცოვსაც აქვს მეტსახელი — ჟენკა-ლირიკოსი. „ლირიკოსი“ იმიტომაც შეარქვეს, რომ ლექსებსა თხზავს. ერთხელ კიდევაც წაუკითხა ამხანაგებს და საცინლად აიგდეს. ლექსები მართლაც უსუსური იყო. მაგრამ რა ექნა საწყალ ჟენკას, თუკი რითმები ფუტკრის სკასავით უზუოდა თავში? ხელობით ჟენკა ფიზიკოსია და სხვებივით ისიც თავგადადებული მუშაობს; მაგრამ რაღაც მეტისმეტი მიუცია მისთვის ბუნებას. გრძნობათა სიჭარბეო, — თქვა ერთხელ მასზე ვოვკა კრიტიკოსმა. ჟენკა მაღალი ტანისაა, შავტუხა, ოდნავ მოღრეცილი ცხვირი აქვს. ვიწრო შუბლზე შავი, ოდნავ შევერცხლილი ქოჩორი ჩამოშლია, იქიდან კი მუგუზალივით თვალები უბრიალებს. როდესაც ჟენკა მუშაობს, ყოველთვის რაღაც უცნაურ ბგერებს გამოსცემს. ვერ გაარჩევ, ქშინავს თუ კვნესის. იგი მაგიდას უზის, გაშმაგებით იკვნეტს ფრჩხილებს, ოცჯერ ირწმუნებს და ოცჯერვე უარყოფს ერთსა და იმავე ჰიპოთეზას, ეჭვობს, ხარობს, სასოწარკვეთას ეძლევა. ამ ფიქრებთან ერთად კი თავში უტრიალებს და ერევა ნაირ-ნაირი პოეტური სახეები. ის განა მარტო უბრალოდ უყურებს საგნებს — ხედავს კიდეც ყველაფერს. აგერ ყვითელი, გაბზარული კედელი... წვიმის წვეთები ჭუჭყიან ფანჯრებზე... გალუმპული მტრედები სახურავებზე... საკვამურებიდან ამომავალი კვამლი... ჟენკას თვალს არ ეპარება არაფერი. უბრალოდ იტაცებს ის ამბავი, როგორაა საგნები განლაგებული სივრცეში, რომელია ახლოს და რომელი — შორს. სისხლი უდუღს, როცა მათ უცქერის. ბოლოს კი, ამ თავგადაკლულ საქმიანობას რომ მორჩებიან, ვოვკა დაწერს ამ ამბებზე, დაწერს ისე, სხვებსაც აუდუღოს სისხლი. ჯერჯეროობით კი საქმეები ისე შემოჯარვია, გვერდზე გახედვის დროც არა აქვს.

თავის ამხანაგებზე პირდაპირ მზე ამოსდის. მართლაც და ბედი ჰქონია, რომ ამ ჩემს საყვარელ მეათე ლაბორატორიაში მოხვდა, სადაც ასეთი ბიჭები და ასეთი სამუშაოა. მუშაობით ლამის ქანცი უწყდებათ, ლამის ლასლასებენ, და მაინც ვერ ელევიან. რატომ აქამდე არ დაიწერა არაფერი ამაზე? არ დაიწერა ისეთივე სიძლიერით, როგორც გორკი წერდა — როცა ხალხი ერთად შეესეოდა კარჭაპს დასატვირთად თუ გადმოსატვირთად? აი, ასევე უნდა აღიწეროს კოლექტიური გონებრივი შრომის აზარტიც! როცა კამათით ხმა აქვთ ჩახლეჩილი, როცა კაი ხანია დროის შეგრძნება დაუკარგავთ და არ იციან, დღეა თუ ღამე; როცა თამბაქოს მოლურჯო კვამლით ისეა შედედებული ჰაერი, დანით შეიძლება გაიჭრას; როცა ერთს არ ძალუძს, მეორეს არ შეუძლია, მაგრამ ერთად დაესევიან, **დააცხრებიან** და: „აბა, ჰე, აბა, ერთი, ორი, მიაწექ!“ და დაიძრება კიდეც საქმე, ჯერ მძიმე-მძიმედ, რა თქმა უნდა, მაგრამ მერე უფრო სწრაფად და სწრაფად, თითქოს თავისით მიდისო ეგ ტიალი. საქმეც მაგას ჰქვია, ძმებო!.. მაგრამ ვინ დაწერს ამაზე? ჟენკა სტრელცოვი თუ დაწერს ისევ, სხვა ვერავინ.

ხარაბუზა

მეზობელ მაგიდას უზის კირილე, მეტსახელად „ხარაბუზა“ და სასწაულებს ახდენს.

მეათე ლაბორატორიაში დიდ გასავალშია მეტსახელები, პირდაპირ ძვალრბილში აქვთ გამჯდარი ეს მოწაფური ჩვეულება. დარბაისელი ადამიანები, მეცნიერ-მუშაკები, თითქმის ყველანი კანდიდატები არიან და მოწაფეებივით კი იქცევიან, ერთმანეთს მეტსახელებს არქმევენ.

რატომ შეარქვეს კირილეს „ხარაბუზა“, აღარავის ახსოვს, მაგრამ სახელი კი ზედგამოჭრილი გახლავთ. იგი დაბალია, ჩაფსკვნილი, ხოჭოსავით კანმაგარი. შავი ხალათის სახელოებიც სწორედ ხოჭოს ფრთებივითა აქვს აქეთ-იქით გაჩაჩხული. მისი საქმეა ანგარიშების შედგენა, სხვა ყველაფრის მიმართ კი ყრუა. ჟენკა-ლირიკოსი პოეტია, ხარაბუზა — პროზაიკოსი. მას შეუძლია დილიდან საღამომდე, მთელი თოთხმეტი საათი ანგარიშები წეროს და მაინც ეცოტავოს. ამხანაგებმა იციან მისი სუსტი მხარე და ამით კიდევაც სარგებლობენ: ხარაბუზა დაგვიწერსო, და ისიც წერს, ანგარიშებში აქსოვს თავის გრძნობებს, პოეზიას, დრამატიზმს. მისთვის არ არსებობს არავითარი საზღვარი. ამხანაგები დასცინიან. ჰოდა, როცა ხარაბუზა ანგარიშის შედგენას დაასრულებს, იწყება „სეირი“ — ანგარიშის კოლექტიური, მხატვრული კითხვა.

— ბიჭებო, მოუსმინეთ ერთი, რას წერს: „გაინტეგრალების უბადლო მეთოდი“...

— არა, არა, მერე უკეთესია: „ის იყო ამოცანა უნდა გადაგვეჭრა და ჰა და ჰა...“

— „ცდებს ორაზროვანი ხასიათი ჰქონდა...“

— „ინტეგრალი ფრიად წესიერად იქცევა...“

და ასე შემდეგ და შემდეგ. ყოველ ფრაზას ხარხარით ხვდებიან, თითქოს მეხუთეკლასელები იყვნენ, შესვენებისას რომ ვიღაცის სატრფიალო ბარათს კითხულობენ. ხარაბუზა იბღუნძება და ფრთებს იფხორავს. ენის ბორძიკით

ცდილობს დაიტოვოს ლამაზად წერის უფლება. ამხანაგები კი ნიადაგ წინააღმდეგნი არიან: „ძმაო არკადი, ნუ ენამჭევრობ“. ყველაზე ხშირად წითელ ფანქარს ვოვკა-კრიტიკოსი იმარჯვებს ხოლმე. ჩაუჯდება ანგარიშს, ამოძირკვავს ყველა ლამაზ-ლამაზ სიტყვას და უმარილო, ძუნწი გამოთქმებით ავსებს: „გაინტეგრალების ეფექტური მეთოდი“, „ამოცანის გადაჭრას რომ მივუახლოვდით“, „ცდების დროს გამოვლინდა ერთმანეთის საწინააღმდეგო ფაქტები“, „ინტეგრალი მთავარ მნიშვნელობას უპასუხებს“. „რა სულელია ხარაბუზა, — ფიქრობს ვოვკა, — რა უგემოვნო ვინმეა. არც ესმის ჭეშმარიტი პოეზიის არსი“. კრიტიკოსისათვის, მაგალითად, ლექსივით გაისმის ასეთი სტრიქონები:

„ბრუნვის ღერძის მქონე სხეული წონასწორობაშია, თუ ყველა დადებითი მომენტის ჯამი ტოლია ყველა უარყოფითი მომენტის ჯამისა, ანუ თუ სხეულზე მოქმედი ყველა ძალის მომენტების ალგებრული ჯამი ნულის ტოლია“.

მკაფიო, ლაკონური, რითმული წინადადება მისთვის სიტყვების ისეთივე კრებულს წარმოადგენს, როგორც მექანიზმი — ნაწილებისას. სწორედ ასეთი პოეზიისაკენ მიილტვის ვოვკა-კრიტიკოსი თავისი ნაწერებით და ჭირივით ეჯავრება, როგორც თვითონ ამბობს, „ხარაბუზას ცინგლიანი ლიტერატურა“. კრიტიკოსის გასწორების შედეგად ანგარიში შედარებით წესიერად გამოიყურება. რასაკვირველია, მაღალი პოეზიისა აღარაფერი სცხია, მაგრამ ისე კი რიგიანია. მხოლოდ ხანდახან იჭმუხნება კრიტიკოსი, როცა უკვე აკინძულ ანგარიშში წააწყდება თავისსავე შეცდომებს. ისინი ხიწვებივით ჩაჩრილან გამართულ ტექსტში. ხშირად ფრაზათა რაღაც გაუშალაშინებელ-გაურანდავი ნაწყვეტებია: „ჯერ ამაზე რა ითქმის“, „ვინძლო ასეც არ იყოს“, „თავი და თავი ეს კი არაა“... აი სწორედ დღეს ხარაბუზას საოცნებო დიდტანიანი ანგარიში — მისი ბოლო ქმნილება, ამხანაგებმა რომ „მამამძუ“ შეარქვეს, მოექცა კრიტიკოსის ბასრ ბრჭყალებში. ამას მოწმობდა ალბათ დაფაზე წარწერილი უცნაური სიტყვებიც: „ბრანწი ხარაბუზას“. კამათი მაინც ატყდა. ჟენკა-ლირიკოსი ხარაბუზას მხარეზე დადგა და განაცხადა, მისი ანგარიშების სწორება იგივეა, რაც პეპელას ფრთებიდან ყვავილის მტვრის ჩამობერტყვაო. ვოვკა-კრიტიკოსმა მკაცრად შენიშნა: ჰოდა, ყვავილის მტვერს ასეც მოუხდებაო, და ანგარიშის მთელ ნახევარ გვერდს წითელი ფანქარი გადაუსვა. სხვათა შორის, ვოვკა-კრიტიკოსიც ჩვეულებრივი მოკვდავია. ამის საწინააღმდეგო თვით დაზარალებულ ხარაბუზასაც არაფერი ეთქმის. ლაბორატორიაში ვოვკაზე ასე ამბობენ: „ახალი ლიტერატურული ტიპი — დადებითი სტილიაგა“. ვოვკა ხმელ-ხმელი, მოყვანილი და საკმაოდ მოქნილი გახლავთ, ლამაზი, მხარბეჭიანი, მუდამ თმადავარცხნილი. თმა ისე აქვს გაპრიალებული, გალაქული გეგონება. მის ოდნავ შავგვრემან სახეს ძალიან უხდება გულდაგულ გაუთოებული ბაცი კრემისფერი პერანგი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ ყმაწვილს იდეალურად მოწყობილი ცხოვრება აქვს, რომ ვიღაცის მზრუნველი ხელები დროულად რეცხავენ, აუთოებენ პერანგს და დილით უხმოდ აწვდიან პატრონს. მაგრამ კრიტიკოსი უცოლო გახლავთ და თავის პერანგებს თვითონვე ირეცხავს და აუთოებს ხოლმე ღამღამობით, მუშაობის შემდეგ. კოხტა, უკადრისა, დამცინავი — ასეთია ვოვკა-კრიტიკოსი, გრძნობის ყოველგვარ გამოვლინებას დაუდევრობად რომ თვლის. დღეს ის არის მორიგე გამყოლი და ბრაზი ახრჩობს. ჯერ ერთი, ვიღაც კორესპონდენტი უნდა

გააცილოს ლაბორატორიაში: „დაწანწალებენ უსაქმურები“. მეორეც — კრიტიკოსმა დღეს საბოლოოდ დაადგინა, რომ ზინკა უყვარს. დიდი ამბავი!

ზინკა და კლარა

ზინკას შეყვარება მართლაც რომ არ იყო არც დიდი და არც უჩვეულო ამბავი! სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ძალით იგი, მგონი, ყველას უყვარდა. ლამაზი მაინც იყოს, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. თუ ვინმე მართლა არ გამოდგება შემსალაროს პლაკატისათვის, ეს ზინკა გახლავთ. იგი ტანმორჩილია, გამხდარი, ფერმკრთალი, შავგვრემანი პირისახე აქვს. თვალები, თმა და წარბები — ყველაფერი თითქოს ერთი ფერისა უჩანს. ჩაცმითაც ყოველთვის სადად, უფერულად იცვამს ზინკა: ძველი სვიტრი, მაუდის მოკლე ქვედა კაბა, პატარა, სწორ ფეხებზე — მოზარდის ფეხსაცმელები. ხმაც ყრუ, ოდნავ ჩახლეჩილი აქვს, მისივე ტანსაცმელივით უფერული. ერთი სიტყვით, არაფრით გამოირჩევა. მხოლოდ თმა აქვს ხშირი, ოღონდ ხვეული კი არა, სწორი, მხრებამდე ჩამოშლილი, ბოლოებში ოდნავ დახვეული.

კოლექტივი რომ კოლექტივია, ადამიანივით მასაც გააჩნია სინდისი. ზინკა მეათე ლაბორატორიის სინდისია. მისი თანდასწრებით უხამსს ვერაფერს იტყვი, ვერ ითალლითებ. ის ყველაფერს ხედავს და მსჯავრსაც სდებს.

მეცნიერებაში ზინკა, ვოვკა-კრიტიკოსისა და მეგატონას შემდეგ, ყველაზე ნიჭიერია. არავის შეუძლია ზინკაზე უკეთესად მოიფიქროს, ჩაატაროს, დააყენოს ცდა. ბამბის ქურთუკსა და შარვალში გამოწყობილი, რეზინის დიდ, ტალახიან ჩექმებში ჩამძვრალი ზინკა გათოშილ თითებს იორთქლავს და ყველა მამაკაცს ჯაბნის გამძლეობით. რაც მთავარია — მისი ტვინი მუდამ დაძაბულად მუშაობს. ზინკას ღამითაც, ძილშიაც ვერ მოუსვენია. თავში მუდამ ფორმულები, ხელსაწყოები, პასუხები უტრიალებს: იქნება ასე აჯობოს? ფიქრობს ის. ხანდახან შუაღამისას წამოდგება ლოგინიდან, ცალ ფეხზე დადგება მაგიდასთან, მეორე ფეხს ჩიტივით ამოიკეცავს და ჩქარობს ჩაიწეროს სიზმარში მოფიქრებული იდეა.

ლაბორატორიაში რომ მოვიდა, ზინკა უკვე კანდიდატი იყო. აბა, რა გეგონათ?! არც ისე ახალგაზრდაა — საცაა ოცდაათი წლისა გახდება. მიუხედავად ამისა, რიგრიგობით ყველას უყვარდა; თაყვანისმცემლებთან არ კეკლუცობდა, თითქოს ოდნავ თანაუგრძნობდა კიდეც, შეყვარებით კი არავის იყვარებდა.

წარსულში ალბათ რაღაც შეემთხვაო, — ამბობდა კლარა. მაგრამ წარსულზე ვერავინ შეჰკითხოდა ზინკას. საერთოდ, აქ არავის არაფერს ეკითხებიან. თუ თვითონ იტყვის, ხომ კარგი, თუ არა და არც ამით დაიქცევა ქვეყანა.

თითქოს განგებისად, კლარა მეზობელ მაგიდასთან მუშაობს, რომ ზინკას ხიბლი უფრო აჩინოს. კლარა ფუშფუშა, ოქროსთმიანი გოგოა; ცისფერი თვალები აქვს და გამობურცული ტუჩები, პირისახე კი ისეთი თეთრყირმიზა, თვალი გეტკინება. გეგონებათ, ცოცხალი არსება კი არა, ნახატი სურათიაო. მეტისმეტად თეთრი, მეტისმეტად ყირმიზა, მეტისმეტად ლამაზი. ასეთები, საერთოდ, იშვიათად გვხვდებიან. ამხანაგებმა მას არც ისე სახარბიელო მეტსახელი შეარქვეს ჩუმად: სამი ტკბილი ქადა ერთადო. ამ ჩამორეცხილ კედლებსა და საკანცელარიო მაგიდებს როგორღაც ვერ ეგუება კლარას სილამაზე. ზინა კი — უფე-

რული, თითქოს შეუმჩნეველი ზინკა, გეგონება, შეეზარდაო ამ კედლებსა და მაგიდებს, ზინკა, ვისაც გაცვეთილი ფეხსაცმელები აცვია და ფრჩხილებზე არასოდეს ლაქი არ უსვია.

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲒᲣᲒᲣᲜ-ᲮᲛᲐᲣᲠᲘ

მეათე ლაბორატორიაში მუშაობენ. მუშაობენ და, ამასთან ერთად, განუწყვეტლივ ლაპარაკობენ. როგორც აქ იტყვიან, შრომის გუგუნ-ხმაური დგას.

კუთხეში მაგიდას ორი თანამშრომელი უზის. ერთს ხელში ნაბეჭდი ციფრებით აჭრელებული ქაღალდის ლენტი უჭირავს, მეორე უწყისს ავსებს და მონაცემებს ამოწმებს. აი, რას ლაპარაკობენ ისინი:

— ორი. ალფა ნაკლები.

— ოთხი.

— ოცდაშვიდი.

— დაუჯერებელია.

— მე შენ გეუბნები, ოცდაშვიდი-მეთქი. შესაძლოა ექსცესიც იყოს.

— ეშმაკსაც წაულიხარ შენი ექსცესებით. ექსცესი!.. ჭკუის კოლოფი ხარ, რალა! უბრალოდ შემცდარან ამოხსნისას და ეგაა!

ეს ლაპარაკი არაფერია იმასთან შედარებით, ახლა რომ მოვისმენთ!

— ხომ გეუბნებოდით, ამხანაგებო? ჩვენ არასწორ მეთოდს ვადექით. ჩვენ მივდიოდით და მოვდიოდით, საჭირო კი იყო ფეხი არ მოგვეცვალა. გავახელეთ მოხუცი და კიდევაც ატეხა აყალმაყალი.

— არა, მე ვერაფრით ვერ გამიგია, რა უფლებით გვერეკებიან შინ? ეს ხომ ჩვენი თავისუფლების ხელყოფაა?!

— თავისუფლება — ეს გააზრებული აუცილებლობა გახლავთ. გასწავლეს, გასწავლეს და შენ მაინც შენსას აბრახუნებ.

— მასწავლეს! კონსტიტუციაც მასწავლეს. იქ წერია: შრომის თავისუფლებაო.

— საცოდავი, სამუშაო არ ჰყოფნის!

— სამუშაო თუა, პირობებიც უნდა იყოს. მე იქნებ მთელ დღეს ვფიქრობდი, ვფიქრობდი და ვერაფერს გავხდი. ზუსტად ექვს საათზე კი გამეხსნა ტვინი; ამ დროს დაირეკა ზარიც. აზრი შუაზე გაწყდა. კარგია?!

— წარმომიდგენია, რა ოქრო აზრიც მოგივიდოდა!

. . . . . .

ეს საუბარი მცირე განმარტებას მოითხოვს. საქმე ის არის, რომ ლაბორატორიას მისთვის მეტად საგანგაშო დროს შევასწარით — როცა გაცხარებული ბჭობდნენ ათსაათიანი სამუშაო დღის შემოღებისათვის. ინსტიტუტის ხელმძღვანელთა ყურამდე მივიდა ცნობა, რომ ბევრ ლაბორატორიაში გვიან ღამემდე მუშაობენ, თვითნებურად ხარჯავენ ენერგიას; ამიტომაც გამოსცეს ბრძანება: ზარის დარეკვისთანავე თანამშრომლებმა უსიკვდილოდ უნდა დატოვონ ლაბორატორიები, „აზრი შუაზე გაწყვიტონ“. ერთხელ იბორიალეს, იბორიალეს გარეთ და მერე უკანვე დაბრუნება სცადეს. მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ — მოხუცი დარაჯი პირად საკუთრებასავით ყარაულობდა სამსახურის შენობას. ერთხელ კი იერიშით აიღეს შესასვლელი. ხელმძღვანელობა (ე. ი. „მოხუცი“) დასჯას

დაჰპირდა ყველას. მომრიგებლად ვოვკა-კრიტიკოსი გაიგზავნა, ცნობილი ენამჭევრი და ერუდიტი. ხელმძღვანელობა დაჟინებით მოითხოვდა შვიდსაათიან სამუშაო დღეს; უკიდურეს შემთხვევაში, თანხმდებოდა რვასაათიანზე. კრიტიკოსი თავდაპირველად თორმეტსაათიანს ჩააფრინდა, მაგრამ შემდეგ თანდათან მოუკლო და ბოლოს ათსაათიანამდე ჩამოფოფხდა. არც ერთი მხარე არ თმობდა. გაცხარდა კამათი, მაგრამ მაინც არაფერი გამოვიდა. კრიტიკოსი დაბრუნდა ლაბორატორიაში და სიცილით მოჰყვა, როგორ ვაჭრობდნენ („პირდაპირ ბაზარი გეგონებოდათ: ეგ იყო, ქუდი არ მეხურა, იატაკზე რომ დამეხეთქებინა“).

ამიტომაც დღეს მეტად აღელვებულნი იყვნენ ყველანი და გადაწყვიტეს ზარის შემდეგაც არ მოეცვალათ ფეხი. დაე, მილიციელმა გაგვრეკოსო, — თქვა ზინკამ.

ისევ ზუზუნი, ხმაური:

— რვა.

— ორი.

— ჩვიდმეტი.

— თერთმეტი.

. . . . . .

შიგადაშიგ ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზები:

— ისევ გაგვიოხრეს ყველაფერი. ნახეთ ერთი: ფირი კი არა, პორნოგრაფიაა.

— შესაძლოა, ასეც იყო და...

— არამც და არამც! ასეთი სასწაული არ ხდება. ასე თუ იყო, მაშინ ღვთის არსებობაც უნდა ვირწმუნო.

— მერე რა! ეგ თავისთავად არცთუ ისე აბსურდული იდეაა. ბევრ შენსას არაფრით ჩამოუვარდება.

. . . . . .

— შეხეთ, აქ კიდევ ერთი წერილია: „ოდესმე შეეძლება თუ არა მანქანას მთლიანად შეცვალოს ადამიანი?“

— საკითხი მეტად რიტორულია და თანაც არასწორად დასმული. რა ყრია ამაში! ეს იმასა ჰგავს, შეუძლია თუ არა უფალ ღმერთს გააჩინოს იმოდენა ქვა, თვითონ რომ ვერ ასწევსო?

— მე კი ვფიქრობ, სანამ ასეთი კითხვა დაისმება, ჯერ უნდა განიმარტოს: რა არის „ადამიანი“ და რა არის „მანქანა“... ცხადია, თუ მანქანას განვსაზღვრავთ, როგორც მოწყობილობას, არავითარ პირობებში რომ არ შეუძლია შეცვალოს ადამიანი, მაშინ საკითხიც თავისთავად მოიხსნება.

. . . . . .

— შენ, ჰეი, გაგიჟდი თუ რა?! სამანქანო ასი საათი! ვინ მოგცემს ამდენს შენი აქოთებული ამოცანისათვის?!

— თვითონ რომ დახარჯე ორასი შენს აბდაუბდაზე, აღარ გახსოვს?

— მეცნიერების ინტერესებისათვის მხოლოდ.

— მე რა, საკუთარი გამდიდრებისათვის ვთხოულობ თუ?!

. . . . . .

— ოფლში გამხვითქა ამ გაინტეგრალებამ.

— სხვათა შორის, მეგობრებო, ჩვენი მაგალითი გვარწმუნებს, რომ თეზისი: ფიზიკურსა და გონებრივ შრომას შორის დაპირისპირება მოისპობაო, სწორი ყოფილა. მაგალითად, ჩვენი გონებრივი შრომა უკვე მიუახლოვდა ფიზიკურს.

— გააბა დემაგოგია და ეგაა!

აქ კი მთელი ჯგუფი კამათობს:

— პოლეტაევი მაინც სწორია სადღაც!

— იმაშია სწორი, რომ მუშაობს და იცის შრომის ყადრი. მისი წერილი კი გაუგონარი სისულელეა.

— მაშ ასე თავგამოდებით რატომ იცავდა მას დისპუტზე ახალგაზრდობა?

— როგორც ჩანს, მტკივნეულ საკითხებს შეეხო. ახალგაზრდა გრძნობს — დღეს სულ სხვა ხელოვნებაა საჭირო. კულტურა მარტო ის კი არ არის, გადაიკითხო ან თუნდაც თარგმნო რონსარი ან ვიიონი (ამას ჟენკა ამბობს).

— დროა ხელოვნებაშიც თვითმომსახურებაზე გადავიდეთ (ეს, მგონი, ვოვკა-კრიტიკოსის სიტყვებია).

— ამხანაგებო, პირადად მე პოლეტაევს ვემხრობი. მართალია, კარგად ვერ გამოვიდა (ბლუკუნებს, მაშასადამე, ხარაბუზაა), მაგრამ ძირითადად მაინც მართალია. რატომ უნდა ჩაითვალოს კულტურულ კაცად ის, ვისაც ბახი და ბლოკი უყვარს? მე იქნებ სულაც არ მეგემრიელება ეგ თქვენი ბლოკი და ბახი. (ნუ ხარხარებთ! ასე ჩერნიშევსკი ამბობს: „რახმეტოვს ეგემრიელა“).

— ხარაბუზას დამიხედეთ ერთი! კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირაო.

— ნეტა არ ხვიხვინებდეთ! მე მართლა ვამბობ. წინადადება შემომაქვს, წავიდეთ ერენბურგთან და ვკითხოთ: აბა, რას ეწოდება მეორე კოსმოსური სიჩქარე? ნაღდად არ ეცოდინება. მაშასადამე, უკულტუროა. წეროს, ბატონო, თავისთვის, რაც მოეპრიანება, ოღონდ ჩვენ ნუ დაგვცინის. კულტურა!

— შენ რა, თვითონ მეტისმეტად კულტურული ხარ არა?

— მე არც ვბაქიბუქობ. არ ვარ დიდად კულტურული. მხოლოდ ერთი ბეწოთი თუ ვაჯობებ ერენბურგს.

— შენც ყრანტალებ რაღა. ერენბურგმა ენები იცის.

... ხარხარი. შემდეგ ხმაური ნელ-ნელა ყუჩდება და ისმის მხოლოდ ერთი ხმა, სუსტი, ჩახლეჩილი. რას კითხულობს ნეტავ? მგონი, ლექსს. კითხულობს გამოთქმის გარეშე, ენის ბორძიკითა და ისეთი პაუზებით, თითქოს აზრის ჩაწვდომა სურსო.

— ხომ ძველია ის... და ახალია მაინც, ნასესხ სიტყვათა სამყარო წყნარი... და მხოლოდ ბევრი, ბევრი წლის მერე... აღსარებისა როს მოვა ჟამი... ჩვენ გადავქექავთ... ასეა, მგონი... ჰო, გადავქექავთ სიტყვათა გროვას — რადგან სხვა დროა... აღარ ჰგავს ძველსა... უარვყოფთ სიტყვებს და დიდებასაც... სიტყვებთან ერთად...

— მოიცა, მოიცა. რა არის ეს?

— რა არის კი არა, ვინ არის, ჩერჩეტო!

— ჯანდაბას. ვინ არის?

— ერენბურგია.

დუმილი. აქ მართლაც ვერაფერს იტყვი. ხარაბუზა რომ ხარაბუზაა, ისიც კი დუმს.

რომანვიკოსები და სტატისტიკოსები

ფანჯარასთან მდგარ მაგიდას იაშა-სტატისტიკოსი უზის. იგი ცნობარების გროვაშია ჩაფლული. არავის ეკამათება, დუმს და უსმენს სხვებს. ამიტომაც

ყურები მუდამ დაცქვეტილი აქვს. თმის ყოველი ღერი ცალ-ცალკე დაბვევია და შავი ზამბარებივით ადგას თავზე.

„სტატისტიკოსის“ სახელი იაშას მათემატიკური სტატისტიკის ფანატიკური, თავდავიწყებული სიყვარულის გამო შეარქვეს.

მეცნიერების ყოველ დარგს, თუკი იგი ექსპერიმენტებთანაა დაკავშირებული, ცდათა მონაცემების დამუშავება ესაჭიროება. მათემატიკური სტატისტიკა კი მეცნიერება გახლავთ მათი დამუშავების თაობაზე. ექსპერიმენტატორები, უხეშად რომ ვთქვათ, ორ კლასად იყოფიან: ერთნი ექსპერიმენტატორ-რომანტიკოსები (ანუ მოხალტურენი, როგორც ზოგიერთები უწოდებენ) ბრძანდებიან. ამათ ოღონდ ექსპერიმენტები ჩაატარონ და შედეგები მიიღონ, სხვა არაფერი ადარდებთ. მონაცემებს ისინი უხეშად ამუშავებენ: დაუდევრად გააკლებენ საშუალო მრუდეს მონაცემთა აქეთ-იქით მიმოფანტულ წერტილებს შუა და თავსაც არ იწუხებენ რიგიანად ჩაუფიქრდნენ — რას ნიშნავს ესა თუ ის მრუდე და როგორ უნდა შეფასდეს იგი.

მეორენი ექსპერიმენტატორ-სტატისტიკოსები არიან. მათ ფაქტები ისე არ აწუხებთ, როგორც მეთოდები, დამუშავების მეთოდები. ერთ ნაბიჯსაც არ გადაადგამენ ისე, მოსალოდნელი შეცდომა არ გაითვალისწინონ. ყოველი მათი მტკიცება დამატებითი შენიშვნებითაა გარემოცული. ისინი, მაგალითად, არ ამბობენ, ცდის შედეგად მიღებული იქსის სიდიდის მნიშვნელობა ამასა და ამას უდრისო. არა, თავიანთ აზრს ისინი სულ სხვანაირად გამოხატავენ: „ალბათობის 0,95-ით შეიძლება იმის მტკიცება, რომ X სიდიდის ჭეშმარიტი, ჩვენთვის უცნობი მნიშვნელობა მდებარეობს X_1 და X_2 შორის“. დიახ, ასე. ყოველ გამონათქვამს თავისი საზღვარი აქვს — „აქედან იქამდე“. ეგაა და ეგ, არც იქით, არც აქეთ.

ექსპერიმენტატორთა ამ ორ კლასს შორის ოდნავ დამცინავი ქიშპი შეიმჩნევა. სტატისტიკოსები რომანტიკოსებს ზერელე ხალხად თვლიან. მათ ნამუშევარზე ასე ამბობენ — ნაჯახით არის ნაჩორკნიო. ამასაც უმატებენ — რასაც თქვენ წერთ, ის არაფრის მაქნისიაო; რომ ამტკიცებთ — სიჩქარე წამში 549 მ უდრისო, ეს მტკიცება არაფერსაც არ ნიშნავს, ვიდრე მის სიზუსტეს არ შეაფასებთ. შეიძლება თუ არა შეცდომა იყოს თქვენი მტკიცება? ან რამდენად შესაძლებელია ამ შეცდომის დაშვება?

რომანტიკოსები თავს არიდებენ პასუხს. ისინი განსწავლულნიც არიან და სტატისტიკაც ესმით, მაგრამ სიზუსტის შესაფასებლად დრო ვერ გამოუნახავთ, სულ წინ და წინ ეჩქარებათ.

რომანტიკოსები სტატისტიკოსებს მოსაწყენ პედანტებად თვლიან, მათ ჰგონიათ, რომ წმინდა სტატისტიკური მეთოდებით მუშაობა წყლის ნაყვაა და მეტი არაფერი. კიდევ უარესი: ეს არის პასუხისმგებლობის ერთი ინსტანციიდან მეორეში გადატანა. ამა თუ იმ ეტაპზე ხომ მაინც საჭირო გახდება იკისრო პასუხისმგებლობა. საბოლოო დასკვნას ხომ მაინც მტკიცე, დიდებული ნებისყოფა გამოიტანს. ამიტომ გაანგარიშებებს შემოქმედებითად უნდა მიდგომა და არა მონურად. ერთი სიტყვით, რომანტიკოსებს სტატისტიკოსების შრომა ოქრომკედით ქარგვა ჰგონიათ.

ჰოდა, სულ ასეთ, ხან ცხად, ხანაც ფარულ კამათში გადის დრო. ნაჯახით თუ ნემსით? თუ ვის მხარეზეა ავტორი, ვფიქრობ, რომ უკვე ცხადია. რა თქმა უნდა, ნაჯახისაზე.

იაშა-სტატისტიკოსი ოქრომკერდით ქარგვის მოტრფიალეა. ოდესღაც, ყმაწ-

ვილობისას, მას იზიდავდა ფხიზელი ირონიული პოეზია სტატისტიკისა, ახლა კი ყოველგვარი ჰტკიცების ხელაღებით მიღება სათაკილოდ მიაჩნია. მაგრამ მეათე ლაბორატორიაში იაშა-სტატისტიკოსი მარტოა დარჩენილი. ყველა დანარჩენი განურჩევლად მოხალტურეა. იაშა ღონეს არ ზოგავს, ყველას მაგიერ მუშაობს და სხვების მიერ შედგენილ ანგარიშებს ლელვის ფოთოლივით უფარებს წინ შეფასებებს. მაგრამ ვაი, რომ ეს სხვები დასცინიან კიდევაც.

უზის იაშა თავის მაგიდას, ანგარიშობს და უსმენს.

აქ საერთოდ ეხერხებათ ხმაურში მუშაობა. კამათობენ კიდევაც. „იულიუს კეისარი ჩვენთან რას მოვა!“.. იაშა არასოდეს კამათობს, ხმას არ იღებს, მაგრამ თავის თავს განუწყვეტლივ ესაუბრება. დღესაც უამრავი ილაპარაკა თავის გულში. განა ვერაფერს იტყოდა პოლეტაევზე ან კულტურაზე? ცოცხალი, თბილი სიტყვები უფართხალებდნენ სულში, მაგრამ ამოთქმა ეძნელებოდა.

იაშა უტყვი პოეტია.

ᲛᲔᲒᲐᲢᲝᲜᲐ

ვოვკა-ჭკვიანის შემდეგ ლაბორატორიაში ყველაზე გამჭრიახი გონების ზინკა და მეგატონა გახლავთ.

ეჰ, რა კაცია მაინც ეს მეგატონა! სინამდვილეში მას რომ საშა ჰქვია, ვიღას ახსოვს, ისე დიდებულად მოადგა ეს მეტსახელი. დამლაგებელი რომ დამლაგებელია, ისიც კი „ამხანაგ მეგატონას“ ეძახის.

მეგატონა ყველაფრით გამოირჩევა. უშველებელი ტანის, ბრგე, მხარბეჭიანი კაცია, ტანისამოსი შემოსკდომაზე აქვს. როდესაც იგი საწერ მაგიდას უზის და მუხლის თავებით მაგიდას ებჯინება, გეგონებათ, რომ ეს მაგიდა კი არა, ზოოპარკში კამეჩისათვის შემოღობილი საჩიხე არისო. მეგატონა მეცნიერებაშიც კამეჩივით ძლიერი და ღონიერია. საოცრად ძლიერი და ასევე საოცრად უკულტურო. ეტყობა, არასოდეს წაუკითხავს რაიმე. რომ უთხრათ, ვიეტნამი ამერიკაშიაო, დაგეთანხმებათ. თავისი სპეციალობის წიგნებიც კი არ უყვარს. აიღებს წიგნს, გადაშლის, გადმოშლის და მერე ზიზღით მიაგდებს. კითხვა რა ჯანდაბად მინდა, ფიქრობს, ისედაც გავაკეთებო, და მართლაც აკეთებს. არაჩვეულებრივად ნიჭიერი და საზრიანია. „მიწის კაცია“, როგორც ვოვკა-კრიტიკოსმა თქვა ერთხელ.

ლაპარაკობს ყოველთვის გაუგებრად, მაგრამ საინტერესოდ. ასე ვთქვათ, დიდებულად არეული, დაულაგებელი მეტყველება აქვს. სიტყვებს იმის ღირსადაც კი არ თვლის, რომ ერთმანეთს დაუკავშიროს. უბრალოდ ისვრის ამ სიტყვებს და ისინიც მერე თავისით იკვრებიან ფრაზებად. იტყვის ხოლმე რალაცას და გაიგე, როგორც გინდა... და მაინც სხვებზე ძლიერია. როდესაც ყველა უძლურია და არავის არაფერი გამოუდის, ისევ ამხანაგ მეგატონას მიადგებიან, უკანასკნელი იმედი ისღა არის. ისიც ბუზღუნ-ბუზღუნით ჩააჩერდება ფორმულას, მოიმარჯვებს ფანქარს (კალმით წერას ვერა და ვერ შეეჩვია) და გაუტევს და გაუტევს (ბერძნულ ანბანშიც ცუდად ერკვევა. ვერასგზით დაუმახსოვრებია, რომელია ქსი და რომელი პსი. დელტაცა და ბეტაც მისთვის ერთია და

ორივე ბელტაა). სამაგიეროდ, ალფას იცნობს დაწვრილებით და ნაზადაც ჰყავს მონათლული. „ეს ქინქლა, ესაო", — ასე ეძახის. „ავიღოთ ეს ქინქლა და გავაბრძანოთ იქით", — და ფრთხილად, თითქოს მსხვილ თითებში ჰეპელა გამოუმწყვდევიაო, გააქვს ალფა ფრჩხილებს გარეთ. მათემატიკურ გარდაქმნებს ჩვეულებრივ ასეთი იდუმალი ფრაზით დაასრულებს ხოლმე: „შევამოკლებთ რა, და, კაცმა რომ თქვას, რით".

ვოვკა-ჭკვიანი და კლარა

ვოვკა-ჭკვიანმა ერთ-ერთი ცდისას თვალის ჩინი დაკარგა და დაბრმავდა. ეს მოხდა ორი წლის წინათ. მთელი ლაბორატორია ცოცხალ-მკვდარი იყო. დიდხანს იწვა ვოვკა საავადმყოფოში. შემდეგ ფერმიხდილი, გამხდარი დაბრუნდა... შავი სათვალე ეკეთა. ლოყაზე იისფერი ნაიარევი და შუბლზე რალაც ლურჯი წერტილები აჩნდა. „როგორ უნდა შევხვდეთ?.. რა უნდა ვუთხრათ?" — ერთი ამბით არჩევდნენ წინა დღით ამ საკითხს.

კლარა ახლახან იყო მოსული ლაბორატორიაში და ვოვკა-ჭკვიანს არ იცნობდა, ჰოდა, განაცხადა: საჭიროა მაქსიმალური გულისხმიერება გამოვიჩინოთ, დიდი ყურადღებით მოვექცეთო, როგორც ბრმა მუსიკოსს.

— ეგ მიქარვა იქნება, — განაცხადა ვოვკა-კრიტიკოსმა, — მეტისმეტი გულისხმიერება სწორედაც არ სჭირდება ახლა მას. სიბრალული არ უნდა ვაგრძნობინოთ. ისე უნდა მოვექცეთ და ისე უნდა მოვთხოვოთ, როგორც ჩვენს თავს ვთხოვთ. მხოლოდ მაშინ იგრძნობს თავს ადამიანად.

ვერ ვიტყვი, რომ ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი კრიტიკოსს. გადამწყვეტი სიტყვა, როგორც ყოველთვის, ზინკამ თქვა: კრიტიკოსი სწორია, სიბრალულზე საშინელი ამქვეყნად არაფერია.

ჰოდა, როდესაც ლაბორატორიაში ვოვკა-ჭკვიანი შემოვიდა, ზინკა, სწორედ ეს ზინკა სახეგამტკნარებული მიაჩერდა, ცრემლები კი ღაპაღუპით სდიოდა ლოყებზე. მაგრამ მაინც სხვებზე უმალ გაუწოდა ხელი და, ვითომ გუშინაც ერთად იყვნენო, ისე უბრალოდ უთხრა: „ვოვკას გაუმარჯოს..." ხმაც კი არ შეცვლია.

მეათე ლაბორატორიაში ვოვკა მართლაც ადამიანად გრძნობდა თავს. ექსპერიმენტატორად ის ვერ იმუშავებდა, მხოლოდ თეორეტიკოსობას თუ გასწევდა. თეორიაში კი ვის დაუგდებდა ტოლს! თავის სამუშაოს საგანგებო მანქანაზე ბეჭდავდა, ვოვკა-ჩვეულებრივმა რომ მათემატიკური შრიფტით გაუწყო. დიდებული ფორმულები გამოჰყავდა. მთელი ლაბორატორია მალე შეეჩვია, რომ ვოვკა-ჭკვიანიც სხვებივით მუშაობდა, თუ კიდევ უკეთესად არა. იმდენად შეეჩვია ამ აზრს, ვოვკა-ჭკვიანი რომ შეცდება (ეს კი ვის არ დამართნია?), კიდევაც აყვედრიან: სულ ხომ არ გამოპენტერდი, ვერა ხედავ, რომ აქ შეცდომაა?.. ჰოდა, ვოვკაც ისე შეცბუნდება, თითქოს მართლაც ხედავდეს რასმე. რასაკვირველია, ხანდახან ეხმარებიან, მაგრამ თვითონაც ხომ ეხმარება სხვებს! თეორიაში იგი მეგატონაზე ძლიერიც კია. თუმცა არა, მეგატონა გარდაქმნებშია მაგარი, ხოლო ვოვკა-ჭკვიანი — ფიზიკურ მნიშვნელობათა გაანგარიშებაში.

ბოლოს კი ისე აეწყო საქმე, რომ ყველაზე მეტად კლარა გახდა მისი დამხმარე, — ფუშფუშა, ვარდისფერლოყება კლარა („სამი ტკბილი ქადა ერთად"). იგი სულ ვოვკას ეჯდა გვერდით, უკეთებდა ნახაზებს, უსწორებდა დაბეჭდილ გვერ-

დებში შეცდომებს, ხმამაღლა უკითხავდა სტატიებს. ჯერ იყო და, ლაბორატორიაში ეშინოდათ, კლარას თავისი გულისხმიერებით რამე სისულელე არ ჩაედინა. მაგრამ არა, როგორც ეტყობა, კლარა და ვოვკა მშვენივრად შეეწყვნენ ერთმანეთს. ბიჭები უყურებდნენ და ჩუმ-ჩუმად იცინოდნენ. გულში კი ფიქრობდნენ: რა იცი, რა მოხდებაო.

მართლაც ვინ რა იცის, რა მოხდება.

ჩიფი

პატარა ოთახი დღეს ცარიელი იყო. ჩვეულებრივ იქ ჩიფი ზის ხოლმე. „ჩიფს“ აქ ლაბორატორიის მეცნიერ-ხელმძღვანელს, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორ ბიკენტი ლაგინოვს ეძახიან. ეს მეტსახელი წარმოსდგა ინგლისური სიტყვა „chief“-ისაგან (შეფი), მაგრამ მალე დაკარგა ინგლისური აქცენტი და წმინდა რუსულ მოკლე სიტყვად „ჩიფად“ იქცა.

ჩიფი ლაბორატორიის მთავარი ღირსშესანიშნაობაა. მისით ამაყობენ, უყვართ, ხანდახან დასცინიან კიდევაც, მაგრამ ესეც სიყვარულით მოსდით. კაცმა რომ თქვას, ჩიფი არც ისე მოხუცია. სამოცისაც არ იქნება. იმდენი რამ იცის, ორმოც წელს მიღწეული. თანამშრომლებიც სკოლამდელ ბავშვებად გრძნობენ თავს მასთან.

რა გინდა, მან რომ არ იცოდეს! ნორმალურ, ასე ვთქვათ, პროზაულ ცოდნასთან ერთად აუარება გარეშე, ზოგჯერ სრულიად შეუფერებელი, უადგილო ცნობები უტრიალებს თავში. მაგალითად, მთელი საუკუნით ადრე შეუძლია გითხრათ, რომელ დღეს უწევს აღდგომა. ვთქვათ, გაზეთში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის არჩევნებზე დაბეჭდეს წერილი; ამასთან დაკავშირებით შეუძლია თანმიმდევრობით ჩამოთვალოს ყველა პრეზიდენტი, ჯორჯ ვაშინგტონიდან დღემდე. ძალიან კარგად ერკვევა შამპანურისა და კონიაკის მარკებში და მზადაა დაწვრილებით მოყვეს თითოეული მათგანის ისტორია, მიუხედავად იმისა, რომ შამპანური და კონიაკი თავის დღეში არ გაუსინჯავს. იმასაც ირწმუნება, ოთხგანზომილებიან სივრცეში ხედვა შემიძლია და, თუ ვისმე სურს, კიდეც ვასწავლიო.

თავისი სპეციალობის ფრიად დიდი და ბრწყინვალე მცოდნე გახლავთ, მაგრამ რაღაც არარეალური, ვეებერთელა, ნაირფერი საპნის ბუშტის მსგავსია მისი ეს ცოდნა. ხშირად, განსაკუთრებით წინათ, თანამშრომლები მოსვენებას არ აძლევდნენ თავიანთი ეჭვებით, შეცდომებითა და პაექრობით. „ჰო“ თუ „არა“-ს ჩიფი პირდაპირ არასოდეს უპასუხებდა, მხოლოდ განზოგადებულ პასუხს აძლევდა. ჯამბაზის ოსტატობით ისე ჯადოსნურად შეატრიალებდა საკითხის არსს, რომ იგი სულ სხვანაირად ვანათდებოდა, სულ სხვა საგნებს დაუკავშირდებოდა მოულოდნელად და უცნაურად. ის თავდაპირველი კითხვა კი შემკითხველის თვალში გამკრთალდებოდა, ფხა ეცლებოდა და პროზაული ხდებოდა. ჰოდა, ისიც ხმას გაკმენდდა, ასეთი შორსმჭვრეტელური პერსპექტივით, ასეთი ფრთაშესხმული „ხვალეთი“ გაოგნებული და სირცხვილით იწვოდა თავისი წვრილმანი შეკითხვის გამო. მაგრამ დაუბრუნდებოდა თუ არა თავის სამუ-

შაო ადგილს, წამსვე ისევ ყველაფერი აირ-დაირეოდა და ისევ წამოიჭრებოდა ის უბრალო, პროზაული და მაინც გადაუწყვეტელი საკითხი.

მიუხედავად ამისა, თანამშრომლებს უყვართ ჩიფთან მისვლა, მისი ცქერა და მოსმენა. მარტო ჩიფის მეტყველება რად ღირს, მისი ბობოქარი, შფოთიანი წამოძახილები, როცა მახვილს სრულიად მოულოდნელ ადგილას უსვამს, ვთქვათ, თუნდაც, თანდებულებზე. ხმოვანიც კი არ არის მისთვის საჭირო, მახვილი რომ დაუსვას. და მაინც ყოველივე გასაგები ხდება. ჩინებული სანახაობაა, ცოტა არ იყოს ექსცენტრიულიც. ჩიფის მოქცევას ბუდამ დაჰკრავს რამდენადმე ჯამბაზური ელფერი. ვერასოდეს მიხვდებით: ხუმრობს თუ აბუჩად გიგდებთ? რას ფიქრობს თავის გულში? რას წარმოადგენს ბოლოს და ბოლოს ეს ჩიფი?

მავი ყუთის პრობლემა

ვერავინ გაარკვია, თუ ვინ არის, რა კაცია ჩიფი; ყველაზე მეტად კი ვოვკა-კრიტიკოსი ბრაზობდა. პეწენიკი და სკეპტიკოსი ვოვკა-კრიტიკოსისათვის ადამიანები ნათელი და გასაგები იყვნენ; ყოველ შემთხვევაში, ასე ეჩვენებოდა. ჩიფისა კი არაფერი ესმოდა.

სრულიად გაუგებარი იყო, მაგალითად, ჩიფის ექსკურსები ხელოვნებაში. ჰო-ჰო, რა სურათებს ქმნიდა! ერთნი აღტაცებას ეძლეოდნენ, მეორენი მწყრალად ფრუტუნებდნენ რალაცას, მესამენი უბრალოდ დასცინოდნენ. ის არც აბსტრაქციულ ფერწერას ჰგავდა. ამ ფერწერას, რაც უნდა იყოს, მაინც თავისი კანონები აქვს. ჩიფისთვის კი არავითარი კანონი არ არსებობდა. ხატავდა თავის გუნებისად, მდიდრულ ფერებში, უგემურად და გაუგებრად. მაგალითად, შეეძლო დაეხატა ზარბაზნის ლულაზე გადამჯდარი შიშველი ფერია ან რეალიტიულ ფილში მჯდარი როკაპი, დიუზებიდან გამომჩქეფარე ალი რომ ეხვია გარს. ასევე შეეძლო დაეხატა სურათი, შორიდან გრავიურას რომ ემსგავსებოდა, მაგრამ თუ ახლოდან ჩააკვირდებოდით, მორზეს ანბანის წვრილ-წვრილი წერტილ-ტირეები შეგრჩებოდათ ხელთ. ერთხელ ვოვკა-კრიტიკოსმა საგანგებოდ დააპატიჟებინა თავი ჩიფს; ესტუმრა და მისმა სურათებმა ლამის რეტი დაასხა... შპალერიც კი ალარ ჩანდა კედელზე. იყო მხოლოდ სურათები და ჩარჩოები. ჩიფს ასეთი თეორია ჰქონდა — მხატვრები რომ ჩარჩოებს ხელოსნებს უკვეთენ, ამით თავიანთ ხელოვნებას ღუპავენო. იგი თვითონ აკეთებდა ჩარჩოებს, სურათებივით მოხატავდა მათ და პირდაპირ შემაძრწუნებელი სანახავი გამოსდიოდა — თითქოს პიჯაკი უეცრად ადამიანად იქცაო. საერთოდ, ამ სახლში ყველაფერი უცნაური და ცოტაოდენ შემზარავიც იყო: კედელზე საგანგებოდ მიჭედებული გაქერქილი ფანერიც, რაზედაც მტრედისფერ კატას შეეძლო ბრჭყალები ელესა, საბავშვო რკინიგზაც როიალის თავზე (თუმც სახლში ბავშვები არ იყვნენ), დიასახლისი ქალიც (დაი თუ დეიდა ჩიფისა), — ქარცახივით წელში მოხრილი, ცალთვალა, მაგრამ ინტელიგენტური შესახედაობის გამხდარი მანდილოსანი, ბავშვობის სახელს, ვიშენკას რომ ეძახდა ჩიფს.

პოეზიას ალარ იკითხავთ? მისთვის არც პოეზია იყო უცხო ხილი. ეს ლაბორატორიაში შემთხვევით გაიგეს, როცა ჩიფმა უეცრად წამოაყენა წინადადება — ინსტიტუტის თვითშემოქმედებით საღამოზე ყველას საკუთარი ლექსი წაეკითხა. ვილაც აწოწილი ბიჭისა და მსუქანი, ლოყებლაჟღაჟა ქალიშვილის შემდეგ (მხატვრულად რომ სტვენდა), გამოვიდა კონფერანსიე და დიდი ამბით გა-

მოაცხადა: „საკუთარი ლექსების წასაკითხავად სიტყვა ეძლევა აკადემიკოს ლაგინოვს“.

ღმერთო ჩემო, რა სურათი იყო! ჩიფმა გვერდზე გადააგდო თავისი უშველებელი წითელი თავი, მილულა თვალები და რწევა-რწევით მოჰყვა ლექსების კითხვას. ვერ გაიგებდით, ტვითინებდა თუ ღმუოდა. როგორც ამ საუკუნის დასაწყისში სჩვეოდათ, იგი ამღერებით კითხულობდა სამარცხვინოდ უგვანო ლექსებს. თუ რაზე იყო ლექსი დაწერილი — ვერ მიხვდებოდით. იხსენიებდა თანამგზავრს, იესო ქრისტესა და თვითმომსახურებას. როდესაც უეცრად შეწყვიტა კითხვა, თითქოს მანქანა იყო და მოიშალაო, ტაშის დაკვრა არავის უფიქრია. მაგრამ აი ჩიფმა გაახილა თვალები, ასწია ხელი, ცირკის მსახიობების თქმისა არ იყოს, „ქათინაური“ ესროლა მსმენელთ, კოხტად გაიქნია ფეხი და ესტრადიდან გავიდა. მხოლოდ მაშინ გაისმა აქა-იქ გაუბედავი ტაში და წამსვე შეწყდა. არა, ეშმაკმა დალახვროს და ეს ჩიფი ნამდვილი გამოცანა იყო! ჩიფთან ყოფნისას ვოვკა-კრიტიკოსს მისი საიმედო და ნაცადი სკეპტიციზმი ვერაფერს შველოდა. რა იყო ჩიფის საიდუმლოება? მასთან საუბრის შემდეგ ვოვკა-კრიტიკოსი ჯავრისაგან ხშირად კბილებს აღრჭიალებდა.

კიბერნეტიკაში არის ასეთი ცნება — „შავი ყუთი“. თუ რას წარმოადგენს იგი, ვიწრო წრის გარდა ალბათ ძნელად თუ ვინმეს ეცოდინება. ამიტომაც აჯობებს ისევ ციტატა შევთავაზოთ ერთ-ერთი სპეციალური წიგნიდან, დასტა-დასტად რომ უწყვია ვოვკა-კრიტიკოსს მაგიდაზე. იქ, მაგალითად, წერია: „შავი ყუთის პრობლემა წამოიჭრება ელექტროტექნიკაში. ინჟინერს ეძლევა დალუქული ყუთი შემავალი მომჭერებით, რომლებითაც იგი უერთებს ნებისმიერი ძაბვის დენს, და გამომავალი მომჭერებით, რომლებიც საშუალებას აძლევს მას უთვალთვალოს ყველაფერს, რისი თვალთვალიც შეუძლია. იგი ვალდებულია ყველაფერი ამცნოს იმის თაობაზე, რასაც ყუთი შეიცავს.

მართალია, თავდაპირველად ეს პრობლემა ელექტროტექნიკაში წამოიჭრა, მაგრამ მისი გამოყენების სფერო გაცილებით ფართოა. მაგალითად, ექიმს, რომელიც ტვინდაზიანებულ ავადმყოფს იკვლევს, შეუძლია მისცეს მას რამდენიმე შეკითხვა და საპასუხო რეაქციაზე დაკვირვებით გამოიტანოს ზოგიერთი დასკვნა ავადმყოფობის მექანიზმის შესახებ.

საერთოდ, შავი ყუთის პრობლემა წარმოიშვება ყოველთვის, როცა სისტემის ან ორგანიზმის შინაგანი მოწყობილობის საკითხი დგას, მათი შესწავლა კი ფუნქციების მოშლის გარეშე არ შეიძლება. ერთადერთი რამ, რითაც უნდა იხელმძღვანელოს დამკვირებელმა, ესაა, რომ უნდა აწარმოოს მთელი რიგი დაკვირვებანი და ცდები და საგანგებო ოქმში აღრიცხოს. მაგალითად:

დრო	მდგომარეობა
11 ს. და 18 წ.	არაფერს ვაკეთებდი. ყუთი გამოსცემდა თანაბარ ზუზუნს 240 ჰერცის სიხშირით.
11 ს. და 19 წ.	დავაჭირე გადამრთველს, ასო „ბ“-ით რომ არის აღნიშნული. ბგერამ აიწია 480 ჰერცამდე და ამ დონეზე დარჩა.
11 ს. და 20 წ.	შემთხვევით დავაჭირე ღილაკს, „!“-ით რომ არის აღნიშნული. ყუთის ტემპერატურა აიწია 20°-მდე.

და ასე შემდეგ“.

ჩვენ რომ მივხვდეთ, თუ რატომ შეერქვა ჩიფს მეორე მეტსახელად „შავი ყუთი“, მგონი, ეს ციტატაც საკმარისია. ვოვკა-კრიტიკოსი მოთმინებით ავსებდა ოქმს, ტაბელ-კალენდრის ქვეშ რომ ინახავდა. დროდადრო სხვა თანამშრომლებიც წერდნენ თავიანთ დაკვირვებებს. ბოლო ჩანაწერი ასეთი გახლდათ:

დრო	მდგომარეობა
10 ს. 08 წ.	არაფერს ვაკეთებდი. ყუთმა რამდენიმეჯერ დააწკრიალა ტელეფონი: ა) სასამართლო ფსიქიატრიის ინსტიტუტში დიაგნოსტიკური აპარატურის საკითხებზე; ბ) კატების გამოფენაზე — დასთანხმდა კატის ჩაბარებაზე იმ პირობით, თუ კატას (იშვიათი მტრედისფერი ჯიშისას) არ მოათავსებდნენ ვარდისფერ ან ნარინჯისფერ ოთახში; გ) გაზეთის რედაქციაში — შეთანხმდა კორესპონდენტთან შეხვედრაზე დღეს 14.00 საათზე.
10 ს. და 20 წ.	ყუთმა გაურკვეველი მიმართულებით გასწია.

კორესპონდენტი

მაშასადამე, დღეს 14.00 საათზე კორესპონდენტი უნდა გამოცხადებულიყო. მაგრამ გახდა სამის თხუთმეტი წუთი და ჩიფი კიდევ არ ჩანდა. ვოვკა-კრიტიკოსი სტვენდა და თავისი მოდური ქურთუკის შესაკრავს აწვალებდა. დალახვროს ეშმაკმა, კორესპონდენტს ხომ ის უნდა გამოჰყვეს?! აღარ აცლიან მუშაობას. ისე კი მასაც აინტერესებდა: „რა კაცია ნეტავ ეს კორესპონდენტი?“ უეცრად ზარის წკრიალიც მოისმა: „გამყოლი ჩამოვიდეს“.

შესასვლელში მაღალ-მაღალი, თმახუჭუჭა, ფერმკრთალი მამაკაცი იდგა, უშველებელი ხვინჩი და დამშეული, ელვარე თვალები ჰქონდა.

— რიაზანცევი, — თქვა მან და ვოვკას ხელი გაუწოდა.

— კლიმოვი, — უთხრა ვოვკამ, — სწორედ თქვენთვის ჩამოვედი.

კორესპონდენტს ყველაფერი აინტერესებდა. პირველად მოხვდა ასეთ ადგილას და ყველაფერი შთამბეჭდავად ეჩვენებოდა: ეკლიანი მავთულიც, გუშაგიც, დეიდაც (ფართო დახლს იქით რომ იჯდა და ფხიზლად ყარაულობდა შესატანად ნებადაურთველ ნივთებს), სათვალიანი დარაჯიც, გაფაციცებით რომ ჩასჩერებოდა პასპორტს და საშვს ადარებდა. ეგონა, საკვირველებათა ქვეყანაში მოვხვდებიო, თუმცაღა შესასვლელს მიღმა სასწაულები ერთბაშად არ დაწყებულა.

აქ ყველაფერი ჩვეულებრივი იყო: სველი ასფალტი, დაჩიავებული ხეები, ვესტიბიულში მდგარი მარმარილოსდარად შეღებილი ხის ურნები, რქასავით გატოტვილი საკიდრები, კედელზე გაკრული განცხადებები: „საჭადრაკო ტურნირი...“ „ვისაც სურს შვილების საზამთრო ბანაკში გაგზავნა...“ აქ კიდევ სამგლოვიარო ჩარჩოში ჩასმული ვიღაც ჭაბუკის პორტრეტი: „...19... წლის... ოქტომბერს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ტრაგიკულად დაიღუპა ვალოდია სავიცკი. ჩვენი ამხანაგის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში“ (კორესპონდენტმა უნებურად შეასწორა თავისთვის: „მარად იცოცხ-

ლებს ჩვენს გულში"). ამ პირმცინარე და გულუბრყვილო სქელტუჩა ახალგაზრდის პორტრეტმა რაღაც უგუნებოდ გახადა კორესპონდენტი, თუმც ამავე დროს გულმა რეჩხიც უყო: ალბათ საცაა დაიწყება სასწაულებიო. მაგრამ ლაბორატორია, სადაც იგი კლიმოვმა შეიყვანა, უბრალო ოთახი აღმოჩნდა, სადაც მოყვითალო საკანცელარიო მაგიდები იდგა და სასწაულებისა არაფერი იგრძნობოდა. ყველაფერი ჩვეულებრივი იყო, საიდუმლოებით მოცული წარწერის გარდა: „ბრანწი ხარაბუზას". იქნებ ეს შიფრია? კორესპონდენტმა ვოვკას მიმართა:

— თუ შეიძლება აკადემიკოსი ლაგინოვი ვნახო?

— სამწუხაროდ, ამჟამად ეს შეუძლებელია, — მიუგო ვოვკამ მაგნიტოფონის ჩანაწერივით, — მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი ლაგინოვი ალბათ ცოტა მოგვიანებით დაბრუნდება. დაცდა მოგიწევთ. მანამდე კი, თუ მოისურვებთ და რასმე შემეკითხებით, ვეცდები ისეთ საკითხებზე მაინც გაგცეთ პასუხი, ჩემს უფლებამოსილებას რომ არ გასცილდება.

თანამშრომლები ისხდნენ და თვალყურს ადევნებდნენ... ყოველ შემთხვევაში, ვოვკას მაინც აღფრთოვანებით შეჰყურებდნენ. არ გაუტია ამ ძაღლთაპირმა! გეგონება, დაწერილს კითხულობდეს! რომ არც ეღიმება! მხოლოდ ხმაზე ეტყობა (ვინ-ვინ და ისინი კარგად იცნობენ ვოვკას), რომ საცაა სეირი დაიწყება.

— მე მინდოდა, — თქვა კორესპონდენტმა, — დაწვრილებით გამეგო, თუ როგორ იყენებთ თქვენს მუშაობაში გამოსათვლელ ტექნიკას, კიბერნეტიკულ მანქანებს.

— ოჰ, მაგაზე ადვილი რა არის! კიბერნეტიკული მოწყობილობანი, ძირითადად კი ელექტროგამომთვლელი ციფრული მანქანები გონებრივი შრომის ნაყოფიერების გაზრდის მძლავრ საშუალებას წარმოადგენს. გამოთვლები, რაზედაც წინათ კვირეები და თვეებიც კი იხარჯებოდა, თანამედროვე სწრაფმოქმედი გამომთვლელი მანქანების წყალობით რაღაც წუთებში წარმოებს. თანამედროვე გამომთვლელი ტექნიკის მძლავრი საშუალებანი, ათავისუფლებს რა მეცნიერმუშაკს „შავი" გონებრივი შრომისაგან (წინწკლები კოხტად იყო ხმით დასმული), ეხმარება საბჭოთა მეცნიერებს კიდევ უფრო ღრმად ჩასწვდნენ ირგვლივ მყოფ გარე სამყაროს კანონზომიერებას. საბჭოთა მეცნიერების წინაშე იშლება უდიდესი პერსპექტივები...

კორესპონდენტი ცოტა არ იყოს თავგზადაბნეული უსმენდა. ერთი შეხედვით თითოეული ფრაზა თავისთავად სწორი იყო; ნებისმიერი მათგანი შეიძლება გამომდგარიყო მისი მომავალი წერილისათვის. მაგრამ ზეპირად თქმული კი სულ სხვანაირად, ლამის გულისამრევად ჟღერდა. გარდა ამისა, ყველა ეს ფრაზა ან წაკითხული, ან თავისი ხელით დაწერილი, ან მოსმენილი ჰქონდა. ამ ფრაზებიდან ვერავითარ აზრს ვერ გამოიტანდი. ისე ეგონა, თითქოს ქაღალდს ღეჭავდა. ეს არც ერთ წესს არ ეთანხმებოდა. წესის თანახმად ადამიანი ჩვეულებრივი, ადამიანური სიტყვებით უნდა ჰყვებოდეს; მას კი ეს სიტყვები მერე წერილად ექცია. კორესპონდენტმა სიტყვა გააწყვეტინა ვოვკა-კრიტიკოსს:

— გთხოვთ უფრო კონკრეტულად. მე მინდოდა დაწვრილებით გამეგო, კიბერნეტიკული მანქანების გამოყენება როგორ ხდება სწორედ აქ, ამ თქვენს ლაბორატორიაში.

— სიამოვნებით. ჭეშმარიტება ყოველთვის კონკრეტულია. ჩვენი ლაბორატორიის მუშაობა პირდაპირ შეუძლებელი იქნებოდა თანამედროვე ელექტრო-

გამომთვლელი ტექნიკის გარეშე. მართალია, ზოგ შემთხვევაში მცირე მექანიზაციის საშუალებითაც ხერხდება...

აქ ვოვკამ თითი ატაკა საანგარიშო მანქანის კლავიშს. მანქანამ დაიქვითინა, შეტოკდა, მერე ერთბაშად აიწყვიტა, აკაკუნდა და უცებ მიყუჩდა. ვიღაცას სიცილი წასკდა.

„რაებს სჩადის, დამცინის თუ რა?!“ — გაიფიქრა კორესპონდენტმა, მაგრამ ვოვკა დინჯად, აუღელვებლად იდგა.

— ო, ეს ძალიან საინტერესოა, — თქვა კორესპონდენტმა და ბლოკნოტში რაღაც ჩაიწერა. — შეიძლება ვნახო, როგორ მუშაობს ეს მანქანა?

— რა თქმა უნდა! შეგიძლიათ დამოუკიდებლად შეამოწმოთ. აი, აქ დააჭირეთ, ამ ღილაკს, „ორი“ რომ აწერია.

კორესპონდენტმა ფრთხილად ასწია გრძელი, ფერმკრთალი თითი. ძალიან კი ეშინოდა, დენმა არ დამარტყასო, მაგრამ ღილაკს მაინც დააჭირა თითი.

— აგრე არა, ღონივრად. ნუ გეშინიათ. ახლა კიდევ აი აქ. აი, ამ პატარაზე ისევ იმ ღილაკს დააწექით, „ო რ ი“ რომ აწერია.

— და რა მოხდება? — შიშნარევი ხმით ჰკითხა კორესპონდენტმა.

— ჯერჯერობით არაფერი. დააჭირეთ? ასე. ახლა კი ამ კლავიშს დაადეთ თითი, გამრავლების ნიშანი რომ ახატია. მზადაა.

მანქანამ ისე წაიდუდღუნა, თითქოს იგინებაო, წამიერ გაიელვა ციფრებმა და ზემო რეგისტრზე რაღაც ამოხტა.

— ოთხი, — თქვა ვოვკამ და თითით აჩვენა ციფრი: — ორჯერ ორი ოთხია.

— საინტერესოა, — თქვა კორესპონდენტმა, — უფრო რთული მოქმედებების შესრულება შეუძლია?

— ნებისმიერი შეუძლია: შეკრება, გამოკლება, გაყოფა, გამრავლება, ხარისხში აყვანა, ფესვის ამოღებაც კი. თუმცა ეს უკანასკნელი არც ისე იოლია. საჭიროა ალგორითმის ცოდნა.

„ალგორითმი“ — ჩაიწერა კორესპონდენტმა, თუმცა კი შეეჭვდა — სწორად გავიგონე თუ არაო. სკოლაში, მგონი, „ლოგარითმს“ ამბობდნენ. ოღონდაც ხმამაღლა ასე თქვა:

— ნუთუ მართლა?!

— დაასახელეთ ნებისმიერი მოქმედება და მანქანა იმწამსვე შეასრულებს.

— ორი ათას შვიდას ოთხმოცდაცხრა, — თქვა მან და თვითონ გაუკვირდა თავისი გამბედაობის, — გაამრავლოს ოთხი ათას ექვსას ოთხმოცდაშვიდზე. ძალიან ძნელი ხომ არ იქნება?

— მაგაზე ადვილი რაა! აკრიფეთ აი აქ.

კორესპონდენტი დიდხანს ეწვალებოდა. ვოვკამ ბავშვივით ჩაავლო ხელი თითში და ააკრეფინა. გამრავლებისნიშნიან კლავიშს კორესპონდენტმ თვითონ დააჭირა თითი. მანქანა მყის გიჟურად ახრიალდა, აკაკანდა, რეგისტრზე შედეგი ამოაგდო და გამარჯვებულის სიამაყით ჩაჩუმდა.

— გან-სა-ცვი-ფრე-ბელია, — თქვა კორესპონდენტმა, მერე თვითონაც გაბედა და რომელიღაც კლავიშზე დააჭირა თითი. მანქანა ახლა სხვაგვარად აკაკანდა და ციფრებიც სულ სხვანაირად აცეკვდნენ. მაგრამ უბედურება ის იყო, რომ მანქანა აღარ და აღარ გაჩერდა. ვოვკა შეწუხებული იერით მივარდა მანქანას და დაუყოვნებლივ დააჭირა რამდენიმე ღილაკს თითი. ახლა მანქანა სულ სხვა, ადამიანური ხმით აწლაკუნდა, ცოტა კიდევ იტრიალა და გაჩერდა.

— რა იყო ეს?! — ჰკითხა თავზარდაცემულმა კორესპონდენტმა.

— დიდი არაფერი. თქვენ, უბრალოდ, უსასრულობაში ჩართეთ... პულტთან ნული ეწერა, თქვენ კი გაყოფის ბერკეტს დააჭირეთ. მოგეხსენებათ, ნულზე გაყოფა შეუძლებელია. ნულზე გაყოფისას უსასრულობას ვღებულობთ. ჰოდა, მანქანამაც უსასრულოდ დაიწყო გამოთვლა.

— კი მაგრამ, რომ აღარ გამოგერთოთ?

— ითვლიდა და ითვლიდა განუწყვეტლივ, თუ, რაღა თქმა უნდა, რაღაც არ გაუფუჭდებოდა.

— რა უხერხულად გამომივიდა, — თქვა კორესპონდენტმა.

— არა უშავს, — ანუგეშა ვოვკა-კრიტიკოსმა. — ჩვეათან ეს ბარე ათჯერ მაინც ხდება დღეში.

„ჩავრთე უსასრულობაში“ — ჩაიწერა კორესპონდენტმა და შემდეგ ჰკითხა:

— ელექტრონათურებს რომ ვერ ვხედავ?

ვიღაცას ისევ წასკდა სიცილი. ვოვკა კი ჩვეულებრივად უშფოთველი იყო:

— იცით, აბისთანა მანქანებს ელექტრონათურები არ გააჩნია. ეს ჩვეულებრივი არითმომეტრი გახლავთ. მაგრამ თუ თქვენ ნამდვილი ელექტროგამომთვლელი მანქანა გაინტერესებთ, მაგასაც განახებთ. ასეთი მანქანა სხვა კორპუსშია. იქ სპეციალური საშვია საჭირო, მაგრამ მე ყველაფერს მოვაგვარებ. შეგიძლიათ პროფესორის კაბინეტში დამელოდოთ.

ვოვკა წავიდა. კორესპონდენტი პროფესორის კაბინეტში ელოდებოდა მას. კედელზე სურათი ეკიდა. თითქოს ელვას გაუპიაო, ისე ჩანდა ამ სურათზე რაკეტის გაშვების შემდეგ ლილისფერი, კვამლიანი ცა... ზღვის დამრეცი, უკაცრიელი ნაპირი, ნაცრისფერი ტალღები. ქვაზე მაიმუნი იჯდა. საცე ხელებში ჩაერგო და ისე ჩასჩერებოდა თეთრ ხაზს — რაკეტის ანარეკლის ნაკვალევს ზღვაზე. კუთხეში ხელმოწერა იყო: ვ. ლაგინოვი. რა უცნაური სურათია!

კორესპონდენტს გააჟრჟოლა. „რა საოცარი ხალხია აქ. თითქოს ყველაფერს არასერიოზულად აკეთებენ. თუნდაც ეს ქურთუკიანი თეთრკბილა ყმაწვილი. ვერ გავიგე, დამცინოდა თუ არა?.. ასევე არიან სხვებიც“.

მაგიდაზე ხელნაწერი იდო. პროფესიული თავაზიანობა უკარნახებდა, შიგ არ ჩაეხედა, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ მაინც წასძლია და ხელნაწერს ჩახედა. ეს რა საოცრება იყო — ქაღალდის სუფთა ფურცელი და ზედ შორიშორს დაწერილი ცალკეული სიტყვები:

აქედან
მაგრამ თუ
მაშინ
მაშასადამე...

კორესპონდენტს ისე ეჩვენა, რომ საცაა ჭკუაზე შეირყეოდა. ფურცელი გვერდზე გადადო და მომდევნოს ჩააჩერდა. მეორე სრულიად სუფთა აღმოჩნდა. მხოლოდ სულ ბოლო ფურცელზე მოულოდნელად გარკვევით ეწერა:

„ამრიგად უტოლობა (9,1) დამტკიცებულია“.

მხოლოდ ახლა მიხვდა იგი, რომ ეს იყო მანქანაზე გადაბეჭდილი მათემატიკური ტექსტი, ჯერ კიდევ რომ არ აეჭრელებინათ ფორმულებით.

მეზობელ ოთახში ხუმრობდნენ. თუმცა მას მხოლოდ ცალკეული სიტყვები ესმოდა. ოღონდ ეს სიტყვებიც იმ უცნაური სუფთა ფურცელივით იყო. თითქოს სრულიად უცნობ ენაზე ლაპარაკობდნენ. უფრო ხშირად სიტყვები არ ესმოდა,

ხოლო როცა ნაცნობ სიტყვებს გაიგონებდა, ისევე ნაჯახირევი და ღვარჭნილი ეჩვენებოდა, როგორც იმ სურათზე დახატული მაიმუნი.

— ჰიპერბოლის ტოტები... — თქვა რომელიღაცამ.

„ჰმ, ჰიპორბელის ტოტები. მეტად მაღალფარდოვანია“, — გაიფიქრა კორესპონდენტმა.

ელექტრონული ტვინი

მას ეგონა, რომ ვეებერთელა მანქანას ნახავდა, კბილანებიანს თუ რა ჯანდაბას ეძახიან; ერთი სიტყვით, წელან რომ „უსასრულობაში ჩართო“, აი იმ მანქანის მსგავსს, მხოლოდ, რასაკვირველია, ელექტრონათურებიანსა და უფრო დიდს. შესაძლოა ადამიანი-რობოტის ფორმაც ექნეს. თვალების მაგიერ ნათურები ექნება ჩასმული. მან ხომ უამრავი ფანტასტიკური რომანი გადაიკითხა და იცის, რას წარმოადგენს რობოტი, — ფოლადის უსულო, ულმობელი არსება, ელექტრონული ტვინი რომ აქვს. მაგრამ იგი მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ მანქანა მთლიანად ვერასოდეს ვერ შესცვლის ადამიანს. ვერ შეძლებს, რაგინდ ბევრი არ ილაყბონ ბურჟუაზიულმა იდეალისტმა მეცნიერებმა. ამის თაობაზე სემინარზეც კი წაიკითხა ერთხელ მოხსენება.

ის, რაც მან დაინახა, არც მანქანას ჰგავდა და არც რობოტს. ეს იყო უბრალოდ დიდი, მაღალჭერიანი დარბაზი, სადაც რაღაც კარადები თუ დაზგები იდგა. არა, მგონი, ყველაზე მეტად, კონსერვატორიის დიდ დარბაზში რომ ორღანია, იმას წააგავდა, უამრავ ორღანს, ერთად აღებულს.

მანქანა მუშაობდა და ისეთი მრისხანე სიმხურვალე ჰქონდა, როგორც ცოცხალ ორგანიზმს. ცოცხლად, უხმაუროდ, თითქოსდა ავის მომასწავებლად ღაღანებდა უამრავი პატარა ნათურის მოყვითალო, მბჟუტავი სინათლე. თითოეული ნათურა ენთებოდა და ქრებოდა, ენთებოდა და ქრებოდა. ვეებერთელა დანადგარების ზედაპირს კი უხმოდ დასცახცახებდა მოციმციმე სიცოცხლე. მანქანას თვალები არ ჰქონდა, მაგრამ მთელი სახე, მთელი ტანი უხამხამებდა. პულტიდან პულტამდე ჩუმად მოძრაობდნენ ლურჯხალათიანი ადამიანები; ხხოლოდ ხანდახან თუ ესროდნენ ერთმანეთს ხმადაბლა მოკლე-მოკლე ფრაზებს. მანქანა არც ჩხაკუნობდა, არც დგანდგარებდა, მაგრამ მის ახლოს მაინც იგრძნობოდა ჩუმი, სუსტი ზუზუნი.

ვოვკა-კრიტიკოსი რაღაცას უხსნიდა, მაგრამ კორესპონდენტს ისევ მხოლოდ ფრაზის ნაწყვეტები ესმოდა: „ოპერატიული მეხსიერება“, „ხანგრძლივი მეხსიერება“, „მეხსიერება მაგნიტურ ბორბალზე“. იგი ძლივს ასწრებდა ჩაწერას. უკვე დაიღალა. „ამას თურმე მეხსიერება ჰქონია, — ფიქრობდა იგი, — ისიც ბორბალზე! რას მოვესწარით“!

— ელექტრონული ტვინი, — თქვა მან რაც შეეძლო თავაზიანად, — მართლა რა საოცარია.

— მოძველებული ნიმუშია, — აგდებით ჩაილაპარაკა ვოვკა-კრიტიკოსმა. ისინი დაბრუნდნენ ლაბორატორიაში და ჩიფიც მოვიდა. ისეთი ნატიფი თავაზიანობით შეეგება კორესპონდენტს, როგორიც არათუ მეცხრამეტე, მეთვრამეტე საუკუნეს თუ ახასიათებდა. მერე პატარა კაბინეტში მიიწვია.

ჩიფი მაგიდაზე იდაყვებით დაეყრდნო და თავისი წითელი, კოტიტა თითები ერთმანეთს გადაანასკვა.

— რით შემიძლია გემსახუროთ? — ჰკითხა მან მერე.

კორესპონდენტიც თავისებურად პოეტი იყო. მას ბევრი რამ ენახა და გამოეცადა. ჰოდა, ახლა ლაგინოვის პირდაპირ რომ იჯდა, ხარბად უყურებდა და აკვირდებოდა მას. მის წინ არცთუ ისე მოხუცი მამაკაცი იყო, წითელი, შინდისფერი პირსახე ჰქონდა, ალუმინისფრად შეჭაღარავებული მოკლე, მაგრამ სქელი თმა. იგი სავარძელში იჯდა, თავისსავე თითებს დაჰყურებდა და ოდნავ იღიმებოდა. ამ კაცმა დახატა მაიმუნი. იგი ისევე გაუგებარი ჩანდა, როგორც წელან გაგონილი... „ჰიპერბოლის ტოტები“.

უკვე დროა ჰკითხოს რამე, მაგრამ კორესპონდენტს ერთბაშად დაავიწყდა დილიდანვე გამზადებული ყველა კითხვა. „მგონი, მანქანებზე უნდა შევკითხოდი, არა?... შეუძლია თუ არა მანქანას შეცვალოს ადამიანი?... არა, ასე არა. რა თქმა უნდა, არ შეუძლია. აბა, მეცნიერების განვითარების პერსპექტივებზე ვკითხო? ვარსკვლავთშორის მოგზაურობაზე?“

უცებ, მოულოდნელად და მშვიდად თვითონ ლაგინოვი ალაპარაკდა:

— დიახ, ბევრი რამ იცვლება. დიდად შეიცვალა სამყაროც. მაგრამ განა ამაზე საკვირველი სხვა რამ არ არის? ის კი არა, რაც იცვლება, არამედ ის, რაც მარადიულია. ადამიანი და მისი მოთხოვნილებები... ადამიანურობა... სიყვარული.

და ჩაჩუმდა. რამდენიმე წამს ორივენი დუმდნენ. მერე ტელეფონი აწკრიალდა.

— დიახ, დიახ, — ამბობდა ლაგინოვი, — მეც ზუსტად ამას ველოდი. ჩანს, ასეთი სიჩქარეებისას ახალ და ახალ მოვლენებს ვაწყდებით. მატერია, როგორც ასეთი, იშლება, დეზინტეგრირება ხდება... საინტერესოა. უაღრესად საინტერესოა... მოვალ, უსათუოდ მოვალ.

დაკიდა ყურმილი და ერთხანს თვალგაშტერებული იჯდა. სულ გადაავიწყდა სტუმარი. ახლა, ასე გაყუჩული და გაჩუმებული, რატომღაც უფრო გასაგები გახდა. ახლა მაგიდას დაქანცული, ხანდაზმული და არცთუ ძალიან ბედნიერი ადამიანი უჯდა. მაგრამ ეს ერთ წამს გაგრძელდა მხოლოდ. მერე ისევ გამოცოცხლდა, გაახალგაზრდავდა თითქოს და ჩვეულებისამებრ გაუგებარი და უცნაური გახდა.

— ამრიგად, მე თქვენ გისმენთ, — თქვა მან ხმამაღლა და სიტყვა „ამრიგად“ მეტად მჭახედ ნათქვამი გამოუვიდა.

საღამოს კი კორესპონდენტი შინ იჯდა და ლაგინოვის ლაბორატორიაზე წერილს წერდა. ყველაფერი თვალწინ ედგა: ჩიფის დამძიმებული დიდი თავი, ღრმა, შინდისფერი ნაოჭები და ცოცხალი, ცისფერი თვალები; მანქანა, სითბოს რომ გამოყოფდა და ჰაერი, მანქანის ირგვლივ რომ წვრილად, წვრილად ზუოდა. ის ქურთუკიანი თეთრკბილა ჭაბუკიც... ის ამაღელვებელი, სახეზე წუთიერად გაელვებული ოდნავ ასიმეტრიული ღიმილიც ქალიშვილისა, გამოსვლისას რომ შეამჩნია. თავიდან სხვა გოგო უფრო მოუვიდა თვალში, ქერა თმა რომ ჰქონდა. მაგრამ ეს უკეთესი იყო, რა საოცრად გაიღიმა მაინც! თან რა კოხტად იყო მაგიდაზე დახრილი და თმის ბოლოები წიგნის გადაშლილ ფურცლებს ელაციცებოდა. კი, მან ეს ყველაფერი ნახა, მაგრამ ამ ამბებს არაფერი ჰქონდა საერთო იმასთან, რისი დაწერაც განიზრახა. კაცმა ხომ ისე უნდა წერო, როგორც წესი და რიგი მოითხოვს! ვინ, ვინ და მან ეს წესები წყალივით იცოდა. რო-

დესაც კორესპონდენტი საკუთარ წერილს კითხულობდა, სიამოვნებისგან თვალებს ლულავდა. ასე ეგონა, ვითომც ნარნარა ტალღებზე იწვა და ირწეოდა. ყველაფერი ისე გამართულად და სწორად ჟღერდა, თითქოს მრავალჯერ მოსმენილი და წაკითხული ჰქონოდეს. სწორედ ასეთი გამართული, ასეთი ჩვეულებრივი წერის ხერხით მოჰქონდა მას თავი. სალონური ცეკვების დროსაც ხომ არ არის საჭირო ორიგინალობის გამომჟღავნება? უბრალოდ უნდა იცეკვო ისე, როგორც წესი მოითხოვს. სხვანაირად წერაც ისეთივე სათაკილო იქნებოდა, როგორც, მაგალითად, გაპრიალებულ პარკეტზე მოცეკვავეთა შორის ვინმე ხეპრემ კეფის ფხანით და ზლაზვნით გაიარ-გამოიაროს.

კორესპონდენტი ჩქარ-ჩქარა, გაწაფული ხელით წერდა წერილს, წერდა ისე სუფთად, ერთი სიტყვაც არ წაუშლია.

„წარბებშეჭმუხვნილი ოქტომბრის დღეა... ხეებს კაი ხანია მიმოეფანტა ფოთლები. მოქურუხებულია ცა. მაგრამ საწარმოს მეათე ლაბორატორიაში, სადაც უფროსად ამხ. №-ა, სინათლე ანთია. ის განსაკუთრებული სინათლე, რომელიც“... როგორც კალამი ფურცელზე, ისე სრიალებენ სიტყვები თემის ირგვლივ.

„— ამიერიდან, — გატაცებით აცხადებს ახალგაზრდა ნიჭიერი მეცნიერი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ვ. ა. კლიმოვი, — აღარ იარსებებს გადაუწყვეტი ამოცანები, დაუძლეველი პრობლემები. ჩვენს ელექტროგამომთვლელ მანქანას, რომელიც წამში 8000 ოპერაციას ასრულებს, გამომთვლელთა მთელი არმიის შეცვლა შეუძლია. კლიმოვი გულწრფელად, გატაცებით ლაპარაკობს. მისი თვალები...“

(„ეხ, მისი თვალები. მაინც დასცინოდა თუ არ დასცინოდა?“).

„მანქანა გუგუნებს (ელექტროტვინის მთელი დაძაბვითო, — უნდოდა დაეწერა, მაგრამ გადაიფიქრა). ინთება და ქრება გონივრული ხელსაწყოების ნათურები. ხელსაწყოებს ლურჯხალათიანი ადამიანები მართავენ. რიტმულად, შეწყობილად მუშაობს მთელი კოლექტივი, დირექტორიდან დაწყებული დარაჯის ჩათვლით.

— ჩვენ, საბჭოთა მეცნიერებს, ყოველგვარი შემოქმედებითი პირობები გვაქვს შექმნილი, — თქვა მეგობრულ საუბარში ლაბორატორიის გამგემ, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებულმა მოღვაწემ პროფესორმა ვ. ვ. ლაგინოვმა, — მხოლოდ შემოქმედება და მხოლოდ შემართებაა საჭირო.

პროფესორს ახალგაზრდა აღარ ეთქმის, მაგრამ მისი თვალები მაინც ჭაბუკური სიფიცხითა და დაუცხრომელი ენერგიით ბრწყინავენ“.

წამით კორესპონდენტს თვალწინ დაუდგა ისევ ცოცხალი, შინდისფერი სახე, ნათელი, ბავშვურად მეტყველი თვალები, მოქანცული ადამიანი, მაგიდას რომ უჯდა უცნაური მაიმუნის სურათის ქვეშ. ამაზე ღრმად ჩაფიქრებაა საჭირო. ოღონდ შემდეგ. წერილს კი ეს ამბები არ ეხება. კორესპონდენტი ცეკვის წესებს არ არღვევდა.

სხვადასხვა

კორესპონდენტის გაცილების შემდეგ ახალგაზრდა ნიჭიერი მეცნიერი ვ. ა. კლიმოვი ლაბორატორიაში დაბრუნდა. რატომღაც ცოტა დარცხვენილი იყო. ამხანაგებმა მართლაც გააძვრეს ტყავი.

— ტუტუცობა იყო და მეტი არაფერი, — თქვა ზინკამ, — რა მოგვიტანა მისმა გაპამპულავებამ?! ისიც ხომ ადამიანია, რა დააშავა, თუ მანქანა არასოდეს არ უნახავს! შენ კი რაღაც ალგორითმზე გაუბი. ნეტა რას იზამდი, მართლა რომ ეთხოვა ფესვის ამოღება. მე არ ვიცი, ვინ ხითხითებდა, მაგრამ წმინდა წყლის ხულიგნობა კი გახლდათ.

— მე ვხითხითებდი, — განაცხადა ხარაბუზამ, — და არც ვნანობ. მართლა რა სპეციალისტი მყავს ასეთი! სასაცილოა კიდეც! იმაზე ნაკლებად არც ჩვენ დავწერდით ჩვენს ამბებზე გაზეთში. გინდაც მე. იმაზე უარესად კი არა, უკეთესადაც. მილიონჯერ!

— ბერე ვინ დაგიშალა? აიღე და დაწერე.

— არა მცალია, თორე...

— ყველა აგრე გაიძახის — არა მცალიაო. ადექი და სინჯე, იქნებ ღამით დაწერო. გენაძლავები, არაფერი გამოგივა.

ჟენია სტრელცოვი დუმდა და ფიქრობდა. „მე კი შემიძლია... მე დავწერ თქვენზე, ჩემო ამხანაგებო, ჩემო ძვირფასო ადამიანებო... ყველა ისე დაგინახავთ, როგორც მე გხედავთ. ყველას შეუყვარდებით, როგორც მე მიყვარხართ“.

ვოვკა-კრიტიკოსი ჯერაც უხერხულად გრძნობდა თავს... მერე ქურთუკის საკეტი ნერვიულად ჩაიხსნა და ფოტოსაკუჭნაოში შევიდა. საკუჭნაოში მაგიდას ვილაც უჯდა. თურმე ვოვკა-ჭკვიანი ყოფილა.

— აქ რა გინდა? — ჰკითხა კრიტიკოსმა.

ვოვკა-ჭკვიანი იჯდა და სახე ხელებზე ჰქონდა დაყრდნობილი. ნარინჯისფერ სინათლეზე მეტად მკრთალი, დადინჯებული, მწუხარეც ჩანდა. შავი სათვალე უსიცოცხლო სახეზე ჩამოცმულ ნიღაბს უგავდა.

— რა გინდა აქ? — ისევ გაუმეორა კრიტიკოსმა.

— მისმინე, ვალოდია, — თითქოს დაუდევრად დაიწყო ვოვკა-ჭკვიანმა. — რაღაც უნდა გკითხო.

— მართლა?.. გისმენ.

— როგორ გითხრა... ერთი სიტყვით, კლარაზე მინდა შეგეკითხო... შენ რას იტყვი, როგორია?

— როგორია?!. უცნაური შეკითხვაა. კლარა კლარაა.

— ტრივიალურია... ა არის ა. ფორმალური ლოგიკის პირველი კანონი. არა, ეგ არ მაინტერესებს. მე მინდა ინფორმაცია მომცე... მის გარეგნობაზე, თუ როგორც იტყვიან... — ვოვკა-ჭკვიანმა სახე მიატრიალა და ლაბორატორიის მაგიდაზე თითები აათამაშა, — მიამბე, როგორია.

ვოვკა-კრიტიკოსს გული შეეკუმშა, თითქოს თვალებიც აეწვა. „რა ჯანდაბა მემართება? კიდევ კარგი, ბნელა“. ისიც კი დაავიწყდა, რომ ვოვკა მაინც ვერ დაინახავდა.

— როგორი? საკმაოდ კონდიციურია: ლამაზი, ქერა, თეთრი, მაღალი.

— კლარა ისედაც „ქერას, ნათელს“ ნიშნავს, — თქვა ყრუდ ვოვკამ, — უფრო დაწვრილებით მიამბე. ისე აღწერე, რომ მე დავინახო.

— აბა როგორ აღვწერო?... ის წააგავს სამ... სამ ვარდს ერთად.

მრუმე, ნაღვლიანი საღამო დგას, კოკისპირულად წვიმს.

მეათე ლაბორატორიის თანამშრომლები შინ მიდიან. კარგა დიდ გუბეებში თითო-ოროლა ფარნის სინათლე ციმციმებს.

ზინკა და ვოვკა-კრიტიკოსი სულ ბოლოს გამოვიდნენ ლაბორატორიიდან. ზინკას ქუდიანი საწვიმარი მოუსხამს და პატარა გოგოს ჰგავს. ქუდიდან ჩამონაღვენთი წვეთები პატარა ცხვირზე ეცემა. გვერდით ვოვკა მიაბიჯებს. შავად მბზინავ თავზე ქუდი არ ახურავს. წვიმაში არც იკუზება და არც იბღუნძება; დაადებს ხოლმე თავს და, თითქოს წვიმა არც არისო, მიაბოტებს თავისთვის.

— მისმინე, ზინკა, — ეუბნება ვოვკა, — რაღაც არაორიგინალური მინდა გითხრა.

— ვიცი, ვოვკა, — დინჯად, მშვიდად უპასუხებს ზინკა, — ნუ იტყვი.

— კარგი, არ ვიტყვი. შენ თვითონ მითხარი ერთი სიტყვა.

— ერთი სიტყვა? არა.

ერთხანს ჩაჩუმდნენ. მერე ისევ ვოვკამ წამოიწყო:

— მიგიხვდი, ზინკა. გუმანით ვხვდებოდით, რომ წარსულში რაღაც შეგემთხვა. მაგრამ იქნებ ოდესმე...

— რის წარსული, რა წარსული, საქმე აწმყოს ეხება.

— მაშ გიყვარს ვინმე?

— აბა რა!

— ზინკა, ვიცი, რომ უფლება არ მაქვს გკითხო — ვინ ან რა. ვიტყვი მხოლოდ სახელს, შენ კი დამიმოწმე: ან „ჰო“ და ან „არა“. ვოვკა-ჩვეულებრივი?

— აბა რა!

„ვოვკა-ჩვეულებრივი, ვოვკა-ჩვეულებრივი“ — მიდიოდა და ფიქრობდა ვოვკა-კრიტიკოსი. როგორც ყოველთვის, გვერდს უვლიდა გუბეებს და, როგორც ყოვლთვის, წელში იყო გამართული. თუმცა ახლა კი მართლაც უნდოდა მხრების ჩამოყრა. მიდიოდა და საკუთარ თავს ეკითხებოდა: რატომ მაინცდამაინც ვოვკა-ჩვეულებრივი? ბაგეები კანკალით ჩურჩულებდნენ: „რატომ მაინცდამაინც ვოვკა-ჩვეულებრივი?!“ თუმცა, კაცმა რომ თქვას, იცოდა, რატომაც. სწორედ იმიტომ, რომ ჩვეულებრივია, არც პრანჭია, არც სკეპტიკოსი, არც კრიტიკოსი, მხოლოდ ჩვეულებრივი ვოვკაა.

ვოვკა-ჩვეულებრივი არც კანდიდატია, არც ინჟინერი; ტექნიკია მხოლოდ, შეუხედავი, გამხდარი, გალეული ყმაწვილი. თუმცა ოქრო ხელები კი აქვს. როცა რაიმეს გაკეთებას სთხოვენ, ღიმილით ამბობს: „ეს შეიძლება“. ღიმილიც ისეთი სადა და ნათელი აქვს ვოვკას... ყველას ერთნაირად უღიმის, უფროსსაც, უმცროსსაც.

ზინკა და ვოვკა-ჩვეულებრივი კრიტიკოსს ხშირად შეუმჩნევია ერთად, მაგრამ ვერაფერს მიმხვდარიყო. ის კი არა და ვერც სხვები ატყობდნენ რაიმეს. ყოველთვის ვოვკა-ჩვეულებრივი აკეთებდა და აწყობდა ხოლმე ზინკას სქემებს. ზინკა კი გვერდით ედგა, უხსნიდა და მოუთმენლად იკვნეტდა ფრჩხილებს. დინჯზე დინჯი იერი ჰქონდა.

დღეს, როდესაც ამ წვიმაში შინ მიდიოდა, ვოვკა-კრიტიკოსმა პირველად იგრძნო, რომ ვერ არის მთლად კარგი ბიჭი, ალალი, ნამდვილი. ზინკა და ვოვკა-ჩვეულებრივი.. გულსატკენია, მაგრამ ასეც მოუხდება. არა უშავს, ისიც გახდება ოდესმე კარგი, ალალი, ნამდვილი.

დაუვიწყარი დღე

ყველა ადამიანს აქვს ცხოვრებაში დაუვიწყარი დღეები. ასევე ყოველ კოლექტივსაც (თუ მას ადამიანად ჩავთვლით). მეათე ლაბორატორიასაც დაუდგა

ასეთი დღე, დაუვიწყარი დღე. შეიძლება ითქვას — „დიადი დღე“. თუმცა აქ არ უყვართ ასეთი სიტყვები.

ამ დღეს, როგორც ჯერ არს, არავის უმუშავნია. კუთხიდან კუთხეში დაბორიალობდნენ მხოლოდ. ჯგუფებად იკრიბებოდნენ და რატომღაც ხმადაბლა ლაპარაკობდნენ. დღეს ოფიციალურად დართეს ნება — დარჩენილიყვნენ სამუშაოზე, სანამდეც მოისურვებდნენ. თუნდაც მთელ ღამეს.

ყველა ადგილზე იყო ჩიფის გარდა. ჩიფი უთენია გაემგზავრა სადღაც, მგონი, კატების გამოფენაზე. თავისი კატის დიდი იმედი ჰქონდა. არც არავის უკვირდა — ჩიფი ყოველთვის ასეთი იყო.

ჟენკა-ლირიკოსი მთელ დღეს ლექსებს წერდა. ხან წაშლიდა, გადაჯლაბნიდა, ხან მეორედ გადაწერდა. როცა ვინმე მიუახლოვდებოდა, შეშფოთებით გადააბრუნებდა ხოლმე ფურცელს.

ყველაფერს ნათლად ხედავდა, რისი თქმაც სურდა, მკაფიოდ, გამოკვეთილად; თითქოს უკვე დაწერილი ჰქონოდეს ქაღალდზე... ქაღალდი კი სუფთა იყო. წვალობდა, თავს იმტვრევდა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა.

„არვინ და ყველა... თქვენ ძალიან ბევრნი იყავით“... წერდა და ისევ შლიდა. არა, ასე არა.

„არვინ და ყველა... თქვენ არ გიცნობენ...“ არც ასე გამოდიოდა. კვლავ შლიდა.

ვოვკა-ჩვეულებრივი კუთხეში მაგიდას მისჯდომოდა და აწყობდა. ის ამოწმებდა მიმღებს. მიმღები დიდი ხნის გამართული იყო, ის კი ატრიალებდა და ატრიალებდა სახელურებს. სტვენითა და ხრიალით გადაჰყავდა ერთი ტალღიდან მეორეზე; ხანდახან მკვეთრად დაიწივლებდა რადიო და მაშინ ყველა რატომღაც შეკრთებოდა ხოლმე.

ჩვეულებრივზე მეტად ჩაფიქრებული ვოვკა-კრიტიკოსი კი ფეხზე იდგა და ალალბედზე აჭერდა ხელს გამომთვლელი მანქანის ღილს. რანდენიმეჯერ უსასრულობაშიც კი ჩართო... აუტანლად ნელა მიზოზიალებდა დღე. ჟენკა კი სულ წერდა:

„ხართ ფიზიკოსნიც და ლირიკოსნიც...“ — მაგრამ იფურთხებოდა და ისევ შლიდა.

ათეული ვარიანტი მოსინჯა, ბოლოს ხელი ჩაიქნია და ერთ-ერთი გადაათეთრა. შესაძლოა არჩევანი არც ისე სწორი იყო; იქნებ ეს სხვას არც სჯობდა, მაგრამ...

თვითონაც არ იცოდა, როგორი გამოუვიდა, კარგი თუ ცუდი. უფრო კი ცუდი ეგონა. მიუხედავად ამისა, ამაღამ, „იმის“ შემდეგ, ჟენკა წაუკითხავს თავის ლექსს მეგობრებს. იცინონ, რამდენიც ენებოთ.

და აი, დადგა ღამეც.

ჯერ ადრეა. რადიოში მუსიკას გადმოსცემენ. უცნაურია, რომ ასეთ დროს მუსიკისათვის სცალიათ! თუმცა რატომაც არა! ხომ არავინ არ იცის... თითქმის არავინ. ხვალ კი ყველა გაიგებს. თუკი...

უკვე მალე იქნება. ნახევარი საათი დარჩა.

ვოვკა-ჩვეულებრივი საათს ჩასჩერებია და სახელურებს ატრიალებს მიმ-

ღებზე. აი, სიჩუმეში გაისმა სიგნალი, თითქოს ჩიტი წრიპინებსო: „პი-პიი-პი“, ფაქიზად, თანაბრად გაისმის ეთერში. დარჩა თხუთმეტი წუთი...

ყველანი წამოდგნენ და მიმღებს შემოეხვივნენ. თხუთმეტი წუთი... მოთმენა არ გინდა?! იქნებ სულაც არაფერი გამოვიდეს?.. არა, შეუძლებელია.

ხუთი წუთი...

მიიზლაზნებიან, მიზოზიალებენ წყეული წუთები. თითოეული მთელი სიცოცხლის ხელაა... გული ლამის გაჩერდეს... ისევ ისე განგაშებს სიგნალი, ისევ ისე წრიპინებს ჩიტი. მეტის მოთმენა შეუძლებელია. ყველანი, ვარდისფერლოყება კლარაც კი, ფერმიკრთეულნი დგანან. ზინკას ღაწვებზე მეტად ბაგეები გაჰფითრებია. ვოვკა-ჩვეულებრივი ზინკას ჩახუტებია, დგას და საათმომარჯვებული ხელი უძიგძიგებს. ვოვკა-კრიტიკოსს მხარში ჩაუვლია მისთვის ხელი. ვოვკა-ჭკვიანს კი თვალებზე ხელი აუფარებია. რას ხედავს ნეტავ? იქნებ წამით გაელვებულ იმ კაშკაშა სინათლეს, რის შემდეგაც აღარაფერი დაუნახავს.

ორი წუთი... ერთი.

სიჩუმეა, სამარისებური სიჩუმე.

. . . . .

აღსრულდა. არა, გაკეთდა.

. . . . .

ჟენკას სკამის საზურგისათვის ჩაევლო ხელი და ისე იდგა. უეცრად გასაოცრად მოუნდა მუხლებზე დაჩოქება, იქვე, მიმღების გვერდით. მაგრამ არა, არ იქნება, სირცხვილია. მერე ცალი მუხლით სკამს დაეყრდნო და თავი ხელებში ჩარგო. ყველანი დუმდნენ.

ანაზდად ჟენკამ რაღაც სულელურად ამოიხრიალა, წელში გასწორდა და დიდი ნაბიჯებით გავიდა გარეთ. სკამზე დაკეცილი ფურცელი დარჩა.

პირველად, რასაკვირველია, ვოვკა-კრიტიკოსი ალაპარაკდა. მისი ხმა ყველას ძალიან ჩვეულებრივი ეჩვენა. ნეტა რას ელოდნენ?

— მოთმინება იქონიეთ, — ამოიზმუვლა ვოვკა-კრიტიკოსმა, — ვნახოთ, ეს რა ქაღალდი დაუკარგავს ჟენია სტრელცოვს!

ქაღალდზე ლექსი ეწერა:

არვინ და ყველა... სხვა არაფერი,
ვერ გახსენებენ უთვალავ გმირებს;
დუმს ეკრანების თეთრი აფრები
და არ გადიდებთ პოეტის ლირა.
თუმც გიცნობენ კი თქვენ პოეტები —
როგორები ხართ, რა ხართ და ვინ ხართ,
ფილოსოფოსნი და ასკეტები,
გადამალულნი შესასვლელს მიღმა?!
სიზმრადაც არვის მოლანდებია
მაგ მძიმე ხვედრის წონა და ზომა,
რომ ფიზიკურზე უფრო ძნელია
ეს გონებრივი უსაზღვრო შრომა.
და როცა თქვენი ჩამოკრავს ჟამი,
გაზეთი ქებას ასხამს გონებას,
მგოსნები ლექსით სასმისებს სვამენ,
მე კი ყოველთვის თქვენ მაგონდებით —
გუთნისდედები, ბელტს რომ ბელტებზე
მეცნიერების ხნულში აფენენ,
უერთმანეთოდ შეუძლებელნი,
არვინ და ყველა... სხვა არაფერი.

არავის გაუცინია. პირიქით, დუმდნენ.

მერე ნაუცბათევად გაჩხრიკეს ლექსი.

— მაღალფარდოვანია, — თქვა ერთმა.

— სიზუსტე აკლია, — თქვა მეორემ.

— არა, ამხანაგებო, მე მაინც მიმაჩნია, რომ არის რაღაც.

— ზინკა, შენს შენიშვნას ინფორმაცია არ გააჩნია. საგანში, თუკი იგი არსებობს, ყოველთვის არის რაღაც.

ტელეფონი აწკრიალდა. ყურმილი ვოვკა-კრიტიკოსმა აიღო. ჩიფი ლაპარაკობდა.

— სულით და გულით გილოცავთ, — თქვა ჩიფმა, — როგორც ახალგაზრდებს შეშვენით, თქვენ ზეიმობთ. ეს ბუნებრივია, ადამიანური. თუმცა ეს მინდა გკითხოთ: განა არასოდეს დაფიქრებულხართ, რომ ზეიმი მხოლოდ ადამიანებს სჩვევიათ? ოდესმე მე გავხდები ენგელსი და დავწერ შრომას: „ზეიმის როლი მაიმუნების გაადამიანების პროცესში“. მაგრამ რაც უფრო განვითარებულია ადამიანი, მით უფრო ნაკლებ უკავშირებს იგი საზეიმო დღეებს ჩვეულებრივს; ზეიმს იგი ჩვეულებრივ დღეებშიც ხედავს.

— კატამ რა ჰქნა? — ბრიყვულად შეაწყვეტინა ვოვკამ.

— რომელმა კატამ?! ჰოო, გამოფენაზე მეკითხებით? გმადლობთ. ვერცხლის მედალი მიიღო. მაშ, ასე: მოგესალმებით და მოგილოცავთ! არ დაგავიწყდეთ — ხვალ ჩვეულებრივი სამუშაო დღეა!

დსამარეგული ლექსი

თარგმნა

თინათინ ჯავახიშვილმა

სიკვდილი თანდათან ძალობდა ბებერი სოვდაგრის საძინებელ ოთახში. როცა იქ შევედი, იგი უკვე სულთმობრძავი იყო. ოდესღაც ჯანსაღ, გაღაქღაქებულ სახეზე ახლა მიწისფერი ედო და მისმა დანახვამ თავზარი დამცა. ვიცოდი, ადრე რომ საავადმყოფოში იწვა და ახლა იმიტომ გამოეწერათ, შინ მაინც მოკვდესო.

დავინახე თუ არა თავის ოთახში ის სოვდაგარი, გავიფიქრე: არამცთუ ასეთი მძიმე ავადმყოფი (მაგის დღეები დათვლილიაო, ასე ამბობდნენ ექიმები), ჯანსაღი ადამიანიც რომ დააწვინონ ამ ოთახში, აღსასრულის მოახლოებას ისიც კი იგრძნობს-მეთქი.

როგორც იყო ვძლიე თავს, დავმშვიდდი და გადავწყვიტე ამ საზარელ ოთახში დავრჩენილიყავ, სიკვდილის სანიმუშო სავანეს რომ დამგვანებოდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს სავანე ვერ შემატებდა ძალას მომაკვდავს, სიკვდილს მეტი გაშმაგებით შეჭიდებოდა. მე მუდამ ვცდილობდი დამერწმუნებინა ადამიანები, ავადმყოფის ოთახი რაც შეიძლება მეტად უნდა დავამგვანოთ სამგზავრო გემის კაიუტას, რათა ადამიანს ეგონოს, რომ სულ მალე წამოდგება, მოჰკიდებს თავის ჩანთას ხელს და მთლად გამოჯანსაღებული ისევ შეიგრძნობს ფეხქვეშ დედამიწას.

მაგრამ გვიან მივხვდი, რომ ყველაფერი ისე იყო მოწყობილი, როგორც უნდა ყოფილიყო. ქალბატონი მუდამ და ყოველთვის ყველაფერს თადარიგიანად აკეთებდა, მას ისე ჩინებულად ესმოდა ყოველი წვრილმანი, ისე ზუსტად გრძნობდა, რა ნაბიჯი უნდა გადაედგა, ისე ნათლად ხედავდა ყოველ ადამიანურ მისწრაფებას, რომ ხშირად მიფიქრია, ნეტავ ღმერთს ადამიანი შეექმნა, ოღონდ თავისი მსგავსი კი არა, ამ ქალბატონის მსგავსი, — მაშინ ამქვეყნად არასოდეს არ იქნებოდა ის შეუსაბამობანი, ადამიანის ბუნების საფუძველს რომ წარმოადგენს-მეთქი.

მაგრამ მე უფრო დიდი სიამოვნებით შევხვდებოდი აღსასრულს ჩემს პატარა ოთახში, სადაც ჩემი მეუღლე თევზს მომიხარშავდა, ბალღები კი სასიკვდილო სენით შეპყრობილს თავს მომაბეზრებდნენ ერთმანეთში ჩხუბით, რაც დედას მოთმინებიდან გამოიყვანდა. ეს ყველაფერი მაინც უფრო სასიამოვნო მგონია, ვიდრე ამ ბერიკაცის ხვედრი, უზარმაზარ მორთულ ოთახში რომ წევს. ფანჯრებზე ჩამოფარებული თეთრი ფარდები სუდარას მოაგონებენ ადამიანს — ზეწარი თოვლივით ქათქათაა. საწოლთან პატარა მინაგადაკრული მაგიდა დგას. ზედ სიცხის საზომი და წამლის შუშები აწყვია. კედელზე დიდი საათი წიკწიკებს. იგი თითქოს ყოველ წუთს მზად არის ჟამთა სრბოლა შეაჩეროს და საფლავის ძეგლად იქცეს. და ყოველივე ამას აგვირგვინებდა სიჩუმე, წინასწარმაუწყებელი საფლავის მარადიული სიჩუმისა. (გულახდილი უნდა ვიყო და ვაღიარო, რომ თავად ხარივით ჯანსაღი გახლდით, როცა ეს შედარება მომაფიქრდა).

ლითონის სკამზე ჩამოვჯექი, ავადმყოფის საწოლთან რომ იდგა. მონაზონივით ჩაცმული მომვლელი ქალი ოთახიდან გავიდა და კარი დიდი სიფრთხილით მიიხურა. ამით მაგრძნობინა, ავადმყოფისათვის ჩქამიც კი დამღუპველიაო. მანამდე კი ზიზღით გადმომხედა, თან ავადმყოფი გააფრთხილა, ბევრი არ ილაპარაკოო. დიახ, ამ ქალმა სიკვდილის სიბრძნე ხუთი თითივით იცოდა, თორემ ვაჭრის მეუღლე მომაკვდავთან არ მიუშვებდა.

სოვდაგარი სამოცდაათი წლისა თუ იქნებოდა. გამიკვირდა, რომ ასეთი ძლიერი კაცი, ვინაც მთელი ნახევარი საუკუნე ცოლის მარწუხებს გაუძლო, ბოლოს რაღაც კუჭის კიბომ წაახდინა.

ცოლის მარწუხებზე კი იმიტომ მოგახსენეთ, რომ ეს მარწუხები ჩემთვის კარგად იყო ცნობილი.

ერთხანს ამ ფრიად პატივსაცემ ვაჭრობის მოღვაწეთა სახლში ვცხოვრობდი. ქვასავით მაგარი ვარ, მაგრამ დროზე რომ არ წამოვსულიყავი იქიდან, სიცოცხლე გამინახევრდებოდა.

სწორედ წამოსვლის დროს გამაოცა ამ დიდმა კომერსანტმა. როგორც კი საცხოვრებლად სხვაგან გადავედი, მან იდო კისერზე ჩემი ბინის ქირისა და კიდევ იმ ფულის გადახდა, რაც საჭმელზე მეხარჯებოდა. ჩემთვის ამოუხსნელ ამოცანად დარჩა, როგორ ახერხებს ეს კაცი ისე გააკეთოს ყოველივე, რომ მისმა ყოვლისმხედველმა მეუღლემ ვერაფერი შეამჩნიოს, ანდა რა მიზანი ამოქმედებს-მეთქი. მხოლოდ მისი სიკვდილის წინ ჩვენი უკანასკნელი საუბრის დროს თითქოს რაღაცას მივხვდი.

კარგა ხანს სოვდაგართან ურთიერთობა მთლად გაწყვეტილი მქონდა, ქუჩაში იშვიათად თუ შემხვდებოდა ქალაქის სახელგანთქმული სოვდაგარი, გაჭირვებულ სტუდენტს ხელს რომ მიმართავდა. ამიტომ ძალიან გამიკვირდა, როცა შემატყობინეს, მოხუცი საჩქაროდ გიბარებსო. მივდიოდი და ვფიქრობდი, რად მიბარებს, მემკვიდრეობა ხომ არ უნდა გადმომცეს, ან ეგებ მაღაზიის მმართველად მიპირებს-მეთქი დანიშვნას? არა, არც ერთი არ იყო მოსალოდნელი. უცებ თავში სხვა ფიქრმა გამიელვა, ვაითუ ვალის გადახდა მომთხოვოს-მეთქი. არც ეს ვარაუდი უნდა ყოფილიყო მართალი,

რადგან ახლაც ისეთივე ღატაკი ვიყავი, როგორც სტუდენტობისას. მაგრამ თუ ყოველივე მის მეუღლეს ყურში ჰქონდა ჩაწვეთებული, მაშინ ვაჭარი უსათუოდ მომთხოვდა ვალს. ეგებ არც ერთი იყო, არც მეორე და უბრალოდ ისეთი რამ უნდა გაენდო, რაც მას გულზე ლოდივით აწვა? ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი შევედი მის ოთახში და ვაჭარი მაშინვე საქმეზე გადავიდა, რადგან ყოველი წუთი მისთვის ძვირფასი იყო. დავჯექი თუ არა სკამზე, ხრინწიანი ხმით მკითხა:

— ლექსებს კიდევ სწერთ?

თავზარი დამეცა. ყოვლად შეუძლებელი იყო მას არ სცოდნოდა, ვწერდი თუ არა.

ნუთუ თვალყურს არ ადევნებდა ჩემს შემოქმედებას?

მის სახლში რომ ვცხოვრობდი, მაშინაც ვწერდი და ჩემი პირველი ლექსიც სწორედ იმ ხანებში დაიბეჭდა. ვაჭარს მაშინ სიტყვაც არ დაუძრავს, მაგრამ მისმა მეუღლემ, რასაკვირველია, სასტიკად ამიკრძალა ამისთანა საქმიანობა. იგი მოხელის ქალი იყო და კარგად იცოდა, რომ „კაცი სწავლას ცხოვრების სანუკვარი მიზნის — თანამდებობის მისაღწევად ეწაფება“. მისი აზრით ამ მიზნის მიღწევაში არაფერს ხელი არ უნდა შეეშალა, მით უმეტეს, ისეთ სისულელეს, როგორიც ლექსების წერაა. ვაჭრის მეუღლის ლექსიკონში მთავარი სიტყვა ყაირათიანობა იყო. მისი აზრით ლექსი მხოლოდ სალაღობოდ თუ შეიძლებოდა დაწერილიყო.

ახლაც თვალწინ მიდგას ვაჭრის ცოლი, მაღალი, მკერდმიმჭკნარი და სახეგაცრეცილი. თითქოს მის პირისახეზე აღბეჭდილიყო სისასტიკე მთელი ხალხისა, ათასი ყინვიანი ზამთარი რომ გადაიტანა. მას ხელში უჭირავს რეიკიავიკის ყველაზე ცნობილი გაზეთი, სადაც ჩემი ლექსია დაბეჭდილი. იგი თითით მიმანიშნებს იმ ლაქაზე, ჩემმა ლექსმა რომ დააჩინა გაზეთის გვერდს, ჩემს არსებას, მორალურ პრინციპებს და, ღმერთმა უწყის, კიდევ რამდენ წმინდა რამეს. ახლაც მესმის, როგორ მეუბნება ცივი, დამრიგებლური კილოთი, ჩინოვნიკების რამდენიმე თაობამ რომ გამოიმუშავა: ეს არ გეკადრება! მაშინ ვაჭარს არაფერი უთქვამს, არც ჩემი გასაკიცხი და არც დასაცავი სიტყვა არ დასცდენია. ახლა კი, სიკვდილის წინ, რამ გაახსენა ეს ამბავი. ხომ არ დამცინის?!

— ხანდახან, — ვუპასუხე დაბნეულმა.

მერე უცებ გავიფიქრე: ეგებ ეპიტაფია უნდა დამიკვეთოს-მეთქი. ხომ შეიძლება ეპიტაფია რიტუალში იყოს გათვალისწინებული? დაბეჭდილი ეპიტაფია... ამოცანა ამოიხსნა და უნებლიეთ დავიწყე:

კიბოს ვერას უშველი
ვერავითარ წამლებით...

ღმერთო ჩემო, მის მეუღლეს რომ მოესმინა ეს სიტყვები!.. მაგრამ თურმე ვცდებოდი. სოვდაგარს სულ სხვა რამ ჰქონია გუნებაში.

— მომისმინე, — ჩახლეწილი ხმით დაიწყო მან. — მინდა ერთი საიდუმლოება გაგანდო... ცოტა დრო დამრჩა. ძალიან ახალგაზრდამ შევირთე ცოლი, ჩვენი ცოლქმრობა მუდამ სამაგალითო იყო. მთელი ჩემი სიცოცხლე მიყვარდა და პატივსა ვცემდი მეუღლეს. მიუხედავად ამისა, ერთხელ ჩვენს ოჯახს ჩრდილი მიადგა, ეს ჩვენი ქორწინების პირველ წელს მოხდა. სულელი და გამოუცდელი ვიყავი. ჩვენთან ცხოვრობდა ახალგაზრდა. ძა-

ლიან ლამაზი მოსამსახურე, ყველაზე მხიარული გოგონა. ვგრძნობდი, მოგვწონდა ერთმანეთი. იგი პატიოსანი ქალიშვილი იყო და მეც ვცდილობდი პატიოსანი ვყოფილიყავი, მით უფრო, რომ ახალი დაქორწინებული გახლდი. მისი ანცობა მაგიჟებდა, ერთხელ თავი ველარ შევიკავე და სასტუმრო ოთახში ვაკოცე. ამ დროს ჩემი მეუღლე შემოვიდა, ორივეს ისეთი ცეცხლი გვეკიდა, რომ თავის მართლება უაზრობა იყო. მეუღლემ ერთადერთი სწორი ნაბიჯი გადადგა: ქალიშვილი ბინიდან დაითხოვა.

ეს ამბავი მეხად დამეცა. ღამით ძილი არ მომკარებია, მაგრამ წამოდგომას ვერა ვბედავდი, მეშინოდა, მეუღლემ არ გამოიღვიძოს-მეთქი. გათენებისასღა ჩამეძინა და მალე ისევ გამეღვიძა. სწორედ მაშინ დამემართა ის, რაც ალბათ შენ და საერთოდ სხვა პოეტებსაც ემართებათ. ეს იყო ჩემი გულწრფელი აღსარება და ის არასოდეს აღარ განმეორებულა.

სოვდაგარმა ცოტა შეისვენა, გატანჯულმა სივრცეს გახედა (ეგებ კიბომ შეახსენა თავი?!). მომაკვდავის თვალებში რაღაც ცეცხლი კიაფობდა, რაც ამ გულქვა სოვდაგრის მზერაში არასდროს არ შემიმჩნევია. ნუთუ ის თავის გამდიდრების გზას იგონებდა და იმან აღანთო? იქნებ ძლიერმა სიყვარულმა, ანდა დიდი ხელოვნებისადმი ტრფიალმა?

— უჩვეულო აღმაფრენა ვიგრძენი, — განაგრძობდა შეცბუნებული მოხუცი. მაგრამ ცხადი იყო, არ ტყუოდა, — და მეც ქალიშვილს სიყვარულითა და დარდით აღსავსე ლექსი დავუწერე. არ მიფიქრია, როგორ დამეწერა ლექსი, არც მის შეთხზვაზე შემიწუხებია თავი, სიტყვები მზამზარეულად მომდიოდა, სხვაგვარად ვერ ავხსნი ჩემი გონების მოძრაობას. ჩუმად ავდექი ლოგინიდან და ლექსი ჩავიწერე. შემდეგ ქურდულად შევიპარე ქალის ოთახში (ცოლმა ნება დართო უკანასკნელი ღამე ჩვენთან გაეთია, დილაუთენია კი შინ უნდა წასულიყო, რეიკიანესში). ლექსი ბალიშზე დავუდე, გაღვიძება ვერ გავუბედე... ეს სახიფათო მოგზაურობა კეთილად დასრულდა. მეუღლე არც კი განძრეულა. მერე კი გულისძილით დავიძინე. გამოღვიძებისას საშინლად მტკიოდა თავი, მაგრამ მაინც ავდექი...

იმავე დღეს ვცადე მეხსიერებაში ლექსის აღდგენა და ვერ შევძელი, ახლაც ვერ გამიხსენებია, მხოლოდ რაღაც უჩვეულო გრიალი და რიტმი ჩამრჩა გულში, შეიძლება ეს სისულელეა, მაგრამ ახლაც ვგრძნობ იმ ლექსის სურნელებას... ის ქალი აღარ მინახავს. გავიგე, კეფლავიკეში გათხოვდაო. მე და ჩემმა მეუღლემ ეს უსიამოვნო ამბავი მოვინელეთ და მას შემდეგ ჩვენს უმწიკვლო ცოლქმრობას არავითარი ჩრდილი აღარ მისდგომია.

ვაჭარი გაჩუმდა, თითქოს გუნებაში რაღაც მძიმე ამოცანის ამოხსნას ცდილობსო, და ისევ განაგრძო:

— იმის შემდეგ აღარ მიცდია ლექსის დაწერა. სამაგიეროდ ჩვენი და უცხოეთის პოეტების ლექსებს ბევრს ვკითხულობდი, ვცდილობდი შემეგრძნო, შემეფასებინა ისინი. გავბედავ და ვიტყვი, რომ ამჟამად კარგად ვერკვევი პოეზიაში, თუმცა იმ დროს არაფერი გამეგებოდა. ჩემი გატაცება ლექსებით ეს არის ძიება იმ აღფრთოვანებისა, იმ კეთილსურნელებისა, ჩემი ლექსის წერის დროს რომ შევიგრძენი. მე მხოლოდ ერთხელ, ერთადერთხელ ვიპოვნე ეს, მხოლოდ ერთ ლექსში. როცა პირველად ვკითხულობდი, მომეჩვენა, თითქოს საკუთარ ლექსს ვიხსენებდი, იგივე გრძნობა აღ-

მიძრა, და, აი, მაშინ თითქოს გავიხსენე კიდეც, მაგრამ შემდეგ ისევ გამისხლტა. ასე ხდება ხოლმე... ზოგჯერ სიტყვა ენის წვერზე გადგას, გინდა წარმოთქვა, მაგრამ უცებ გაგისხლტება... ის ლექსი ედგარ ალან პოს „ანაბელ ლი" გახლდათ. უნდა გამოვტყდე, ჩემი ლექსიც არანაკლებ დიდებული იყო, თუმცა ერთი სიტყვაც ვერ გამიხსენებია. ეს ჩემი დამსახურება როდი იყო, მე ის ალმაფრენამ დამაწერინა... მაგრამ გუშინდელივით მახსოვს, ეს იყო ჭეშმარიტი თრთოლვა ჭეშმარიტი აღფრთოვანებისა. და მე ეს სხვის ლექსებზე გამოვცადე. ახლა ვკვდები... მე მსურს... შენთან თხოვნა მაქვს. ეს ამბავი არავისთვის არ გამიმხელია... შენ გენდობი. თუმცა ჭირვეული აღმოჩნდი და ჩვენგან უმიზეზოდ წახვედი, მაგრამ შენი სულისკვეთება კარგად მესმოდა, ამიტომაც გაჭირვებაში არ მიგატოვე.

— პირიქით... გმადლობთ... — ძლივს წარმოვთქვი გაკვირვებულმა.

— მადლობა ჩემს საოცარ ლექსს გადაუხადე, — გაღიმება სცადა, — ჩვენ ერთი მისწრაფება გვქონდა და ამან მაიძულა დახმარების ხელი გამომეწოდებინა შენთვის. ბოდიში, რომ კომერსანტის ენით გელაპარაკები. შეჩვეული ვარ. მე იმას გთხოვ, რომ ის ქალი იპოვნო და ლექსი გამოართვა. მთელი ჩემი სიცოცხლე მოგონება იმ ქალსა და ლექსზე კეთილ გადიასავით თან დამდევდა. მსურს სიკვდილის წინ წავიკითხო იგი, გავიგო, როგორი იყო სინამდვილეში. ლექსი ჩემთვის რაღაც მშვენიერების საწინდარი გახდა. დაულალავი, ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ მსურს ერთხელ კიდევ განვიცადო ის ალმაფრენა და მერე მოვკვდე. ეს სურვილი მოსვენებას არ მაძლევს.

სოვდაგარს თვალები გაუბრწყინდა, შემეშინდა, მღელვარებამ ცუდად არ გახადოს-მეთქი, მაგრამ არ ვიცოდი, როგორ დამემშვიდებინა.

— შენ ალბათ არასდროს აზრადაც არ მოგივიდოდა, რომ მეც შეიძლება სულიერი მოთხოვნილება მქონოდა. მართალი ხარ. არასდროს სულიერი მოთხოვნილება არ მქონია. მაგრამ მწამს, ყველა მოაზროვნე ადამიანს თავისი ვარსკვლავი უნათებს და იგი ყოველდღიურ უსიამოვნებას განარიდებს. ზოგთათვის ეს ვარსკვლავი რომელიმე კეთილშობილური იდეალი გახლავთ, ზოგთათვის კი ბავშვები, მომავალი, ანდა კიდევ საკუთარი თავის სრულყოფის სურვილი. ჩემი ვარსკვლავი კი ჩემი ლექსია, რაიც დაბადა დიდმა სიყვარულმა, თუმცა ნამალავმა, მაგრამ ისეთივე ბუნებრივმა, როგორიც უფლებამოსილი სიყვარული გახლავთ.

შენ ალბათ გიკვირს, რომ მოწუწუნე დედაკაცივით ანდა უხეირო რომანის გმირივით გიამბობ ამას, მაგრამ შენ ხომ ჯერ არ გინახავს სიკვდილი ასე ახლოს, როგორც მე... როდესაც სიკვდილი გიახლოვდება, ყველაფერი ქრება, ყოველგვარი წვრილმანი. იმისთვის კი არ გიხმე, რომ ჩვეულებრივ ამბავზე გაგსარჯო, მე საგანგებო რამ უნდა დაგავალო და, რომ ჩახვდე, რაოდენ დიდი სათხოვარი მაქვს, ამისთვის გადაგიშალე სული.

მომაკვდავმა ხელის კანკალით აიღო ჭიქა და წყალი მოსვა. გარინდებული ვიჯექი. შეშინებული თავს უხერხულად ვგრძნობდი, ეგება ეს ბოდვაა მომაკვდავისა? იქნებ ავადმყოფობა გაუმწვავდა და ექიმის გამოძახებაა საჭირო? ჭკუათმყოფელი ადამიანი ასე ვერ ილაპარაკებდა... რა მელონა? ადამიანი კვდებოდა. მომაკვდავ სოვდაგარს სრული უფლება ჰქონდა შეესრულებინა თავისი სურვილი.

— რომ შემეძლოს იმ გრძნობით ხელახლა დავტკბე, ეს ჩემი აღდგომა

იქნებოდა... — თითქოს თავისთვის წარმოთქვა ვაჭარმა და მეც აუცილებლად რაიმე უნდა მელონა, მაინც რა, არ ვიცოდი.

ვაჭარი ახლა უკვე საქმიანად განაგრძობდა:

— თუ იმ ქალმა ლექსი დაკარგა, მაშინ რაღა გაეწყობა! მაგრამ რაღაც შინაგანი ხმა მიკარნახებს, რომ ლექსი შეინახა და თუ ის ლექსი ისეთი კარგია, როგორც მეჩვენება, და თუ ქალი წინააღმდეგი არ იქნება, ჩემი სიკვდილის შემდეგ შეგიძლია გამოაქვეყნო. ჩვენს ლიტერატურაში გენიოსი არცთუ ბევრია... მარტო ამ ლექსით ალბათ დიდებას ვერ მოვიხვეჭ. თუმცა სახელი არც მჭირდება. შეგიძლია შენი გვარით დაბეჭდო, ამას ჩემთვის, სიკვდილის შემდეგ, არავითარი მნიშვნელობა აღარ ექნება...

შევკრთი. ანდერძიც ამას ჰქვია! „ანაბელ ლის“ თანაბარი ლექსი შემიძლია ჩემად გავასაღო! მხოლოდ ერთი რამ მაღონებდა, ვაითუ ის ლექსი ჩემი ლექსისაგან ძალიან განსხვავდება-მეთქი!

სიამოვნებით დავთანხმდი, იმ ქალს უსათუოდ ვიპოვნი-მეთქი, თუმცა მას ახლა ალბათ „დედაბერი“ უფრო ეთქმოდა.

ვაჭარმა ქალის სახელი და გვარი მითხრა. შემდეგ ბალიშის ქვეშიდან ფულით გატენილი ქისა ამოიღო. მომაკვდავ სოვდაგარს სისხლში ჰქონდა გამჯდარი კუბოს ფიცრამდე მიეტანა ფული. ვაჭარმა დიდი თანხა მომცა ჯილდოდ და საგზაოდ, აგრეთვე იმ ქალისთვის, ვისთვისაც ლექსი მიეძღვნა.

ძლივს მოვასწარი ფულის ჯიბეში ჩადება, რომ საათით ხელში მონაზონის მსგავსი მომვლელი ქალი შემოვიდა.

— დრო ამოიწურა, — თქვა ქალმა, იგი დაჟინებით იცავდა სიკვდილის რიტუალს.

მოხუცი პოეტის მაგიერ აღვშფოთდი. ასეთ დროს მიქელ გაბრიელიც კი უფრო მეტად თანაუგრძნობდა მას, ვინემ აქ, საცა წუთობით გამოთვლილი განრიგი და ყოველი ჯურის სიბრიყვე უწამლავდა მას, ამ უღვთოდ შეყვარებულ მიჯნურს, სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს.

ნახევარი საუკუნე ეს დიდი სოვდაგარი იმ ოჯახში ცხოვრობდა, სადაც მისი ყოველი მოძრაობა გააფთრებული დიქტატორის ზედამხედველობას ემორჩილებოდა, ამ დროს მის გულში განუწყვეტლივ თრთოდა კეთილშობილი პოეზიის სურნელებით სავსე აკრძალული სიყვარული. ადამიანის ბუნება უცნაურ შამბნარს ჰგავს. დიდება შემოქმედს, თორემ, ვინ იცის, ეგებ არც მრგებოდა წილად მსგავსი ბედნიერების განცდა!

გამოვეთხოვე მოხუცს, შემდეგ მომვლელ ქალს საპასუხო ზიზღნარევი მზერა გავაყოლე და ისე წამოვედი, სოვდაგრის ცოლი არც გამხსენებია — ჩემს არსებაში ბობოქრობდა შურისძიების გრძნობა, მე გავიგე, რომ დამონებული მეუღლე მთელი ცხოვრება ატყუებდა თავის დამმონებელს და სულ სხვა სამყაროში ცხოვრობდა. ეს სამყარო სრულიადაც არ ჰგავდა ცოლის მიერ შექმნილ სამყაროს. ამიტომ მეუღლის ოთახის კარს ქედმაღლურად ჩავუარე.

მეორე დილას ჩემი ქველმოქმედი სოვდაგრის დავალების აღსრულებას შევუდექი. კეფლავიკეში მალე ვიპოვნე ის ქალი. იგი წლოვანებით ცოტათი ჩამორჩებოდა თავის მოტრფიალე სოვდაგარს. ამასთან ღარიბიც გახლდათ. თექვსმეტი შვილიშვილის ბებიობა — ეს სულ სხვაგვარი გმირობა

იყო. ახლა მოხუცი ქალი თავის მეზღვაურ ვაჟიშვილთან ცხოვრობდა. ქალის საცხოვრებელი ბინის მნახველმა გავიფიქრე: არც ამას უწერია-მეთქი მშვიდად სიკვდილი. ღმერთმა უწყის, ელირსება თუ არა სიკვდილი ამ ქალს თავის საწოლში?

ამაოდ ვეძებდი მის სახეზე მოხუცის მიერ ნაქებ სილამაზეს! თუმცა მის სახეზე ნაოჭები გავაქრე, კბილები მარგალიტის მძივად ავასხი, ჩაფერფლილ თვალებში ახალგაზრდობის და სიყვარულის ნაპერწკალიც ავუნთე, ჩაცვენილი ღაწვებიც ამოვუვსე, მაგრამ ცხვირი მაინც მოგრეხილი დარჩა, პირი კი განიერი. იგი დაბალი იყო, წელში მოხრილი, ეტყობა, განვლილმა წლებმა და აუტანელმა ჯაფამ გატეხა ასე... ის სიხალისე კი, რაც ეტყობა, ახალგაზრდობისას ამშვენებდა, ჯერ კიდევ შერჩენოდა.

პატარა სასადილოში მაშინ შევედი, როდესაც მთელი ოჯახი სადილობდა. მასპინძლის სტუმართმოყვარეობა იმაში გამოიხატა, რომ სადილზე არ მიმიპატიჟა, მხოლოდ ერთ-ერთ პატარა შვილიშვილს სკამი გამოაცალა, შემომთავაზა და ფანჯარასთან დამსვა. აქედან ჩუმად ვუთვალთვალებდი სოვდაგრის „გულის მურაზს“ და ოცნებაში წავედი...

ეგება ამ სახედანაოჭებულ, შრომითა და ჯაფით გატეხილ ქალსაც სხვა ცხოვრება ჰქონდა, როდესაც მას მშვენიერი ლექსი მიუძღვნეს? ეგება მისი ხანგრძლივი ქორწინება მუდამ პატარა, ბედუკუღმართი რომანტიული მოგონებით იყო გამთბარი, იმ მოგონებით, რაზედაც ახლაც ოცნებობდა მოხუცი სოვდაგარი? განა სიყვარული და ხელოვნება ყველა ჰიმნზე უფრო ძვირად არ ფასობს. ყველა ჰიმნზე, მათ სადიდებლად რომ თქმულა, თუკი არც სილარიბეს, არც წელში გამწყვეტ შრომას, არც სიმდიდრეს და კეთილ ცხოვრებას არ ძალუძს დაჩრდილონ იგი ყოველდღიური ცხოვრების წყვდიადში მბჟუტავი შუქით, ანდა დავიწყების ფერფლი გადააყარონ. მომაკვდავის აღფრთოვანებული აღსარება უკვე აღარ მეჩვენებოდა არც სასაცილოდ და არც უგუნურად. ეს ჩვენი ყოველდღიური წარმოდგენებია მხოლოდ სასაცილო და უბადრუკი.

ეს ამაღლებული ფიქრი ორი ბავშვის ჩხუბმა გამიფანტა. ისინი დაშაშხული პინეგორის გემრიელი ნაჭრის გულისთვის წაჰკიდებოდნენ ერთმანეთს, იმ ნაჭრის გულისთვის, რითაც ჩვენს ქვეყანაში ამტანი მეზღვაურები, ლამაზი ქალები და, ღმერთმა გვაშოროს, პოეტები იზრდებიან. წითური ბიჭუნა დასაჯეს, ყველა მაგიდიდან წამოდგა და მაშინ ჩემს საქმეს შევუდექი.

პირველ რიგში დედაბერს სოვდაგრისგან გამოგზავნილი დიდი თანხა გადავეცი. დედაბერი იმწამსვე მიხვდა, ვისზედაც იყო ლაპარაკი, რადგან მოხუცი ვაჭარი მუნიციპალიტეტის დეპუტატი და კიდევ რაღაც ჯანდაბის წევრი იყო, როგორც ყველა კეთილი მოქალაქე და მდიდარი სოვდაგარი. მაგრამ მას ვერ წარმოედგინა, რომ ეს ფული მხოლოდ მეგობრული საჩუქარი იყო, საჩუქარი მან არჩევნებთან დაკავშირებულ გასამრჯელოდ ჩათვალა. დედაბერს დავიწყებოდა, სოვდაგართან შინამოსამსახურედ რომ იყო ოდესღაც. შემდეგ გაიხსენა და გაიცინა.

— გამომაგდეს, — თქვა ქალმა გამომწვევად, სულაც არ შერცხვენია, ისე აღიარა ეს სათაკილო ამბავი და მე მივხვდი, რომ ქალიშვილობაში საკმაოდ ქარაფშუტა ვინმე იქნებოდა.

ახლა როგორმე უნდა გამეგო ლექსის ამბავი, მაგრამ ცალკე საუბრის

საშუალება არ მომეცა. ოჯახის წევრები სასადილოში ისხდნენ და გვისმენდნენ, ფულის გაყოფასაც მაშინვე შეუდგნენ.

ბოლოს, როგორც იქნა, ქუჩაში გამოვიყვანე და ლაპარაკი ლექსზე ჩამოვუგდე. ლექსიც აღარ ახსოვდა. ბევრი შვილები მყავდაო, მომიბოდიშა ქალმა და შემპირდა, მოვძებნიო. თუ წერილი მივიღე, უთუოდ შევინახავდიო.

ახლა ერთი რამ მაწუხებდა, ხომ შეიძლებოდა ოდესღაც რაღაც გაეხვია იმ ქაღალდში, ლექსი რომ ეწერა, ანდა საჭიროო რამ დაეწერათ ზევიდან? მომაგონდა, ძვირფას მანუსკრიპტებსაც ოდესღაც საკერებლად სჭრიდნენ და სჭამდნენ კიდეც!

ვთხოვე, ჩუმად მოეძებნა ლექსი. არ მინდოდა ამ ქონების შეფასება შიც ისევე ჩარეულიყვნენ მისი ოჯახის წევრები, როგორც ფულის განაწილებაში ჩაერივნენ. ქალს ლექსი დიდხანს არ უძებნია. მთელი თავისი ავლადიდება ერთ ბოხჩაში ჰქონდა გამოკრული.

ბოლოს, როგორც იქნა, ხელში ჩავიგდე ძვირფასი, გაყვითლებული ქაღალდი. შიშმა მუხლები მომკვეთა. ნეტავ ქალს წაკითხული ხომ არა აქვს ან ზეპირად ხომ არ იცის-მეთქი?! ფიქრი დედაბერს გავანდე.

— არა, — გაიღიმა დედაბერმა. — მახსოვს, ერთხელ ცალი თვალით გადავხედე, შემდეგ ხელი აღარ მიხლია. ეს ლექსი რაში მჭირდებოდა. ჩემთვის უცხო იყო ერთი კოცნის გამო სახლიდან გამოგდებაც და უფრო მეტად კი სასიყვარულო ლექსის მოძღვნა.

ესეც იღბალი! ამ მშვენიერი ლექსის ამბავი ჩვენ ორმა ვიცით მხოლოდ: მე და მომაკვდავმა პოეტმა. აი, უკვე ხელთა მაქვს ეს ბრწყინვალე ლექსი და შემიძლია თავი მის ავტორად გავასაღო. თუ ეს ასე იქნება, დიდი მწერლის სტიპენდიაც განაღდებულია.

ლექსის წაკითხვა გზაში ვერ გავბედე. ასეთი უკვდავი შედევრით რომ დატკბე, ღვთაებრივი სიმარტოვეა საჭიროო, რათა მე შევძლო განვიცადო უკვდავი შედევრის დაბადება.

როგორც კი მოვიცალე, ჩემს საყვარელ ადგილს მივაშურე, ძველ, მოჩუქურთმებულ სავარძელს, პოეტის ლითონის სკამს რომ სულაც არ წაგავდა. შიგ ჩავჯექი, ხელის კანკალით გავშალე ქაღალდი და მოძეული შედევრის კითხვას შევუდექი. ლექსი ზედიზედ რამდენჯერმე გადავიკითხე და თვალს არ ვუჯერებდი. ბევრი ფიქრის შემდეგ მტკიცედ გადავწყვიტე ჩემი მეგობრის და მწყალობლის მოტყუება. რაკი ლექსი ხელთ ჩამივარდა, ამიტომ ეს დიადი მიჯნური არასოდეს არ იხილავდა თავისი სიყვარულისა და ახალგაზრდობის სიმღერას. შეუძლებელი იყო ნეტარების სიმაღლიდან მომაკვდავი პოეტის დამცირების უფსკრულში გადასროლა. ლექსი მხოლოდ მკვდარი რითმების თამაში იყო, ალიტერაციის მოთხოვნილებასაც რომ არ აკმაყოფილებდა. მაგრამ ის მომაკვდავის გულში განუმეორებელ შედევრად უნდა დარჩენილიყო და მასთან ერთად დამარხულიყო. მოხუცი კომერსანტის სიკვდილის შემდეგ ამ ლექსს არავინ მიითვისებდა...

მეორე დილას სოვდაგარს ღია ბარათი გავუგზავნე, ყოველივე რიგ-

ზეა, სადაც არის საქმეს დავაბოლოვებ-მეთქი, და დამშვიდებული დაველოდე მის სიკვდილს.

გრძელი, ბრწყინვალე სამგლოვიარო პროცესია საფლავის პირას გაჩერდა. მესაფლავეებმა თოკებით ჩაუშვეს გვირგვინებით შემკული კუბო, სადაც განისვენებდა ნეშტი დიადი სიყვარულის მეხოტბე პოეტისა, საუკუნო განსასვენებელი რომ ეპოვნა უკვე. ვინემ მღვდელმა უკანასკნელი ლოცვა აღავლინა და კუბოს ბარით სამჯერ მიაყარეს მიწა, მე ფრთხილად, მაგრამ ჯიქურ გავარღვიე ნათესავებისა და ქალაქის გავლენიან პირთა წრე, საფლავის პირას გავჩერდი შავებში გამოწყობილი ქვრივის გვერდით. ქვრივი ტიროდა. „ეს არ გეკადრება!“ — გამახსენდა უცებ ოდესღაც მისი ნათქვამი სიტყვები, და ვითომ შემთხვევით გაყვითლებული, დაჭმუჭნული ქაღალდი სამარეში ჩავაგდე. იგი კუბოში ჩატანებულ ყვავილებში ჩაიკარგა.

თარგმნა
გიორგი კაპანაძემ

* * *

შვილო, ფეხებზე მიგამაგრე ზანზალაკები,
რომ მე მცოდნოდა, სად ცელქობდი, სად ტიკტიკებდი.

ასე, შორეულ ბავშვობაზე მეტყოდა დედა
და ნუთუ მაშინ მისი სულის შფოთს გავიგებდი?!

ახლა კი დედას ვესიტყვები მე სულ სხვა ბგერით,
არა ბავშვობის ჟღარუნებით, სტრიქონთა ჟღერით.

იცოდეს დედამ, სად ვიქნები, ან სად მიპოვოს
და გზას არ ასცდეს სიმართლისას ჩემი სტრიქონი.

* * *

მოხაზულობა ლურჯი მთებისა
ცისა შორეთში მიიკარგება
და ფართოვდება ველი ვრცეული
გადარწეული მწვანე ტალღებად.
მშვენიერია დღე შემოდგომის,
წკრიალებს ცელი, გახურდა თიბვა.
მივყვები ბიძას გალაღებული,
მეოცნებე და სულ ერთი ციდა.
ლურჯ კარვის კართან
გამთენიის ცა ლურჯად ბოლავს,
მშვენიერ ზღაპრებს, წყნარ საუბარს
არა აქვს ბოლო.
სამხრეთს მიმფრენი
ფრინველები განისვენებენ
ჩვენს შორიახლოს,
სათიბებში, ჩვენს წყნარ ველებზე.

მიხეილ ლუკონინი

რუსულიდან თარგმნა
ავთანდილ გურგენიძემ

* * *

ალბათ ჩემზე გეკითხება ყველა:
„—რად ხარ მარტო,
სად წავიდა იგი?“
უპასუხე, —
სიყვარულით ღელავს
ყინულოვან ოკეანის იქით.

უპასუხე —
ჩრდილოეთში ცურავს,
ზამთარ-ზაფხულ
ყინულებში სახლობს.
უმზეობა არ აწუხებს სულაც,
მოქანცულიც არაფერზე ნაღვლობს.

მეზღვაური
მეზღვაურად დარჩა,
ქარიშხლები დაებედა გზებზე...
იმ მატერიკს,
რუკაზე რომ არ ჩანს,
ჯიუტად და მოუღლელად ეძებს.

უპასუხე, —
გათოშილ ზღვას უტევს,
ისევ ის სწამს, რაც აქამდე სწამდა,
უპასუხე, —
უკვე ხედავს სრუტეს...
და მართალი აღმოჩნდები ცამდე.

ჰოსპიტალთან

ვიღაც მიღიმის.
            საოცარია,
აღარ შევყურებ ძველებურ გზნებით.
ველარ ვისვენებ, ეკლებზე ვზივარ, —
კვლავ მეძახიან ნაცნობი გზები.
ჩამივლის ქალი
            ანთებულ თვალით...
პირს მოვარიდებ ჩემივე ნებით.
სულაც არ მინდა გაცნობა ქალის,
კვლავ მეძახიან ნაცნობი გზები.
— გამიშვი, —
            ვყვირი თავგამოდებით, —
სადაც ყოველ წამს მელიან ძმები,
სადაც ბრძოლების ქარები ქრიან, —
კვლავ მეძახიან ნაცნობი გზები.

ქან ბრივე

ნოქტიურნი

ლატვიურიდან თარგმნა

უშანგი სახლთხუციშვილმა

ღამეა, ჩრდილოეთის თეთრი ღამე. უკვე ორი საათია და მზე ისევ ანათებს ცაზე. ოღონდ ეგ არის, არ კაშკაშებს, — პირიქით, უჩვეულო ნაღვლიან შუქს ჰფენს არემარეს. სარკმლიდან შუალამის მზის გაცრეცილი შუქი იჭრება კაიუტაში და ძილს მიფრთხობს. ფარდა ჩამოვაფარე, მაგრამ ამაოდ. ჭუჭრუტანიდან მკრთალი შუქის ათინათი და ტალღების ანარეკლი მაინც ლიცლიცებს კედლებზე. ყრუდ გუგუნებენ ძრავები, ხრახნი მძლავრად მუშაობს და გემს უფრო შორს, ჩრდილოეთისაკენ მიაქანებს. კარგა ხანია უკან ჩამოვიტოვეთ ჩრდილოეთის პოლარული წრე, ატლანტის თვალუწვდენელი სივრცე და ყინულოვანი ოკეანის ცივ წყლებში შევცურეთ. დაგმანული სარკმლიდან ყურს წვდება ამაღელვებელი მუსიკის ხმა: ტალღები ტყლაშუნობენ, ქარი ვიოლინოსავით კვნესის და მთელ ამ ორკესტრს კრიმანჭულივით ასდევს ზღვის ფრინველთა ჭყივილი. ხომალდი ნელა ირწევა ტალღებზე.

როგორც იქნა ჩამთვლიმა.

ძილში ვიგრძენი, რომ გემი შეირყა, თითქოს წყალქვეშა კლდეს შეეტაკაო. ჩემი დღიური, ახლახან რომ მეკავა ხელში, მაგიდიდან გადმოვარდა. წამოვხტი, რა მოხდა-მეთქი, და ის იყო, ტელეფონმაც დარეკა. ყურმილში კაპიტნის მშვიდი ხმა გაისმა:

— გძინავს?

— არა, არ მძინავს.

— ყინულის ალყაში მოვექეცით. შორს შპიცბერგენი მოჩანს. მესაჭის ჯიხურში ვარ, ამოდი!

ყურმილი ჩამოვკიდე და სწრაფად ჩავიცვი. თბილად უნდა ჩამეცვა, რადგან ვიცოდი, მალე ვერ დავბრუნდებოდი. ორიოდ წუთის შემდეგ მესაჭის ჯიხურში გავჩნდი. კაპიტანმა ჭოგრიტი გადმომცა და ჩრდილოეთისაკენ მიმითითა:

— შეხედე, შპიცბერგენი!

ჭოგრიტი თვალზე მივიდე, შორეული ცის კიდური უცებ მომიახლოვდა. გამჭვირვალე მინაში ურჩხულის მეჩხერი კბილებივით აღმართულიყვნენ მარადიული ყინულითა და თოვლით დაფარული კუნძულ შპიცბერგენის მთები. ღამეული მზის გაცრეცილ შუქზე მეჩვენებოდა, თითქოს მყრალ სუნს აფრქვევდნენ ისინი. როცა შორიდან უცქერ ამ მოთეთრო, პოლარულ არქიპელაგს, ასე გგონია, თითქოს მკვდარია და სამარადისო ძილს მისცემიაო. თუმცა ვიცი, რომ სადღაც აქ, ამ მკვდარი კუნძულის ფიორდებში, ცხოვრობენ და შრომობენ მეთევზეები, მეტეოროლოგიური სადგურის თანამშრომლები, შუქურის მცველები და მაღაროელები... ცხოვრობენ, შრომობენ, მხიარულობენ და დარდობენ. უყვართ და სძულთ. ისინიც ჩვენსავით ადამიანები არიან, შეიძლება უფრო მამაცნი და გაბედულნიც. ჩრდილოეთის მხდალები არ უყვარს!

ჩვენი ხომალდი ყინულებმა მოიქცია ალყაში. ესენი ზღვაში მოცურავე მყინვარები არიან, უზარმაზარი ყინულის მდინარეები, მდორედ რომ მოედინებიან მარადიული თოვლით დაფარული მთათა ხეობებიდან. გოლიათის ხელს თითქოს მინასავით დაუმსხვრევია ყინული, ბზარები ხან მწვანედ გამოკრთებოდა, ხან ლურჯად. ტალღებს სხვადასხვა ფორმა მიუცია ყინულის ნამტვრევებისათვის. ისინი საოცრად სუფთა და ქათქათა თოვლის საბანში გახვეულიყვნენ. ზღვის მძლავრი დინება სწრაფად მოაქანებდა მათ და ჩვენ მარჯვედ უნდა აგვევლო გვერდი, რომ ანაზდად ზედ არ შევსკდომოდით. უცებ კაპიტანმა ჭოგრიტს დაავლო ხელი, ბოგურაზე გავიდა და წამოიძახა:

— ჯვარი!

მეც მოვიმარჯვე ჭოგრიტი, ბოგურაზე გავედი და სივრცეს გავხედე.

— გემის ქიმს გააყოლე თვალი, — მითხრა კაპიტანმა, — ჩვენკენ ყინულის ჯვარი მოცურავს.

ჯოგრიტი შევატრიალე და ქიმის გასწვრივ გავიხედე. მართლაც ჩვენკენ უზარმაზარი ყინულის ჯვარი მოირწეოდა ტალღებზე. თითქოს ოსტატის ხელს დაუმუშავებიაო, ისე გამოეკვეთა ქარს ტალღების ბასრი საჭრეთლით. ჯვრის კიდეები ბროლივით ბრწყინავდა, ზევიდან კი თეთრ სუდარასავით გადაფარებოდა თოვლი. ოთხივე კიდეზე თეთრი ლურსმნებივით მოჩანდა თოვლის კორტოხები. ჯვარი მძიმედ მოირწეოდა და ყინულის პატარ-პატარა ნატეხებს აქეთ-იქით ისროდა. პირდაპირ ჩვენკენ მოიწევდა. კაპიტანმა მესაჭეს უბრძანა, გეზი მარჯვნივ აიღეო.

— რა უცნაურია ბუნება, — მოიღუშა კაპიტანი და მესაჭის ჯიხურში დაბრუნდა.

მე გემბანზე დავრჩი და დიდხანს ჭოგრიტით გავცქეროდი საკვირველი ყინულის გოლიათის კვალს. ვიცოდი, რომ ტალღებით შემოლოკილი ყინულის ეს თეთრი ჯვარი სადღაც ზღვის სივრცეში ჩაიმსხვრეოდა, ჩადნებოდა და მისი კვალიც აღარ დარჩებოდა.

... ამ მარადიულ თოვლსა და ყინულეთში, ჩრდილოეთის ამ ნაცრისფერ ღამეს, ჩემს მეხსიერებაში უცებ ამოტივტივდა სულ სხვა ღამე — პოლარული სივრციდან დაშორებული ქვეყნის ღამე, სულ სხვა ჯვარი, ამ ყინულის ჯვა-

რივით თეთრი, ვერავითარი დინება რომ ვერ მოსტაცებს ჩემს მეხსიერებას და ვერც არარაობად აქცევს...

I

ესპანეთის რესპუბლიკას ყველაზე მძიმე დღე ადგა, როცა ის გავიცანი. ფაშისტების არმიამ ბარსელონა დაიკავა და საფრანგეთის საზღვრისაკენ მოიწევდა. პირენეის მახლობლად რესპუბლიკელთა დამარცხებული ჯარის ნაწილები და ლტოლვილები გროვდებოდნენ. ქალაქ კაბანელიაში, ჭალარა პირენეის ბუნებრივი კედლის ძირში, საველე ჰოსპიტალი გაემართათ. ჰოსპიტლის მანქანებმა მთაგორიანი ქალაქი გადასერეს და მდინარის პირას შეჩერდნენ. აქ, აყვავებული ნუშის ბაღში, იდგა დიდი, ნათელი სახლი. სწორედ ამ სახლში მოეთავსებინათ საველე ჰოსპიტალი. სანიტრებს ოთახები დაესუფთავებინათ, საწოლები გაეშალათ, საოპერაციო ოთახი მოეწყოთ და დაჭრილებს ელოდნენ.

ზუსტად იმ დღეს ფაშისტების ავიაციამ გააფთრებით შემოუტია კაბანელიასთან გამაგრებულ ჩვენს ბატალიონს. ბრძოლაში მძიმედ დაგვეჭრა პატარა შავგვრემანი ბულგარელი. ჩემი მანქანით კაბანელიის ჰოსპიტალში მივიყვანე იგი. ახალგაზრდა, სუსტი აღნაგობის მოწყალების და კარებში გამოგვეგება.

— მანქანა ხის ძირას მიაგორეთ! — დამიძახა, — ცაში მტრის თვითმფრინავებია!

ახლალა შევნიშნე კაბანელიის თავზე ბომბდამშენები. მანქანა დავძარი და ერთი დაბურული წაბლის ძირში გავაჩერე. ქალიშვილმა კედელზე მიყუდებული საკაცე მოიტანა და დაჭრილი ჯარისკაცი საოპერაციოში შევიყვანეთ. იგი სისხლისაგან თითქმის დაცლილიყო და საკაცეზე უგრძნობლად იწვა.

შემოვიდა ქირურგი, მოხუცი ესპანელი ექიმი. ბულგარელს მაჯა გაუსინჯა და იკითხა:

— ივეტა, ვინ არის ეს ჯარისკაცი?

— ესპანელია. ალბათ, — მიუგო ქალიშვილმა.

— არა, ბულგარელია, ჩვენი ნაწილიდან, — ჩავერიე მე.

— სისხლი უნდა გადავუსხათ, — თქვა ქირურგმა.

— ჩემგან აიღეთ! — უთხრა ქალიშვილმა.

— არა, თქვენგან აღარ ავიღებ, — მიუგო ქირურგმა, — ძალიან დასუსტებული ხართ. რა საჭიროა ერთის გადასარჩენად მეორე დაიღუპოს. — ჩემკენ შემობრუნდა და დასძინა: — საშუალოა! ბარსელონიდან უკან დაბრუნებისას უბედურება შეგვემთხვა. ფაშისტები გზატკეცილს ცხრილავდნენ, ჭურვის ნამსხვრევმა ჩვენი მძღოლი იმსხვერპლა. მანქანა გზაზე კლდეს შეასკდა და დაიმსხვრა. დაკონსერვებული სისხლის მთელი მარაგი ძარაში გვქონდა.

— მაშინ ჩემგან აიღეთ, — ვუთხარი მე, — პირველი ჯგუფის სისხლი მაქვს, ყველას შეიძლება გადაუსხათ.

ივეტამ მეგობრულად გამიღიმა. შავი თვალები წყვილი ვარსკვლავივით გამოკაშკაშდა შუბლზე ჩამოშლილ თმაში.

— აიღეთ ჩემგან, — გავიმეორე, ხალათი გავიძრე და მარცხენა მკლავზე პერანგის სახელო ავიკაპიწე.

— კეთილი, — თქვა ქირურგმა, — სხვა გზა მაინც არა გვაქვს. ივეტა, დროზე!.. — დაჭრილს დახედა და დაამატა: — ამას დაყოვნება არ არგებს. მე მანამდე ჭრილობას შევუხვევ.

ივეტამ მეორე ოთახში გამიყვანა და ძველ, ჭრიალა ტახტზე დამაწვინა, ზედ რომ ქათქათა ზეწარი გადაეფინათ. აკაპიწებულ ხელებზე რეზინის ხელთათმანები გაიკეთა და იდაყვთან რალაც ცივი წამისვა. ცხვირში იოდის მძაფრი, მოტკბო სუნი მეცა.

— ნუ გეშინიათ! — დამამშვიდა ივეტამ, — არ გეტკინებათ!

— სულაც არ მეშინია!

— შესანიშნავი ძარღვი გაქვთ, — მკლავს მიზელდა ივეტა და იღიმებოდა.

— ეგ მძიმე სამუშაომ იცის, — მივუგე მე და დავინახე, მაგიდიდან ნემსი რომ აიღო, — არტილერისტი ვარ. ყუმბარები შემოგველია და მსროლელებთან იმიტომ გადავედი.

— უჭირს რესპუბლიკას...

— იქნებ ჯერ არ არის გვიან? იქნებ სასწაული მოხდეს და გავიმარჯვოთ!

— სასწაულებისა არა მჯერა, — მომიგო მან. — სადღა ვიბრძოლებთ? საფრანგეთის საზღვარი ერთ ნაბიჯზელაა. ვაზნები არა გვაქვს, ყუმბარები არა გვაქვს. იმათ კი ყველაფერი აქვთ!

— შეიძლება დაიწყონ მადრიდის ფრონტზე შეტევა.

— ჩვენ თუ გაგვსრესენ, მაშინ იქაც ბოლო მოელება ყველაფერს, — თქვა ივეტამ და ნემსი ჩამირჭო, — შესანიშნავი ძარღვი გაქვთ.

— სრულებით არ მეტკინა.

— გეტკინათ კი, მაგრამ არ იმჩნევთ.

— არა, არ მეტკინა.

ივეტამ კალთაში ოთხკუთხა ბოთლი ჩაიდგა. შიგ ჩემი სისხლი წვეთწვეთად ჩადიოდა.

— რა გქვიათ? — შემეკითხა უეცრად.

— ჟორჟი.

— ესპანურად ხორხე, არა? საიდან იცით თქვენი სისხლის ჯგუფი?

— პირველად კი არ ვიძლევი სისხლს.

ივეტამ ჩუმად ჩაიღიმა.

— მეც ეგრე ვარ. ერთ დღეს ორჯერ გადავუსხი. მახსოვს, თავბრუ დამეხვა, პირი გამიშრა და საშინლად მომწყურდა.

— მე არც პირი მიშრება, არც მწყურია და არც თავბრუ მეხვევა.

— თქვენ ძლიერი ხართ, — თქვა ივეტამ, — ჩემზე გაცილებით ძლიერი! სპორტსმენი ხომ არა ხართ?

— არა.

— ჰო, ძართლა! წელან აკი მითხარით, არტილერისტი ვარო. ამიტომ თუ გაქვთ ასეთი მაგარი კუნთები!

— ადრე არტილერიის შოფერი ვიყავი. საბრძოლო მასალას ვტვირ-

თავდი. თითო ჭურვი ორმოცდასამ კილოგრამს იწონიდა... — ეტყობოდა, სადღაც კაბანელიასთან ბომბავდნენ. გარკვევით მესმოდა თვითმფრინავიდან ჩამოყრილი ყუმბარების გრუხუნი. აფეთქების ხმა მიწას არყევდა. ირყეოდა ტახტი. ჩემი სისხლი, ბოთლში რომ წვეთავდა, უცბად შექანდა. მივხვდი, აღელვებისაგან ხელები აუცახცახდა ივეტას.

— ღმერთო ჩემო! — წამოიძახა, — ნერვები ისევ მღალატობს!

— ჩვენ კი ძალა არ შეგვწევს წინააღმდეგობის გასაწევად, — ჩავიბურტყუნე.

— ჰო, ჩვენ ალარ გვყოფნის ძალა, — გაიმეორა მან და ბოთლს გადახედა, შიგ უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა სისხლი. — ცოტაც და ეყოფა.

— აილეთ კიდევ! — ვუთხარი, — იქნებ დასჭირდეს?

— მეტი არ შეიძლება, — თავი გააქნია ივეტამ.

— თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. სისხლი ბევრი მაქვს.

ივეტა არ დამეთანხმა.

— სულ ერთია, ხუთას კუბზე მეტი არ შეიძლება. ახლავე დავამთავრებ... სადაური ხართ, გეთაყვა?

— ლატვიელი.

— ლატვიელი? — წამოიძახა ივეტამ. — ჩვენ ერთ ლატვიელს ფეხი მოვკვეთეთ. ეს ამბავი დიდი ხნის წინათ მოხდა, გვადალაჰარის ბრძოლის შემდეგ. ჩემი დობილი უვლიდა. მერე ერთმანეთი შეუყვარდათ.

ის იმიტომ ლაპარაკობდა, რომ გავერთე და ტკივილი არ მეგრძნო, თუმცა სულ არ მტკიოდა და ამიტომაც გავეხუმრე:

— ნეტა დაჭრილი ვიყო და თქვენ მივლიდეთ!

ივეტა თითით დამემუქრა.

— აბა, რა ხუმრობაა! ეგ უბედურებალა გაკლიათ!

— აი, თქვენ თუ მომივლით, მაშინ ბედნიერი ვიქნები!

ივეტა აილეწა.

— კმარა! — თქვა მან, ნემსი ამომაძრო და ლახტი შემხსნა. ნანემსარს ოდიანი ბამბა დაადო და საქმიანად მომმართა: — ხელი დააჭირეთ და ცოტა ხანს იწექით! ახლავე დავბრუნდები.

დაჭრილ ჯარისკაცთან წავიდა. მარტო დავრჩი. ქალაქს ისევ უშენდნენ ყუმბარებს, თუმცა ჭურვები ახლა უფრო შორს სკდებოდა. ალბათ საფრენ მოედანს თუ უშენდნენ. ესპანურ კერიასთან დაწყობილი ჭურჭელი ჩხარუნობდა. ალუმინის ტაფა გადმოვარდა და ხმაურით დაეცა სოხანეზე. ალბათ აქ ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ წყნარად, თავისთვის ცხოვრობდა ოჯახი და, ეტყობა, ფრონტის მოახლოებისთანავე მიატოვა აყვავებული ნუშის ბაღი, მთელი საცხოვრებელი და საფრანგეთის საზღვრისაკენ გაიხიზნა — ფაშისტებს დაემალა.

ივეტა ოცდოდე წუთში დაბრუნდა. შავგვრემანი პირისახე ულიმოდა და თვალები უბრწყინავდა.

— კარგად არის საქმე, გადარჩება! სისხლი კი ბევრი დაუკარგავს.

— სახვევები ალარ გვქონდა. სულ შემოგვეხარჯა.

— შეფმა თქვენთვის გადმომცა სახვევები. ექიმი თუ გყავთ ბატალიონში?

— არა, — მივუგე მე. — საექიმო პუნქტს ჭურვი დაეცა და ყველა დაიღუპა.

— მაშინ თქვენ თვითონვე უნდა შეუხვიოთ ერთმანეთს ჭრილობები. წამოდით, სახვევებს მოგცემთ.

ნანემსრიდან ოდიანი ბამბა ამაცალა და ორივენი იმ ოთახში შევედით, სადაც უამრავი დაჭრილი იყო და მოწყალების დები ჭრილობებს უხვევდნენ. ივეტამ მოზრდილი ფუთა გადმომცა.

— უსათუოდ გამოგადგებათ დაჭრილებისათვის. აიღეთ და წადით. ალბათ გელიან უკვე. თქვენი მეგობრის სახელი სულ მავიწყდება. რა ჰქვია?

— ანთანას მარკოვი.

— მეთაურს მოახსენეთ, რომ ანთანას მარკოვი იცოცხლებს.

— შეიძლება ვნახო?

— არა, ნუ შეაწუხებთ, — მტკიცედ თქვა ივეტამ. — სალამოზე კიდევ ჰო, ახლა კი — არავითარ შემთხვევაში!..

ძალიან მინდოდა მეგობრის ნახვა, მაგრამ თავი შევიკავე და იმ იმედით წავედი, რომ ყველაფერი კარგად ჩაივლიდა, ანთანას მარკოვი იცოცხლებდა და კვლავ შევხვდებოდით ერთმანეთს.

იმ სალამოს მაშველი ძალა შემოემატა ფაშისტებს და შეტევაზე გადმოვიდნენ. ხმა დაირხა: ზღვიდან უახლოვდებიან საფრანგეთს და ალყაში მოქცევას გვიპირებენო. დიდ სახლს მოფარებული ბატალიონის შტაბთან ვმორიგეობდი ჩემი მანქანით. მეთაურმა მიბრძანა, მზად იყავიო. ბინდისას ახლომდებარე ფიგუერის ციხესიმაგრეში გამგზავნეს ტყვია-წამლისათვის, მაგრამ იქამდე ვერც მივაღწიე — ციხე ააფეთქეს. გზაზე უკუქცეული ჯარის ნაწილები შემომხვდა და მეც უკან დამაბრუნეს.

გვიან სალამოს ბრძანება მოვიდა, ქალაქი დატოვეთო.

ბატალიონმა პირენეის მხარეს დაიხია. დამავალეს, გზად ჰოსპიტალში შემევლო და დაჭრილი მარკოვი წამომეყვანა, რომ მტერს არ ჩავარდნოდა ხელში.

ივეტა ძალიან აღელვებული შემხვდა.

— თქვენი მეგობარი გარდაიცვალა, აქვე, ქალაქის სასაფლაოზე მივაბარეთ მიწას.

ხმა ვერ ამოვიღე, ჩანს, ჩემმა სისხლმა ვერ უშველა საცოდავს. მინდოდა სასაფლაოზე მივსულიყავი, მაგრამ ივეტამ გადამათქმევინა.

— ბნელა, ვერაფერს დაინახავთ იქ, მეგზურსაც ვერ გამოგაყოლებთ. ყველა წავიდა. საზღვრისაკენ ვიხევთ.

ივეტა აქვითინდა.

— ყველაფერი დაიღუპა! — მწარედ ამოიგმინა, — ჩვენც ახლავე წავალთ, მარტო შეფი რჩება აქ. ბარსელონაში ავადმყოფი ცოლი ჰყავს და წამოსვლა არ შეუძლია.

— თქვენი მშობლები სად ცხოვრობენ? — ვკითხე მე.

— მამაჩემი საფრანგეთში ცხოვრობს, — მიპასუხა ივეტამ, — მარსელის ახლოს. მე კი ესპანეთი მიყვარს და ამიტომ ვწუხვარ მასზე.

— თქვენ ესპანელი ხართ?

— მამაჩემია ესპანელი, დედა კი ფრანგი იყო. ის რამდენიმე წლის წინათ გარდაიცვალა.

— მაშასადამე, თქვენც მოხალისე ხართ?

— თქვენსავით.

სანამ ვსაუბრობდით, კაბანელიაში სროლა ატყდა. ალბათ ფაშისტები თუ დაეცნენ ქალაქს. უკვე დრო იყო, საჭეს მივჯდომოდი.

— თქვენ რაღას უცდით? — ვკითხე ივეტას.

— ყველა მანქანა საზღვრისკენ გავგზავნეთ, მხოლოდ ერთიღა დაგვრჩა. ძრავა გაფუჭებია, მძღოლი რომ შეაკეთებს...

— მანქანა სადაა?! — წამოვიძახე, — მე შევაკეთებ.

ეზოში შევედით. ფარდული ცარიელი დაგვხვდა. მანქანა არსად ჩანდა.

— გაქცეულა წყეული! — ზიზღით წამოიძახა ივეტამ. — მანქანა შეფისა იყო. ალბათ ორივე... ფაშისტებთან გაიქცა.

— ახლავე ჩაიცვით და თან წამომყევით! — ვუბრძანე. — წამის დაკარგვაც არ შეიძლება.

ივეტამ ჰოსპიტალში შეირბინა, მე ძრავა ავამუშავე და მანქანა გზაზე გავიყვანე. სროლის ხმა ახლოვდებოდა. ბრმა ტყვიები ზუზუნებდნენ ჰაერში. არტილერია გრიალებდა და ცის ტატნობზე ცეცხლის ენები ლრუბლებს სწვდებოდა. ჭურვები ქალაქის შუაგულში ფეთქდებოდა, ზოგი მათგანი თავზე გადამიფრენდა ხოლმე.

ივეტა მალე გამოვიდა, ხელში პატარა ჩემოდანი ეკავა. უსიტყვოდ მომიჯდა გვერდზე. ციცაბო გორაკებზე ამავალ გზას ავყევით. მტერს რომ არ შევენიშნეთ, შუქი ჩავაქრე. გორაკებს თუ გადავცდით, გადავრჩებით! ამიტომ წინ, სწრაფად!

ჭურვის ნამსხვრევები ძრავასა და კაბინას ეყრებოდა. მაგრამ რა გამაჩერებდა. ერთი წამიც, კიდევ ერთი, კიდევ!.. ძრავა დაჭრილი მხეცივით ლრიალებდა. მერე, თითქოს სული მოითქვაო, ისარივით გადაუქროლა გორაკს და უხმაუროდ დაეშვა ჭაობიან დაბლობზე. სიბნელეში ხელი ხელზე მოვკიდე ივეტას და მისი გათოშილი თითები ტუჩებთან მივიტანე.

— ივეტა, გადავრჩით!

მან იდაყვზე მომკიდა ხელი და თქვა:

— გმადლობთ!.. მარკოვი გარდაიცვალა, შეფი კი ფაშისტებთან გაიქცა, არამზადა!

როცა დავრწმუნდი, რომ სამშვიდობოს ვიყავით, შუქი ავანთე. ორმა თეთრმა სხივმა წყვდიადი შუაზე გაკვეთა. გზაზე რამდენიმე დაღლილი ჯარისკაცი მიაბიჯებდა. მანქანა დავამუხრუჭე და შევეხმიანე:

— ეჰეი, ბიჭებო, სლავების ბატალიონი ხომ არ იცით სადაა?

ჯარისკაცებმა მხრები აიჩეჩეს. მარჯვნივ, გზის მახლობლად, გამაყრუებელი აფეთქების ხმა გაისმა და ჰაერში უზარმაზარი ალი აიჭრა.

ჯარისკაცები გზისპირა თხრილებში გაწვნენ. ცეცხლის ენა დაიგრაგნა და რომელიღაც შენობის ჩამოწოლილი კოჭებისაკენ ტკაცატკუცით გახოხდა.

— ეგ საფრენი მოედნის საწყობია, — ვუთხარი ივეტას და გზა განვაგრძე. — ტყვიამფრქვევის ვაზნები იწვის და ამიტომაც ტკაცუნობს ასე.

— იქ ფაშისტები არიან? — მკითხა ივეტამ.

— არა, — ვცდილობდი დამემშვიდებინა. — ჩვენმა მესანგრეებმა თუ ააფეთქეს, მტერს რომ არ ჩავარდნოდა ხელში.

— ეგ კარგია, — თქვა მან. — კიდევ დიდხანს უნდა ვიაროთ?

— არ ვიცი. ვივლით, სანამ ჩვენს საგუშაგოს მივადგებით. გზაზე ყოველთვის ვაყენებთ გუშაგებს.

ცოტა ხნის შემდეგ შევამჩნიე, რომ გზა გაფუჭებულია, და მანქანა გავაჩერე. მდინარის პირას აღმოვჩნდით. მდინარეზე ხიდი აეფეთქებინათ. შუქი ჩავაქრე და მანქანიდან გადმოვედი.

— რომელი ხარ? — გალმიდან გამოგვძახა ვილაცამ.

— თქვენიანები, — გავეპასუხე.

— მეჩეჩი ორ კილომეტრზეა, ზემოთ, მაგრამ ნაპირი უკვე დანალმულია, — მოისმა იგივე ხმა.

— მაშ როგორ მოვიქცე?

— მანქანა ააფეთქე და მდინარე გადმოცურე.

— დინამიტი არ მაქვს.

— მაშინ წყალში ჩაძირე, სულ ერთია, ეგრე დატოვება არ შეიძლება.

— ივეტა, უნდა გადმოხვიდე. აქ ჩამოჯექი და დამიცადე.

ივეტამ თავისი ჩემოდანი აიღო და გადმოვიდა. მანქანა აღმა წავიყვანე, ფრიალო კლდესთან მივიყვანე და გადმოვხტი. მანქანა ხმაურით ჩაეშვა მდინარეში. აბობოქრებულმა მდინარემ, პირენეის თოვლიანი მთებიდან რომ მოედინება, თავისი ქაფიანი თითები ჩასჭიდა, ცოტა წაათრია და ჩააყურყუმელავა. მე ივეტასთან დავბრუნდი და ვუთხარი:

— წამოდი, მე გადაგიყვან.

პირველად იუარა.

— მე თვითონ გადავცურავ.

ხელები მოვხვიე.

— მე თვითონ...

— ნება მომეცი! წყალი ყინულივითაა, გაცივდები.

ჩვენდა უნებურად შენობით მივმართეთ ერთმანეთს. განსაცდელის წუთები ალბათ უფრო აახლოებს ადამიანებს, ვიდრე დიდი ხნით ერთად ცხოვრება.

— კარგი, ხორხე, სცადე, — ბოლოს დამნებდა და ხელები მომხვია კისერზე. — თუ დახრჩობაა, ბარემ ერთად...

როგორც კი ფეხი ჩავდგი, იღლიებამდე მომწვდა წყალი. სიცივემ მარწუხივით მომიჭირა. ფეხი გამისხლტა და კინაღამ დავეცი. მერე ფეხის გულით მოვსინჯე აფეთქებული ხიდის ბეტონის ფილები, ფრთხილად ვადგამდი ყოველ ნაბიჯს და ნელა მივიწევდი წინ. ერთმა გუშაგმა თოკი გადმომიგდო. ხელი მოვკიდე მას და უფრო გაბედულად წავედი წინ.

— გამაგრდი, ძვირფასო! — თქვა ივეტამ, როცა კვლავ დამისხლტა ფეხი და კინაღამ წყალში ჩავაგდე იგი. მგონი, რაღაც თქვა კიდევ, მაგრამ ხიდის ჩამონგრეულ ბურჯებს შორის ისე ღრიალებდა მდინარე, რომ ვერაფერი გავიგე.

— რა თქვი, ივეტა? — ვკითხე.

— გამაგრდი, ძვირფასო!

— ნუ გეშინია, მალე გავალთ მეორე ნაპირზე.

ხიფათი მაინც ვერ ავიცდინე: ზედ ნაპირზე, როცა გუშაგის გამოწვდილ ხელს უნდა ჩავჭიდებოდი, ფეხი ორმოში ჩამივარდა და ივეტასთან ერთად წყალში ჩავყირავდი. ყელამდე ჩაძირული მაინც ვცდილობდი მის შეკავებას,

მაგრამ ამაოდ. ისე მაგრად ჩამფრენოდა კისერში, რომ ჩემთან ერთად ჩაყვინთა.

— ხელი გამიშვი, ივეტა! — შევძახე სასომიხდილმა, მაგრამ ის უფრო მეკვროდა. როცა გუშაგებმა ნაპირზე აგვიყვანეს, მხოლოდ მაშინღა გამიშვა ხელი და სიცივისაგან აძაგძაგებულმა თქვა:

— რა საშინელებაა! კინალამ არ დავიხრჩვით...

ერთმა გუშაგმა ღვინით სავსე მათარა მომაწოდა.

— დალიე, თორემ მოკვდები.

მათარა გამოვართვი, ავწიე და ღვინის წვრილი ნაკადი პირდაპირ ყელში გადავუშვი. ჯერ კიდევ ახალი, ვარდისფერი დაუდუღარი მუსკატი იყო. მათარა რომ ჩავათავე, მაშინღა გამახსენდა, რომ პირველად ივეტასთვის უნდა შემეთავაზებინა.

— მაპატიე! — მათარა ქალიშვილს გავუწოდე.

ივეტა ესპანური ოსტატობით სვამდა. ამ ტკბილი სასმელის ერთი წვეთიც არ დაღვრია მის პატარა, ლამაზ ტუჩებს.

— ბრრრ, რა ცივია! — აძაგძაგებულმა გაუწოდა გუშაგს მათარა. — წყაროს წყალივით ცივია. ჩემოდანში სპირტი მაქვს. ახლავე მოგცემ, თორემ ავად გახდები, — მომიბრუნდა მე.

გახსნა ჩემოდანი, შიგ ქსოვილის რამდენიმე ნაჭერი რომ იდო, და პატარა ბოთლი ამოიღო.

— აჰა, დალიე! გაგათბობს.

— ოჰ, არა! სუფთა სპირტი არასოდეს დამილევია!

— ღვინოში შევურიოთ, — თქვა გუშაგმა და სპირტის ბოთლი ჩამოართვა.

სანამ გუშაგი მიქსტურას მოამზადებდა, ივეტას ვუთხარი, კლდეს მოეფარე და ტანთ გამოიცვალე-მეთქი.

— თან ისეთი არაფერი წამომიღია, — მომიგო მან, თუმცა დამიჯერა და გამოსაცვლელად წავიდა. დაბრუნებისას მითხრა:

— უკეთესად ვარ, რა ცუდია, რომ შენ არაფერი გაქვს.

ვცადე კანკალი შემეკავებინა და რაც შეიძლება გულგრილად ვუპასუხე:

— რა საჭიროა. ცოტა ხნის შემდეგ ცეცხლს დავანთებთ და გავთბებით.

გუშაგის მათარიდან კიდევ რამდენიმე ყლუპი გადავკარით და უკეთ ვიგრძენით თავი.

— აქ რას ყარაულობთ? — ვკითხე გუშაგებს.

მათ ერთმანეთს გადახედეს და გაიცინეს.

— ხიდს ვყარაულობთ, — მომიგო ერთმა მათგანმა.

— ხიდი ხომ აფეთქებულია...

— ღილას დაგვაყენეს და დაგვპირდნენ, შემცვლელებს გამოგიგზავნითო, ისინი კი ჯერაც არ ჩანან. მთელი დღეა არაფერი გვიჭამია. კიდევ კარგი, რომ მარანი ახლოსაა, უიმისოდ დავიხოცებოდით.

— იქნებ დაავიწყდათ? — შევნიშნე მე. — ხიდი როდის აფეთქეს?

— ამ რამდენიმე საათის წინ. კაპიტანმა გვითხრა: თუ ცვლა არ მოვიდა, ჩვენს უკანასკნელ ტანკს გამოყევითო. ლულა თუ მტრისკენ ექნებათ დამიზნული, ჩვენი ტანკები იქნებიანო.

ისევ გადავიხარხარე.

— აბა, ტანკებს აქ რა უნდათ! ჩვენებმა ხომ იციან, რომ ხიდი აფეთქებულია და ამიტომ სხვა გზას მონახავენ.

— ჰო, მეჩეჩიც დანალმულია, — დასძინა ერთმა გუშაგმა.

— ჩვენ დაგვივიწყეს! — წამოიძახა მეორემ. — თქვენ მართალი ხართ, აქ საყარაულო არაფერია.

ღამით ჩვეულებისამებრ მიწყდა ბრძოლის ხმა. და ეს გულის გამაწვრილებელი სიჩუმე საშინელ გუნებაზე გვაყენებდა. როცა ირგვლივ სროლაა, რაღა თქმა უნდა იცი, რომ ალყაში ხარ მომწყვდეული, ანდა როცა ერთი მხრიდან მოისმის სროლის ხმა, მაშინ ის მაინც იცი, სად არის წინა ხაზი. ახლა კი არაფერი ვიცოდით.

ხანდახან ტანსაცმელს მოვიწურავდი. წყალი წურწურით მოდიოდა. შორს, სადაც გზა პირენეის მთებს ჩახვეოდა, პროჟექტორების ბრდღვიალით უწყვეტ ნაკადად მიმოდიოდნენ მანქანები, მაგრამ ისინი ჩვენგან შორს, ძალიან შორს იყვნენ. ჩვენ აფეთქებულ ხიდთან ვისხედით და ვფიქრობდით, რა გაგვეკეთებინა. უცებ მდინარის გაღმიდან ხმა მოისმა:

— ხიდი აუფეთქებიათ, — ხმამაღლა თქვა ვიღაცამ.

— წითელი არამზადები! — დაუმატა მეორემ.

მოსულთა ჯგუფი მდინარის ნაპირს აუყვა.

— ფაშისტი მზვერავები არიან, — ჩაიჩურჩულა გუშაგმა. მეორემ შაშხანა მოიმარჯვა და სასროლად მოემზადა.

— არ ესროლო! — შეაჩერა პირველმა. — ნაბრძანები გვაქვს ბრძოლაში არ ჩავერიოთ.

— ორი ხელყუმბარა მომეცით და მე და ივეტა წავალთ, — ვუთხარი გუშაგებს, — მე მხოლოდ რევოლვერი მაქვს და ისიც სველია.

— აჰა, — გუშაგმა დაუდევრად გამომიწოდა ხელყუმბარები, — თუ გინდა კიდევ მოგცემთ.

— ოთხი მომეცით, — ვთხოვე მე და გუშაგმაც კიდევ ორი მომცა. ხელყუმბარები ქამარზე დავიმაგრე და ივეტას მივუბრუნდი:

— წავიდეთ, ივეტა! — ძლივს წამოვდექი. გათოშილ ფეხებს ველარ ვძრავდი ადგილიდან.

— ჩვენც წაგვიყვანეთ! — გვთხოვა ერთ-ერთმა მცველმა.

არაფერი ვუთხარი. იმათი აკიდებაღა გვაკლდა. ვიცოდი, რომ ჯარები უკან იხევდნენ და გუშაგები აღარავის ახსოვდა. არ მინდოდა, ჩვენთვის ხელი შეეშალათ, მაგრამ ეგ იყო, შაშხანა ჰქონდათ და შეიძლება გამოგვდგომოდა, თუ სადმე მტერს გადავეყრებოდით. ამიტომაც დავეთანხმე და ორლანი გზას გავუდექით. ერთი ხელი წელზე მოვხვიე ივეტას, თბილად რომ ყოფილიყო, მეორით კი საფყორცნად გამზადებული ხელყუმბარა დავიკავე.

— სად მივდივართ? — იკითხა ივეტამ.

— ჩემი ნაწილი უნდა მოვძებნოთ.

ერთ-ერთმა ჩვენმა თანამგზავრმა ჩაიცინა და თქვა:

— ასეა, როცა ომში ქორწინდები, სანამ ცოლს შეაფარებ სადმე, ნაწილს დაკარგავ.

მე და ივეტამ ერთმანეთს გადავხედეთ, მაგრამ არაფერი ვუპასუხეთ. საყინულედან ამოღებულს ვგავდი, კბილზე კბილს ვაჭერდი და თავს ძლივს

ვიმაგრებდი. ივეტაც ცახცახმა აიტანა და ამიტომ უფრო მაგრად მივიკარი. ჩემი თბილი ესპანური ქურქი მანქანაში დამრჩა და მასთან ერთად ჩაიძირა. სხვა არაფერი გამაჩნდა, რომ ცივი ქარისაგან დავეფარე. ველარ გავძელი, ხელყუმბარა დამცველზე დავაყენე, თხრილთან ჩავიმუხლე, შარვლის ტოტები ავიკაპიწე და წვივები დავიზილე. ივეტამ ხელთათმანები წაიძრო და ჩაცუცქდა.

— მოგეხმარები.

გათოშილი ფეხის კუნთები დამიზილა. ცოტა მოვჯობინდი.

— სამარისებური სიჩუმეა, — ჩაილაპარაკა ერთ-ერთმა თანამგზავრმა, ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო და გრძელი, მუცელზე ქამრის მაგიერ შემოკრული ფრონტული სანთებელათი მოუკიდა. — როგორ გგონიათ, აძხანაგებო, ალყაში არა ვართ მოქცეული? ჩვენიანი ერთიც არავინ ჩანს აქ.

სიგარეტი ისეთ სურნელს აფრქვევდა, რომ პირზე ნერწყვი მომადგა.

— ჩვენები სიბნელით სარგებლობენ, უნდათ ახალი თავდაცვითი ხაზი დაიკავონ, — მივუგე მე და თან ნერწყვი გადავყლაპე.

— იქნებ მართლაც მტრის ალყაში ვართ? — დასძინა მეორემ.

— რა სისულელეებს ჩმახავთ! — წამოიძახა ივეტამ, თან ისევ გათოშილ წვივებს მიზელდა.

— ნამდვილად სისულელეა! — ვთქვი, თუმცა თვითონვე არ მჯეროდა საკუთარი სიტყვებისა. ეს მხოლოდ ივეტას დასამშვიდებლად ვთქვი.

— ახლა ნეიტრალურ ზონაში ვართ და სულ მალე ჩვენიანებს შევხვდებით.

პაპიროსის მწეველმა სიგარეტი მომაწოდა. ნაფაზი დავარტყი და სიამოვნებისაგან გავბრუვდი.

— გესიამოვნა? — მკითხა მან.

— დიდი ხანია არ მომიწევია, თავბრუ დამეხვა.

— ეგ სიყვარულმა იცის, — ჩაიქირქილა მეორემ. გაბრაზებულმა გადავაფურთხე.

გზაზე, მდინარის მხარეს, რაღაც ხმაური გაისმა. სმენად ვიქეცით. ივეტა ალელვებული წამოდგა. ახლა რკინის ჟღარუნშიც კი შეიძლებოდა ნაბიჯის ხმის გარჩევა, თითქოს გზაზე მთელი ბატალიონი მოდიოდა.

— ჩვენები არიან? — ჩურჩულით იკითხა ივეტამ.

— შეუძლებელია, დავიმალოთ! — ვთქვი მე. კლდისკენ გავხოხდით და ყველანი საბრძოლველად მოვემზადეთ.

ისინი ბევრნი იყვნენ. სამწყობრო ნაბიჯით მოდიოდნენ. ჩქარობდნენ. მხრებზე რაღაც გაედოთ. ზოგს ჩალმა ეხურა თავზე.

— მაროკოელები! — ჩამჩურჩულა ივეტამ.

კარგად დავინახე, მხარზე ნიჩბები გაედოთ.

— ეგენი მესანგრეები არიან. — მივუგე. საფრიდან წამოვდექი და გავძახე: — ეჰეი, საით მიიჩქარით?

ასობით ნიჩაბი ახმაურდა და მაროკოელთა გუნდი შეჩერდა.

— რესპუბლიკელებთან მივდივართ, — მიპასუხა მეთაურმა.

— თქვენ ვინა ხართ?

— ტყვეები.

— მერედა ბადრაგი სადა გყავთ?

— ჩვენ არა გვყავს ბადრაგი.

— ფაშისტები სად არიან?

— აქვე, მდინარის გადაღმა. მათთან ყოფნა აღარ გვინდა. რესპუბლიკელებს ვეძებთ.

— მაშ პირდაპირ წადით, პირდაპირ, — ვუთხარი მე.

მაროკოელებმა ნაბიჯს აუჩქარეს და ჩვენც გზა განვაგრძეთ. ახლა კი დავრწმუნდით, რომ ნეიტრალურ ზონაში ვიყავით. უნდა გვემარჯვა და დილამდე მიგვესწრო ჩვენებისათვის.

პირენეის ერთი მთის ძირას რესპუბლიკელთა მეწინავე საგუშაგოს წავაწყდით.

— სლავების ბატალიონი ხომ არ იცი სად არის? — ვკითხე ერთ გუშაგს.

— პოლონელები, ჩეხები და ბულგარელები?

— ჰო.

— უკან, რეზერვში არიან, — მიპასუხა.

თანამგზავრები დაგვშორდნენ, ჩვენ ორნი დავრჩით. ივეტა ვერხვის ფოთოლივით ცახცახებდა. გული დამეწვა, მეგობრულად მოვხვიე ხელი და მკერდში ჩავიკარი.

— მეშინია, რამე არ დაგემართოს, ივეტა, ძალიან გცივა?

— არა, ახლა არა მიშავს რა, — მიპასუხა და ლოყა მომადო. ლოყა სველი ჰქონდა, ალბათ, ცრემლებისაგან.

— ნუ ტირი, საფრთხე აღარ მოგველის. ახლა ყველაფერი კარგად იქნება, — ვამშვიდებდი მე.

— არ იქნება, — მომიგო მან და უფრო მომეკრა, თითქოს თავშესაფარს ეძებსო. — ყველაფერი დავკარგეთ, ყველაფერი, ყველაფერი. ესპანეთი აღარ არსებობს. აქ, მთებში, საფრანგეთის საზღვარია, ჩვენს უკან კი ღამეა, ხანგრძლივი, იქნება მარადიულიც. განა ამ მთებში კიდევ როდისმე შევხვდებით განთიადს?

— შევხვდებით, ივეტა! დიდ ღამეს განთიადი მოსდევს.

— შენ გჯერა ეგ?

— მჯერა...

ჩემი ხელები ჩამოიშორა და გზა განვაგრძეთ. სადღაც შორს, ხმელთაშუა ზღვის მხარეს, ალისფრად გაიელვა და აფეთქების ხმა მოგვესმა.

— მესანგრეები ხიდებს აფეთქებენ, — ვთქვი მე, — ჩვენი ნაწილები ღამით თავდაცვაზე გადავლენ, ხვალ კი ბრძოლა დაიწყება. ჯერ კიდევ არაა ყველაფერი დაკარგული.

— ნეტა ეგრე იყოს! — ბავშვივით წამოიძახა ივეტამ.

მთის ძირას, გზის ორივე მხარეს, სანგრებს თხრიდნენ მაროკოელები, ახლახან რომ შეგვხვდნენ. მათ გავცდით და ოლოჩოლრო მინდორში გავედით, სადაც ათიოდ ადგილას კოცონი დაენთოთ. მათ გარშემო ცივი ქარისაგან დამფრთხალი ჯარისკაცები ფუსფუსებდნენ.

— წამოდი, გავთბეთ! — მთხოვა ივეტამ.

— წავიდეთ.

ეს ჩემი ბატალიონი იყო. ამხანაგებს ეგონათ ჩემზე, ტყვედ ჩავარდაო და როცა დამინახეს, ძალიან გაიხარეს. ეს სიხარული ანთანას მარკოვის სიკვდილმა ჩააშხამა ყველას. როცა გაიგეს, მარკოვს ივეტა უვლიდაო, ყველანი მას შე-

მოეხვივნენ, კოცონთან ახლოს დასვეს. ცხელი ჩაი მიუტანეს და კითხვები დაუყარეს. მე კი მეთაურთან წავედი და ყველაფერი მოვახსენე.

— მხოლოდ მარკოვი და ჩემი მანქანა მენანება, — ვთქვი ბოლოს.

— ჰო, მარკოვის დაღუპვა გულსატკენია. ბულგარეთში ერთად ვმუშაობდით იატაკქვეშეთში, შესანიშნავი ამხანაგი იყო, — თქვა მეთაურმა. — მანქანას კი ნუ იდარდებ. მისი დატოვება თუ აფეთქება მაიც მოგვიწევდა. წადი, დაისვენე. ხვალ ბრძოლა დაიწყება.

მივხვდი, რომ საქმე არც ისე იოლად იყო, და მეთაურს ვკითხე, ივეტას რა ვუყოთ-მეთქი. მეთაური ცოტა ჩაფიქრდა და თქვა: დარჩეს ჩვენთან, ბატალიონის სანიტარი მაინც არა გვყავს, ყველა დაიღუპა.

უკან დავბრუნდი. გზაზე, კლდის მახლობლად ლტოლვილების მიტოვებულ ურემს მოვკარი თვალი. ურემზე მიბმული ჯორი საცოდავად მობუზულიყო, ალბათ დიდი ხანი არაფერი ეჭამა. ავუშვი და დათრთვილულ მინდორზე გავაგდე. ურემი ცარიელი იყო, მაგრამ იქვე, ქვებთან დასაძინებლად გაშლილი ლეიბი აღმოჩნდა. მხარზე გადავიკიდე და სიხარულით გავწიე კოცონისაკენ.

— ივეტა, შეხე, რა გიშოვე. — ლეიბი კოცონის გვერდით დავდე და მეთაურის გადაწყვეტილება ვუთხარი.

ივეტას ძალიან გაუხარდა.

— თქვენთან ვრჩები?

ამხანაგებმა საბნები მოგვცეს და ყველანი დასაძინებლად წავიდნენ. ლეიბი კოცონზე გავათბე, ზედ საბანი გადავაფარე და ივეტა დასაძინებლად მივიწვიე.

— არა, არა, ლეიბზე შენ უნდა დაწვე. მთლად სველი ხარ.

— როგორც დაგვები, ტანსაცმელს გავიხდი და გავაშრობ.

— გაიხადე, არ შემოგხედავ, — თქვა ივეტამ.

— არა, შენ რომ დაიძინებ, მხოლოდ მაშინ გავიხდი

— თუ ეგრეა, ხელს არ შეგიშლი, — გაიცინა ივეტამ, ლეიბზე დაწვა და სქელ საბანში გაეხვია.—რა კარგად გაგითბია, თავი შინა მგონია.

— აი, ეგ მომწონს! — ვუთხარი და გახდას შევუდექი. — ოღონდ არ შემომხედო! საცაა დედიშობილა ვიქნები.

— არ გაცივდე, გენაცვალე! — გამაფრთხილა.

გენაცვალეო? კი, ნამდვილად ასე მითხრა — გენაცვალეო! მეც მომინია რაიმე გულთბილი სიტყვა მეთქვა, მაგრამ ვერ მოვახერხე. ივეტა კი საბანში ლაპარაკობდა:

— დღეიდან მედიცინის უმედიკამენტო მუშაკი ვარ. წამლები ჰოსპიტალში დამრჩა. რატომ არ გამახსენე?

— რა ვიცოდი, თუ ასე შეტრიალდებოდა ჩვენი ბედი. თანაც დრო აღარ გვქონდა, კაბანელიაში ფაშისტები შემოიჭრნენ.

— რატომ მაშინვე არ მითხარი?

— არ მინდოდა შემეშინებინე...

ივეტა გაყუჩდა. ტანსაცმელი კოცონის გვერდით დაყრილ ფიჩხზე გადავკიდე. სველ ტანსაცმელს სითბოზე ოხშივარი ავარდა, თითქოს მდუღარე წყლიდან ამოიღესო.

— ხორხე! — უცებ მომესმა ივეტას ხმა.

შევკრთი. მეგონა უკვე ეძინა.

— ხორხე! — გაიმეორა.

— ისევ გცივა, ივეტა?
— არა, კარგად გავთბი. შენ კი ალბათ გცივა?
— სპორტული ტრუსი მაცვია, — ვიცრუე, — არა მცივა.
— მაშ შეიძლება შემოგხედო.
— სჯობს დაიძინო!
ივეტამ საბანი გადაიწია, მაგრამ მაშინვე გადაიფარა და წამოიძახა:
— უგუნურო, გაცივდები!
— არ გავცივდები, კაჟივითა ვარ.
— ჰო, შენ ძლიერი ხარ... რატომ ყველა შენსავით ძლიერი არ არის?
— ჩემზე ძლიერებიც არიან, ივეტა!
— არა, მე მგონია, რომ შენ ყველაზე ძლიერი ხარ.
— შენც ძლიერი ხარ, ივეტა.
— არა, მე მშიშარა ვარ.
— რა გაშინებს?
— შეიძლება გითხრა?
— მითხარი!
— სიკვდილისა მეშინია.
— შეხ არავითარი საფრთხე არ გემუქრება. ფაშისტებს თუ ვერ შევაჩერებთ, საფრანგეთის საზღვარზე გადავალთ. მშვიდად იძინე, ივეტა, საცაა გათენდება.
— ეგ არ მაშინებს, — ბრძოლის ველზე დაცემა დიდი პატივია. მე მეშინია... თვითონაც არ ვიცი, როგორ გითხრა. მე ჩვეულებრივი, ბუნებრივი სიკვდილისა მეშინია.
— ახლა თუ გადავრჩით, ყველას ეს დღე მოგველის. ასეთია ბუნების კანონი.
— მე მაინც მალე მოვკვდები.
— ასე რატომ ფიქრობ?
— დედაც ადრე მომიკვდა. შეიძლებოდა დიდხანს ეცოცხლა, მაგრამ მოკვდა.
— რამ მოკლა დედაშენი?
— სიმსივნემ.
— სიმსივნემ?
— ჰო, ძუძუზე ჰქონდა სიმსივნე. ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ მაინც ვერ გადაარჩინეს. მოკვდა...
— დედაშენის სიკვდილი აქ რა შუაშია? სისულელეებს ნუ ამბობ, ივეტა, დაიძინე! გაბრაზებული ვარ და შენთან ლაპარაკი არა მსურს.
— ნუ ჯავრობ, ძვირფასო! — შემეეკედრა ივეტა. — მე მინდოდა მეთქვა, რომ მე... მეშინია, მეც სიმსივნე ხომ არა მაქვს ძუძუზე.
ახლა კი მართლა გავბრაზდი.
— თვითონაც არ იცი, რა სისულელეს ლაპარაკობ!
ივეტამ მაინც თქვა:
— ეს სისულელე არაა, მეგობარო. ერთი ძუძუ მეორეზე დიდი მაქვს, ამიტომაც მეშინია...
— ყველა ქალს ეგრე აქვს.

— ყველა ქალს? — ცნობისმოყვარეობა ვერ დამალა ივეტამ. — შენ საიდან იცი?

— ვიცი, მითხრეს, — ვიცრუე.

— ვინ გითხრა?

— ერთმა ექიმმა.

ივეტამ დამიჯერა.

— იქნებ მართალიცაა. რომ იცოდე, როგორ არ მინდა სიკვდილი! მინდა კიდევ რაღაც კარგი გავაკეთო, ჩემთვის კი არა — სხვებისთვის. ხალხი მაინც იყოს ბედნიერი... მინდა რაღაც ძალიან, ძალიან კარგი... ისეთი რა შემიძლია გავაკეთო, ხორხე?

— ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი კარგი რამის გაკეთება შეგვიძლია, — დავამშვიდე ივეტა, — ოღონდ ამისთანა სისულელეზე აღარ იფიქრო და დაიძინე. მთების გადალმა, ზღვაზე, უკვე ინათა.

— დროა შენც დაიძინო, — მითხრა და გვერდზე გაიწია. — ადგილი გაგითბე, მოდი!

ივეტა გაჩუმდა, ალბათ ჩაეძინა. ამხანაგებსაც მშვიდად ეძინათ. მე კი მოსვენება დავკარგე. ტანსაცმელი გამშრალიყო. ჩავიცვი. ცეცხლის პირას თბილ ქვაზე ჩამოვჯექი და მინავლებულ ნაკვერჩხლებს ჩავაშტერდი. საბრალო ივეტა, იქნებ მართლა ავადაა? როგორ დავეხმარო, როგორ? არა, სხვა რას გავუკეთებ დამშვიდების გარდა. უნდა ვუთხრა, რომ ეს ყველაფერი სისულელეა. მხოლოდ ამაღამ მაქვს ამის საშუალება! ხვალ ბრძოლა დაიწყება. იქნებ დავიღუპო კიდეც. ან იქნებ ის დაიღუპოს, ბრძოლის ველიდან დაჭრილებს რომ გამოიყვანს. იქნებ ორივე ცოცხალი დავრჩეთ, მაგრამ გარიმოებამ ისე გაგვყაროს, რომ ერთმანეთს აღარასოდეს შეგვახვედროს, აღარასოდეს...

ნაკვერჩხლებს ხმელი ფიჩხი დავაყარე, ტკაცატკუცით აბრიალდა ალი. ივეტასთან მივედი და პირისახიდან საბანი გადავუწიე. ვერაფერი გაიგო. შავი თმა და გადაკალმული წარბები სახეს უფრო უფერმკრთალებდა, ვიდრე სინამდვილეში ჰქონდა. რამდენი წლისა იქნება? ალბათ ოცზე ცოტა მეტის — ოცდაორის ან ოცდასამის. განა მარტო მისმა სინაზემ და მომხიბვლელმა სილამაზემ დამატყვევა, მისმა მიამიტურმა, თითქმის ბავშვურმა გულახდილობამაც.

ფრთხილად ავწიე საბნის კალთა და დავწექი, ხელი თბილ მხარზე დავადე. ივეტა შეინძრა, მაგრამ არ გამოუღვიძნია. ალბათ ძალიან თუ დაიღალა. თავი ქალიშვილის თავთან მედო. მის თმას მგონი ნუშის სურნელი ასდიოდა.

ალიონზე ავდექი და ბატალიონის შტაბში წავედი შაშხანის მისალებად. მინავლებულ კოცონთან რომ დავბრუნდი, ივეტა ჩემი ამხანაგების ჯგუფში იდგა.

— ალბათ საშინლად დაღლილი სახე მაქვს, — სიცილით თქვა ივეტამ.

— შესანიშნავად გამოიყურები, — ვუთხარი მე.

ჯარისკაცები თხრილებთან ქუჩდებოდნენ. მე და ივეტა მეტად თავდაჭერილად გამოვეთხოვეთ ერთმანეთს, რატომღაც ორივეს გვრცხვენოდა წუხანდელი მეგობრული სიახლოვისა და მხურვალე გრძნობებისა.

ივეტამ მამის მისამართი გადმომცა.

— თუ საფრანგეთში მოხვდე, არ დამივიწყო... მომწერე!

— ივეტა! — საყვედურით წამოვიძახე, მაგრამ მაშინვე გავჩუმდი. მისამართი ჯიბეში ჩავიდე და ხელი გავუწოდე: — ამხანაგები მიცდიან, უნდა წავიდე, ნახვამდის!

— ნახვამდის, ხორხე! თუ საფრანგეთში მოხვდები... მომწერე!

მწყობრად მივდიოდით სანგრების ბილიკზე. ეს სანგრები მაროკოელთა ბატალიონს გაეთხარა წუხელ. სისხლისფერი თიხა ბოლავდა და შეუნიღბავი იყო. გავიფიქრე, მტრის ავიაციისა და არტილერიის თვალის ასახვევად ეს საუკეთესო სატყუარი იქნება-მეთქი. მთის ძირას სამიმოსვლო ბილიკიდან ამოვხტი, ამხანაგები წინ გავუშვი და უკან გავიხედე. ივეტა ალარ ჩანდა. ალარავინ ჩანდა. უცებ, არ ვიცი, რატომ, ივეტას უუხახდელი სიტყვები ჩაძესმა ყურში: „განა ამ მთებში კიდევ როდისმე შევხვდებით განთიადს?“

— შევხვდებით, ივეტა, შევხვდებით! — თითქმის ხმამაღლა წამოვიძახე. სანგარში ჩავხტი და ამხანაგებს გავედევნე.

II

იმ ღამის შემდეგ, ერთად რომ გავატარეთ მე და ივეტამ, მრავალი წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ტყვედ ვიყავი საკონცენტრაციო ბანაკებში და ივეტას წერილს არ ვწერდი, რამე ხიფათს არ გადავყარო-მეთქი. გავიგე, რომ ესპანეთის უკანასკნელ ბრძოლებში ცოცხალი გადარჩენილა. ერთმა ბულგარელმა ექიმმა მითხრა ბანაკში, ჩვენ ერთად გადავლახეთ საფრანგეთის საზღვარი და იარაღი ჩვენც თქვენსავით აგვყარესო. ივეტა, როგორც საფრანგეთის ქვეშევრდომი, მალე გაათავისუფლეს და მამასთან წავიდაო.

მამამისი მეთევზე იყო და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, მარსელის მახლობლად ცხოვრობდა, პატარა ქალაქ კასში. სულ ეს იყო, რაც ივეტაზე ვიცოდი. ახლაც არ შევაწუხებდი, მაგრამ სხვა გზა არ იყო, მხოლოდ ივეტას შეეძლო დამხმარებოდა.

აპრილის ბნელი და წვიმიანი ღამე იყო. მარსელ-ტულონის სატვირთო მატარებელი ვიდრე სადგურს მიაღწევდა, ჩამოვხტი. კარგად ვიცოდი, როგორ ავრიდებოდი სადგურს, სადაც ჟანდარმები და პოლიციის აგენტები მორიგეობდნენ. არ მინდოდა მათ გადავყროდი. ჯერ მარტო ჩემი გარეგნობა მიიქცევდა ყურადღებას. ტანთ რესპუბლიკური არმიის ფრონტული ხალათი და სამოქალაქო შარვალი მეცვა. მხრებზე რომელიღაც დამხმარე ორგანიზაციის გამოგზავნილი, დაჭმუჭნილი ლაბადა მქონდა წამოსხმული, ტანზე რომ ვერა და ვერ მოვირგე. სარკე არ მქონდა, მაგრამ ვგრძნობდი, ისეთი ლონემიხდილი გახლდით, რომ უცხო კაცი ეჭვით შემომხედავდა. ყველაზე ცუდი კი ის იყო, რომ ჯიბეში არავითარი საბუთი არ გამაჩნდა. ისიც ვიცოდი, რომ ჩემი სურათი, თითების ანაბეჭდი და სხვა განსაკუთრებული ნიშნები ყველა დეპარტამენტის ჟანდარმერიისა და გესტაპოს არქივებში ინახებოდა.

ათი დღე მარსელის მთებში ვიმალებოდი. ველოდებოდი, როდის შეწყვეტდნენ ჟანდარმები ჩემს ძებნას. მათთვის რომ კვალი ამებნია, ასეთ ეშმაკობას მივმართე: მდინარის პირას ჭორომთან ტანსაცმელი დავტოვე, მაძებრებს რომ ჰგონებოდათ, დინებას ქვებზე მიუნარცხებია და გვამი ალბათ მორევმა ჩაითრიაო. მხოლოდ ახლა, ამ ხიფათიანი ათი დღის შემდეგ გავბედე პატარა ქალაქ კასში ჩასვლა. იმედი მქონდა, დატოვებული მისამართის საშუალებით ივეტასა და მის მამას ვიპოვიდი. მატარებლიდან ჩამოხტომისას მიწაყრილზე

დავეცი და კენჭებს ისე მაგრა დავახალე მუხლი, რომ იძულებული გავხდი ბუჩქებში შევმძვრალიყავი და ცოტა ხანს წამოვწოლილიყავი, სანამ ტკივილი გამივლიდა. დაგვიანებაც არ შეიძლებოდა. რადგან კასისაკენ მიმავალი გზა არ ვიცოდი. არადა სიბნელეში უნდა მეძებნა გზა, ლობე-ლობე უნდა მევლო, ეზოებში ძაღლებს რომ არ გადავყროდი. წინათ ძალიან მიყვარდა ძაღლები, ახლა კი ჭირივით მძულდა. ბედზე იმ ღამით არ გამომკიდებიან. წვიმასა და მისტრალს ბუნაგებში შეერეკა ისინი. ორი საათი ხეტიალის შემდეგ ერთ ბორცვზე ავედი, საიდანაც კარგად შეიძლებოდა დაგენახათ ზღვაცა და მის ნაპირზე კლდეებში ჩაჭყლეტილი კასიც. გზა კარგა ხანს ვათვალიერე, სველ ასფალტზე გავედი და სწრაფად გავეშურე ქალაქის ჩახლართული შუკებისაკენ. ივეტასაგან ვიცოდი, რომ მათი სახლი შიგ მეთევზეთა დაბაში იდგა. სახლი მალე ვიპოვნე და კარზე დავაკაკუნე.

შევიცადე, მაგრამ არავინ გამომხედა, ახლა დარაბაზე დავაკაკუნე. სარკმლის მიღმა ვიღაც კაცი გაბრაზებული შემეხმიანა:

— ვინა ხარ? კართან მოდით!

მივედი. კარი გაიღო და ელექტრონის შუქზე შუახანს ვადაცილებული მამაკაცი გამოჩნდა. საცვლების ამარა იყო. კუშტად იკითხა:

— რა გნებავთ?

თავიდან ფეხებამდე ამათვალიერ-ჩამათვალიერა.

— ივეტას ვეძებ.

— ამ შუაღამისას რაში დაგჭირდათ ჩემი ქალიშვილი?

— გთხოვთ, უთხარით, ხორხე მოვიდა-თქო.

— აქ არ გახლავთ, — პირქუშად მომახალა მოხუცმა და კარის მიკეტვა დააპირა.

— მითხარით, გეთაყვა, სად მოვძებნო იგი, — ვთხოვე სასოწარკვეთილმა, — მეტად საჭირო საქმის გამო უნდა შევხვდე.

— მეტად საჭირო საქმის გამო? — ჩამეკითხა მოხუცი. — კეთილი, შემობრძანდით!

წინკარში შევედი. ივეტას მამამ ურდულით გადაკეტა კარი.

— მომყევით.

— საწვიმარი შეიძლება აქ დავტოვო?

— დატოვეთ!

საწვიმარი გავიხადე და საკიდზე ჩამოვკიდე. ორივენი პატარა, თბილ სამზარეულოში შევედით. ცხვირში შემწვარი თევზის სუნი მეცა და პირზე მომდგარი ნერწყვი რამდენჯერმე გადავყლაპე.

— მომითმინეთ, ახლავე ჩავიცვამ!

ზედაც არ შემომხედა, მეორე ოთახში გავიდა და მალე დაბრუნდა. შარვალი ჩაეცვა, მხრებზე მებადურის ძველი, თევზის ქერცლით აჭრელებული პიჯაკი წამოესხა.

— რატომ არ ჯდებით?

ორივენი მაგიდას მივუსხედით.

— თქვით, რა მოხდა?

შევკრთი, არ ვიცოდი, რა მეთქვა. ჩემმა ყოყმანმა მოხუცი გააბრაზა.

— ხომ არ დამუნჯდით? გელოდებით! ჩემი ქალიშვილი როდის გაიცანით?

— ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს.

მოხუცმა ყურები ცქვიტა. სიგარეტი ამოიღო და მეც შემომთავაზა. ორივემ გავაბოლეთ.

— ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს? — ჩამეკითხა, — ცუდად იბრძოლეთ. რატომ დაუთმეთ ფაშისტებს ესპანეთი?

— იარაღი დაგვაკლდა, — თავი ვიმართლე.

— სიმაცაცე დაგაკლდათ. აი, რა! — მოხუცი თითქმის ყვიროდა. — თქვენ ესპანეთი დაუთმეთ ფაშისტებს, ჩვენ კი — საფრანგეთი, ვაი, სირცხვილო!

— საფრანგეთი არ დაგვეხმარა, — ვთქვი მე, მაგრამ თანამოსაუბრე ალარ მისმენდა.

— სირცხვილი, სირცხვილი ჩვენ! ახლა ყველგან არიან ეგ... ეგ მიხაკისფერი ჰიტლერელი ხოხბები. რესპუბლიკა მოკვდა. დიდხანს იავადმყოფა, სიკვდილის წინ გაიხრწნა და მოკვდა.

— ჯერ ყველაფერი არ დაგვიკარგავს! — ვთქვი.

მოხუცმა მუშტი დაჰკრა მაგიდას.

— ყველაფერი დაიკარგა, ყველაფერი! როცა მარსელის ქუჩებში ამ ტრაბახა ხოხბებს, ამ პირსისხლიან „ბოშებს“ ვუყურებ, გული ბოღმით მევსება. თქვენა ხართ დამნაშავენი, თქვენ! ესპანეთში რომ ფაშიზმისათვის კისერი მოგეგრიხათ, საფრანგეთიც თავისუფალი იქნებოდა.

— არა ვართ დამნაშავენი, მამი, — არ ვუთმობდი.

— ცუდად იბრძოდით.

— ჩვენ კარგად ვიბრძოდით.

— ჰმ, კარგად იბრძოდნენ! — კბილებში გამოსცრა მოხუცმა, მაგრამ მაშინვე შეარბილა. — თითო-ოროლა, რა თქმა უნდა, კარგად იბრძოდა, მაგრამ ეგ ცოტაა. ერთი-ორი ფრანგიც კარგად იბრძოდა, მაგრამ ეს ხომ არ კმარა. ყველას უნდა ებრძოლა, აი, რა იყო მთავარი. ამიტომაც თქვენ გენერალმა ფრანკომ დაგამარცხათ, ჩვენ კი — ჰიტლერმა.

— ივეტა კარგად იბრძოდა, — ვთქვი მე. მოხუცი მთლად მოლბა.

— გულახდილად მითხარით, ხომ არ შემარცხვინა?

— ივეტა მამაცურად იბრძოდა.

— არ ცრუობთ?

— არა.

— ეჰ! ახლა კი ჩემსა და ივეტას შორის ყველაფერი გათავდა, — ამოიოხრა მოხუცმა.

— როგორ თუ გათავდა?

— მთლად გამოიცვალა, მსუბუქ ცხოვრებას მიჰყო ხელი, მიმატოვა.

— მიგატოვათ? — წამოვიძახე გაოცებულმა.

— ჰო, — წყნარად თქვა მოხუცმა, — მიმატოვა. ალბათ სურს, რომელიმე მიხაკისფერი ხოხობი ანკესზე წამოაგოს. ჩემთვის ის ალარ არსებობს, მოკვდა...

— თქვენ აჭარბებთ!..

— არ ვაჭარბებ. მისი დანახვაც კი არ მინდა.

— მაინც სად ცხოვრობს ახლა?

— სადაც უნდა, იქ იცხოვროს.

მერელა გავიგე, თურმე ივეტა მარსელში ცხოვრობდა და ესპანური უბნის

ერთ ბარში მებუფეტედ მუშაობდა. მოხუცს ვამშვიდებდი, ამაში ცუდი არაფერია-მეთქი. ვერა და ვერ დავაყოყმუხე. ძისი აბრით, ასეთ დროს ძხოლოდ ნაძირალას შეეძლო არამზადას მომსახურებოდა.

— ძაგ ფეი თევზით ‘ძეხც კი ჰკვეაავ-ძეთქი არამზადებს, — ვუთხარი.

მოხუცი ჩაფიქრდა.

— მაშ რა ვუყო? — მიპასუხა მან. — მარტო ხომ ვერ შევჭამ? ან რით ვიცხოვრო? ცარიელა თევზით ხომ ვერ ირჩენს კაცი თავს?

— აი, ხედავთ! — ყაძოვიძახე დაიმედებულ‘ძა. მეგონა, მოხუცი დავარწმუნე, რომ ბარში მუშაობა სულაც არ არის საძრახისი. — მაშ როგორ ეცხოვრა, რალაც ხომ უნდა გაეკეთებინა?

— შეეძლო ჩემთან ემუშავნა, — ისევ გაჯავრდა მოხუცი.

— ეგ თევზიც მისდით ჰიტლერელებს, — არ მოვეშვი. მოხუცი დამეთანხმა:

— ყველაფერი მისდით ჰიტლერელებს, ყველაფერი.

მოხუცმა ივეტას მისამართი მომცა და შემწვარი თევზით გამიმასპინძლდა. ძალიან მ‘ძიოდა და მადიანად შევექცეოდი. მოხუცი გაიბადრა. საკუჭნაოში ერთი ბოთლი წითელი ღვინო მონახა. ჭიქები შევივსეთ და მივუჭახუნეთ.

— ღამეს ჩემთან გაათევთ? — მკითხა მოხუცმა.

გადავწყვიტე ყველაფერი მეთქვა მისთვის. მან გულდასმით მომისმინა და ჩაფიქრდა.

— ძალიან ცუდია, პოლიცია რომ გდევნით, მაგრამ გარეთ მაინც არ გაგაგდებთ. ჩემთან არავინ მოვა, ოღონდ ქუჩაში ნუ გახვალთ; ხიფათს არ გადაეყაროთ.

ვივახშმეთ, მერე მოხუცმა ივეტას ოთახში გამიყვანა და მითხრა, აქ ყველაფერი ხელუხლებლად არისო დატოვებული.

— იმედს არ ვკარგავ, რომ ჭკუას მოიკრებს და დამიბრუნდება.

— ხომ ჯანმრთელადაა? — ვკითხე მე.

მოხუცს ჩაეცინა.

— მის ასაკში განა ვინმე ჩივის ჯანმრთელობაზე? ივეტასავით ჯანმრთელი რომ ვიყო, მთებს შევძრავდი.

ივეტას ოთახი პატარა, მაგრამ მყუდრო იყო. შუაში ქათქათა ზეწარგადაფარებული საწოლი იდგა.

— აქ იძინებდა, — ამბობდა მოხუცი. — თუ შეგცივდეთ, კიდევ ერთი საბანი დაიფარეთ, აქვეა.

მოხუცმა საბნის ძებნაში კამოდის რამდენიმე უჯრა გამოალო.

— ტანსაცმელიც აქ დარჩენია, — მოხუცმა გამოალო კარადა, კართან რომ იდგა. — ნახეთ, რა კარგადაა დაწყობილი. ივეტა ძალიან ფაქიზი გოგო იყო, დედასავით უყვარდა სისუფთავე... აქ კი მისი წიგნებია. — ძველმოდური წიგნის თაროსთან მივიდა და თქვა: — ძალიან ბევრს კითხულობდა. მე და დედამისი ვფიქრობდით, ნასწავლი შვილი გამოგვივა-თქო. ეჰ, სულ ტყუილად გვქონია მისი იმედი. ბედია, რას იზამ...

მოხუცი ისე ლაპარაკობდა, თითქოს ივეტა აღარ იყო ცოცხალი, ეს ნივთები კი მხოლოდ ახსენებდნენ მამას ოდესღაც მისთვის ესოდენ საყვარელ არსებას. მოხუცი მაბრაზებდა, მაგრამ არაფრის თქმა შემეძლო. და მაინც რალაც მახარებდა: მისი საუბრიდან მივხვდი, არც ისე წვიმდა, როგორც ქუხდა. ისე არ ბრაზობდა თავის ქალიშვილზე, როგორც პირველად მეჩვენა. მას

უყვარდა ივეტა, ოღონდ გარეგნულად ამას არ იმჩნევდა. იგი ხომ მეთევზე იყო. მოგეხსენებათ, მეთევზეები მკაცრი ბუნების ადამიანები არიან.

მოხუცმა შუქი ჩააქრო და სარკმელი გამოაღო, ოთახში ზღვის გრილი სიო შემოიჭრა.

— კარგა ხანია არ განიავებულა, — მოხუცმა ზღვას გახედა. — წვიმას გადაუღია, ქარიც ჩამდგარა, ხვალ ზღვაში გავალ.

სკამზე ჩამოვჯექი და ხმას არ ვიღებდი. გარეთ კი ზღვა ხმაურობდა—თავისუფალი, უკიდეგანო და მუდამ ბობოქარი ზღვა. ამ ხმაურს არა მარტო ყური, არამედ ყველა კუნთი, ყველა ნერვი შეიგრძნობდა. ეტყობა ქალაქი კლდეზე იყო დაშენებული. აგრე მეჩვენებოდა, თითქოს ადამიანის მკერდივით ნელა, მსუბუქად ირწეოდა იგი ზღვის ტალღებზე. ძალზე მგრძნობიარე გავხდი. ალბათ, მგელს დავემსგავსე, სულ მუდამ მდევარს რომ ემალება და უბრალო ფაჩუნიც თოფის გრიალი ჰგონია.

მოხუცმა სარკმელი მიხურა და შუქი აანთო. ახლალა შევამჩნიე ჩემ წინ, კედელზე შავი მუხის ჩარჩოში ჩასმული ახალგაზრდა, ლამაზი ქალის სურათი. სად მინახავს ეს ქალი? ეს ხომ ისაა, — ივეტაა: იგივე ნაზი და დახვეწილი სახე, იგივე გიშრის კულულები და მომხიბლავად მოღიმარი ტუჩები.

სურათს მივუახლოვდი.

— ეგ ივეტას დედა არის ახალგაზრდობისას, — მითხრა მოხუცმა, როცა ჩემი ცნობისმოყვარე მზერა დაიჭირა. — ჩვენი ქალაქის თვალი იყო. იცით, მაგის გულისათვის რა ჩავიდინე?.. საიდუმლოს შემინახავთ?

— აქ არავის ვიცნობ.

— ივეტასაც არ ეტყვით?

— არა.

კიდევ ერთი ბოთლი ღვინო გამოიტანა. ვსვამდით. მოხუცი ჰყვებოდა:

— კასის აღმოსავლეთით, სანაპიროზე მაღალი კლდეა. „დამნაშავის“ კლდეს ეძახიან. წინათ ამ კლდიდან დამნაშავეებს ჰყრიდნენ ზღვაში. ორთაბრძოლაში ჩემი მეტოქე ზღვაში გადავაგდე. დარტყმა მეტად ძლიერი მომივიდა... ივეტას დედა ძალიან ლამაზი იყო, გესმით, ძალზე მომხიბლავი ქალი იყო. კინაღამ ჭკუაზე შევიშალე.

— მეტოქე მოკვდა? — ვკითხე.

— დაიმტვრა. კლდე ას ოცი მეტრი სიმაღლისაა. ძირს კი ზღვა და ქვებია. ხალხი ამბობდა, დამთვრალა და წყალში გადავარდნილაო. ამან მიხსნა. ამ ქალის გულისათვის ბევრი გიჟდებოდა, მას კი მხოლოდ მე ვუყვარდი.

— გარდაიცვალა? — ისე ვკითხე, თითქოს არ ვიცოდი.

— გარდაიცვალა, — ხმა ჩაუწყდა მოხუცს, — მარჯვენა ძუძუზე კიბო გაუჩნდა. ძრავიანი ნავით მარსელში წავიყვანე, ექიმმა საავადმყოფოში დააწვინა და ოპერაცია გაუკეთა, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო. საიდან გაჩნდა ეს ავადმყოფობა? ამბობენ — თევზიდანო.

— სისულელეა, — ვთქვი მე.

— მეც ეგრე მგონია, ქლიავივით ძუძუები ჰქონდა. ვინ მოიფიქრებდა...

ახლა ჩვენ ძველი ნაცნობებივით ვსაუბრობდით, დაასხა ღვინო და მივუჭახუნეთ.

— მეგობრობის სადღეგრძელო იყოს! — თქვა მან და მეც გავიმეორე.

— გაუმარჯოს მეგობრობას!

— მაგრამ მაინც ცუდად იბრძოდით, ყველა ცუდად იბრძოდა. კარგად რომ გვებრძოლა, მიხაკისფერი ჭირი არ გავრცელდებოდა. თქვენ სადაური ხართ?

— ლატვიელი.

— ლატვიელი?

— საბჭოთა კავშირიდან.

მოხუცი განცვიფრებისაგან სავარძელში მიესვენა, ცოტა ხანს ასე მიყურა და მერე მკითხა:

— არ მატყუებთ?

— არ გატყუებთ.

— თქვენა ხართ ჩვენი ერთადერთი იმედი, თქვენ! მხოლოდ რუსს შეუძლია კისერი მოუგრიხოს გერმანელს. სხვები კურდღლები არიან. არა, კურდღელი უფრო გონიერია. იმას მონადირის გაცრუებაც შეუძლია. ესენი კი, გაჩერებულან და კუდები აუფშეკიათ, გვესროლეთო.

მოხუცი ისევ წავიდა ღვინის მოსატანად. ისიც რომ გამოვცალეთ, თავი გამიბრუვდა. მეოთხე ბოთლისათვის რომ მოემზადა, მაშინ კი ვუთხარი:

— გვეყოფა-მეთქი.

— კეთილი, — მომიგო. — ვხედავ, დაღლილი ხართ. დაიძინეთ. ზეწრები სუფთაა. წასვლისას გაშალა ივეტამ. არ იფიქროთ, რომ ცუდი გოგო მყავს. ის ჯიუტია, მეტად ჯიუტი, თორემ სხვა მხრივ...

— ივეტა კარგი გოგოა, — ვთქვი მე.

ძილი ნებისა ვუსურვეთ ერთმანეთს და დავშორდით.

— ხვალ ცოცხალ თევზს მოგართმევთ, — წასვლისას მითხრა მოხუცმა. — ოღონდ ქუჩაში ხუ გამოჩნდებით, ჟანდარმებს ძაღლის ყნოსვა აქვთ, ყველაფერს სუნავენ. ხვალამ თვითონ გაგაცილებთ მარსელში. ნახვამდის!

მარტო დავრჩი ივეტას პატარა მყუდრო ოთახში. რამდენი ხანია, რაც არ ვყოფილვარ ასე დალაგებულ, სუფთა ოთახში. ეჰ. სადღა არ გამითენებია: მძინებია გვადარამისა და მორენის მთებში, სადაც ყოველი ქვის ქვეშ მორიელები ბუღობდა: მძინებია კასტილიის, ანდალუსიის, ესტრემადურის, ვალენსიისა და კატალონიის ცის ქვეშ; მდინარის პირას და კლდე-ღრეზე, საიაც ათასობით გველს თავისი ტყავი გაუძვრია ჩემისთანა სტუმრების დასაფრთხობად. მძინებია პირენეის მთებში, მუხის კენწეროზე, ტალახიან თხრილში, საკონცენტრაციო ბანაკებსა და დილეგებში. ახლა კი ოთახში ვარ, მარტოდმარტო ვარ ოთახში, სადაც საწოლი და ზეწრები, თავსასთუმალი და საბანი მელოდება. ნუთუ ეს სინამდვილეა? და აქვე, ოციოდ კილომეტრზე, მარსელის ესპანური უბნის დუქანში ივეტაა. ალბათ ახლა დახლთან დგას და ვიღაც არამზადას ჭიქაში ღვინოს უსხამს.

ნეტა თუ ვახსოვარ მაინც? ან ის ჩვენი პირველი და უკანასკნელი ერთად გატარებული ღამე თუ ახსოვს, როცა მეუბნებოდა: „გამაგრდი, ძვირფასო!“ მთელი ეს ხანი მხოლოდ მასზე ფიქრი მმატებდა ძალას. იმაზე მიჯს, რასაც მე გავუძელი, ძე ხორციელი ვერ გაუძლებდა. ქედი არავისთვის მომიხრია, გულშიც არ გამივლია ლაჩრული ფიქრი დანებებაზე. არა, მეტის ატანა აღარ შემიძლია. და თუ ახლანდელ გზაზეც შავმა კატამ არ გადამირბინა, შევასრულებ ჩემს საბოლოო ვალდებულებას, დანებებით კი არ დავნებდები...

სარკესთან მივედი და პირველად დავინახე საკუთარი თავი. საფრთხობე-

ლას ვგავდი. განა შეიძლებოდა ასე გაბურძგნილი ივეტას ვჩვენებოდი? ან ტანზე რა მეცვა? ჩემი ტანსაცმელი ისე დაფხავებულიყო, რომ სათევზაო ბადედაც აღარ გამოდგებოდა. ზედ ხუთი საკონცენტრაციო ბანაკის მტვერი ედო, თხრილების ტალახი შეხმობოდა და მდინარეთა წყლის ლაქებიც ემჩნეოდა. ველარ ვგრძნობდი, მაგრამ ჩემი ტანსაცმელი, ალბათ, ოფლის სუნად ყარდა. ამას ივეტას მამისთანა კაცი თუ აიტანდა, ისიც ხომ წყალსა და ოფლში იყო დამბალი და თევზის სუნით გაჟღენთილი. ასე ვერ ჩავწვებოდი ქათქათა ლოგინში და აბაზანის საძებნელად წავედი. სააბაზანო სამზარეულოს გვერდით აღმოჩნდა. მოხუცს ალბათ უკვე ეძინა. შხაპი მოვუშვი და თავი შევუშვირე. ცივი წყალი ნემსებივით მჩხვლეტდა, მაგრამ ეს რა მოსატანი იყო იმ გაყინულ მდინარეებთან, სადაც ბევრჯერ მიბანავნია. ცივმა წყალმა გამომაფხიზლა და დაღლილობამაც გამიარა. ოთახში ისე მხნედ დავბრუნდი, თითქოს რამდენიმე დღე გულიანად მძინებოდეს და ახლა ავმდგარიყავი.

ჭაღი ჩავაქრე და მაგიდის ლამპა ავანთე. ოთახში ნარინჯისფერი შუქი დაიღვარა. კარზე დააკაკუნეს. გავაღე. ჩემ წინ მოხუცი იდგა, თეთრეული ეკავა ხელში.

— დაწოლისას გამახსენდა, თეთრეული რომ დაგჭირდებოდათ, აბაზანის გათბობაც შემეძლო, რატომ არ გამახსენეთ?

— გმადლობთ, ისედაც კარგად ვიბანავე.

— ძილი ნებისა. მე ხვალ სამუშაოდ მივდივარ, თქვენ კი შეგიძლიათ საღამომდე მშვიდად იძინოთ.

მოხუცი წავიდა. სუფთა თეთრეული ჩავიცვი და ლოგინში ჩავწექი. დამეძინება კი ამაღამ? მე ხომ ნადირივით მივეჩვიე ღამეულ ცხოვრებას, იმ ნადირივით, მხოლოდ ღამით რომ გამოძვრება ხოლმე თავისი ბუნაგიდან, დღისით კი სძინავს კლდეებში, ბუჩქებსა და ტყეში მიმალულს. ღამე იყო ჩემი ერთგული მეგობარი, ჩემი იმედი, ჩემი მხსნელი და მფარველი. ცბიერ და მომაბეზრებელ დღეს ვერ ვენდობოდი.

თავს მხოლოდ ბნელი ღამის ფრთებქვეშ ვგრძნობდი უშიშრად. სიბნელე მიფარავდა ჯამცემთა და მდევართა თვალისაგან.

შუქი ჩავაქრე. ყველა საგანი გაუჩინარდა. მხოლოდ ივეტას საწოლის იდუმალ მყუდროებას და საბნის უჩვეულო, საამო სითბოს ვგრძნობდი. ვინ იცის, რამდენჯერ წოლილა აქ, უფიქრია ბედნიერებასა და სიყვარულზე, დიდსა და ნათელ ცხოვრებაზე. და კიდევ იმაზე, თუ როგორ მოეჩანა სიკეთე ხალხისათვის. იქნებ ეს ბალიში, ახლა თავი რომ მიდევს, ბევრჯერ მწარე ცრემლებით დაუსველებია. ახლა როგორ ხარ, ივეტა? ისევ ისეთი ხარ, როგორიც მაშინ იყავი?

გარეთ ზღვა ხმაურობდა, ისევ წვიმდა, ქარი კი ჩამოგაარიყო. მეც ცოტა დავწყნარდი და დიდი ხნის ნანატრ, ტკბილ ძილს მივეცი თავი.

III

გათენებისას ივეტას მამამ თავისი კოსტუმი და პალტო შემოიტანა.

— მარსელში ეგრე ვერ გამოჩნდებით. შესვლისთანავე გტაცებენ ხელს.

წვერი გაიპარსეთ და ტანსაცმელი გამოიცვალეთ. საღამოზე თვითონ გაგაცილებთ.

მოხუცი წავიდა. ავდექი, წვერი გავიპარსე და ტანსაცმელი ჩავიცვი. კოსტუმი ძველ მოდაზე იყო შეკერილი, ტანზე კი კარგად მომერგო. ახლა შემეძლო გარეთ გასვლა.

თევზაობიდან მოღუშული დაბრუნდა მოხუცი: ბადე ნაღმს გაეგლიჯა.

— ახალი ბადისათვის ფული უნდა ვიშოვო, — ჩიოდა ის, — მაგრამ სად იშოვი ფულს?

ვისადილეთ. შებინდებას ველოდით. მოხუცს გადაეწყვიტა ძრავიანი ნავით ახლომდებარე ენვოს ყურემდე მივეყვანე და მარსელისაკენ მიმავალი საიმედო გზა ეჩვენებინა.

შებინდდა თუ არა, მეთევზეთა სადგურისაკენ გავწიეთ. სადგურის მცველი ზურგით შემობრუნებულიყო და ისე იქცეოდა, თითქოს ვერ გვამჩნევდა. ნავში ჩავსხედით. მოხუცმა ძრავა აამუშავა. ნავმა ჯებირს შემოუარა და ზღვაში შეცურდა.

— შემეძლო მარსელის ახლოს გადამესვით, — მითხრა მოხუცმა. — მაგრამ იქ სანაპიროს ბატარეა იცავს. ამიტომ ენვოს ყურესთან მივიდეთ. სინამდვილეში ეს არის ვიწრო ფიორდი, საკმაოდ ღრმადაა შეჭრილი ხმელეთში და იქ კარგი ნავსაყუდარია.

არაფერი მითქვამს. ვიცოდი უკეთეს გზას მე ვერ მოვნახავდი, იქაურობას არ ვიცნობდი. ამიტომაც მივენდე მოხუცის გეგმას. უკან მოვიტოვეთ ჩაბნელებული კასი, საიდანაც ორი ლურჯი შუქურა კატის თვალებივით ელავდა. გაღმა კედელივით მოჩანდა ფრიალო კლდე, საიდანაც მოხუცს თავისი მეტოქე ორთაბრძოლაში გადმოეგდო. წინ კი, მარჯვნივ, სიბნელეში, ფიჭვნარით დაფარული სანაპირო ამოცურდა.

ნახევარი საათის შემდეგ მოხუცმა ძრავა გამორთო, ნიჩბებს მიუჯდა და ლონივრად მოუსვა. ნავი ნაპირისაკენ წაიყვანა.

— ენვოს ყურეს ქვის კბილები აქვს, — თქვა მოხუცმა, — ყურადღებით იყავი, ზედ არ წამოვეგოთ.

მართლაც — ყურის შესასვლელში საკმაოდ მაღალი კლდე ამოიმართა. საჭეს ვტაცე ხელი, კლდეს შემოვუარეთ და ენვოს ყურის შავ ხახაში შევსრიალდით. მიხვეულ-მოხვეული კლდე მაღლა-მაღლა იწევდა. კლდის გარშემო მღვრიე წყალი ზანტად ბუყბუყებდა. ირგვლივ ისეთი სიწყნარე ჩამოწოლილიყო, გეგონებოდა, რომელიმე მკვდარ კუნძულზე მოვხვდით. მთვარე, ამამდე რომ ღრუბლებში იმალებოდა, წყალში თვალით უნახავ ვერცხლისფერ მტვერს აფრქვევდა. მთვარის შუქი ცასაც მოეფინა და უცებ შუაგულ ყურეში ჩვენ წინ ამიმართა ციცაბო, წახნაგოვანი კლდე. მოხუცს დავანახვე ის.

— მაგას პირამიდას ეძახიან, — ამიხსნა მოხუცმა. — მანდ თავდება წყალი და ხმელეთი იწყება.

ნავი სულ მალე ვიწრო კადონთან შეჩერდა. სანამ მოხუცი ნავს მიაბამდა, კადონზე შევხტი და კლდის გაყოლებით კენჭებით მოფენილ ნაპირზე გავედი. მალე მოხუციც მოვიდა.

— ჯერ მე წავალ, — თქვა მან. — უცხომ შეიძლება კისერი მოიტეხოს აქ. ხედავთ იმ ჯვრებს კლდეზე?

ახლალა შევნიშნე ნათელი ცისკენ აზიდული უამრავი შავი ჯვარი.

— ამ სანაპიროზე ბევრი საიდუმლო გამოქვაბულია და ტურისტებს ბლომად იზიდავს. არა ერთსა და ორს მოუტეხია აქ კისერი.

ფრთხილად მივაბიჯებდით. ბილიკი, წახნაგოვანი კლდის გარშემო რომ მიიკლაკნეოდა, უფრო და უფრო შვეული ხდებოდა, კლდეს რამდენიმე მარყუჟად ევლებოდა და ბოლოს მეჩხერ ფიჭვნარში იკარგებოდა. უხმოდ ჩავუარეთ რომელიღაც სანატორიუმს და ღორღიან ზეგანზე გავედით. წინ ვრცელი ვაკე გადაგვეძალა. ვაკის მეორე მხარეს მეჩხერი ხეებითა და ბუჩქებით დაფარული მთები აღმართულიყო.

— საარსელი იმ მთებს გადაღმაა, — ჩამჩურჩულა მოხუცმა. — ვაკეზე, ბარაკებში, სამხედრო ბანაკია. მარცხნივ აუარეთ გვერდი. მთის წვერიდან ქალაქს შენიშნავთ. ვაკეზე ღვთისმშობლის ტაძრის პირდაპირ დაეშვით. ტაძარს ადვილად იპოვით, — კლდოვან ბორცვზე დგას ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთით. იქიდან კი ძველ ნავსადგურში ჩახვალთ.

მოხუცმა კიდევ რამდენიმე რჩევა მომცა, ივეტასთან მოკითხვა დამაბარა, ცოტა საგზაო ფული ჩამიდო ჯიბეში, ხელი ჩამომართვა და გზას გავუდექი. გზა უფრო ძნელად სავალი აღმოჩნდა, ვიდრე თავიდან მეჩვენა. კიდევ კარგი, რომ არც ძაან ბნელი ღამე იყო და არც მთვარე ანათებდა ძალიან. ხეებთან ვჩერდებოდი ხშირად, გარემოს ვათვალიერებდი და ფრთხილად განვაგრძობდი გზას. ზეგანი გადავიარე და მთაზე ავედი, საიდანაც მარსელი გამოჩნდა. ძალიან მინდოდა ივეტას შინ კი არა, ბარში შევხვედროდი. არ მინდოდა უეცრად დამეფრთხო იგი. მოსალოდნელი იყო, რომ მასთან გასაუბრებაც ვერ მომეხერხებინა. მაშინ მარტოს მომიწევდა მთაში წასვლა. ალბათ გამოჩნდება ვინმე, ვინც მოისურვებს და დამეხმარება. უკანდასახევი გზა არც მქონდა და არც შეიძლებოდა, რომ მქონოდა. სიკვდილი მერჩია კვლავ საკონცენტრაციო ბანაკში მოხვედრას.

მცირე შესვენების შემდეგ გზა განვაგრძე. თვალწინ სულ ღვთისმშობლის ტაძრის აჩრდილი მედგა. მთიდან ჩასვლა უფრო გამიადვილდა. მალე პატარა ბილიკს დავადექი და ამ ბილიკმა ქალაქის გარეუბანში შემიყვანა. გვერდი აღარ ავუქციე, პირდაპირ ქალაქის ქუჩებისაკენ გავემართე.

დიდი ხნის შემდეგ ივეტას ბართან შევჩერდი. ავწონ-დავწონე, როგორ მოვქცეულიყავი — შიგ შევსულიყავი, თუ გარეთ დამეცადა, ვიდრე დაკეტავდნენ და მერე ქუჩაში შევხვედროდი ივეტას. ჯერ ისევ ვყოყმანობდი, რომ დუქნის კარი გაიღო და იქიდან რამდენიმე შექეიფიანებული კაცი გამოვიდა. ჩაცმულობასა და სიარულზე ეტყობოდათ, მეზღვაურები იყვნენ. კარი ღია დარჩათ, პალტოს საყელო ავიწიე და შევედი. ბარში კვამლი იდგა. ერთ მხარეს რამდენიმე მაგიდა მოჩანდა, მეორე მხარეს კი — ნალისებური დახლი. მის გასწვრივ მაღალი ტაბურეტები ჩაემწკრივებინათ. ვიღაც კარგად ჩაცმულ მამაკაცს თავი პატლოს საყელოში ჩაერგო, მარმარილოს დახლს იდაყვებით დაყრდნობოდა და ბრჭყვიალა თასით ღვინოს სვამდა. ერთ კუთხეში ორი კაცი განცალკევებულიყო და კამათობდა. ივეტა არ ჩანდა. განმარტოებულ მაგიდას მივუჯექი, ისე რომ თავისუფლად შემეძლო ირგვლივ ყველაფრისათვის თვალყური მედევნებინა. ველოდი. დახლს იქით, წითელ ფარდაჩამოფარებულ კარს მივჩერებოდი. თუ ივეტა აქ არის, მაშინ ფარდის უკანაა — ოთახში, და ალბათ მალე გამოვა-მეთქი.

არ შევმცდარვარ. ფარდა გაიწია და დუქანში ივეტა შემოვიდა. დახლთან მჯდომ მამაკაცს რაღაც გადასცა, გაუღიმა და ძემდეგ ჩეძკენ წამოვიდა.

— რას მიირთმევთ, გეთაყვა?

ვფიქრობდი რა მეთხოვა, მაგრამ ვერ მოვახერხე.

— წითელ ღვინოს ხომ არ მიირთმევდით?

— ვერმუტი მომიტანეთ, თუ შეიძლება, — ვუთხარი.

— არა გვაქვს.

— მაშ წითელი ღვინო იყოს.

უკან გაბრუნდა. მივხვდი, ვერ მიცნო და გავთამამდი. დუქნის გოგოები მიჩვეულნი არიან მამაკაცის მოურიდებელ მზერას და აინუნშიც არ აგდებენ ამას. ამიტომ პირდაპირ სახეში ვუცქეროდი. მას თავისი მომხიბლავი, ქალიშვილური უბრალოება დაჰკარგვოდა, სამაგიეროდ უფრო დამშვენებულიყო. თვალებში ახალგაზრდული ცეცხლი ჩაქრობოდა და ახლა დადინჯებული ადამიანის გამოხედვა ჰქონდა. ღვინო მომიტანა და მითხრა:

— ხამანწკები გვაქვს, ხომ არ ინებებდით?

— სიამოვნებით, მომიტანეთ.

ივეტა ხამანწკების მოსატანად წავიდა. მკვირცხლად მიდი-მოდიოდა. როდის გამოველაპარაკო — ახლა თუ ცოტა კიდევ დავიცადო? ის ვაჟბატონი ვინაა ნეტავ, დახლთან რომ ზის და გამუდმებით უღიმის? სიგარეტი ამოიღო, მოქაჩა და ბოლქვებად ამოუშვა კვამლი.

— რა საუცხოო სიგარეტია, ივეტა, — თქვა მან და მივხვდი, რომ ივეტას მიეცა სიგარეტი.

— მეზღვაურებმა მაჩუქეს, — მიუგო ივეტამ და ხამანწკები თეფშზე დააწყო. კვამლმა, სიგარეტის სურნელი მთელ დუქანს მოსდო და უცებ ესპანეთში აფეთქებულ ხიდთან გატარებული საღამო გამახსენა, როცა ერთმა გუშაგმა არაჩვეულებრივად სურნელოვანი სიგარეტი მომაწევინა. მე ვეწეოდი, ივეტა კი გათოშილ წვივებს მიზელდა. განა წარმოიდგენს, რომ წუხელის მაგის საწოლში ვიწექი, დღეს კი დუქანში ვზივარ და თვალებში შევცქერი? არა, ჯერ კიდევ ვერაფერს ხვდება. ხამანწკები მომიტანა, მადლობა მოვახსენე. ის უკანვე გაბრუნდა და რადიო ჩართო. წყნარი მუსიკის ხმა გაისმა.

— პარიზია, — თქვა დახლთან მჯდომმა მამაკაცმა და ივეტამაც ოხვრით მიუგო:

— ჰო, პარიზია...

ის ორნი, განცალკევებით რომ უსხდნენ მაგიდას, წამოდგნენ და გარეთ გავიდნენ. დახლთან მჯდომმა ეჭვიანად გადმომხედა და პალტოს ღილების შეკვრას შეუდგა.

— უნდა წავიდე, — წამოდგომისას ჩაიბურტყუნა.

— მეგობრები მომიკითხე, ჟაკ, — უთხრა ივეტამ. — და არ დაგვივიწყო, შემოიარე.

ჟაკმა ფული დადო, ივეტას ხელი ჩამოართვა და წავიდა. ჩვენ ორნიღა დავრჩით. ახლა საჭირო იყო ავჩქარებულიყავი, მეშინოდა, კიდევ ვინმეს არ შემოესწრო. ივეტა ჩამოჯდა, მუსიკის ტაქტზე მსუბუქად ირწეოდა, ჭერში იყურებოდა, თითქოს შორეული მოგონებებით ერთობაო.

ავდექი და შეუმჩნევლად მივედი დახლთან.

— მე ხომ არ გაგვიანებთ, ივეტა?

გაკვირვებით შემომხედა.

— რატომ გგონიათ?

— ალბათ ბარი უნდა დაკეტოთ.

ივეტა ნელა წამოდგა და თვალებში ჩამაცქერდა. გავუღიმე.

— ხორხე, — თითქმის წამოიყვირა და მერე წყნარად გაიმეორა: — ხორხე...

დახლიდან ხელი გავუწოდე, მან ჩამომართვა და მაგრად მომიჭირა.

— ხორხე, როგორ მიპოვე?

— სასწრაფოდ უნდა მოგელაპარაკო, ივეტა!

— დუქანს დავკეტავ, უკვე დროა.

კართან მიირბინა, გადაკეტა. ჭაღი ჩააქრო და ფარდა გადასწია.

— ხორხე, აქ შემოდი, ჩემთან, ჩემს ოთახში.

ოთახში შევედი, ერთს წუთს პირისპირ ვიდექით და ვდუმდით. მერე წყნარად ჩაესვენა ჩემს მკლავებში. რადიო სასიამოვნოდ უკრავდა. ვიღაცამ დააკაკუნა, დაგვიანებული მუშტარი თუ იყო. ყურადღება არ მივაქციეთ. გარე სამყარო ჩვენთვის აღარ არსებობდა. მხოლოდ ორნი ვიყავით ამ ქვეყანაზე.

— ხორხე, — თქვა ბოლოს, კოცნით რომ გული იჯერა, — აქ საიდან გაჩნდი?

— შენს ბარს ყურები ხომ არა აქვს? — ვკითხე.

— ნუ გეშინია, მარტო ვარ, — მომიგო მან. — შუქს ჩავაქრობ და რადიოსაც გამოვრთავ, რომ ეგონოთ, აქ არავინაა.

ბარში გაირბინა და მაშინვე დაბრუნდა. გვერდით მომიჯდა ტახტზე, ხელები დამიჭირა და მთხოვა:

— მიამბე, ძვირფასო, აქ საიდან გაჩნდი!

— უკანასკნელად ამ ათიოდე დღის წინათ გამოვიქეცი ბანაკიდან.

— სად იჯექი?

— ექსის მახლობლად, ეტანდებერის ტბასთან.

— მარსელის ახლოს?

— აგურის ქარხანაში, უფრო სწორად, აგურის ქარხნის ღუმელში. ეს ჩემი მეხუთე საკონცენტრაციო ბანაკი იყო.

— საბრალო, — ივეტამ თანაგრძნობით გადამისვა თავზე ხელი. — ახლა ყველა ქალაქს აქვს საკონცენტრაციო ბანაკი.

— გაქცევისათვის დამსაჯეს — ნახევარი წელი ვიჯექი ღუმელში, დილეგში. ბისკაის ყურიდან სამხრეთ საფრანგეთში შენამდე მოსვლას ორნახევარი წელი მოვუნდი.

— ჩემთან მოდიოდი?

— ჯერ ამხანაგებთან მინდოდა მისვლა, მაგრამ დავაგვიანე. ისინი საბჭოთა კავშირში წავიდნენ. მე კი აქ დავრჩი. მერე შენთან ჩამოვედი.

— შეგეძლო მოგეწერა.

— მეშინოდა.

— სწორედ მოქცეულხარ, ეჭვს აიღებდნენ.

— მეც მაგას ვფიქრობდი.

— ძვირფასო, — ივეტა მომეხვია და გულში ჩამიკრა, — ძალიან დატანჯულხარ.

— ზოგი ჩემზე მეტად იტანჯება.

— მთელი საფრანგეთი იტანჯება, — თქვა ივეტამ, — გახსოვს ის დილა პირენეის მთებთან?

— მახსოვს.

— სანგარში რომ ჩახტი, მეგონა, ველარ გიხილავდი და ავტირდი.

— რატომ ატირდი?

— ამ წლებში ბევრი ვიტირე.

— ახლაც ტირი?

— არა, ახლა აღარ. ახლა ვიცი, რასაც ვაკეთებ.

— წინათ არ იცოდი?

— არა.

უთქმელად მივუხვდი და გამიხარდა, რომ რაღაცას აკეთებდა და ამით კმაყოფილი იყო. ნეტა მეც თუ მომინახავს საქმეს?

— მისმინე, — ფიქრებიდან გამომიყვანა ივეტამ, — საბუთები გაქვს?

— არა.

— არავითარი?

— არავითარი.

წუთით ჩაფიქრდა.

— ნაცნობები მყავს, მოგიხერხებთ რამეს. ფოტოსურათი თუ გაქვს?

— მაქვს, ოღონდ ადრეა გადაღებული და თანაც წყალშია დასველებული.

ფოტოსურათი ჯიბიდან ამოვიღე და ივეტას გავუწოდე. დახედა თუ არა, წამოიძახა:

— მაშინაც ასეთი იყავი, ესპანეთში!

არაფერი მითქვამს.

— ხელმეორედ გადავიღებთ. რამდენიმე დღის შემდეგ პასპორტი გექნება.

— მანამდე რა ვქნა?

— ჩემთან იყავი. ერთმა მეზღვაურმა საბუთები დამიტოვა, ფული არა ჰქონდა, რომ დანახარჯი გადაეხადა. რამდენიმე დღის შემდეგ მოგიტანო, დამპირდა. იმ საბუთებს შენ მოგცემ. შენხელაა და მგონი გგავს კიდეც.

ივეტამ მაგიდის უჯრიდან მეზღვაურის საბუთები ამოიღო და სიცილით შეუდარა ჩემი სურათი იმისას.

— აი, შეხედე, განა არ ჰგავხართ ერთმანეთს?

იმ კაცს მოკრივის ცხვირი და დიდი ნიკაპი ჰქონდა.

— ნიკაპი შემიძლია წავიგრძელო, მაგრამ ასეთი ცხვირი სადღა ვიშოვო?

ივეტამ გაიცინა.

— შენი ახალი გვარი და სახელი დაიმახსოვრე და საბუთი ჯიბეში ჩაიდე. ჩვენი ჟანდარმები საკმაოდ ყეყეჩები არიან. იმათთვის მთავარი საბუთია, ფოტოსურათი და ბეჭედი. ახლა კი წავიდეთ.

პალტო ჩავაცვი და გარეთ გავედით. უკვე გვიანი იყო და დიდ ქალაქს მშვიდად ეძინა. ივეტა იქვე ახლოს, ძველ ნავსადგურში ცხოვრობდა. ხელკავი გავუკეთე და ქვევით დავუყევით გზას.

— ასე მივაბიჯებდით იმ ღამეს ესპანეთში, — გაიხსენა ივეტამ.

— მაშინ ციოდა და ვიყინებოდით, — ვთქვი მე.

— მაშინ ნაავდრ წიწილებს ვგავდით, — გაიცინა ივეტამ.

უკანიდან ფეხის ხმა მოგვესმა. ვიღაცა მოგვდევდა.

— მოგვდევენ, — მიჩურჩულა ივეტამ, — მიდი, ვითომ შეყვარებულები ვართ.

წელზე ხელი მოვხვიე და ჩახვეულებმა განვაგრძეთ გზა.

— ძვირფასო, რა მშვენიერი ღამეა! — თქვა ივეტამ, — კიდევ მაკოცე!

შევჩერდით. მაგრად ჩავიკარი ივეტა გულში და მხურვალედ ვკოცნიდი.

— ჩემო კარგო, ჩემო ლამაზო! — ჩურჩულებდა ივეტა, — რა მომხიბლავი ხარ, რა მშვენიერი...

მდევარი წამოგვეწია. ჯიბის ფანარი აანთო და თვალებში შემოგვანათა.

— უსირცხვილო! — შესძახა ივეტამ.

ხელები მოვმუშტე და დასარტყმელად მოვემზადე. შუქი ჩაქრა და მომხდური სიბნელეში მიიმალა.

— კარგია, რომ ასე დამთავრდა, — ჩურჩულით მითხრა ივეტამ. — ზოგჯერ მეშინია, ასე მგონია, მითვალთვალებენ.

— ეს შემთხვევით იყო, — დამშვიდება დავუწყე.

— არა, ხორხე, ეს პირველი შემთხვევა არაა. ამხანაგებიც მაფრთხილებენ. ალბათ სამუშაოს გამოცვლა მომიწევს.

— შენთან სალაპარაკო მაქვს, — ვუთხარი მე, — მაგრამ შინ გეტყვი.

ივეტა სხვენის ოთახში ცხოვრობდა. სარკმლები ზღვას გადაჰყურებდა. ცოტა ხანს ბნელში დავრჩით და მარსელს გავცქეროდით, სადაც სამხედრო გემებს ღუზა ჩაეშვათ. მხრებზე მოვკიდე ხელები. ასე ვიდექით გაყუჩებულები. მერე ზღვაზე მანიშნა და მითხრა:

— ნეტა ჩვენც შეგვეძლოს სადმე ბედნიერ მხარეს წასვლა, თუნდაც აფრიკაში.

— ყველგან მტერია, ყველგან ბლოკადაა, — ვთქვი მე, — წასვლა არსად შეგვიძლია.

— ფრინველები რომ ვიყოთ, ამალამვე გადავფრინდებოდით.

— სად გადავფრინდებოდით, ივეტა? ყველგან ომი მძვინვარებს.

— ყველგან იღვრება სისხლი. როდის შეწყდება ეს საშინელება?

— კიდევ დიდხანს გასტანს, ივეტა, — ვუთხარი და გიშრის თმაზე ხელი გადავუსვი. — ძალა უნდა მოვიკრიბოთ, უნდა გავუძლოთ.

— წელან თქვი, რალაც უნდა გითხრაო.

— პარტიზანებთან მინდა წასვლა მთაში, იცნობ ვინმეს?

— იქ მეგობარი მყავდა, ჩემი საუკეთესო მეგობარი...

თავი მხარზე დამადო და აქვითინდა.

— ნუ ტირი. ხომ თქვი ახლა აღარ ვტირიო.

— ჩემი ყველაზე ახლო მეგობარი იყო, — სლუკუნებდა ივეტა. — ჰიტლერელებმა თავი მოჰკვეთეს.

— ეგ როდის?

— ახლახან.

— ნუ ტირი, ჩვენ შურს ვიძიებთ, — ვამშვიდებდი. მინდოდა გულისტკივილი გამექარვებინა, ვცდილობდი სხვა რამეზე მელაპარაკნა.

— მამაშენმა მოგიკითხა.

მოულოდნელობისაგან ტაში შემოჰკრა.

— სად ნახე მამა?

— ღამე მასთან გავათენე. კარგი მამა გყავს.

— გაბრაზებულია ჩემზე. რა ვქნა — ყველაფერს ხომ ვერ ვეტყვი?!

ივეტამ ფარდა ჩამოსწია. შუქი აანთო და სიცილით შეათვალიერა ჩემი მორთულობა.

— არ გიხდება. ჩვენ კოხტაპრუწასავით გამოგაწყობთ. შენმა გადაწყვეტილებამ დამაფიქრა. მეგობრებს მოველაპარაკები და, თუ ნება დამრთეს, ორივენი წავიდეთ მთაში. მეგობრის მოკვლისათვის შური ვიძიოთ არა, ხორხე? ხომ წამიყვან?

— შენ თუ წამიყვან, — ვთქვი მე. — მე არ ვიცი, საით წავიდე. ძალიან ჩამოვრჩი. ქვეყანაზე რა ხდება, არ ვიცი...

ივეტა რადიოსთან მივიდა.

— მოსკოვი ჩავრთოთ, — თქვა მან და მოსკოვს დაუწყო ძებნა. — ჩვენი გაზეთების აღარაფერი მჯერა, ცრუობენ.

— მაგისთვის სიკვდილით სჯიან, ივეტა.

— აქ ვერავინ გაიგებს, — მომიგო მან და ტალღას დაუწყო ძებნა. — იქაც ცუდად აქვთ საქმე. ყველას ცუდად გვაქვს საქმე.

მოსკოვიდან სიმღერებს გადმოსცემდნენ. გვიანი იყო, უკანასკნელი ცნობების გადმოცემა ალბათ უკვე დამთავრდა. რადიო გამოვრთე და დასაძინებლად წავედით.

დაძინებას ვამბობ, თორემ რა ძილი იყო, დილამდე თვალი ვერ მოვხუჭეთ, იმდენი გვქონდა სათქმელი და მოსაგონარი. ქალაქის განაპირა უბანი რამდენჯერმე დაბომბეს ღამით, საბჭოდრო გემებს თუ უშენდნენ. ყურადღება არ მიგვიქცევია. ჩვენ ბედნიერები ვიყავით და ვიცოდით, რომ ეს ბედნიერება იყო წამიერი — თოვლიან მთაზე ამოსული ნაზი ყვავილი, ულმობელმა ზვავმა ხვალვე რომ შეიძლება გასრისოს. და მაინც ბედნიერები ვიყავით, ყველაზე ბედნიერები ამ დიდ, ჩაბნელებულ და საზარელ ქალაქში.

ღამე ხელში შემოგვადნა.

ბედნიერები ვიყავით.

IV

ერთი კვირის შემდეგ მე და ივეტა მარსელს ვეთხოვებოდით. ყველა საჭირო საბუთი მქონდა და თანაც ჟანდარმერიის მოწმობა მედო ჯიბეში. სამუშაოზე მოხალისედ მივდიოდი და გრენობლში უნდა გამოვცხადებულიყავი. ივეტასაც ჰქონდა ასეთი მოწმობა. ჟაკმა სადგურამდე მიგვაცილა. მხიარული იყო ჟაკი. მრცხვენოდა, პირველ საღამოს ეჭვის თვალით რომ შევხედე. როგორ დაგვეხმარა! თავიდან ფეხებამდე სამთოდ ვიყავი გამოწყობილი. მქონდა საბუთები და ფული. ასეთ დროს მეტი რა უნდა ინატროს კაცმა? გულთბილად გამოვემშვიდობეთ ჟაკს. სადგურში შემოსვლა არ უნდოდა და ამიტომ ქუჩაში დავშორდით. როცა ივეტას ემშვიდობებოდა, თქვა:

— გამარჯვების შემდეგ ჩვენს ბარს მარმარილოს დაფას მივაკრავ.

— ზედ რას დააწერ? — სიცილით ჰკითხა ივეტამ.

— შენს ქებათა-ქებას, „ივეტა იყო ბარის ყველაზე კარგი გოგონა“.

ივეტა გაირინდა.

— დაფებს მკვდრებს უკეთებენ, ჟაკ, ჩვენ კი ვიცოცხლებთ.

— მაშ რაღაც სხვას მოვიფიქრებ, — ხუმრობდა ჟაკი. — რახან თან არ მიგყავართ, ბევრი დრო მექნება მოსაფიქრებლად.

— ჩვენზე მეტი სამუშაო შენ გექნება, ჟაკ, — დასძინა ივეტამ. — ნახვამდის!

დავშორდით. ჟაკი წავიდა. თავი ჩვეულებისამებრ პალტოს საყელოში ჩარგო. ჩვენ სადგურში შევედით. მატარებელი უკვე ჩამომდგარიყო. ის იყო ადგილები დავიკავეთ, რომ მგზავრების შემოწმებაც დაიწყო. ჟანდარმის გვერდით მუნჯივით აყუდებულიყო სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი გესტაპოელი. საბუთების შემოწმებისას ჟანდარმმა ივეტაა გაუღიმა:

— კეთილი, ქალბატონო.

გესტაპოელმა კი უსიტყვოდ გაუღიმა ივეტას სილამაზეს და ჟანდარმთან ერთად მეორე კუპეში გავიდა.

ერთმანეთს გადავხედეთ.

— რა კარგი ყმაწვილები არიან, — ხმამაღლა თქვა ივეტამ. — არა, ჟორჟ?

ახალი პასპორტის მიხედვით ქვლავ ჟორჟი მერქვა. დიდი ხანია გადავეჩვიე საკუთარ სახელს.

— შესანიშნავი ყმაწვილები არიან, — გავეპასუხე მე.

ჩვენ წინ მსხდომმა მგზავრებმა ცხვირი აიბზუეს და ზურგი შემოგვაქციეს.

მატარებელი სულ სხვა გზით მიდიოდა გრენობლში. ალბათ პარტიზანებმა თუ ააფეთქეს სადმე ლიანდაგი. მატარებელი ჯერ არლიში უნდა მისულიყო, მერე მდინარე რონის დაბლობის გავლით ავინიონსა და ვალანსში და მხოლოდ იქიდან გაუხვევდა გრენობლში.

მარსელის მახლობლად ეტანდებერის ტბას რომ მივუახლოვდით, ივეტას დიდი აგურის შენობა დავანახე და ჩავჩურჩულე:

— ეგ იყო ჩემი სახლი...

ივეტა მიხვდა, ჩემს უკანასკნელ საკონცენტრაციო ბანაკზე რომ ვეუბნებოდი. ვაგონის მინას აეკრა და აგურის ქარხანა შეათვალიერა, შორს, ხეების თავზე რომ წამოიმართა.

— ღუმელი მანდაა? — მკითხა.

— მანდ უზარმაზარი ღუმელია, — მივუგე მე, — „აგურებით“ არის გამოტენილი...

— გასაგებია, — მრავალმნიშვნელოვნად მიპასუხა ივეტამ და ამოიოხრა.

სანამ მატარებელი რონის დაბლობზე მიდიოდა, სარკმელს არ მოვშორებივარ. ზუსტად ამ გზით ჩავედი ესპანეთში. ოღონდ მაშინ აქეთ, დასავლეთისკენ მოვდიოდი და სულ სხვას განვიცდიდი. მაშინ მეგონა, რომ გამარჯვება ახლოს იყო. ახლა კი ვიცი, ჯერ შორსაა გამარჯვებამდე. — ძალიან, ძალიან შორსაა. მოვესწრები კი მას? ან ივეტა მოესწრება? შევხვდებით გამარჯვების დღეს? პასუხს ვერავინ გაგვცემდა. იქნებ ეს უკეთესიც იყო, რადგან შეიძლება უარყოფითად ეპასუხნათ და გული მოეკლათ ჩვენთვის.

კარგ გუნებაზე ვიყავი და ვცდილობდი ყველაფერზე მეხუმრა. ჩემი ნაძალადევი ხუმრობა მეზობლებს აღიზიანებდა.

— ზოგი ადამიანი მოშლილ პატეფონს ჰგავს, — ჩაიბურტყუნა ვილაცამ. მივხვდი მე მიმიზნებდა და მაინც განვაგრძე ლაყბობა. ივეტაც ხუმრობდა.

ამათ რაც უნდათ, ისა თქვან. მალე სიცილისა და ხუმრობისათვის დრო აღარ გვექნება. მალე მუშაობა მოგვიწევს.

ავინიონის სადგურში მატარებელმა შეიცადა, სანამ გერმანელები აქაურ ბაზარში ჩამორთმეული სურსათით დატვირთავდნენ. ერთი ჰიტლერელი ოფიცერი ფარშევანგივით გაბღენძილი დასეირნობდა ბაქანზე. ივეტამ სარკმელზე დააკაკუნა და ღიმილით კოცნა გაუგზავნა. ჰიტლერელმა ყურებამდე გაიღიმა და ნიშნად სალმისა ხელი ქუდზე მიიდო.

— ეს კი აუტანელია! — წამოიძახა იქვე მდგომმა ხანშიშესულმა ქალმა და მეზობელ კუპეში შევარდა გაანჩხლებული.

— ახლა კვლავ მარტონი ვართ, — ჩიტივით აყლურტულდა ივეტა, — აქ ჩამოჯექი, ჩემ გვერდით, და მითხარი: რას ინებებდი, ვალანსში რით გაგიმასპინძლდე?

— მატარებელი ამდენ ხანს არ გაჩერდება, — ვთქვი მე.

— მემანქანეს ვეტყვი, რომ მოიცადოს.

გამეცინა.

— შენი ღიმილით ყველაფერს შეძლებ, ალპებზე თოვლსაც დაადნობ.

— კიდევ რას?

— მტრის არმიას აცეკვებდი, სანამ ტყვედ ჩავიგდებდეთ.

— კიდევ?

— ჩემს გასულელებას.

— ეგ ვცადე, მაგრამ ვერაფერს მივაღწიე.

— უკვე მიაღწიე.

— მაშ რატომ ხარ ასე მოწყენილი?

— ნუთუ ვერ ხვდები? მთელი გზა ვმასხარაობ. ჩემს სიცოცხლეში ჯერ ასე არ მომისულელებია თავი.

ხელები დამიჭირა და გაიცინა.

— ჩემო ბიჭუნავ, ნეტავ სულ ასე ვმოგზაურობდეთ მთელი სიცოცხლე, მთელი ცხოვრება!

— მაშინ ისეთი უსასრულო გზა უნდა გამოიგონო, მხოლოდ ჩვენი მატარებელი რომ ივლიდა და ბორბლებში არაფერი გაებლანდებოდა. ზღაპრული მოგზაურობა გვექნებოდა.

— ნეტავ ცხოვრება რატომ არაა ზღაპარივით ლამაზი?

— როდესმე იქნება, ივეტა, როდესმე...

— ჩვენ თუ მოვესწრებით ამას? — მკითხა მან და მეც თავდაჯერებით მივუგე:

— მოვესწრებით, ივეტა, ჩვენ ბედნიერები ვიქნებით. ყველა ბედნიერი იქნება.

— როგორც ახლა ვართ?

— ჰო, ასე.

ლოკომოტივმა შეჰკივლა, მატარებელმა გზა განაგრძო. ივეტას აქეთ არასოდეს უვლია. ყოველი მოსახვევი, რონის ყოველი ყურე და სანაპირო კლდე უცხო სანახავი იყო მისთვის. როცა მატარებელმა მაღალ ნაპირს გადაუქროლა და შორს დათოვლილი ალპები გამოჩნდა, ივეტამ ისე ნაღვლიანად შემომხედა, მივუხვდი ამ უსიტყვო მზერას. ხელი მოვუჭირე და ყურში ჩავჩურჩულე:

— გამაგრდი, ძვირფასო, ყველაფერი კარგად იქნება...

ვალანსში მატარებელი დიდხანს არ გაჩერებულა და ჩვენი ოცნება, რესტორანში გვესადილა, არ ასრულდა. როგორც კი მოხსნეს ჰიტლერელთა სურსათის ვაგონები, მატარებელი დაიძრა, მარჯვნივ გაუხვია და სულ მალე მდინარე იზერის დაბლობზე ალპების მიმართულებით გაგვაქროლა.

— გრენობლი შორს აღარაა, — თქვა ივეტამ, — გახსოვს სადგური, სადაც უნდა ჩამოვიდეთ?

— მუარონა.

— ჩავიცვათ. პატარა სადგურია და მატარებელი მხოლოდ რამდენიმე წუთს ჩერდებაო.

პალტოები ჩავიცვით და სარკმლიდან ვიყურებოდით გარეთ. მდინარე იზერს, რომლის უსწორმასწორო დაბლობზეც მიჰქროდა მატარებელი, მთები თანდათან ავიწროებდა. აქა-იქ მოჩანდა თოვლი, ალპების ცენტრალურ მასივს კი თეთრ სუდარასავით გადაფარებოდა. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ამ თოვლიან მთებში, ღრუბლებს ზევით რომ აჭრილან, ხალხი ცხოვრობს და იბრძვის თავისუფლებისათვის.

დაბლობი უცებ გაიშალა. მდინარე რკალივით მოხრილიყო სამხრეთით. ხიდზე გადავიქროლეთ, ქვეშ მთის პატარა მდინარე მოჩხრიალებდა. მატარებელმა თანდათან უკლო სვლას. ლოკომოტივმა ერთი ამოიქშინა და გაჩერდა. სადგური — მ უ ა რ ო ნ ა.

მატარებლიდან ჩამოვედით და სადგურის მოედანზე გავედით. მე ბარგთან დავრჩი, ივეტა კი მძღოლის საძებნელად წავიდა. ჟაკისა და ივეტასაგან ვიცოდი, რომ ჩვენ აქ ერთი ყოფილი მარსელელი ტაქსის მძღოლი დაგვიცდიდა. იგი ახლა თავის მანქანით გრენობლში გადმოსულიყო სამუშაოდ. გრენობლამდე რაღაც ოცდახუთიოდე კილომეტრიღა იყო და მანქანა ალბათ უკვე გვიცდიდა.

სულ მალე ჩემ წინ ძველი, ნახევრადდანჯღრეული „რენო“ ჩამოდგა. ივეტამ კარი გააღო და ღიმილით მთხოვა ჩაჯდომა. ის მძღოლთან დაჯდა, მე კი ბარგიანად უკან მოვთავსდი. მანქანამ სიჩქარეს უმატა და სულ მალე მუარონის გადაღმა მთებში აღმოვჩნდით.

— წუხელ კიდევ მოთოვა, — ბრაზობდა მძღოლი, — წელს გვიან გამოზაფხულდება.

— მარსელში უფრო თბილა. — თქვა ივეტამ.

— ოჰ, ნეტავ ეგ არ გეთქვათ, გული დამეკოდა, — ამოიოხრა მძღოლმა. — დღედაღამ მარსელი მელანდება. როგორ არიან იქ, ან ახალი რა არის?

— ყველაფერი ძველებურადაა, — მიუგო ივეტამ. — კარგი არაფერია.

— ეგრეა ყველგან, მთელ საფრანგეთში, — თქვა შოფერმა, — არც გრენობლშია უკეთესად.

— ახლა რომელ დეპარტამენტში ვართ? — ჰკითხა ივეტამ.

— იზერისა. სულ მალე სავოიის საზღვარზე მივალთ და მეც იქ გადმოგსხამთ.

გზა უხმოდ განვაგრძეთ. ვაკეზე ბინდი წვებოდა. ვაკის იქით კი მკვდრის მზეს მთები ისე გაეწითლებინა, თითქოს ზედ სისხლი გადაუსხამთო. მანქანის ღუმელი არ მუშაობდა. ივეტას გააჟრჟოლა და ხელების სრესვა დაიწყო.

— სულ მალე მივალთ. ცოტაც გაუძელით, — უთხრა მძღოლმა და მან-

ქანა საურმე გზაზე გადაიყვანა, სადაც თიხა და თოვლი ყვითელ მასად ქცეულიყო. მანქანა ხან ჭრიალით მიხტოდა ქვებზე, ხან კი მთაზე მიხოხავდა ფრუტუნით. მერე ერთბაშად კრაზანასავით დაიბზუვლა და ვაკეზე ჩაფრინდა.

ბოლოს ერთი გლეხის სახლთან ჩავუხვიეთ. მძღოლმა მასპინძელი გაგვაცნო და უკანვე გაბრუნდა გრენობლისაკენ. თერმოსებში ღვინო ჩავასხით. ვახშმის შემდეგ გლეხის ოჯახი დავტოვეთ და მასპინძელთან ერთად მთებს შევუყევით.

მთელი ღამე ვიარეთ და მხოლოდ გათენებისას მივაღწიეთ პარტიზანთა ბანაკს.

V

აპრილის შუა რიცხვებში ქარბუქი ამოვარდა მთაში. ბარისაკენ გრუხუნით ეშვებოდა ზვავი ზვავზე. ერთმა ასეთმა ზვავმა ცელივით მოთიბა ნაძვნარი და კინალამ მწყემსების ქოხში მოთავსებული სადგომი დაგვინგრია. გადარეულმა ქარბუქმა ნამქერი მოაყარა ფარეხს და ერთიანად წალეკვას გვიქადდა.

მეთაურმა სასწრაფოდ მოიწვია თათბირი. კოცონთან ექვსმა კაცმა მოვიყარეთ თავი. ორიც საგუშაგოზე იდგა. რაზმის მეთაურმა, შავგვრემანმა, ტანმორჩილმა და ენერგიულმა ფრანგმა, კეფაზე რომ ბერეტი წამოეგდო და ცეცხლის ალს ჩასცქეროდა, თქვა:

— ამხანაგებო, ზამთარმა კუდი მოიქნია, თუმცა ეს ნამდვილი ზამთარი ალარაა — ნასესხებია, მაგრამ საკმაოდ საშიშია. გამდნარი თოვლი დიდხანს ალარ ჩერდება თხემებზე და ძირს ეშვება ზვავებად. ჩვენ სადგომს საფრთხე ემუქრება. ჩემი წინადადებაა, ვაკეზე გადავინაცვლოთ. საწინააღმდეგო ხომ არაფერი გაქვთ?

ყველა დუმდა. გარეთ ქარბუქი ბობოქრობდა. მიწამ დაიგრუხუნა, სადღაც ზვავი ჩამოწვა.

— მაშასადამე, შევთანხმდით, — თქვა ფრედერიკმა. — ვის სურს ახალი სადგომისათვის ადგილი მოძებნოს?

მე და ივეტამ ერთმანეთს გადავხედეთ და ორივემ ერთად ავწიეთ ხელი. მეთაურმა გაგვიღიმა.

— ჩვენს ახალ მეგობრებს სურთ? კეთილი, ეგრე იყოს, მაგრამ მარტო თქვენ ვერ გაგიშვებთ. ძველებისგან ვის სურს გაჰყვეს მათ?

ამჯერად ყველამ ასწია ხელი. მეთაურმა გაიღიმა.

— მაშინ მე თვითონ წავალ. დავალება მეტად ძნელი და საპასუხისმგებლოა. ნება მომეცით, თავად შევასრულო იგი.

თათბირი დამთავრდა. მე და ივეტა მაშინვე შევუდექით ჩვენი პირველი ოპერაციისათვის მზადებას. ზურგჩანთებში თითქმის ყველაფერი უნდა ჩაგვეწყო, რაც კი მთამსვლელს ესაჭიროებოდა, თანაც ავტომატი, ტყვია-წამალი და ფეთქებადი ნივთიერება. ფრედერიკი რჩევას იძლეოდა და ჩვენც სასწრაფოდ მოვემზადეთ. შუადღისას სამივემ დავტოვეთ ბანაკი და ბარისაკენ დავეშვით. ფრედერიკი წინ მიგვიძღოდა და ღრმა თოვლში კვალს ტოვებდა. ორიოდ კილომეტრის შემდეგ კლდის ძირას, მყუდროში ვისხედით სულის მოსათქმელად.

— საკვირველი ქვეყანაა საფრანგეთი, — თქვა ფრედერიკმა. — მთაში ჯერ ისევ ქარბუქია, ბარში კი უკვე სიცოცხლე იფურჩქნება.

— ბარში სისხლი იღვრება. — ამოიოხრა ივეტამ.

— ჰო, ბარში სისხლი იღვრება. — გაიმეორა ფრედერიკმა. — იმ დღეს ელსადგურის მუშებს შევხვდი, მათ ყოველი მეათე კაცი დაუხვრიტეს საბოტაჟისათვის. ყოველი მეათე კაცი! მამაჩემი ექიმია. ის იტყვის ხოლმე, ავადმყოფის გადრაჩენა მაშინაა ადვილი, თუ გრძნობა ჯერ კიდევ არ დაუკარგავს. საფრანგეთს მტერმა დააკარგვინა გრძნობა. ძნელი იყო მისი გაღვიძება. ახლა კი იღვიძებს, და ჩვენ მას გადავარჩენთ. თავისუფლების დაკარგვა იოლია, მისი მოპოვება კი საოცრად ძნელი.

— საშინლად ძნელი, — გაიმეორა ივეტამ, თან ღრუბლებს გასცქეროდა, ნისლა ცხენებივით რომ მიერეკებოდა ქარი. — ნეტა საით მიჰქრიან ისინი?

— მარსელისაკენ მიაქროლებს მისტრალი, — ვთქვი მე.

— ჟაკი მომიკითხეთ! — სიცილით დაადევნა ივეტამ.

— მოვახსენებ მათ, რომ ყველაფერი რიგზეა, — საქმიანი კილოთი თქვა მეთაურმა და იკითხა, სროლა თუ იცისო ივეტამ.

— ესპანეთში ვისწავლე, — მიუგო ივეტამ. — ოღონდ შაშხანით ვისროდი.

— აბა ერთი ვნახოთ, — თქვა მეთაურმა და თავისი ბერეტი ჩვენგან ორმოცდაათი მეტრის მოშორებით თოვლზე დადო. კიდეს ამოეფარა და დაიძახა: — ცეცხლი!

ივეტამ დაუმიზნა და მოკლე ჯერი გაუშვა. ბერეტთან თოვლი აბორიალდა. მეთაურმა ბერეტი აიღო და ჩვენთან მოვიდა. გახუნებულ თექაში მრგვალი ნახვრეტი მოჩანდა.

— ყოჩაღ! — წამოვიძახე.

— კარგადაა ნასროლი. — თქვა ფრედერიკმა.

ივეტამ ამაყად ასწია თავი და გაიღიმა.

ამასობაში კარგად დავისვენეთ და გზა განვაგრძეთ. წინ ახლა მე მივდიოდი და თოვლს ვკვალავდი. უკან ივეტა მომდევდა, მეთაური კი ბოლოს მოდიოდა. ღრუბლების ზოლს ჩავცდით და თვალწინ ლურჯ კვამლში გახვეული ფართო ვაკე გადაგვეშალა, სადაც დიდი მდინარე მიიკლაკნებოდა. მდინარის ერთ მხარეს გზატკეცილი მისდევდა, მეორე მხარეს კი რკინიგზა. შორს მარადიული თოვლით დაფარული მთები მოჩანდა.

— იზერის დაბლობზე ვართ, გრენობლსა და შამბერს შუა, — გვითხრა მეთაურმა. — ოპერაციისათვის საუკეთესო ადგილია ეს. აქ სადღაც დაბურულ ხეებში ყველის ძველი ქარხანაა. ცარიელი თუ დაგვხვდა, დროებით იქ დავბანაკდეთ.

ყველის ქარხანა დაფერდებული მინდვრის პირას ვიპოვეთ. ვაკის მხრიდან ნაძვნარი იცავდა. ვაკეზე ვიწრო, ნამქერით ამოვსებული გზა გადიოდა. ეტყობოდა, დიდი ხანია კაცის ფეხი არ დაჰკარებოდა.

ქარხანას ირგვლივ შემოვუარეთ და დავზვერეთ. არავინ ჩანდა. ახლოს მივედი. კარი დაკეტილი დამიხვდა. ჩატეხილი სარკმლიდან გადავძვერი. სიცოცხლის ნიშანწყალი არსად ჩანდა.

ნიშანი მივეცი და ივეტა და მეთაური მაშინვე ქარხანაში შემოვიდნენ. შენობა ერთად დავათვალიერეთ და დავასკვენით, რომ ჩვენი დროებითი ბანაკასათვის ზედგამოჭრილი იყო. იქვე ხეებქვეშ თოვლით ამოლესილი სარდაფი იყო. ისიც დაკეტილი აღმოჩნდა და არც ჩვენ გვიხლია ხელი. ქარხნის ეზოში, პატარა ბორცვზე სახურავჩამობრეცილი ჯვრის მაგვარი სამრეკლო იდგა. უწინ ამ სახურავქვეშ ზარი ყოფილა ჩამოკიდებული. იგი მწყემსებს დროს ატყობინებდა მთაში. ახლა კი გაშავებული ჯვარილა დარჩენილიყო.

ერთ-ერთი ჩვენგანი უკან, რაზმში უნდა დაბრუნებულიყო. ივეტამ პირველმა გამოთქვა სურვილი, მაგრამ მე შემეცოდა და მეთაური დავითანხმე, ჩემთვის მოენდო ეს დავალება. ზედმეტი ბარგი დავტოვე და გზას გავუდექი. ივეტა კი სადგომის მილაგებასა და საჭმლის მომზადებას შეუდგა.

ახლა უფრო ადვილად მივდიოდი, რადგან თოვლს ჯერ კიდევ ვერ წაეშალა ჩვენი ნაფეხურები. საღამო ახლოვდებოდა და ვჩქარობდი. ღრუბლებს რომ გავუსწორდი, ჩვენი გუშაგი შემხვდა, ვაკეს უთვალთვალებდა. ერთი წუთით ჩამოვსხედით და პაპიროსი გავაბოლეთ. თანაც სული მინდოდა მომეთქვა, რადგან ძალიან დაღლილი ვიყავი.

უცებ დაბლიდან სროლის ხმა მოისმა. აქედან ახალი ბანაკის დანახვა შეუძლებელი იყო, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ სროლის ხმა იქიდან ისმოდა. ცხადი იყო, ივეტას და ფრედერიკს დაესხნენ თავს.

გუშაგი ადგილზე დარჩა, მე კი ამხანაგებთან გავიქეცი. საბრძოლველად მოვემზადეთ და ბილიკით ბარისაკენ დავეშვით. გუშაგიც შემოგვიერთდა და ახლა ჩვენი რაზმი ექვსი კარგად შეიარაღებული კაცისაგან შედგებოდა.

ღრუბლების ზოლს რომ მივუახლოვდი, სროლა შეწყდა. ვაკიდან ჩამიჩუმი აღარ ისმოდა. რაც შეგვეძლო ვჩქარობდით. წინ მე გავრბოდი. მალე იმ ადგილს მივაღწიეთ, ფრედერიკმა რომ გამოსცადა ივეტა. თოვლს ისევ აჩნდა ნაკვალევი. ივეტამ კარგად ესროლა და ყველა ერთად ვიცინოდით გახვრეტილ ბერეტზე. ჩემი წამოსვლის შემდეგ თუ ვინმე დაესხა თავს, ისინი უეჭველად მოიგერიებდნენ. ეს გზა მალე მაინც დასრულდებოდეს! ნეტა გამაგებინა, რა მოხდა იქ!

უკვე მისულები ვიყავით, თოვა რომ დაიწყო. თოვლის ფანტელები ბამბასავით დაეფინა არემარეს. ძალიან ფრთხილად მივედით ქვიტკირის ნაცრისფერ სახლთან. ვინ იცის, იქნებ აქ სადმე მტერია ისევ ჩასაფრებული. ალყა შემოვარტყით სახლს და წინ დავიძარით. სიცოცხლის ნიშანწყალი არსად იგრძნობოდა.

ნერვებმა მიმტყუნა. ამხანაგებს მოვწყდი და ავტომატშემართული ეზოში შევვარდი. დანარჩენებიც მომყვნენ. ეზოში თოვლი ჩექმებისაგან იყო დატკეპნილი. ბევრგან სისხლის ლაქები მოჩანდა. დაგმანული სარკმლიდან ქარხანაში გადავძვერი, მაგრამ იქ არავინ დამხვდა.

უცებ ეზოდან ყვირილი შემომესმა:

— ივეტა!

გარეთ გამოვვარდი. ამხანაგები დათოვლილი სამრეკლოს ჯვარს შემოხვეოდნენ, ზედ ივეტას სხეული ეკიდა. ტანსაცმელი შემოხეოდა, წელზე პერანგიღა შერჩენოდა, ნაფლეთებს ქარი აფრიალებდა. შუბლზე ნატყვიარი აჩნდა.

ივეტა ჯვარს ეცვათ. ხელები ცისკენ აეპყრო, თითქოს შველას ითხოვსო. თავი მკერდზე ჩამოვარდნოდა, გიშრის კულული ჩამოშლოდა. შიშველ მხრებზე თოვლის ფანტელები აცვიოდა, მაგრამ აღარ დნებოდა...

ქუდმოხდილნი მდუმარედ ვიდექით მკვლელობის ადგილას. ბოლმა მახრჩობდა და არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა, სანამ ამხანაგები ივეტას ჯვრიდან ჩამოხსნიდნენ და ნაძვის ტოტებისაგან საკაცეს მოამზადებდნენ, ვერაფერს ვგრძნობდი. სადღაც შორს ვიყავი და ივეტაც ჩემთან ერთად იყო, ერთადერთი ქალიშვილი, ვინც მე მიყვარდა. ოცნებაში მასთან ერთად შემოვიარე ყველა გზა, სადაც კი ვყოფილვართ. კბილი კბილს დავაჭირე. შემეშიხდა, არ მეყვირა.

როცა ამხანაგებმა ცხედარი საკაცეზე დაასვენეს, უაზროდ ვიკითხე:

— ფრედერიკი სადღაა?

— მძევლად წაუყვანიათ, — მომიგო ერთ-ერთმა ამხანაგმა, — მისი დაჭერისათვის ოქროთი აივსებენ ჯიბეებს მკვლელები...

ქარხანაში შევედი ივეტას ნივთების მოსაძებნად. იქ აღარაფერი იყო. გამობრუნებისას ფეხი რაღაცას წამოვდე. დავიხარე და ივეტას ავტომატი ავიღე. სავაზნეში ერთი ვაზნაც კი აღარ იყო.

ჩამობნელდა. თოვა შეწყდა. ღრუბლებიდან მთვარემ გამოანათა. საკაცე მდუმარედ შევიდგით მხარზე და აღმართს შევუდექით.

მივარღვევდით გაუკვალავ თოვლს და მაღლა-მაღლა მივიწევდით. ჩვენს მხრებზე ივეტას გათოშილი სხეული ირწეოდა და არავინ უწყოდა, სად მიგვქონდა, ანდა სად დავასაფლავებდით. ირგვლივ ცივი ღამე ჩამოწვა. მოუსვენარი ღრუბლები ხმელთაშუა ზღვისაკენ მიიჩქაროდნენ. მხოლოდ ჩვენ, წელში მოხრილი, მუხლებამდე თოვლში ჩაფლული ექვსი მამაკაცი ვაცოცხლებდით ამ უსულო არემარეს. მივდიოდით და ივეტას თმის კულული გახურებულ ლოყაზე მეხებოდა. აგრე მომეჩვენა, ქალიშვილი ისევ ცოცხალია და ძველებურად მოაბიჯებს მეთქი ჩემ გვერდით. არა, ის ველარასოდეს ივლის ჩემ გვერდით. ველარასოდეს შემომანათებს თავის დიდ, ნათელ თვალებს და ველარ მეტყვის თავისი წკრიალა ხმით: „გამაგრდი, გენაცვალე!“

ქარი საცოდავად ზუზუნებდა კლდეებზე, თითქოს სამგლოვიარო მარშს უკრავსო. მთვარე ღრუბლებიდან თავის მწვანე შუქს ჰფენდა მინდორს, თოვლის თეთრ სუდარაგადაფარებულ უზარმაზარ ბალდახინს რომ დამსგავსებოდა. ზვავმა გამოსათხოვარ ბათქივით იგრიალა მთებში და ჩვენს ფერხთა ქვეშ მიწა ატორტმანდა...

* * *

ყინულის ძლიერმა შეტაკებამ ხომალდი შვატორტმანა. ზღვას გავხედე. თეთრი ჯვარი აღარსად ჩანდა. შპიცბერგენის თოვლიანი მთები სულ ახლოს მოსულიყო. ბარენცბურგიდან, სადაც ფიორდის ნაპირზე შავად მოჩანდა ქვანახშირის ტერიკონი, წითელდროშიანი ყინულმჭრელი მოდიოდა. ეს ჩვენი ყინულმჭრელი იყო. მოიჩქაროდა, რათა ყინულის ალყიდან გაეთავისუფლებინა ჩვენი ხომალდი და ნავსადგურში შეეყვანა იგი.

ფიორდების წყლებში სხვადასხვა ქვეყნის სათევზაო ტრაულერები მიმოდიოდნენ. ჩვენი ხომალდის საყვირი თავისი ბოხი, ომახიანი ხმით ესალმებოდა მათ და ეს ხმა შპიცბერგენის ფიორდებსა და მარადიულ თოვლით დაფარულ მთებში გაისმოდა:

„გამარჯობა!“

გავყურებდი პოლარულ მოთეთრო ღამეს და ვიცოდი, რომ ამ მისალმებას გაიგონებდნენ შუქურის მცველები ნაცრისფერ კლდეზე, მეთევზეები ჭალარა ფიორდებში, ამინდის მკვლევარნი მთებში და მემაღაროენი მიწისქვეშეთში. ისიც ვიცოდი, როგორ გვიპასუხებდნენ ისინი:

„გაგიმარჯოთ!“

ვიტესლავ ნეზვალი

ეღისონი

თარგმნა

სილოვან ნარიმანიძემ

... ჩვენი ცხოვრება ტირილივით სევდიანია,
ის ბედდაცარულ მოთამაშეს გვაგონებს ხშირად.
დგას შუაღამე, გარეთ ცრის თოვლი,
ჰაერში ირგვლივ გაზაფხულის იგრძნობა სუნთქვა,
დიდი ლუდხანაც სავსე არის ნელთბილი ორთქლით,
ღამე ფერებს შლის პრერიის მსგავსად.
ისრებს გვიშენენ მოციაგე ვარსკვლავნი ციდან,
სადღაც, შორს, მათი არის ღრეობა,
აქ კი ჭიქებთან, მაგიდებზე მკლავდაყრდნობილნი,
სივრცეს უმზერენ დაბინდული სახით ლოთები.
ქალებიც, თმებში ბუმბულებით, შიშველი მხრებით,
მელანქოლიით, კაცს რომ აქცევს ხშირად პირუტყვად,
უფრო მეტს გრძნობენ, ვინემ სიკვდილს — თავგანწირულნი,
წყევლიან შიშს და თვით სიკვდილის შიშს...

... მე ვბრუნდებოდი ლეგიის ხიდით,
მოვდიოდი და ვლიღინებდი ნაცნობ სიმღერას,
ვლტავის წყალს სვამდა გემთა სინათლე,
დიდი გემები, მოწამენი ღამის ბრძოლების,
იდგნენ მდუმარედ...

დგას შუაღამე, ვარსკვლავების ნათობს კრებული,
თებერვალია, ფანტელები აწყდება მინებს,

და არის რაღაც, შეუცნობი, მტკვრად აქცევს რაიც
შიშს, — სიცოცხლის და თვით სიკვდილის შიშს...
წყალზე დახრილი მე ვხედავდი ჩრდილს,
წყვდიადში ჰქროდა თვითმკვლელის ლანდი
და იყო რაღაც ყრუ, როგორც სევდა,
როგორც აჩრდილი ღამის მეგობრის.
— ვინ ხარ შენ?.. — ვკითხე, — იწამე ღმერთი!
— არავინ, — მითხრა, — ვთამაშობ ბედთან! —
და იყო რაღაც წყვდიადზე მეტი,
გარშემო მხოლოდ ჩრდილები ფრენდა.
— ო, — აღმომხდა მე, — თავს იკლავ, რისთვის?
მივწვდი, გაჩერდა, წამომყვა კრძალვით,
ჩვენ მივდიოდით ორნი ხელკავით
გარეუბნებში გვიანი ღამით...
მიგვაცილებდა ნიავი გრილი,
მივდიოდით და ნაღველში ვდუმდით
და იყო რაღაც, მკვდრად აქცევს რაიც
უმძიმეს გზებზე თვით სიკვდილის შიშს...
სახლში მივედით, ავანთე ჭრაქი,
გათენებამდე ვთხოვე დარჩენა, —
არ მომისმინა, თვალს მიეფარა,
და მოჩვენება გაჰქრა ამჯერად.
იქნება იყო ოცნება მხოლოდ
და მოლანდება მთვარიან ღამის?..
კვლავ ვიგრძენ იგი, მკვდრად აქცევს რაიც,
სიცოცხლის გზებზე თვით სიკვდილის შიშს.

* * *

მე იქ მივედი, სადაც მშვიდად ეძინათ წიგნებს
და თოვლის ცვენას ვუმზერდი მძიმედ,
ვხედავდი, როგორ იქცეოდა ფიფქი თეთრ საბნად
და შორს აწყვეტილ ფიქრებთან ვრბოდი.
უცხო შეგრძნების რაღაც ბურანში,
მთვრალი ვიყავი სინათლისგან, ჩრდილს რომ სდევნიდა,
მთვრალი ვიყავი ქალებისგან და დაგესლილი,
მთვრალი ვიყავი ტკივილებით, ვნებით დაცლილი,
მთვრალი ტკბობით და სისხლისგან მთვრალი.
მთვრალი ვიყავი ყველაფრისგან, კლავს ქვეყნად რაიც
ცხოვრების გზებზე თვით სიკვდილის შიშს...

* * *

— კმარა! ვიფიქრე, დაივიწყე, რაც გულში ითქვა,
და მივწვდი გაზეთს, წამეკითხა იქნებ რაიმე,
იქ ამბებს შორის, შავით თეთრზე ეწერა სიტყვა,

„ედისონ“ —
ბევრი ალბათ მიხვდით, რას ნიშნავს იგი.
იქვე ეხატა აპარატი რაღაც ახალი,
იგი მორთული გვიცქეროდა, როგორც ფრთოსანი,
და იყო მასში რაღაც რწმენა, რომელიც იწვევს
ყოფის სიხარულს, სილამაზეს და სითამამეს...

* * *

ჩვენი ცხოვრება სიზმარივით არის მაცდური,
ნიუ-იორკში ვნახე ერთი ფოსტალიონი.
გაზაფხულის დღე გასუდრული იწვა ღრუბლებში
და ბროდვეიზე შედგა გამვლელი.
პირდაპირ ვესტერნ-იუნოდან მოვიდა იგი,
რომელიც მაშინ გუგუნებდა ვით გრამაფონი,
ის მეოცნებე ჟურნალისტი იყო ბუნებით,
გამომგონებლის ნიჭიც ჰქონდა შესანიშნავი...
ყველა ჩვენთაგანს განგვიცდია მრავალჯერ მარცხი,
ვარსკვლავები კი უმოძრაოდ რჩებოდნენ ისევ,
იქნებ ეს არის სიჯიუტე, სხვა რაა მათში,
უხალისოა, როგორც კაცის ყოფნა ზღვის ფსკერზე.

* * *

კვირადღეობით ეკლესიის რეკენ ზარები,
ტელეფონების ზარების ხმა აწვალებს რკინას,
გესმით ქალ-ვაჟის საუბარი უფრო თვალებით,
რაც უკანონო შეთანხმებას გვაუწყებს ხშირად.
მითათბირობენ მძარცველები, უსახლკარონი,
მოსულნი ზოგი ტყეებიდან, ზოგიც პრაღიდან,
ყურში სამყაროს ხმა ჩაესმით, როგორც კანონი,
ელექტრომუხტად იქეცითო, თქვეს სამარიდან.
აი, მიფრენენ ვარსკვლავეთის გზით იმპულსები,
როგორც ფრინველნი ბრუნდებიან გაშლილი ფრთებით
და ბავშვებისთვის, როგორც ხშირად ლურჯი მტრედები,
ისე იმპულსებს ჩვენთვის მოაქვთ რაღაც გართობა.
ჩვენც ძილს ვეძლევით დაღლილები, როგორც აზარტით
ქანცგამწყდარი, გატანჯული მოთამაშენი,
იცხოვრებს მშვიდად მანიისგან განუკურნელი,
პენსილვანიის როგორც ვინმე ღამის დარაჯი...
თქვენ გაგაწვალებთ დარდი ახალი,
როგორც მე, როცა რომანს ვწერდი, — ოდესღაც ვწერდი!
როგორც იმ ჯამბაზს, როცა თოკზე გაივლის უკვე,
და მომავალში გასავლელი რჩება რამდენი,

ანდა ვით იმ ქალს, ვინც რომ ბავშვი უკვე დაბადა,
ანდა მეთევზეს, ზღვამ დაღალა რომელიც დიდად,
ან სიყვარულის სიტკბოებით აღივსო ვინაც,
როგორც ბრძოლიდან მომავალი გმირი მებრძოლი,
როგორც ვენახი დაკრეფილი შემოდგომისას,
როგორც ვარსკვლავი შეხვედრილი განთიადის მზეს,
კაცი, რომელმაც უცაბედად დაკარგა ჩრდილი,
ან ღმერთი იგი, ვინაც შექმნა ეს დღე და ღამე,
ან კაცი იგი, ვინაც შექმნა პირველად სიტყვა,
ღმერთმა ხომ უნდა გააკეთოს ხელახლა რამე,
ღმერთმა, რომელმაც დაგვანათა ჯამის მსგავსი ცა,
ღრუბლებიც სავსე ნამითა და სიტკბოებითა.
ყველა ისინი გვანიჭებენ რაღაც სიხარულს,
ბრძოლის სურვილებს, სითამამეს,
რაც, როგორც არის.

* * *

მიმდინარე წლის ოქტომბრისა იყო საღამო,
სახელოვანი მელონ-პარკის ვრცელ ლაბირინთში
ფიქრებით სავსე ვსეირნობდი ჩვეულებრივად.
იქ ხშირად მოდის წერილები და საჩუქრები,
იქვე ბრუნავენ წისქვილები ოცნების ფრთებით,
ნახშირისაგან იძერწება სიზმრები შორი,
ჩრდილთა მტვერია, მოჩვენებებს ღუპავს რომელიც,
იქვე ჩანს წელთა ცეცხლოვანი დღეების რიგი.
სახლთა მაღალთა, სასახლეთა ანგელოზური,
რესტორნებისა თუ ბარების ბროლისებრ ბრწყინვით
ღამის ბულვართა ცეცხლოვანი შადრევანები...
ვარდნი-ყვავილნი — საღებავთა ფერები უხვი,
მანათობელნი ქალაქისა გზისა და ხიდის,
ნათელი ცეცხლი დიდი გემის, ზღვაში რომ მიდის,
ჩვენი დღეების შეუცნობი, ფარული ცრემლი,
იქ ხშირად ხარბად დასტირიან მოღუშულ ქუჩებს,
ძველ მუმიათა სარკოფაგებს, ცისფერ კაფეებს,
კაფეებს, სადაც დათრობამდე სვამენ ლოთები
ცივ, სარკესავით კამკამა ღვინოს.

* * *

ჩემს სულს წავართვი რა ალერსი ამქვეყნიური,
თითქოს მივტირი ძველი გიტარით,
ო, მე მღელვარი ტრუბადური და თვით არქვია,
სახელოვანი მელონ-პარკის ვრცელ ლაბირინთში
შევდივარ, ვითარც შფოთით სავსე, სულით მღელვარი,
ადამიანთა, პატიმართა და მკვლელთა მილმა,

ვნებით დაუმცხრალ ისტერიულ ცეკვათა მილმა,
ლურჯად შეღებილ ჭოჭინაქთა მწკრივების მილმა,
მისწრაფებათა და ცრემლთა მილმა,
ტალანში მფრინავ ქიმერების მივდივარ მილმა,
თავდავიწყებით ქალისგან მთვრალი,
მთვრალი ვარ სისხლით და სიტკბოს ქაფით,
მთვრალი ვარ იმით, რაც ყველაფერს მოაქცევს ნეშტად,
მთვრალი ვარ, მთვრალი წუთისოფლის სევდით და შიშით...

* * *

ჩვენ მხიარული გვაქვს ცხოვრება, როგორც სიცილი,
ანახე, ღამით რომ მოვიდა თოვლი,
და ეს ამბავი შევიგრძენი ჩვეულებრივად,
მე სრული სახე წარმომიდგა ედისონისა,
შუაღამისას, ზამთარი იყო
და ვსაუბრობდი ჩემს საკუთარ შვილთან მთვრალივით,
ვსაუბრობდი მე, როგორც მთვრალი გაქცეულ ჩრდილთან, —
შორით ისმოდა ვით რეფრენი, მცირედი ჩქამი,
სად ფეხაკრეფით მივყვებოდი დერეფნის დირეს.
ჩემს წინ ელავდა ღამის შუქი, უხვი ციმციმით,
როგორც ზღვის ფსკერზე, აქ ეძინათ ადამიანებს,
გარშემო მთვარე კამკამებდა, ვით პრერიის მთა,
ისრებს უშენდნენ თითქოს ამ მთას ვარსკვლავნი ციდან.
და მე ვისმენდი გაცივებულ საათთა გუგუნს,
სანაპიროზე თვითმკვლელების რბოდნენ ჩრდილები,
ბებერ ქალწულთა რბოდნენ ჩრდილები,
მსუბუქ ავტოთა ქროდნენ ჩრდილები,
მაღალ სართულთა იწვნენ ჩრდილები,
კეთროვანების თრთოდნენ ჩრდილები,
რბოდნენ ჩრდილები დაღუპულთა და განწირულთა,
ბანდიტთა, მკვლელთა, მეომართა რბოდნენ ჩრდილები,
ჩანდნენ ჩრდილები ლოთებისა რუხ კედლებიდან,
და წამებული პოეტების ჩანდნენ ჩრდილები.
ჩანდნენ ჩრდილები უიმედო შეყვარებულთა,
მკაცრი ჩრდილები უპატრონო სახრჩობელების.
ვინმე პრინცესის მათში ჩანდა ნარნარი ჩრდილი,
და იყო რაღაც სახალისო, რაიც გვგვრიდა ჩვენ
ყოფის სიხარულს, სილამაზეს და სითამამეს...

* * *

იყავით მარად სევდიანი და მოსახიბვლელი,
კეთილი ღამის ცეცხლოვანო მეტეორებო,
ცხელ ღამეებში თქვენ ფრინავდით ცაში უჩრდილოდ,
როგორც ქარები ცეცხლოვანი, ისე ფრინავდით,

მშვიდობით, გზების სიგნალებო, რაღაცის გამო
მე თქვენ მხიბლავდით, როგორც ადრე ვარდის სურნელი,
თქვენც, ვარსკვლავებო, მშვიდობით, თქვენც, — წმინდა ცრემლებო,
თქვენც, რომელთაც მე მაპოვნინეთ მთა და ველები,
ბაღებო, სავსე მრავალფერებით...
მშვიდობით, მთებო, თვითმფრინავის ამაყო ფრთებო,
და შენც, მშვიდობით, ედისონის ფიქრთა ნაშუქო,
შუშხუნებო, მშვიდობით, თქვენაც და შადრევნებო,
მშვიდობით, თქვენაც, ძველმოდური მატყუარებო,
მშვიდობით, სუფთა გაშლილი ცის მეტეორებო,
მშვიდობით, ჩრდილნო, მარტოსულნო წყვდიად ღამეში,
ნაზო სიზმრებო, ოდესღაც რომ ლხენით მავსებდით,
მშვიდობით, სხივნო, ქალიშვილის სავსე თვალებო,
თანავარსკვლავთა სუსტო ჩრდილო, მთვარის სხივებო,
გრძნობის ნაჩრდილნო, თქვენ, რომელთაც არ გაქვთ სახელი,
ვისაც არ გაკრთობთ შუაღამის ზარების რეკვა,
ფერმკრთალო ჩრდილნო, ხატებანო ბნელი სიკვდილის,
და ჩვილთა სუნთქვის უტკბესო ჩრდილო.
დედათა ჩრდილნო, რომ ლოცულობთ ყოველ წუთს შვილზე,
უცხო მხარეში გადახვეწილ ლტოლვილთა ჩრდილნო,
ფუფუნებათა ლაღო ჩრდილო, რომ აწვალებ კაცს,
და აჩრდილებო ამ ჩრდილების, კმარა, მშვიდობით!..

* * *

იყავით მკაცრნი და ლამაზნი! კეთილნო ჩემნო,
ცრემლთა დენანო ქალისაო, და თვალთა სხივნო,
მთის სიყვარულო, დაუთვლელი სადაც ვარსკვლავი
ზეცის ბუდიდან ძირს ეშვება, მკერდზე გვაცვივა,
მშვიდობით, გტოვებთ, დე, ასე იყოს!
მე გავიღვიძებ, რადგანაც ირგვლივ
ცხოვრობენ ხალხნი და სიცოცხლის სჩქეფს პოეზია,
ეს არის მართლაც საჭირო რამ, ძვირფასო ჩემო!..
მე მივეცემი ოცნებებს ისევ,
და „სლავიაში“ კვლავ დავლევ ყავას,
ჩვეულებრივად შევექცევი დილის საუზმეს,
კვლავ თავდახრილი ავტირდები ძვირფას ცხედართან,
კვლავ უძილობა მესტუმრება მღელვარების ჟამს,
ისევე მოვა ჩუმი წვა და ჩუმი გალობა,
ისევ მოსმენა ტირილისა, ამქვეყნიური,
ისევ თამაში უიღბლო და მაინც თამაში.
ჩვენი ცხოვრება ეს ხომ ერთად დღე და ღამეა.
მშვიდობით, შორო ვარსკვლავებო და ფრინველებო,
მშვიდობით, მწველო გამოხედვავ ნაზი ქალისავ,
მშვიდობით, ბნელო საფლავებო!.. მშვიდობით, ღმერთო!
ღამე ნებისა, ძილი ნებისა!
დღევ, დიდება შენ!..

ედგარ პო

ლიგეა

მოთხრობა

ინგლისურიდან თარგმნა ზაურ კილაძემ

> და აქაა ძალი ნებისა — ძალი წარუვალი და დამტევი ყოვლისა. ვინ ჩაწვდება მის საიდუმლოს? ხოლო ღმერთი ოდენ ძალაა უდიადესი საგანთა არსში ჩასაღწევად მოწოდებული. კაცი არც ანგელოზს, არც სიკვდილს დამორჩილდება, მხოლოდ თავისი ნებისყოფის უღონობისაგან გაიწირება იგი.
>
> ჯოზეფ გლენვილი

ულის საცხონებლადაც რომ მინდოდეს, არ შემიძლია ნათლად გავიხსენო, როდის და სად ვნახე პირველად ლედი ლიგეა. დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ და ამდენმა ურვამ შემისუსტა მეხსიერება. ანუ, ახლა აღარ ძალმიძს სრულად მოვიხილო ჩემი გონების ყოველი კუნჭული, რადგან ხასიათი ჩემი სატრფოსი, მისი იშვიათი განსწავლულობა, საოცარი და მაინც არა თვალსაცემი სილამაზე, თრთოლვის მომგვრელი და ამო საუბარი მისი, უჩუმრად, თანდათან და ძალოვნად იტყვევებდა ჩემს გულს. ვგონებ, პირველად შევხვდი და ხშირად ვნახულობდი მას რომელიღაც დიდ ქალაქში, სადღაც რაინის გასადევარზე რომ დაემკვიდრებინათ და დრო-ჟამისგან დაძველებულიყო. უთუოდ ექნებოდა რაიმე ნათქვამი თავის ოჯახზე და, ეჭვგარეშეა, ძირძველი უნდა ყოფილიყო მისი გვარი. ლიგეა! ლიგეა! ისეთ საქმეზე მიჯაჭვული, ყველაზე მეტად რომ მიაძინებს გარე სამყაროს შთაბეჭდილებებს, მარტოოდენ — ლიგეა! — ამ სანეტარო სიტყვითღა ვაცოცხლებ გონებაში ხატს იმისას, ვინც აწ აღარ არის ამ ქვეყანაზე. და ახლა, როცა ამ სიტყვებს ვწერ, უეცრად თავში გამიელვა: არც არასოდეს ვიცოდი ჩემი მეგობრისა და მშველელის, და ბოლოს — ჩემი სულზე უტკბესი ცოლის გვარი. იქნებ, ეს ლიგეას ანცობა იყო? ანდა ერთგვარი გამოცდა ჩემი ვნებისა, როცა გადავწყვიტე ამის გამო არაფერი მეკითხა? ანუ, შესაძლოა, რაღაც ჩემივე ახი-

რება, თვითგვემა რომანტიკული მოწამეობით ატაცებული კაცისა? თავად ეს ფაქტი ძლივლა მაგონდება — რაღა გასაკვირია, თუ სრულიად დამავიწყდა წვრილმანები, თავი და თავი და თანამყოლი. ჭეშმარიტად, თუკი სული იგი, სიყვარულის სულად სახელდებული, — შავფრთიანი ძველეგვიპტური ღვთაება ა შ ტ ო ფ ე ტ ი, როგორც გადმოგვცემენ, მართლაც თავს დასტრიალებს უბედო ქორწილებს, მაშინ უთუოდ იქაც იყო, თამადად იჯდა ჩემი საქორწინო სუფრის თავში.

ერთი სათაყვანო რამ, ამდენ ურვათა შემდგომ, მაინც დარჩა ნათლად ჩემს მეხსიერებაში — ს ა ხ ე ბ ა ლიგეასი. აშოლტილი იყო, წელ-წვრილი, სიცოცხლის ბოლო დღეებში ოდნავ გამხდარიც კი ეთქმოდა. ამაოდ დავშვრები, მშვიდი სილაღით აღვსილი მისი დიდებული ტანადობის, ანდა სადა მიხრა-მოხრისა და ჰაეროვანი ნაბიჯების აღწერას თუ შევეცდები. ლანდივით უჩუმრად შემოვიდოდა ხოლმე ჩემს მყუდრო ოთახში და ასევე ჩუმად გაქრებოდა. ვერც ვერასდროს ვიგებდი მის შემოსვლას, სანამ მისი საამური დაბალი ხმის ჟღერა არ ჩამესმოდა, სანამ მხრებზე არ ვიგრძნობდი მის მარმარილოსებრ სალუქ მკლავებს. ვერც ქალწული ვინმე შეედრებოდა სახის სილამაზით; თრიაქნასვამი კაცის ზმანებისდარი იყო იგი. სახე, საზეო სახილველი, უფრო სასწაულებრივი და ღვთაებრივი, ვინემ დელოსელ ქალწულთა სულების თავზე მორიალე ფანტაზიები. მით უმეტეს რომ ლიგეას არა ჰქონდა პირისახის ის სწორი ნაკვთები, რის თაყვანისცემასაც ყრმობის დროიდანვე აგრე მცდარად გვასწავლიან წარმართ მოქანდაკეთა კლასიკურ ქმნილებებზე. „ყოველ დიდ მშვენიერებას, — თქვა ბეკონმა, ვერულამის პატრონმა, როცა მოგვითხრობდა მშვენიერების ფორმებსა და სახეებზე, — მუდამ რაღაც უ ც ნ ა უ რ ო ბ ა აქვს ხოლმე თავის პროპორციებში“. და თუმცა კარგად ვიცოდი, ლიგეას სახე კლასიკური წყობისა არ იყო, მაინც ვგრძნობდი მის „დიდ“ მშვენიერებას, მის „უცნაურობასაც“, ვგრძნობდი, მაგრამ ამაოდ ვცდილობდი მეპოვა ის, რაიც ჰბადებდა ჩემში ამ „უცნაურის“ შეგრძნებას. ვუმზერდი მაღალ, ფერმკრთალ, უნაკლო შუბლს (**რაოდენ ცივია ეს სიტყვა ამ ღვთიურ სიდიადის აღწერად!**). შევფოფინებდი მის პირისკანს, უძვირფასეს სპილოს ძვალს რომ გაეჯიბრებოდა მწყაზარად და ზვიადად განფენილი; ნაზად ამობურცულ ყვრიმალებს, ყორნისფრად მოლივლივე მშვენიერ თმას, კულულებად რომ ეხვეოდა და სრულად რომ ჰფეროობდა ჰომეროსისეული ეპითეტი — „სუმბულისებრი“. ვუჭვრეტდი მის ფაქიზად ჩამოქნილ ცხვირს, მხოლოდ ერთხელ მინახავს ამგვარი სრულყოფილება — ჰებრევში ნაკეთებ მედალიონზე. იქაც ასე ნაზი და უმწიკვლო მზერაა და ასე მსუბუქად მფშვინვარე ნესტოები, ნიშატი თავისუფალი სულისა; და კიდევ ბაგე-პირი! მართლაც რომ ციურ ასოთა ჯუფთი, პაწაწინა ზედა ტუჩი, ქვემოთაც ერთი სამოთხისებური ყვავილი რამე, კაცის თვალისაგან უხილველი; და ფოსოები უსათუთეს ღაწვებზე მოთამაშენი; ნათლის მომღები ბროლის კბილები, შუქმომფინარე ღიმისთვის რომ განიპობოდნენ; ნიკაპი — დახვეწილი, ნაზად მომრგვალებული, შესახედავად დიდებული და საამური, ბერძნული იერის, ლანდად რომ წარმოუჩინა სიზმარში აპოლონ ღმერთმა კლეომენეს, ათენელის ძეს; და კიდევ თვალები, დიდრონი თვალები ლიგეასი.

ასეთ თვალებს ძველს ანტიკაშიც ვერსად ნახავდა კაცი. და, შესაძლოა, სწორედ აქ იმალვოდა ის საიდუმლო, ვერულამის პატრონი რომ მიგვა-

ნიშნებდა. უფრო დიდრონი ჩანდნენ ის თვალები, ვინემ ჩვენი რასისთვისაა დამახასიათებელი, უფრო დიდრონი, ვინემ ნურჯაჰადის ველად მცხოვრები ტომის დიაცთა ქურციკისეული თვალებია. ეს მენიშნებოდა მისი დიდი მღელვარების დროს, და უფრო მზისებრი ხდებოდა იგი ამ წუთში, ცით მოვლენილ არამიწიერი სილამაზის არსებას ჰგავდა, თურქული ლეგენდების ფერიას. ანუ, იქნებ, შესაძლოა ამას აგრე ჩემი ფანტაზია წარმომიჩენდა მხოლოდ. კუპრისფერ, გრძელ წამწამებში მობრიალებდნენ გიშრისფერი თვალები, წარბებიც იმავე ფერის ჰქონდა, მშვილდივით მოზიდული. გარნა „უცნაურობა", მის თვალებში რომ გამოსჭვიოდა, გაურკვეველი ბუნების იყო და არც თვალთა სიდიდეში, ფერსა თუ ელვარებაში გამოიხატებოდა — ყველაზე მეტად იგი ამ თვალთაგან გამოშუქებულ გ რ ძ ნ ო ბ ა შ ი იყო საძიებელი. ო, სიტყვა რას გასწვდება! სიტყვის მოჩვენებითი სიდიადით ვფარავთ კაცნი ჩვენს უმეცრებას და ყინჩად ვლაპარაკობთ იმაზე, რაც სულის სფეროებში ღრმადაა დამარხული. რამდენი საათი გამილევია ამ საგონებლით! როგორ ვეჭიდებოდი შუა ზაფხულის ღამით ამის შესაცნობად მოძალებულ ფიქრებს! რა იყო ის რაღაც, დემოკრიტეს ჭაზე უფრო უძირო რამ, ჩემი სატრფოს თვალებში რომ ი ფ ა რ ვ ო დ ა? რა იმალებოდა ამ მზერაში? ერთთავად გამახელა ამის მოკვლევის ჟინმა. დიდრონი, ნათლით მოსილნი სახედველნი ჩემი სატრფოსი! ლედას მარჩბივ ვარსკვლავად გადაიქცნენ ისინი ჩემთვის და მეც მათთვის თავგამოდებულ ასტროლოგად ვიქეცი.

ხომ ამდენ გაუხსნელ ხვანჯებს ხვდება ადამიანის გონების შემსწავლელი მეცნიერება, მაგრამ არა არის მასში უფრო ამაღელვებელი, ვიდრე ის ფაქტი, რაიც ვგონებ, შეუმჩნეველი დარჩა მრავალ სკოლას — დიდი ხნის წინათ დ ა ვ ი წ ყ ე ბ უ ლ ი ა მ ბ ი ს მ ო გ ო ნ ე ბ ი ს ც დ ა, როცა ძალიან ვლამობთ რაიმეს გახსენებას, ჰა და ჰა, თითქოს კიდეც გავიხსენებთ, მაგრამ საბოლოოდ ვერც ველარაფერს ვიხსენებთ. სწორედ ასევე, ლიგეას თვალებს რომ ვაკვირდებოდი, ვგრძნობდი — აი, ახლა ჩავწვდები-მეთქი მათს საიდუმლოს, აი, ახლა მოვიხილავ ყოველივეს, აი, ახლა-მეთქი და მაშინვე უკვალოდ გამიქრებოდა ნატამალიც კი ამ აზრისა. და **(ჰოი, იდუმალებავ ყოველთა იდუმალებათა!)** ანალოგიის ძალით ვპოულობდი მოვლენას, ამ გრძნობას რომ ემსგავსებოდა. ამით ის მინდა ვთქვა: როცა ლიგეას მშვენება მთლიანად დამკვიდრდა ჩემს სულში და გაბატონდა, როგორც სამლოცველოში, ნივთიერი სამყაროს მრავალი საგანი იგივე გრძნობას იწვევდა ჩემს სულში, რასაც მისი დიდრონი, სხივმფინარე თვალები. ეს იყო და ეს, მეტად არ ძალმედვა ამ გრძნობის გარკვევა, ანუ სრულად შიგ ჩაწვდომა. ჩემდა უნებურად იგი მაშინ ცხადდებოდა, ვიმეორებ, როცა ვაზის ყვავილობას, პეპლების ფარფატს ან ნაკადულის სრბოლას ვჭვრეტდი ხოლმე. ოკეანის ლივლივით შევიგრძნობდი მე მას, ცით მოვლენილი მეტეორის ვარდნით, ხანმოთეული კაცის თვალებში გამოკრთებოდა იგი. და ერთი თუ ორი ვარსკვლავის ღამისეულ ცარგვალზე (**განსაკუთრებით ერთის, სიდიდით მეექვსის, ტყუბისა და ცვალებადის, ქნარის დიდი თანავარსკვლავედის ახლო რომ ვპოებდი ტელესკოპით ჭვრეტისას**) მეცნაურებოდა ეგევე გრძნობა. ამდაგვარივე რამ შემიპყრობდა ხოლმე სიმებიანი

საკრავის ჰანგთა მსმენელს და არც თუ ისე იშვიათად რომელიმე წიგნის სტრიქონებიდანაც ჩამელვრებოდა იგი სულში. უთვალავ ასეთ მაგალითთაგან ერთი მახსენდება ნათლად — ჯოზეფ გლენვილის ტრაქტატში ამოკითხული სიტყვები (**შესაძლოა თავიანთი საკვირველი უცნაურობის ძალით, ვინ იცის?**), იგივე გრძნობას რომ მგვრიდა ხოლმე: „და აქაა ძალი ნებისა — ძალი წარუვალი და დამტევი ყოვლისა. ვინ ჩაწვდება იმის საიდუმლოს? ხოლო ღმერთი ოდენ ძალაა უდიადესი საგანთა არსში ჩასაღწევად მოწოდებული. კაცი არც ანგელოზს, არც სიკვდილს დამორჩილდება, მხოლოდ თავისი ნებისყოფის უღონობისაგან გაიწირება იგი“.

განვლილმა წლებმა და შემდგომი დროის ფიქრებმა შემაძლებინეს, მართლაც მეხილა ერთდაგვარი შორეული კავშირი ინგლისელი მორალისტის ამ სიტყვებსა და ლიგეას ხასიათს შორის. მისი ფიქრის, საქმისა თუ სიტყვის ძალმოსილება იყო ალბათ შედეგი, ანუ მიმანიშნებელი, როგორც ბოლოს გამოჩნდა, ცხოველმყოფელი ვნებისა, სხვებისთვის რომ შეუმჩნეველი რჩებოდა ჩვენს ხანიერ ურთიერთობაში. ყველა ქალთაგან, ოდესმე ვინც კი მცნობია, გარეგნულად წყნარი, ნიადაგ სახემშვიდი ლიგეა ყველაზე მეტად ემსხვერპლებოდა ხოლმე დაუოკებელი ვნების მძვინვარე სვავებს. და ეს სრულად ჩანდა მისი თვალების უჩვეულო სიფართოეში, რაიც ზეამიტაცებდა, ძრწოლვას მომგვრიდა; აგრეთვე მის ყრუ, უშფოთველ, ხიბლიან ხმასა და იმ სიტყვების მგზნებარებაში, ორკეც ძალას სწორედ ამ მგზნებარება-სიმშვიდის უცნაური შეხამება რომ ანიჭებდა.

ლიგეას განსწავლულობის შესახებ უკვე გითხარით: თვალშეუდგამი იყო მისი ცოდნა, არასოდეს მინახავს მსგავსი ქალი. საუცხოოდ ფლობდა კლასიკურ ენებს და, რამდენადაც თავად გარკვეული ვიყავი, თანამედროვე ევროპული ენების ცოდნაშიც არავის დაუდებდა ტოლს. ზოგიერთი საგანი, უფრო თავისი ბუნდოვანებით რომ არის ცნობილი და რისი ცოდნაც აკადემიური განსწავლულობის თანაბარია, ისე გაეშინავებინა ლიგეას — მცირეოდენ ნაკლსაც ვერ უპოვიდა კაცი! რა დიდის მღელვარებით გავიგე ჩემი მეუღლის ეს ღირსება სულ უკანასკნელ ხანებში! მდედრიო, ვამბობ, მაგრამ მამრიც კი სად მოიძებნებოდა ისეთი, ასე წარმატებით რომ მიმოევლო მორალის, ფიზიკის, მათემატიკის მეცნიერებათა ვრცელზე ვრცელი სარბიელი? მაშინ ვერ ვხედავდი იმას, რაც ახლა ასე ნათელია ჩემთვის: განსაცვიფრებელი იყო ლიგეას ნიჭი და მეც იმთავითვე ძალიან კარგად ვგრძნობდი მის უდიდეს უპირატესობას და ალბათ ამიტომ ბალღურად მორჩილი, მისი მზრუნველობით მივიკვლევდი გზას მეტაფიზიკური გამოკვლევების ქაოსურ სამყაროში, რითაც გატაცებული ვიყავი ჩვენი ერთად ყოფნის პირველ ხანებში. რა ზეიმით, რა გრძნობის მორევნით, რა ციური იმედით ავსილი შ ე ვ ი გ რ ძ ნ ო ბ დ ი ხოლმე ჩემს თავთან მის ლანდს მეცადინეობის დროს, სულ ოდნავი მინიშნებით, მცირეოდენი ჩაგონებით რომ გადამიშლიდა ნათელ თვალსაწიერს, წინამავალ, საოცარ, ჯერ მთლად გაუკაფავ ბილიკს, სიბრძნის კარიბჭესთან რომ მიმაყენებდა, ეგოდენ ფასდაუდებელ, ღვთაებრივ ნაკრძალთან.

რაოდენი ტკივილის მომგვრელი გახდა სატანჯველი, როცა რამდენიმე წლის შემდეგ ნათელმა ჩემმა იმედებმა ფრთა მოისხეს და შორს გაუტიეს! ულიგეოდ ბალღი შევიქენი, ხელისფათურით მოხეტიალე უეცრად შემოსწრებულ ღამეში. მხოლოდ მისი ყოფნა, მხოლოდ მისი ხმა

კმა იყო მზის ნათელი სხივი აციაგებულიყო იმ უამრავ გონებისმიღმეულ მოძღვრებებში, მაშინ რომ აგრერიგად გვიტაცებდა ორივეს. მის მანათობელ თვალებს მოკლებული პრიალა და ოქროცურვილი ასოები უფროორე ჩამუქდნენ, ვინემ სატურნის ტყვია და დასამუშავებელი წიგნის გვერდებს უკვე თანდათან აკლდებოდა ეს სინათლე. ლიგეა ავად გახდა. სულ უფრო სხივსავსედ მოაშუქებდნენ მისი დიდრონი თვალები. გამჭვირვალე, სანთლისფერი გაუხდა თლილი თითები, ზედ სამარის ალი რამ გადაჰკრავდა უკვე, მცირეოდენი მღელვარების დროსაც კი მალიად უფეთქავდა ცისფერი ძარღვები ფართო შუბლზე. ვხედავდი: უნდა მომკვდარიყო, და სასოწარკვეთით ვებრძოდი ჩემს სულში პირქუშ ჯაბრაელს. მაგრამ ვნებაულევი ჩემი ცოლი, ჩემდა გასაოცრად, კიდევ უფრო მძაფრად ებრძოდა მას, უფრო ძალუმი აღმოჩნდა. ბევრი რამ იყო ისეთი მის მკაცრ ბუნებაში, რაიც მარწმუნებდა, მშვიდად და უდრტვინველად შეხვდება-მეთქი სიკვდილს, მაგრამ არა. სიტყვა უღონოა, თუნდაც მცირე წარმოდგენა მოგცეს, თუ რაოდენი მძვინვარებით ებრძოდა იგი სიკვდილის აჩრდილს. ვცადე დამემშვიდებინა, მისი გონება მომეხმო მშველელად, მაგრამ სიცოცხლის გაუნელებელ წყურვილს რომ ვატყობდი — სიცოცხლის — მხოლოდ სიცოცხლის, რაც უნდა მეთქვა, ამაო ღაღადი იქნებოდა ჩემი სიტყვა და მცდელობა. მაგრამ სულ ბოლო წამამდე მისი გატანჯული სული მაინც ინარჩუნებდა გარეგნულ უდრტვინველობას, ხმა უფრო ლბილი გაუხდა, უფრო დაბალი — ახლა აქ არ მინდა მისი წყნარი სიტყვების მღელვარე შინაარსი განვაცხადო. კინაღამ გრძნობა დავკარგე, როცა გრძნებით შეკრული ვისმენდი ხმას, უამეს ხმას, მანამდე რომ არსად მსმენია უბრალო მოკვდავისაგან.

ლიგეას ვუყვარდი, ამაში ეჭვი არ მეპარებოდა. ვიცოდი, ურთულესი გრძნობა რამ უნდა ყოფილიყო ასეთი ქალის სიყვარული. მაგრამ მხოლოდ მისი სიკვდილის ხანს შევიგრძნე სრულად მისი ვნების ძალი. იმ დაულეველი საათის განმავლობაში, როცა ჩემი ხელი ხელში ეკავა, მთლად წარმომიჩინა თავდადება, კერპის თაყვანისცემის მსგავსი. ამგვარი აღსარების სითბო რით დავიმსახურე? რით დავიმსახურე სატრფოსთან დაშორების ვაება სწორედ იმ დროს, ასეთი სიტყვები რომ მოვისმინე? მაგრამ ამაზე გამოწვლილვით ველარას ვიტყვი. მხოლოდ ნება მომეცით ვთქვა: ლიგეას სიყვარულში, ქალურ სიყვარულს რომ ასე მეტობდა, რისიც — ვაგლახ! — სრულებით ღირსი არ ვიყავი, ამ სიყვარულში ბოლოს გავიგე ძალმორჭმული, დაუტევნელი წყურვილი სიცოცხლისა, მას ასე სწრაფად რომ სტოვებდა. და სწორედ სიცოცხლის ეს დაუტევნელი წყურვილი — მხოლოდ სიცოცხლის წყურვილი! — ვერ გამომითქვამს, შესაფერი სიტყვა ვერ მიპოვნია.

იმ შუაღამით, სიკვდილის ბჭესთან რომ იდგა, იმ ბნელ შუაღამეში მბრძანებლურად დამიქნია ხელი, მიხმო და მითხრა, მეთქვა ლექსი, რამდენიმე დღით ადრე თავად რომ შეთხზა. დავემორჩილე. აი, ისიც:

ჰა, სახილველნი ბინდი ჟამისნი,
ეული წლების წიაღ რომ ჰგიან!
ანგელოსთ ბურავს მიმწუხრის ნისლი,
ფარდას მიყუჟულთ ცრემლები სდიან.
სხედან თეატრის დარბაზის შინა,

ხილვად თამაშის, — იმედთა, შიშის,
ოდეს სულღაფვით ორკესტრი ქშინავს
და თვლემს მუსიკა სფეროთა ჩრდილში.

მიმები საღვთო ფერისცვალებით
ხმობენ ურთიერთს ჩურჩულით წყნარით.
მიმოიძვრიან ფრთების ქარებით
მარიონეტნი ზეციურ მხარის.
აჩენენ სახეთ, ფორმამორღვეულთ,
სცვლიან სცენარებს და გააფთრებით
უბედურების საგანთ, აღრეულთ,
გადაჰხვეტავენ კონდორის ფრთებით.

ეს მრავალფერი დრამა!.. ო, ასე
დაუვიწყარი დარჩება მარად!
დადევნებულნი აჩრდილთა დასებს,
ვერ დაიჭერენ მოარულთ ქარად.
მროკავი ბრბოი წრეს გადასული
კვლავ უბრუნდება ჯადოქმნილ წერტილს.
შეცოდებათა სიშლეგე სრული —
ბედკრული სული საზარი ამბის!

მაგრამ ეს რაა... მიმების წრეში
მოიგრაგნება ჩუმი მუქარით
რაღაც წითელი, სისხლიან გეშით,
მოდის უმწეო სიღრმიდან სცენის
ჰა, შემოიჭრა ის გავეშებით...
და იმის კერძად იქცნენ მიმები.
ჰა, სისხლიანი ჯოჯოს ეშვები...
აჰა, ქვითინი სერაფიმების!..

დადგა შავბნელი ღამე ეული,
დაეცა არეს წყვდიადის დამბლა.
შავი შრიალით ფარდა ხვეული
ქარიშხლიანი დაეშვა დაბლა.
და ანგელოზნი მწუხრის ზიარნი
განაცხადებენ: უძღები მადით —
ტრაგედიაში „ადამიანი“ —
გამარჯვებული გმირია მატლი.

— ო, ღმერთო! — ჩუმად ამოიოხრა ლიგეამ და როგორც კი ეს სტრიქონები ჩავამთავრე, წამოდგა და თრთოლვით ზე აიწვდინა მკლავები, — ო, ღმერთო! ო, მამავ ზეციერო! რად არი იგი ასე გარდუვალი? ნუთუ ერთხელაც არ დამარცხდება გამარჯვებული? თუ ჩვენ არა ვართ შენი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი? ვინ, ვინ ჩაწვდება მის საიდუმლოს? „კაცი არც ანგელოზს, არც სიკვდილს დამორჩილდება, მხოლოდ თავისი ნებისყოფის უღონობისაგან გაიწირება იგი“.

ამ ღელვისაგან სულ უღონოქმნილს თეთრი მკლავები ჩამოუვარდა, ნელიად დაუბრუნდა სიკვდილის სარეცელს. უკანასკნელ სუნთქვას ბაგედან ძლივ გასაგონი ჩურჩული ამოჰყვა. დავიხარე, კვლავ გავიგონე გლენვილის ისევ ის სიტყვები: „კაცი არც ანგელოზს, არც სიკვდილს დამორჩილდება, მხოლოდ თავისი ნებისყოფის უღონობისაგან გაიწირება იგი“.

მოკვდა იგი და ამდენი ვაებისაგან დაფერფლილს აღარ შემეძლო მარტოდ ყოფნა ჩემს ბინაში, ჩამკვდარ, დრო-ჟამისაგან გამოხუნებულ ქალაქში, რაინის ახლოს. სიმდიდრეს რასაც ეძახის ხალხი, არ მაკლდა. ლიგეამაც უფრო მეტი შემმატა, ჭეშმარიტად უფრო მეტი, ვიდრე ოდესმე მიუღია ვინმე მოკვდავთაგანს. რამდენიმე თვის გზამძიმე და უაზრო ხეტიალის შემდეგ ვიყიდე და ხელახლა გავაწყე ძველებური საბატო, პირქუში ინგლისის ერთ ყველაზე უკაცურ და ღურღუტ კუთხეში მიკარგული მამული, რომლის სახელს აღარ ვამბობ. შენობის სევდამომგვრელი და მჭმუნვარე სიდიადე, თითქმის მთლად გატიალებული შემოგარენი და მასზე შექმნილი, საუკუნეთა წიაღ ცოცხალი, ნაღვლიანი და საზარი ლეგენდები, ერთიცა და მეორეც ერთობ ეხმიანებოდა იმ ჩემს სიმძიმილს, ქვეყნის ამ ძველს, გამოყრუებულ კუთხეში რამაც შემომაგდო. და თუმცა საბატოს გარე კედლები, სქლად ხავსმოდებული და ჩაჟამებული, თითქმის უცვლელად დავტოვე, მისი შიდა ნაწილი ისე მოვრთე, რომ მეფესაც კი შეშურდებოდა. იქნებ ბავშვური დაუდევრობა მრჯიდა, ანდა სევდის განქარვებას თუ ვლამობდი ამაოდ. ამ ფუჭი წვრილმანების გამოკიდება ჯერ კიდევ ბავშვობაში დამჩემდა ზნედ და ახლა კვლავ გამიხსენა, ამდენი ვაებისაგან მეორე ბავშვობად — სიბერედ მიდრეკილს. ვაგლახ, ვგრძნობდი, რომ მდიდრული ფარდების მრავალფეროვანი ფანტასტიური მოხატულობა, ძველეგვიპტური ქანდაკებების პირქუში იერი, მძიმე ფარჩის ნოხების უცნაურად არეულ-დარეული ნაყშები, უთავბოლოდ მიყრილ-მოყრილი ავეჯი უკვე ამჟღავნებდა, რომ გონება მემღვრეოდა. თრიაქის მონა-მორჩილი გავხდი, და ყველა ჩემს ნაშრომსა და ნათქვამს დაეტყო ზმანებათა არილი. მაგრამ გამოწვლილვით არ მოვყვები იმ უაზრო ნაშრომთა ამბავს, მხოლოდ გიამბობთ ერთ დაწყევლილ ოთახზე, სადაც მარადმოსაგონებელი ლიგეას ნაცვლად საკურთხევლიდან ოქროსფერთმიანი, ცისფერთვალა ტრემეინელი ლედი როვენა ტრევენიონი მოვიყვანე გონდაბნელებულმა.

ნათლად მიდგას თვალწინ იმ საქორწინო პალატის მორთულობისა და წყობის ყოველი წვრილმანი. ჩემი საცოლის გულზვიად სახლეულთ სად დაჰკარგვოდათ სული, როცა ოქროს ბრწყინვით დაბრმავებულებმა საყვარელ თავის ასულს ნება მისცეს გადაებიჯებინა ამგვარად მორთული ოთახის ზღურბლზე. უკვე გითხარით, რომ გამოწვლილვით ზუსტად მახსოვს პალატის ყოველი წვრილმანი, მაგრამ, სამწუხაროდ, დამვიწყებია ბევრი რამ უფრო მნიშვნელოვანი; რაღაც მთლიანობა აკლდა პალატს, რაიც კარგად აღიბეჭდება ხოლმე მეხსიერებაში. ციხე-სიმაგრის მსგავსად აგებული საბატოს მაღალ კოშკში იყო ოთახი, ხუთკუთხა და საკმაო სიდიდის, სამხრეთის კედლის ნაწილად ჰქონდა დიდი სარკმელი, მთლიანი ვენეციური მინისგან—ტყვიისფეროვანი. მასში გამოღწეული მზისა თუ მთვარის შუქი შემზარავად წარმოგვიჩენდა ირგვლივ ყველაფერს. ამ ვეებერთელა სარკმლის ზემოთ, კოშკის ვრცელ კედელზე ხანიერი ფოთოლშეყვითლებული ვაზი მოიჯოჯებოდა. ჭერი—მოშავო მუხის, უჩვეულოდ მაღალი, კამაროვანი, უსაკვირველესი, უცნაური ჩუქურთმებით აჭრილი, ნახევრად გოთური, ნახევრად დრუიდული ნაკეთობისა. მოქურუხებული თაღების ზედ შუაგულიდან ფართოოგოლებიანი ოქროს ჯაჭვი ეშვებოდა, სარკინოზულ ნაყშებიანი ოქ-

როსავე სანთურით, და ეს სანთურიც ისე უხვად იყო დასვრეტილი, ნასვრეტებიც ისე ოსტატურად განლაგებულიყო, რომ შიგაც და გარეთაც ერთთავად დაიკლაკნებოდა სინათლის მრავალფერი ჭავლები.

რამდენიმე აღმოსავლური ტახტი და ოქროს საკანდელე უწესრიგოდ მიმოფანტულიყო პალატში. აქვე იდგა სარეცელი ინდური ყაიდისა, დაბალი საქორწინო სარეცელი, აბანოზის ხისგან ნაკეთები, გავალაკით მოჩარდახებული. პალატის ყოველ კუთხეში საბრჯენებზე იდგა ლუქსორის სამეფო აკლდამის ვეება შავ-გრანიტოვანი სარკოფაგები და მათი სახურავებიდან უსსოვარი დროის ქანდაკებები იმზირებოდნენ. მაგრამ ყველაზე სიზმარეული იყო ჭერიდან მძიმე ტალღებად ჩამოშლილი ვეება ფარდები, მთლიანად რომ ფარავდა თითქმის უპროპორციო, მაღალ კედლებს და იმავე მასალისაგან იყო ნაქსოვი, რისგანაც — იატაკის ხალიჩა ან ტახტებისა და აბანოზის სარეცლის საფარველი, და კვლავ ფარდა, მდიდრულად ჩამოგრაგნილი, სარკმლის ნაწილს რომ ჰფარავდა. მასალა — უძვირფასესი ოქრონემსული ფარჩა, ნახშირივით შავი არაბესკებით დაქარგული, თვითეული ერთი ფუტის დიამეტრისა. მაგრამ ეს ნაყშები არაბესკების სახეს მაშინ მიიღებდა ხოლმე, თუ ერთი რომელიმე ადგილიდან შევხედავდით. ანტიკური ხანის უძველესი და აწ გავრცელებული მოწყობილობის საშუალებით მათ შეეძლოთ სახე ეცვალათ: ოთახში ახლად შემოსულს ისინი რაღაც სიმახინჯედ მოეჩვენებოდა, მაგრამ ეს შთაბეჭდილება ყოველი ნაბიჯის გადადგმისას ძალას ჰკარგავდა და სულ მალე უთვალავი, საზარი ფიგურებით გარშემორტყმული იყავით, ნორმანთა ცრურწმენებისა და მონაზვნის ცოდვილიანი სიზმრების ცხადში დამნახველი. შთაბეჭდილებას აძლიერებდა ჰაერის ხელოვნური ნაკადი, ფარდების უკან რომ ჰქროდა და შფოთიან შემზარავ სიცხოვლეს ანიჭებდა ირგვლივ ყველაფერს.

ამგვარ პალატებში, ამგვარ საქორწინო ოთახში ვატარებდი ნაზრახ სიცოცხლეს ტრემენეინელ ლედისთან ჩვენი ქორწინების პირველ თვეს და აგრერიგად არც ვდარდობდი. ვატყობდი, ჩემს ცოლს ჩემი ურჯუკი ხასიათი რომ ჰზარავდა, მიფრთხოდა, არც დიდად ვუყვარდი, და ეს ამბავი არათუ მწყინდა, თითქოს სიამოვნებას მანიჭებდა უფრო. გონება ჩემი კვლავ უბრუნდებოდა (ო, **რაოდენი სიმძიმილით!**) ლიგეას, საყვარელს, უბრწყინვალესს, დასამარებულს. გრძნობას ვკარგავდი, ლიგეას სიწმინდე, ზეობა, სიბრძნე გამორჩეული, ვნებაულევი ბუნება, თავდაუზოგველი სიყვარული რომ მაგონდებოდა. ახლა ჩემი სული ბევრად უფრო ბობოქრად გიზგიზებდა, ვინემ ლიგეას ყოვლისმომცველი ცეცხლოვანი სული, თრიაქნასვამი კაცის ზმანებებით შეპყრობილი (**უკვე გამუდმებით ვეჭანებოდი ამ შხამს**) ხმამაღლა ვიზახდი მის სახელს ღამის მდუმარებაში, დღისითაც, ტყის ჩრდილოვან მდელოზე განმარტოებით მოხეტიალე მას ვახსენებდი, თითქოსდა დიდ ვნებას, მიცვალებულისადმი ამ გაუნელებელ ჭმუნვას შეეძლო ოდესმე დაებრუნებინა იგი აქ, მიწიერ, — ნუთუ, ნუთუ სამარადჟამოდ? — დატოვებულ ბილიკზე.

ჩვენი ქორწინებიდან ერთი თვის თავზე ლედი როვენა უეცრად ავად გახდა და ჯერაც ვერ გამოჯანსაღებულიყო მთლიანად. ცივებამ ძალზე დაასუსტა, შფოთიანი ღამეები დაუდგა. ამ მოუსვენრობასა და ძილ-ღვიძილში მყოფი სულ ჩიოდა, რაღაც ხმები და ვიღაცის ნაბიჯის ჩქამი მესმისო ფარდების მიღმიდან, რაიც, ასე მეგონა, მხოლოდ მისი ავადობის ბრა-

ლია-მეთქი, ანუ, შესაძლოა, თავად ამ ოთახის სიზმარეული ხატების ნაძალი. გამოკეთება დაეტყო, დადგა ფეხზე. მალე ისევ შეაბრუნა, ამჯერად უფრო სასტიკმა შემოტევამ ჩააგდო ლოგინად, და ამ შემოტევის გამო მისი ისედაც ნაზი სხეული ვეღარ შეებრძოლა სენს. ამის შემდეგ, მკურნალთა დიდი ცოდნისა და გარჯის მიუხედავად, სულ უფრო და უფრო შეერყა ჯანმრთელობა, თანდათან გაუძლიერდა ეს, როგორც ჩანს, უკურნებელი სენი, თავის მხრივ ნერვულ მგრძნობელობას რომ მატებდა — სულ მცირეოდენი მიზეზის გამო შფოთიანობა და მღელვარება დასჩემდა. კვლავ და კვლავ ჩიოდა, რაღაც ხმები მესმისო ფარდების მიღმა, ვიღაც დადისო იქ.

ერთხელ ღამით, სექტემბრის მიწურულს, უფრო დაჟინებით დამიწყო ამაზე ლაპარაკი, ცდილობდა მიექცია ჩემი ყურადღება. მშოთვარე ძილისაგან სულ ახლახან გამორკვეულიყო და მეც, აბანოზის სარეცელთან ერთ-ერთ ინდურ ტახტზე მჯდომი, შეშფოთებითა და ბუნდოვანი ძრწოლვით ვაკვირდებოდი მის ჩატეტკილ პირისახეს. სარეცელზე წამომჯდარი, ჩურჩულით მაჯერებდა, თითქოს ვიღაც დაიარებოდა ახლა ოთახში და ხმებს გამოსცემდა. მე კი ვერაფერს ვხედავდი და არაფერი მესმოდა. ნიავი დაშტიალობდა ფარდების მიღმა და მე მინდოდა ჩამეგონებინა(**რაც უნდა ვალიარო, სრულად თავადაც არ მჯეროდა**), რომ სწორედ ამიტომაც ჩაესმოდა ის ოდნავ გასაგონი ხვნეშა და სახეებიც ძლივ შესამჩნევად ამიტომ ირხეოდნენ კედელზე. მაგრამ მისი მკვდრისფერი სახე მარწმუნებდა, ვერას შევასმენდი. საცაა გრძნობას დაჰკარგავდა, და ახლოს არც არავინ იყო მსახურთაგანი, რომ მომეხმო. ღვინო გამახსენდა, მკურნალებმა რომ ურჩიეს. სწრაფად წავედი მოსატანად. მაგრამ, როგორც კი სანთურისგან ჩამოშუქებული სინათლის წრეში ფეხი შევდგი, ჩემი ყურადღება ორმა უცნაურმა გარემოებამ მიიპყრო. მე ვიგრძენი, როგორ ჩამიარა და შემეხო რაღაც უხილავი და ოქროცურვილ ნოხზედაც, ზედ სანთურიდან ჩამოშუქებული წრის შუაგულში, როგორ გაკრთა რაღაც ჩრდილი, ჭვირვალი და მოუხელთებელი, მიმკრთალი ჩრდილი ანგელოზისა.

მაგრამ ისე ვიყავი აფორიაქებული თრიაქის დიდი დოზით, რომ ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, და არც როვენასთვის მითქვამს რამე. ღვინიანი სურა ავიღე, უკანვე გამოვბრუნდი, თასი გავავსე, თითქმის ცნობამიხდილ ქალს ბაგესთან მივუტანე. თვალი გაახილა და მომჯობინდა, თვითონ გამომართვა თასი. იქვე ახლოს ტახტზე ჩამოვჯექი, ჩაციებით დავცქეროდი და სწორედ მაშინ ჩამესმა მკაფიოდ სარეცელთან ხალიჩაზე გავლილი ფეხის ხმა ჩუმი და იმწამსვე დავინახე, ანუ შესაძლოა მეზმანა — როგორ ჩაეშვა თასში რაღაც უჩინარი ჭურჭლიდან მეწამული ფერის ოთხი თუ ხუთი მოდიდო წვეთი. მხოლოდ მე დავინახე, როვენას კი არაფერი შეუნიშნავს, ღვინო უყოყმანოდ შესვა. მეც აღარაფერი მითქვამს, რადგან ასე მეგონა: ყოველივე ეს სინამდვილეში კი არ მომხდარა, თრიაქმა, ავადმყოფურმა ძრწოლვამ და შუაღამემ მომალანდა-მეთქი.

გულისხმაში ჩავვარდი: იმ მეწამული ფერის წვეთების შემდეგ ჩემი ცოლის მდგომარეობა გაუარესდა. და, მართლაც მესამე ღამეს უკვე წესი აუგეს და დასაკრძალავად მორთეს, ხოლო მეოთხე ღამე რომ ჩამოწვა, სუ-

დარაში გახვეულს ვუჯექი მარტო ამ ჩემს უცნაურ პალატში, სადაც იგი შემოვიდა პატარძლად. ჩემს თვალწინ რიალებდნენ შემზარავი, ჩრდილოვანი, თრიაქით აშლილი ჩვენებანი. შიშნეული გრძნობით შევყურებდი პალატის კუთხეებში დაყურსულ სარკოფაგებს, ფარდების მიმორხევას, ჭერზე მოლიცლიცე შუქს. ანაზდად იმღამინდელი ამბავი მომაგონდა და დავხედე იმავე ადგილს, სადაც სანთურით შემოხაზულ წრეში რაღაც აჩრდილის მკრთალი ნაკვალევი შევნიშნე მაშინ. ახლა ის ადგილი სუფთა იყო. გული შვებით მომეფონა, კვლავ მივხედე სარეცელზე გაჭიმულ, ფერწასულ, გათოშილ სხეულს. და სწორედ მაშინ წამეკიდა ათასი მოგონება ლიგეაზე. კვლავ მომიწყლა გული დიდმა მწუხარებამ და ტკივილმა. ამგვარი გრძნობით დავცქეროდი სუდარაში გამოხვეულს. ღამე მიილია და ჩემს ერთადერთ ჭეშმარიტ, მაღალ სიყვარულზე მწარედ დაფიქრებული, თვალმოუშორებლივ დავყურებდი ლედი როვენას ცხედარს.

შუაღამით, შესაძლოა უფრო ადრე ან უფრო გვიან, რამეთუ დროის სათვალავი ამერია, ჩუმი, ნაზი, მაგრამ კარგად გასაგონი ქვითინი ჩამესმა და გამეღვიძა. ვიგრძენი, რომ აბანოზის სარეცლიდან — სიკვდილის სარეცლიდან მოდიოდა იგი ქვითინი. ყური მივუგდე არაამქვეყნიური შიშით დაზაფრულმა. მაგრამ ხმა აღარ გამეორებულა. მიცვალებულს დავაკვირდი, ვერაფერი დავატყვე. და მაინც მე არა ვცდებოდი, ნამდვილად გავიგონე იგი სუსტი ხმა და ჩემმა სულმა განიღვიძა ჩემ არსებაში. გაუნელებელი ყურადღებით, დაჟინებით ჩავცქეროდი მიცვალებულს. მრავალი წუთი გავიდა, სანამ რამე ისეთი მოხდებოდა, ნათელს რომ მოჰფენდა ამ საიდუმლოს. და ბოლოს აჰა, — სუსტი მქრქალი ფერი მიიღო ნეშტის ღაწვებმა, ჩანაცრებული ქუთუთოებიც მოფერიანდა წვრილი ძარღვების სიგრძივ. კაცის ენით გამოუთქმელ საზარი გრძნობით მოცულს, ჩვეულებრივი მოკვდავი სიტყვას რომ ვერ გამოუძებნის, გულის ხმა დამიდუმდა, სხეულის ყველა ასოში ყინვა ჩამიდგა, მაგრამ მოვალეობის გრძნობამ ბოლოს გონს მომაგო. ეჭვმა გამჩხვლიტა, ნაადრევად ხომ არ შევსუდრეთ-მეთქი საბრალო, რადგან ვხედავდი, როვენას სული ედგა. რაღაც უნდა მეღონა. კოშკი კარგა შორს იყო მსახურთა სამყოფისაგან და ვერც ვერავინ ვნახე აქ, რომ გამეგზავნა, ვერავის მოვუხმობდი საშველად. მსახურთა დასაძახებლად რომ წავსულიყავი, დიდი ხნით უნდა დამეტოვებინა პალატი, რასაც ვერ ვბედავდი. ამიტომ სულ მარტოკამ ვიღონე ყველაფერი, ვცადე მივშველებოდი როვენას, გადამერჩინა სული მისი. მაგრამ მალედვე მივხვდი, ისევ სიკვდილს უბრუნდებოდა: მიტკლისფერი შეეპარა ქუთუთოებსა და ღაწვებზე, სითეთრე დარჩა თეთრ მარმარილოზე უთეთრესი. ორკეც ჩაეღრიცა ტუჩები და ზედ სიკვდილის ფერი დაედო: ამაზრზენი და სლიპინა სუსხი ჩაუდგა კვლავ მთელს სხეულში და გააშეშა. ძრწოლვით მივწექი ტახტზე, საიდანაც წეღან რაღაც უჩინარმა ძალამ წამომაგდო და კვლავ დამეუფლა მგზნებარე ზმანებანი ლიგეაზე.

საათი გავიდა, როცა (ნუთუ ეს შესაძლებელია?) რაღაც გაურკვეველი ხმა ხელმეორედ მოისმა სარეცლიდან. ყური მივუგდე ზარდაცემულმა. კვლავ მოისმა ხმა — ამოოხვრა იყო. გვამს მივვარდი და დავინახე, ნათლად დავინახე, როგორ ათრთოლდნენ ბაგენი, წუთის შემდეგ კი მოეშვნენ და მარგალიტისებრ წყობილი კბილები გამოაჩინეს. აქამდე თუ მარტო ძრწოლა მედგა გულში, ახლა მას გაოცებაც დაერთო. ვიგრძენი,

რომ თვალთ დამიბნელდა, გონი მიმდიოდა, თავს ძალა დავატანე და აღვასრულე, რაიც ჩემს მოვალეობას წარმოადგენდა. ახლა შუბლზედაც მოუვიდა ფერი, ღაწვებსა და ყელზე, სითბომაც მოიცვა მთელი სხეული, ოდნავ გულის ცემაც შეიგრძნობოდა. ქალი ცოცხლობდა. უფრო მეტი გამწარებით შევეცადე მის გამობრუნებას: საფეთქლები, ხელები დავუსრისე, სპირტით დავუზილე, არაფერი დამვიწყებია, რასაც გამოცდილება და არც თუ ისე მცირე სამედიცინო წიგნების ცოდნა მკარნახობდა. მაგრამ ამაოდ, უეცრად კვლავ ჩაეტეტკა პირისახე, მაჯის ცემა გაუჩერდა, ბაგენი გადაელრძო და მაშინვე ყინულისებრ გაუცივდა სხეული, ლილისფრად შეიფერა, გამოითოშა, დიდხანს ნადები მკვდრის ამაზრზენი იერი მიიღო მთელმა სხეულმა.

თავი კვლავ მივეცი ზმანებებს ლიგეაზე და კვლავ (**რაღა გასაკვირია, ვკანკალებ ამის დამწერი?**) — კვლავ ქვითინი ჩამესმა. მაგრამ რაღა საჭიროა იმღამინდელ ენით უთქმელ საშინელებათა აღწერა? რაღა საჭიროა იმ ამბავზე შეჩერება, რომ დროდადრო, ვიდრე ალიონი მოაწევდა, როგორ გრძელდებოდა სიცოცხლის მობრუნება-განშორების საზარელი დრამა და სიცოცხლის ეს გულშემზარავი გამოჩენა-გაქრობა რარიგ მეტად და მეტად აახლოვებდა სხეულს გარდუვალ, საბოლოო სიკვდილთან? ანდა, ყოველი ასეთი აგონია როგორ ჰგავდა ვიღაც უჩინარ მტერთან ჭიდილს და როგორ იცვლებოდა სხეული ყოველი ასეთი აგონიის შემდეგ? მაგრამ მოკლედ ვიტყვი სათქმელს. გათენებამდე ცოტა დრო იყო დარჩენილი, როცა მიცვალებული კვლავ შეინძრა — ამჯერად უფრო მეტი გააფთრებით, თუმცა ახლა გაცილებით უფრო ამაზრზენად გაშეშებულ და გაყინულ სხეულში უნდა მოეკრიბა სიცოცხლის ილაჯი. დიდი ხანია შევწყვიტე ყოველგვარი მეცადინეობა და უმოძრაოდ, მთლად შებოჭილი ვიჯექი ტახტზე, მღელვარებისაგან ძალამიხდილი. თანაც ეს აუტანელი შიში, ალბათ, ყველაზე სუსტი და ნაკლებ მტანჯველი იყო და უფრო მეტად სხვა რამ გრძნობები მთანგავდა. ცხედარი, ვიმეორებ, შეინძრა, ამჯერად მეტის ძალოვანებით. სიცოცხლის ფერი ახლა უფრო მძაფრად მოედო პირისახეზე, მოეშვნენ სხეულის ასონი და გახეშეშებული ქუთუთოები. ეს თანჩასატანი სამკვდრო სამკაულები რომ არა, შეიძლება მეფიქრა, როვენამ მართლაც სრულიად სძლია-მეთქი სიკვდილს. აბა, რა ეჭვი უნდა შემპარვოდა, როცა ცხადად ვიხილე სარეცლიდან წამომდგარი, მონანავე, ფეხარეული, მთვარეულივით თვალდახუჭული, სუდარა შემოხვეული, პალატის სიღრმიდან გამომავალი. ძრწოლვას არ ავუტანივარ, არ გავნძრეულვარ, წარმოუდგენელ ეჭვთა წყებამ გამიელვა თავში, ქვად ვიქეცი, რადგან სულ სხვა რამ მანიშნა როვენას ტანადობამ, შესახედაობამ, მიხრა-მოხრამ. გაუნძრევლად შევცქეროდი ამ უცხო სანახავს. ტვინი ამერია, უცნაურად შევჩქვიფდი. ნუთუ მართლა ცოცხალი როვენა იდგა ჩემს წინაშე? ოქროსფერთმიანი, ცისფერთვალა როვენა, ტრემეინელი ლედი როვენა ტრევენიონი? რად მეეჭვებოდა? იქნებ ეს არ იყო ცოცხალი ტრემეინელი ლედის ბაგეები? ანდა ეს ღაწვები, გაზაფხულის ვარდივით მღვივანი ღაწვები, ნუთუ ტრემეინელი ლედის ღაწვები არ იყო? ეს სრულიად ჯანმრთელი ქალის ნიკაპი, ზედ რომ პაწია ფოსო აჩნდა, განა შეიძლებოდა, მისი ყო-

ფილიყო: განა ავადობის დროს სიმაღლე მოემატებოდა? რა კალმით აღუწერელმა სიგიჟემ მომიარა, ეს რა გავიფიქრე? ერთი ნახტომით ავიჭერ და მის ფერხთით დავეცი! მსწრაფლ უკუიწია, საზარელი სუდარა ჩამოიგდო, და ოთახში მორიალე ქარმა აალივლივა მისი თმა, გაშალა უკუნი ღამის ფრთებზე უშავესი. აჰა, ნელიად გაიღო თვალებიც მისი...

— ახლა კი... — დავიძახე ხმამაღლა, — ახლა უკვე აღარ ვცდები! ეს ხომ შუქმფინარი, შავ-შავი, ბრიალა თვალებია დაკარგული ჩემი სატრფოსი — ლედი ლიგეასი!